

გივი კახანაძე

ნოველები
ზღაპრები
ლირიკა
თარგმანები

თბილისი 2024

ISBN 978-9941-8-6375-2

© გივი კაპანაძე, 2024

ავტორისაბან

ნიგნში შეტანილ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოურ პერიოდშია შექმნილი. მათში ავტორი შეეცადა აესახა იმდროინდელი ვითარება და ის განწყობილებანი, რომლებიც საზოგადოებაში მაშინ არსებობდა.

საბჭოურმა სისტემამ უამრავი ნეგატივი შვა. ბობოქრობდა კორუფცია, პროტექცია და გამოძალველობა. ფაქტობრივად ღიად იქურდებოდა სახელმწიფო, რაშიც მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო თანამდებობის პირები, არამედ თვითონ რიგითი მოქალაქეებიც. დეფორმირებული იყო საზოგადოებრივი შეგნებაც, რომლის თანახმადაც ფულის მშოვნელი კაცი „კაი ბიჭად“, არაკორუმპირებული თანამდებობის პირი კი სკამის გამფუჭებელ, უშნო, უვარგის ადამიანად ითვლებოდა. ცალკეული პირები, რომელთა რაოდენობა სულაც არ გახლდათ უმნიშვნელო, თითქოს აღშფოთებას გამოთქვამდნენ ქვეყანაში გამეფებულ სიმახინჯეთა გამო, მაგრამ რეალურად მათ მხოლოდ ის აღელვებდათ, რომ თვითონ არ ჰქონდათ ამ სიმახინჯეებში მონაწილეობის საშუალება.

აუტანელი იყო მდგომარეობა მომსახურების სფეროშიც, სადაც აბუჩად იგდებდნენ ხალხს, უხეშად ექცეოდნენ, ზომა-წონაში ატყუებდნენ, სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებთან შედარებით ორმაგად, სამმაგად... მეტს ახდევინებდ-

ნენ. ყველაფერი ეს კი ხდებოდა აშკარად, დაუფარავად, დღისით, მზისით. გამკითხავიც არავინ იყო. არც არავისი ეშინოდათ, არც მაკონტროლებელი ორგანოებისა და არც იმათი, ვისაც ემსახურებოდნენ. ჩივილი და პროტესტი ინტრიგანობად და „ბოზობად“ ითვლებოდა.

დასახელებულ პრობლემათაგან ზოგიერთი, შესაძლოა, დღეს აღარ იყოს იმდენად აქტუალური, როგორც მაშინ, ან მავანთათვის სულაც გაუგებარი დარჩეს, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ზედმეტი მაინც არ იქნება იმის ცოდნა, თუ რა აღელვებდა იმ დროს მოსახლეობის ფართო ფენებს.

მას შემდეგ საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და დემოკრატიზაციის პროცესმა ბევრი რამ შეცვალა. თუმცა ქვემოთ დასახელებულ პრობლემათაგან ზოგიერთი (არა ისეთი ინტენსიურობითა და მასშტაბებით, მაგრამ მაინც) კვლავ განაგრძობს არსებობას. იმედი ვიქონიოთ, რომ პოზიტიური ცვლილებები შემდგომ განვითარებას ჰპოვებენ.

ნოველები და
ზღაპრები
გავშვებისათვის

საჩივარი პეპოზა

/წერილი მამას/

გამარჯობა, ჩემო საყვარელო მამიკო. რომ იცოდე, როგორ მომენატრე. რა არის ამდენი ხნით რომ წახვედი. მიდიხარ ცოტა ხნით და მერე დიდი ხნით იკარგები. შენ მანდ სადღაც ზღვაში დაცურავ, ერთობი და ეხლა მე მკითხე, უშენოდ როგორ მომენწყინა. ჩამოდი რა მალე და ნულარ წახვალ.

მე უკვე დიდი გოგო ვარ. თუმცა ჯერ სკოლაში არ დავედივარ, მაგრამ ხედავ, წერა მაინც ვისწავლე და აი, პირველ წერილსაც გწერ.

ჰო, მამიკო, უთხარი რა რამე ბებოს, გამტანჯა მოფერებით. მერე რა უცნაურ სახელებს მარქმევს: ჩემო თაფლო, ჩემო მურაბავ, ჩემო ყვავილო, ფრთაფარფატა ჩიტოო. ამხანაგები დამცინიან. რამდენჯერ ვთხოვე, ნულარ დამიძახებ ასე-მეთქი. ის კი არ მიჯერებს.

ჭამაზე ხომ გამანამა. მომიტანს ნაირ-ნაირ საჭმელს, დამიწყობს მაგიდაზე და მეუბნება, ეს შენი ულუფაა, თუ არ შეჭამ, ეზოში არ გაგიშვებო. რა უნდა ჩემგან ბებოს, იმას რა, მე რომ შევჭამო, ჩემს მუცელში ჩავა, იმისაში ხომ არა. დედას შევჩივლე, იმან კი გაიცინა. აი, ესე დამცინიან და მატირებენ, შენ კი ხარ მანდ არხეინად და არაფერი გენაღვლება.

მამიკო, შენ რომ მეუბნებოდი, ბებომ ტყუილები არ იცისო, რატომ მატყუებდი? წარამარა ღმერთს ახსენებს: ღმერთმანი, ღმერთმა იცის, ღმერთიმც გიშველის, თუ ღმერთი გნამსო და რა ვიცი, სულ ღმერთი აკერია პირზე. ერთხელაც ვკითხე:

ბებო, ბებო, ერთი მითხარი, ვინ არის ღმერთი, სულ იმის ხსენებაში რომ ხარ?

ღმერთი ის არის, შვილო, ვინც ქვეყნიერება გააჩინა, ცა, მიწა, ბალახი, ქვა, ძროხა, ადამიანი და სხვა ყველაფერი.

მაშინვე მივხვდი, რომ ბებო ჩემს მოტყუებას ცდილობდა. მაგრამ ვერ მივართვი. ვკითხე:

ბებო, ბებო, ღმერთი კაცია თუ ქალი?

კაცია, შვილო, კაცი!

ვიცოდი, რომ ესე მეტყოდა. უწინაც ბევრჯერ უთქვამს, ღმერთი კაციაო და იმიტომ.

მაშ, შენ ამბობ, რომ ღმერთი კაცია, არა, ბებო? – ისევ ვკითხე, – და ქვეყნიერებაც იმან გააჩინა, არა?

ჰო, შვილო, ჰო!

ჰოდა, მერე როდის იყო, რომ კაცი აჩენდა. გამოგიჭირე თუ არა ტყუილში!

ბებოს სიცილი აუტყდა. კინალამ ცუდად გახდა, იმდენი იცინა. რატომ დამცინა, სწორე არ ვუთხარი თუ?

მამიკო, ჰო, იმ დღეს ბებომ იცი, როგორ შემაშინა. სპორტის სასახლეში მიმიყვანა. ყინულზე საციგურაოდ გამიშვა და მითხრა, მოსაცდელში დაგელოდებო.

ვარჯიში ცოტა ადრე დაგვიმთავრდა. ჰოდა, მეც გამოვედი მოსაცდელში და სად არის ბებო? ძებნა დავუწყე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ ვერ ვიპოვე. შემეშინდა, ხომ არსად დაიკარგა-მეთქი და ტირილი მოვრთე. მერე ვიფიქრე, ტირილით აბა საქმეს რას ვუშველი-მეთქი, გამოვედი ქუჩაში და ძია მილიციელის ძებნა დავიწყე. მალე ვიპოვე კიდევ. გახარებული მივვარდი მასთან და შევეხვეყნე:

ძია მილიციელო, შენი ჭირიმე, ბებო დაიკარგა და იქნებ მაპოვნინო.

ძია მილიციელმა დამიყვავა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

აი, შე კუდრაჭავ, ბებო დაიკარგა, თუ შენ?

არა, ძია მილიციელო! მე არ დავკარგულვარ, ბებო დაიკარგა, ავადმყოფობს, მოხუცდა და ვაითუ სახლის გზას ვერ მიაგნოს.

ძია მილიციელმა გაიცინა. ძალიან მეწყინა. მერა, ყველას დასაცინი ვარ, თუ რა? მერე ყველაფერი გამომკითხა, ისევ სასახლის მოსაცდელში მიმიყვანა. ვხედავ, იქ არა დგას შეშინებული ბებო. სანყალი რომ დაკარგულიყო, ხომ უფრო ძალიან შეშინდებოდა. მე შემეცოდა ბებო, ის კი გამიჯავრდა, სად დაიკარგე, რატომ შემაშინეო. ჰო, ჰო, ეგრე იცის, თვითონ დაიკარგა და მე კი დამაბრალა. მე რატომ უნდა დავკარგულიყავი. სახლის გზაც ვიცი, მისამართიც და ბინის ტელეფონიც. ბოლოს და ბოლოს დავრეკავდი სახლში და დედაკოს ვეტყოდი, აქა და აქა ვარ, მოდი და წამიყვანე-მეთქი. ბებო კი, მე რა ვიცი, მოახერხებდა ამდენს?

ჰოდა, ჩემო საყვარელო მამიკო, ჩამოდი და გაუჯავრდი ბებოს. მხოლოდ იცოდე, ძალიან არ გაუჯავრდე; ცოდოა. ბებო კი მაჯავრებს, მაგრამ, ხომ იცი, მე მაინც მიყვარს. იმ დღეს ბებომ მითხრა, მე მალე მოვკვდებიო. იმდენი ვიტირე, მერე ჩემი ბებო ვინ იქნება-მეთქი. მაშინ გადავწყვიტე, დიდი რომ გავიზრდები, მოქანდაკე გამოვალ. ბებოს ძეგლს გამოვძერწავ და თუ მართლა მოკვდა, იმის ქანდაკებას მოვეფერები და გადავუხდნი ყველა სიკეთეს, რაც კი ჩემს პატარა გულში დაუთესია...

ჰო, მამა, ჩამოდი რა მალე და გაუჯავრდი ბებოს, თორემ მეტიც მოთმენა აღარ შემიძლია.

გნერს შენი თამრიკო

ენათიკტიკა ფიქრობს

ენათიკტიკა სამი წლისაა. ცოცხალი, მკვირცხლი ბავშვია, როგორც ყველას, იმასაც უყვარს ცელქობა და თამაში, მაგრამ ყველაფერს ტიკტიკი ურჩევნია. დილიდან საღამომდე სულ ტიკტიკებს და ტიკტიკებს. თამაშისა და ცელქობის დროსაც კი არ აჩერებს ენას. ამიტომაც ნამდვილი სახელი წაართვეს და ენათიკტიკა დაარქვეს. იმასაც მოსწონს შერქმეული სახელი და სულაც არ ჯავრობს, ასე რომ ეძახიან.

ენათიკტიკა დიდი ცნობისმოყვარე ვინმეცაა. სულ რაღაცას სინჯავს, ჩხრეკს, ეძებს, აკვირდება.

კითხვებით კი, ნულარ იტყვით, ყველას მოაბეზრა თავი. ხშირად ისეთ რამეს იტყვის ან იკითხავს, რომ უფროსები სიცილისაგან იხოცებიან.

ენათიკტიკა მამამ ბორჯომში წაიყვანა. დაათვალიერებინა ქალაქი და ჰკითხა:

აბა, ჩემო ენათიკტიკავ, მითხარი, როგორ მოგეწონა ბორჯომი?

ენათიკტიკამ უპასუხა:

ძალიან მომეწონა, მამიკო, მხოლოდ ახლა, თუ შეიძლება, ლიმონათში წავიდეთ!

ამ სიტყვებზე მამას ხარხარი აუტყდა. გაკვირვებული ენათიკტიკა კი შეეკითხა:

რას იცინი?

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები!..

ენათიკტიკამ დედას ჰკითხა:

დედიკო, დედიკო, რატომ არის ეს ვარდი გაშლილი, ეს კი გაუშლელი!

ეგ კოკორია, შვილო. ეგეც მალე გაიშლება.

მერე ისევ შეიშლება?

დედას გაეცინა.

რატომ იცინი? – განყრა ენათიკტიკა.

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები! – უპასუხა დედამაც.

იანვარი იყო, სახლები, ხეები, ქუჩები თოვლს სულ გადაეთეთრებინა.

ენათიკტიკამ ატამი მოითხოვა. უფროსმა დაიკომ უთხრა:

სად გიშოვოთ ამ შუა ზამთარში ატამი. ატამი ზაფხულში იცის.

ენატიკტიკამ უპასუხა:
მერე წავიდეთ ზაფხულში, მანქანა ხომ გვაქვს!
დაიკომაც გადაიკისკისა. ენატიკტიკას ეწყინა.
რა სულ იცინით და იცინით, რა ვთქვი სასაცი-
ლო?

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო
იქნები! – ასე უპასუხა დაიკომაც.

ენატიკტიკას ბიძა ეწვია სტუმრად.

ენატიკტიკას ძალიან მოეწონა იმისი ავტომო-
ბილი და შეეხვეწა:

ეგ მანქანა რომ დაგიპატარავდება, მერე მე მა-
ჩუქე რა, ძია.

ძიამაც გადაიხარხარა.

ენატიკტიკა გაებუტა:

რად დამცინი?

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო
იქნები!

ენატიკტიკამ დაინახა, ძროხამ რომ მოფუნა
და იყვირა:

დედიკო, დედიკო! ფუჩინამ კაკუკები ქნა,
ჩქარა ქალაღდი მოიტანე, ტაკუნა გამოვუნმინ-
დოთ!

დედა შეეცადა სიცილისაგან თავი შეეკავები-
ნა, ენატიკტიკას არ ეწყინოსო, მაგრამ ვერ შეძ-
ლო.

რატომ დამცინი? – გაიბუტა ენატიკტიკა.

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო
იქნები!

ერთხელაც ენატიკტიკა მამასთან შეშინებული
მივიდა.

რა მოხდა, შვილო, რამ შეგაშინა? – ჰკითხა მამამ.

მამიკო, დედიკო ჭურჭელს რეცხავდა და მითხრა, წადი აქედან, ონკანში გუდიანი კაციო.

მამამ ენატიკტიკას დამშვიდება სცადა და უთხრა:

შენ უკვე დიდი გოგო ხარ და უნდა იცოდე, რომ გუდიანი კაცი არ არსებობს. ის მარტო ზღაპარშია.

არა, მამიკო, რსებობს, რსებობს, მაგრამ ვიცი, რომ მარტო ზღაპარში და ონკანშია, – უპასუხა ენატიკტიკამ.

მამასაც გაეცინა.

რა, ესე არ არის? – იწყინა ენატიკტიკამ.

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები!

ენატიკტიკა უფროს ძმასთან ერთად მაგიდასთან იჯდა და ახალი წლის მოსვლას ელოდებოდა. ძალიან ეძინებოდა. ითმინა, ითმინა, მაგრამ ხუთი წუთით ადრე მანინც ჩაეძინა. თორმეტი საათი რომ შესრულდა, ძმამ გააღვიძა და უთხრა:

გაიღვიძე, ახალი წელი უკვე მოვიდა!

ენატიკტიკამ მიიხედ-მოიხედა და ახალი წელი რომ ვერ დაინახა, მემალეზაო, იფიქრა და ძებნა დაუწყო. ტანსაცმლის კარადა გამოალო, მაგიდის ქვეშაც შეიხედა და რომ ვერ იპოვნა, იკითხა:

სად არის ახალი წელი, სად იმალება?

ძმამ სიცილი დაიწყო.

შენც დამცინი, ძამიკო? რატომ? – განყრა ენატიკტიკა.

აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები! – უთხრა ძმამაც.

ჰოდა ენატიკტიკაც ფიქრობს, ფიქრობს და ჯერჯერობით ვერა და ვერ მიმხვდარა, რატომ იცინიან მის ლაპარაკზე უფროსები.

აბა, ჩემო პატარებო, თქვენ თუ მიხვდებით, რატომ?

ჯიუტი ბეკეკას ამბავი

ჯიუტი ბეკეკა დედას ტყეში გაეპარა. გულგახეთქილმა თხამ ბევრი ეძება, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ შვილის კვალს ვერსად მიაგნო. იმედი რომ გადაეწურა პანიას პოვნისა, დაბრუნდა სახლში, თავში ჩლიქები წაიშინა და მწარედ დაიკიკინა:

ვაიმეე! ვაიმეე! ვაიმეე!

თხის ტირილის ხმა რომ შემოესმა, მურია მოვარდა და ჰკითხა:

შენა კიკინებ ასე მწარედ, ჩემო მეგობარო, ბეკეკა დაგეკარგა, ჰაამ?

ჰო, ჩემო მურიავ. მე ვკიკინებ მეე, მეე, – უბასუხა თხამ და უფრო მოუმატა კიკინს. – კარგი ნეკვრის ძებნით ვიყავი გართული, ბეკეკა მინდოდა გამეხარებინა, ყურდალება ვერ მივაქციე, ტყეში გამეპარა და აკი დავლუპე შვილიცა და ჩემი თავიც. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, მეე, მეე.

ეს რა ჩაუდენია შენს ბეკეკას, ვაა, ვააჰ, ვაა-აჰ! დედის დაუკითხავად განა შეიძლებოდა ტყე-

ში წასულიყო. ეს რა ჯიუტი ბავშვები იზრდებიან ეხლანდელ დროში, ჰაამ, ჰაამ! – თანაუგრძნობდა მურია და თან გაჯავრებული ჰყეფდა, – მაგრამ ნუ გეშინია, მურია შერცხვეს, თუ შენი ბეკეკა საღსა-ლამათი არ დაგიბრუნოს!

მიშველე რამეე, მიშველეე, შენი ჭირიმეე, – შე-ევედრა იმედმიცემული თხა.

შენ ერთი გამომყევი და ის ადგილი მაჩვენე, სადაც შვილი დაგეკარგა და დანარჩენი მე ვიცი!

გაიქცნენ ტყისპირა მინდორში. იმ ადგილას რომ მივიდნენ, საიდანაც ბეკეკა გაქრა, მურიამ ბალახს ყნოსვა დაუნყო. აქეთ დაყნოსა, იქით დაყნოსა და მალე გახარებულმა შეჰყეფა:

ვააჰ, ვააჰ! რა მალე მივაგენი კვალს. რა ბედი ჰქონია შენს ბეკეკას, ჩემო მეგობარო, ვააჰ! ვააჰ! ახლა კი წადი შინ. ეცადე, შენმა პატრონმა ვერაფერი გაიგოს, ცოდოა, ისიც შენსავით დაღონდება და ვაჟკაცობას გეფიცები, დაპირებას შეგისრულებ.

თხას უნდოდა შვილის საძებნელად თვითონაც თან გაჰყოლოდა მურიას, მაგრამ ურჩობა ვერ გაბედა და დაემორჩილა.

გმადლობთ, მურიავ, გმადლობთ. შენი ჭირიმეე, – შესძახა გახარებულმა და შინისაკენ ისე მოკურცხლა, გეგონებოდათ, თავისი პატარა იქ ეგულეობდაო.

ჯერ რა დროს მადლობაა, ვააჰ! ვააჰ! – მიაძახა მურიამ და ბეკეკას კვალს გაჰყეფა.

ბევრი ირბინა თუ ცოტა ირბინა, ცხრა ტყე გადაირბინა და ბოლოს შუაგულ ტყეში ერთ პატარა

მინდორს რომ მიადგა, იქ შენიშნა ბეკეკა. დახტოდა, დაკუნტრუშებდა და თან გაიძახოდა:

რა კარგი ვქენი, დედას რომ გამოვებარეე, დილილმე! დილილმე!

მურია წამით შედგა, თათებით თვალები მოიფშენიჭა, ხომ არ მეჩვენებო და, როცა დარწმუნდა, რომ ეს ნამდვილად ჯიუტი ბეკეკა იყო, გახარებულმა შესძახა:

აი, შე ცუდლუტო, შენა, ეს რამსიშორეზე გამოპარულხარ, ჰაამ! გაგონილა ასეთი საქციელი, ჰაამ!

ის იყო მურია დამშვიდდა, რომ უცბად ტყიდან მგელი გამოხტა. ისკუპა და ბეკეკასთან გაჩნდა.

მიშველეე! – იყვირა ბეკეკამ.

ნუ გეშინია! – შესძახა მურიამ და საშველად გაქანდა, თან ისე საშინლად დაიყეფა, რომ ტყემ ზანზარი დაიწყო. მგელი შეშინდა და შეჰყვირა:

შეჩერდი, თორემ ბეკეკას ყელს გამოვლადრავ, გესმის, მუუურიავ!

მურიაც შეჩერდა და მგელს დაუღრინა:

ბეკეკას თუ ერთი ბენვი გავარდა, შენ არცერთი არ შეგრჩება, გესმის თუ არა, ჰაამ?

მუუურიავ, – შეჰყმეფლა მგელმა, – თუ შემპირდები, რომ კბილს არ მახლებ და გამიშვებ, ბეკეკასაც გავუშვებ.

ჰო, კარგი, წადი, ჯანდაბამდისაც გზა გქონია, ვაააჰ! ვააჰ!

ბოროტი კი ხარ, მუუურიავ შენა, ამ ბატკანს არც შენა ჭამ და არც სხვას აჭმევ, – უსაყვედურა მგელმა.

ეს რა თავხედი ვინმე ყოფილა, ჰაამ! – თქვა მურიამ, – ბოროტი ხარო, მე მითხრა, ვააჰ! ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო, მაშ შენზე არ არის ნათქვამი, ჰაამ?

ჰო, ჰო, ბოროტი ხარ და მოლალატეც. მგლების ძმად გაგაჩინა ბუნებამ, შენ კი გვილალატე. ტყე მიატოვე და თავისუფლებას ადამიანის მონობა ამჯობინე. მოლალატეც, მოლალატეც, უუუ! უუუ! – უკიჟინა მგელმა.

ეს რა სულელი ვინმე ყოფილა, ვააჰ! ვააჰ! – თქვა მურიამ, – მგლებს რომ მოგშვივათ, ერთმანეთს დაერევით ხოლმე შესაჭმელად, მაშ მოლალატეები არა ხართ? მთელი დღე შიმშილი რომ აქეთ-იქით დაგარბენინებთ, მაშ თქვენი მსუნაგი კუჭების მონები არა ხართ, ჰაამ? თქვენისთანა ტურტლიანების ძმობას ადამიანთან მეგობრობა რომ ვამჯობინეთ, ამით განა საძრახისები ვართ ძაღლები, ჰაამ? ეს რა თავხედი ვინმე ყოფილა, ვააჰ! ვააჰ! ეხლავე წადი, გამშორდი აქედან, თორემ შენს თააავს დააბრალებ, რაც დღე დაადგებს შენს ტყააავს! ვააჰ! ვააჰ! – დაუღლიალა მურიამ.

პირობა არ დაგავინყდეს, რომ არ გამომიდგები, მუურიავ! – შესძახა მგელმა და კუდამოძუებულმა ტყისკენ მოკურცხლა.

ძია მურიავ, შენი ჭირიმეე, შენ გენაცვალე! – შეჰკიკინა მგლისაგან თავდაღწეულმა ბეკეკამ და ორივემ შინისაკენ გასწია.

მგლის ცრემლები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედა-ლორი როხროხა. იმას ჰყავდა სამი შვილი: უფროსი – ღვითღვითა, შუათანა – ხვითხვითა და უმცროსი – ხითხითა. ალბათ მიხვდებით, რომ ძალიან მხიარულები იყვნენ და ეს სახელებიც იმიტომ შეერქვათ. ცხოვრობდნენ ასე უდარდელად. სანამ ერთ დღეს როხროხა ცუდად არ გახდა.

დაღონდნენ ქუცუნები, მაგრამ არ დაიბნენ. წავიდნენ და მოუყვანეს ექიმი ღრუტუნა.

ღრუტუნამ გულდასმით გასინჯა ავადმყოფი, ხან აქეთ ატრიალა, ხან – იქით, ხან ჩაალრუტუნებინა, ხან ამოალრუტუნებინა, ბოლოს თვითონაც ღრმად ამოიღრუტუნა და თქვა:

უჰ, უჰ! ვაი და ღრუტ, ვაი და ღრუტ, ძალიან ცუდად არის როხროხა.

ვაიმე, დედავ! – აღრიალდა ღვითღვითა.

ვაიმე, დედილო! – აქვითინდა ხვითხვითა.

ვაიმე, დედიკო! – აზლუქუნდა ხითხითა.

უჰ, უჰ, მაგას თუ რამე გადაარჩინს... – თქვა ყოყმანით ღრუტუნამ.

რა გადაარჩინს, რა, რა? – შესძახეს ერთხმად ქუცუნებმა და ღრუტუნას მუდარით სავსე ცრემლიანი თვალები მიჰაყრეს.

უჰ! უჰ! ღრუტ, ღრუტ! – ისევ მძიმედ ამოიღრუტუნა ღრუტუნამ, – თქვენ ჯერ კიდევ პატარები ხართ. თუმიცა დიდებიც რომ იყოთ, უჰ, უჰ,

ვაი და ღრუტ, რომ ვერც მაშინ იშოვიდით იმ წამალს.

გავყიდით სახლ-კარს, მთელ სარჩო-საბადებელს, დანით გამოვიჭრით ყელს, შამფურზე წამოვეგებით და ნელ ცეცხლზე შევიბრანებით, რესტორანში გავიყიდებით და დედას მაინც ვუყიდით იმ წამალს. შენ ოღონდ თქვი, რა წამალია. – შეჭლალადეს ღრუტუნას.

უჰ, უჰ, ეგ წამალი არ იყიდება, შვილებო, ვაჟ-კაცობით თუ ჩაიგდებთ ხელში, თორემ ფულით რას იშოვით, უჰ! უჰ!

თუ ეგრეა, ადვილი საქმე ყოფილა. ჩემზე დიდი ვაჟკაცი მთელ საღორეთში არავინ არის. ღვით-ღვით, ღვით! – გადაიხარხარა იმედმიცემულმა ღვითღვითამ.

ჩემზე დიდი ვაჟკაცი მთელ საბურვაკეთში არ მოიძებნება, – დააყოლა ხვითხვითამ და სიხარულით ახვითხვითდა.

არც ჩემისთანა ვაჟკაცი დადის საგოჭეთში, – დაუმატა ხითხითამ და იმანაც გახალისებულმა ჩაიხითხითა.

მაშ თუ ეგრეა, უჰ, უჰ, – თქვა ღრუტუნამ, – გეტყვით. დედათქვენს მგლის ცრემლები თუ იხსნის სიკვდილისაგან, თორემ სხვა ვერაფერი. მაგრამ, უჰ, უჰ, ვაი და ისევ და ისევ ღრუტ, რომ თქვენ იმისი მშოვნელი არა ხართ! – უკანასკნელად ამოიღრუტუნა ღრუტუნამ და წავიდა.

საგონებელში ჩავარდნენ ღორის შვილები. ვაჟკაცები კი მართლაც იყვნენ და მგლისა არ ეშინოდათ, მაგრამ იმისი ცრემლები როგორ ეშოვ-

ნათ? სხვა რა გზა ჰქონდათ. გადაწყვიტეს, ბედი ეცადათ.

ტყის გზას პირველი ღვითღვითა გაუდგა. მიდის, თან თვითღვითებს, ღვითღვითებს და მიიმღერის:

გახლავართ ღორი ღვითღვითა,
მძებნელი ვარ მგლისა.

ვიპოვნი, ისეთ დღეს დავაყრი,
მტრისას, მტრისას, მტრისას.

ღვით, ღვით, ღვით, ღვით, ღვით, ღვით,
ღვით, ღვით.

ღვით, ღვით, ღვით, ღვით, ღვით, ღვით,
ოდელია დელასა და

დელია დელასა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ცხრა ტყე ღვითღვითით და სიმღერით გადაიარა და ბოლოს მგლის ყმუილი შემოესმა:

მუუ, მუუ, მუუცელი მენვის შიმშილით, ღორის სუუნი მომდის, სად არის, ნეტავ?

ღვით, ღვით, ღვით! – ჩაიღვითღვითა ღვითღვითამ, – აქა ვარ და თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი და დამეჭიდე!

ისკუპა ბურქებიდან მგელმა და ღვითღვითასკენ გაექანა პირდაღებული. ის იყო უნდა დასტაკებოდა კიდეც, რომ ღვითღვითამ იმარჯვა, განზე გახტა და გვერდიდან მგელს მუცელში დინგი ამოსცხო. ტკივილებისაგან სახედალმეჭილი მგელი ცხრაჯერ გადაკოტრიალდა, მერე მაინც წამოხტა ფეხზე და ღრიალ-ღრიალით გაიქცა. ღვითღვითა გამოეკიდა, ბევრიც სდია, მაგრამ

ვერ დაიჭირა. რალას იზამდა, დაბრუნდა სახლში დაღონებული.

ეხლა ხვითხვითას ჯერი დადგა. გაუდგა გზას. მიდის, თან ხვითხვითებს, ხვითხვითებს და მიიმღერის:

ბურვაკი ვარ მე, ხვითხვითა,
მეც დავეძებ მგელსა.
არ დავინდობ, არ დავინდობ,
გამოვლადრავ ყელსა.
ხვით, ხვით, ხვით, ხვით, ხვით, ხვით,
ხვით, ხვით,
ხვით, ხვით, ხვით, ხვით, ხვით, ხვით,
ოდელია დელასა და
დელია დელასა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა ტყე ხვითხვითით და სიმღერით გადაიარა და ბოლოს მგლის ყმუილი შემოესმა:

მუუ, მუუცელი მენვის შიმშილით. ბურვაკის სუუნი მომდის, სად არის, ნეტავ?

ხვით, ხვით, ხვით! – ჩაიხვითხვითა ხვითხვითამ, – აქა ვარ და, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი და დამეჭიდე!

ისკუპა ბუჩქებიდან მგელმა და ხვითხვითასკენ გაექანა პირდაღებული. ის იყო უნდა დასტაკებოდა, რომ ხვითხვითამ ხერხი იხმარა, განზე გახტა, კომბალი მოიმარჯვა და მგელს შიგ თავში ჩასცხო. დარეტიანებული მგელი ერთი კი გაიშლართა მიწაზე,

მაგრამ ისევ წამოხტა და კუდამოძუებულმა მოკურცხლა. ხვითხვითა გამოეკიდა, ბევრიც

სდია, მაგრამ ვერ დაიჭირა. რალას იზამდა, დაბრუნდა სახლში დაღონებული.

ეხლა ხითხითა მოემზადა ნასასვლელად. ძმებმა დაუშალეს. ჩვენ ვერ ვიშოვეთ მგლის ცრემლები და შენ საიდან იშოვი, ნუ ნახვალ ჯერ პატარა ხარ, მგელი მოგერევა და შეგჭამსო. მაგრამ ხითხითამ არ დაუჯერა და გაუდგა გზას. მიდის, ხითხითებს, ხითხითებს და მიიმღერის:

მე, ხითხითა, ავატირებ

მგელსა საძაგელსა.

ცრემლს ამოვწოვ და მივუტან

დედას საყვარელსა.

ხით, ხით, ხით, ხით, ხით, ხით, ხით, ხით,

ხით, ხით, ხით, ხით, ხით, ხით,

ოდელია დელასა და

დელია დელასა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ცხრა ტყე ხითხითით და სიმღერით გადაიარა და ბოლოს მგლის ყმუილი შემოესმა:

მუუ, მუუ, მუუცელი მენვის შიმშილით. გოჭის სუუნის მომდის. სად არის, ნეტავ?

ხით, ხით, ხით! – ჩაიხითხითა ხითხითამ, – აქა ვარ და, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი და დამეჭიდე!

ისკუპა ბურქებიდან მგელმა და ხითხითასაკენ გაექანა პირდაღებული. ის იყო უნდა დასტაკებოდა, რომ ხითხითამ ხერხი იხმარა, ზურგზე განვა, მგელს მუცელზე შემოეხვია და ლუტუნი დაუნყო. ახლა მგელი დაეცა ზურგზე, ხითხითამ ერთი მაგრად ჩაიხითხითა, ზედ შეაჯდა და ლუტუნი განაგრძო. მგელს სიცილი აუტყდა. ხითხითაც

სულ უღუტუნებდა და უღუტუნებდა, თვითონ კი ხითხითებდა და ხითხითებდა. მგელს სული ეხუთებოდა.

შენი ჭირიმე, ხითხითავ, შენი ჭირიმე, ოლონდ დამეხსენ და რასაც მთხოვ, შეგისრულებო! – შეევედრა გოჭს და თან სიცილისაგან ცრემლებს ვერ იკავებდა.

ხითხითასაც ეს უნდოდა. უკანა ფეხებით მგელს ღუტუნი გაუგრძელა, წინა ფეხებით კი ზურგჩანთიდან ოყნა ამოიღო და მგელს თვალეზიდან ცრემლები ამონოვა. მერე კი შეეშვა სიცილისაგან ქანცგამოცლილ მგელს და უთხრა:

ახლა წადი და სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც არ დაგავინყდესო.

დაბრუნდა ხითხითა სახლში. დედას მგლის ცრემლები დააღვინა და მოარჩინა. გამხიარულდნენ ღორები და ატეხეს ერთი როხროხი, ღვითლვითი, ხვითხვითი და ხითხითი.

გახმაურდა ეს ამბავი და ღორებს მეტსახელად ღუტუნა შეარქვეს.

პატარავობანა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თავუნია და ფისუნია. ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. ფისუნია თავის პატრონთან, თავუნია კი კედელში გამოთხრილ პატარა სოროში. ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. დილიდან საღამომდე სულ ერთად იყ-

ვნენ. ისაუზმებდნენ თუ არა, გავიდოდნენ ეზოში და თამაშობდნენ. სადილობის შემდეგ სასეირნოდ დადიოდნენ, სალამოს კი სხვადასხვა ამბების მოყოლით იქცევდნენ თავს.

ფისუნია ძალიან კეთილი იყო. ხშირად მიჰქონდა ხოლმე თავუნიასთან პატრონისაგან ნაბოძები სასუსნავი. თავუნიას ტკბილეულობა უყვარსო და, როგორც კი ხელში ჩაიგდებდა ნამცხვრის ან ფუნთუშის ნაჭერს, ანდა კამფეტს, თვითონ პირს არ დააკარებდა და მაშინვე მეგობარს მიუბრუნებდა. კმაყოფილი თავუნია ერთი მაგრად აკოცებდა ხოლმე და ფისუნიასაც ეს უხაროდა.

თვითონ ფისუნიაც ძალიან ალერსიანი იყო. ეხვეწებოდა ხოლმე თავუნიას, მეც მაკოცინიეო, მაგრამ თავუნია ეჯიუტებოდა და გაუბოდა. ერთხელ ფისუნიათ გულში ჩახუტება მოუხდომა, შემთხვევით ბრჭყალი გაჰკრა და ისე მაგრად ატკინა, რომ სულ ცხარე ცრემლები აღინა. ჰოდა, ეშინოდა თავუნიას და ფრთხილობდა.

თავუნია ერთი ხუმარა ვინმე იყო. ისეთ სასაცილო რამეს ეტყოდა ხოლმე მეგობარს, რომ ფისუნია სიცილისაგან იგუდებოდა. მუცელზე თათებს მიიდებდა, მინაზე გაიშხლართებოდა, გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა და ხარხარებდა. თან ეტყოდა ხოლმე:

კარგი რა, თავუნიავ, ნუ მომკალი ამდენი სიცილით, აღარ შემიძლიაუ!

თავუნია ერთს გადაიკისკისებდა და ლაპარაკში გამოაჯავრებდა ფისუნიას:

ეგრე, ეგრე გინდა, ჩემო ძამიაუ, ჩემო ფისუნიაუ! – და ისევ განაგრძობდა სასაცილო ამბების მოყოლას.

ცხოვრობდნენ ასე ტკბილად ფისუნია და თავუნია და ალბათ დღესაც ისევე ეყვარებოდათ ერთმანეთი, რომ ის ავად მოსაგონარი დღე არ დამდგარიყო.

დილით ცუდ ხასიათზე გაელვინა ფისუნიას. ძალზე შიოდა, მაგრამ არ იცოდა, რა ეჭამა. რა არ შესთავაზეს, მაგრამ არაფერზე მიუვიდა გული. ასე განსაჯეთ, რქესაც კი არ მიაკარა პირი.

თავუნია ძილისგუდა იყო. ეზარებოდა დილით ადრე გაღვიძება. ფისუნია მიადგებოდა სოროს და თავუნიას შეარცხვენდა:

გამოდი გარეთ, თავუნიაუ. რამდენი გძინავს, არა გრცხვენიაუ. გამოდი, გამოდი, საჭმელი მოგიტანე. არა გშიაუ?

საჭმელიო? სანამ ამ სიტყვას არ გაიგონებდა, თავუნია თავს მოიძინარებდა. მერე კი გამოცუნცულდებოდა გარეთ და მეგობრის ძღვენით პირს იტკბარუნებდა. ახლა კი ფისუნია ჩვეულებრივზე ადრე ეწვია თავუნიას და სთხოვა, სოროდან გამოდიო. თავუნია თავს იმძინარებდა. ელოდებოდა როდის მეტყვის, საჭმელი მოგიტანეო, მაგრამ რომ ვერა და ვერ ეღირსა სასურველი სიტყვის გაგონებას, იკადრა და გარეთ გამოძვრა.

რა მოგივიდა, რატომ ხარ ასე ცუდ ხასიათზე? – ჰკითხა მეგობარს.

არ ვიცი, – უპასუხა ფისუნია, – მშიაუ, პატრონმა რა არ შემთავაზა საჭმელად, მაგრამ გული

არაფერზე მიმივიდა. არაფერი მიჭამიაუ. არ ვიცი რა მომდის, ასეთი რამ ჯერ არ დამმართნიაუ, ჩემი საქციელისა მრცხვენიაუ. მაპატიე, ვერ მოვიფიქრე, რომ შენთვის მაინც წამომელო რამე, ჩემო ძამიაუ!

ძალიან ეწყინა თავუნიას, მაშ დღეს მშიერი დავრჩენილვარ და ეგ არისო, გაიფიქრა და ფისუნიას უსაყვედურა:

მე რალა ვქნა, რომ ძალიან მშია. ცუდი მეგობარი ყოფილხარ, რომ აღარც კი გაგახსენდი! – და თავუნიამ წრიპინი მორთო. ფისუნიას შეეცოდა და თვითონაც ატირდა.

ფისუნიას ცრემლებმა თავუნია უფრო გაათამამა და მეგობრის ლანძღვას მოჰყვა:

შემირცხვენია შენისთანა მეგობარი. თუ საჭმელს არ მომიტან, სულაც არა მჭირდები. წადი და ვისთანაც გინდა, იმასთან ითამაშე. ჩემი სახელი აღარ ახსენო. რომ იცოდე, როგორ მეჯავრები, შენი სახელის გახსენებაც აღარ მინდა, შე საზიზღარო შენა!

მაშინ კი მიხვდა ფისუნია, რა ცუდი მეგობარი ჰყოლია.

მაგას მე კი არა, ჩემი მოტანილი საჭმელი ჰყვარებიაუ, – გულის ტკივილით გაიფიქრა, მაგრამ წყრომა არ შეიმჩნია და თავუნიას კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში. წუნკი თავუნია კი ყურსაც არ უგდებდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდა ისედაც გულმოკლულ მეგობარს. ბოლოს ზურგიც კი შეაქცია და სოროსაკენ გასწია. ფისუნია გამოეკიდა, უნდოდა ეთქვა, წავალ და მოგიტან რამეს, ნუ მინყრებიო. დაენია, თათები მოხვია და უთხრა:

კარგი რა, თავუნიაუ, როგორ იქცევი, არა გრცხვინიაუ?

მაგრამ თავუნიას არაფრის გაგონება არ სურდა. ფისუნია მ აკოცა და შემთხვევით კბილი გაჭკრა. ესამოვნა თავუნიას ხორცის გემო. კიდევ გაჭკრა კბილი და... გადაეყლაპა.

თავუნიას ეს რა გემრიელი ხორცი ჰქონიაუ, აი თურმე რა მდომებიიაუ! – გაიფიქრა ფისუნია მ.

ასე გადაჰყვა თავუნია თავის სინუნკეს, უმადურობას და თავხედობას. ფისუნია მაც შეიძულეს თავგები, ისნავლეს იმათი ჭამა და სადაც კი მოიხელთებენ, დაიჭერენ და შეუსანსლავს არ გაუშვებენ. იმ დროიდან თავუნია მსაც ფისუნია მის შიში დასჩემდათ და როგორც კი კნავილს გაიგონებენ, თავქუდმოგლეჯილები გარბიან. ერთმანეთსაც აფრთხილებენ:

ფისუნია მთან არ ითამაშოთ, გესმით როგორ კნავიან: „მიაუ!“ „მშიაუ!“ „მიაუ!“ „არაფერი მიჭამიაუ“?

ეთერი, ნათია და ნიკნია

შემომხედე, ეე...თერ, რუს ნი...ნილა მოაქვს, – უთხრა თოჯინა ნათია მ ეთერს.

მგონი ცოცხალია, – თქვა ეთერმა, სწრაფად ფეხთ გაიხადა, რუში ჩადგა და წინილა დაიჭირა.

სანყალი მთლად გალურჯებულიყო, სიცივი-საგან პანია ნისკარტს ანიკნიკებდა.

შეგცივდა, ნიკნიკა, – უთხრა ქეთინომ და თვითონაც მოეწონა ნაუცბათევად წინილასათვის შერქმეული სახელი, – ნუ გეშინია, მე და ნათია მოგივლით, მოგაბრუნებთ და გიპატრონებთ. არა, ნათია?

დი... დიახაც, რომ... მო... მოვუვლით, – დაუდასტურა ნათიამ.

ხომ დაუთმობ ერთხელ ლოგინს ნიკნიკას, ჰა, ნათია?

და... დავუთმობ, მაშ!

ჰოდა, შინ წავიდეთ მაშინ.

შინ რომ მივიდნენ, ეთერმა და ნათიამ ახლად გამზეურებული და გამთბარი ლოგინი გაუშალეს, შიგ ჩაანვინეს, საბანი დაახურეს, იავნანა უმღერეს და დააძინეს, მერე ეთერმა წინილას მზრუნველად ნათია დაუტოვა, თვითონ კი ბებიასთან წავიდა წინილასათვის საჭმლის სათხოვნელად.

ბებო, ბებო, ცოტა სიმინდი მომეცი, წინილას უნდა ვაჭამო.

ვისა, ვისა, შვილო?

ეთერმა აუხსნა ყველაფერი ბებიას.

შენ ისიც არ იცი, რომ წინილა სიმინდს ვერ გადაყლაპავს და მოვლას კი უპირებ. შენს ნიკნიკას, შვილო, სხვა რამ უნდა აჭამო, ცოტა სიმინდის ფქვილი მაქვს, აჰა, წაუღე, დაუყარე და თუ წინილა გადარჩა, მერე კიდევ ვუშოვი.

გმადლობ, ბებო, გმადლობ, – შესძახა გახარებულიმა ეთერმა და ნიკნიკასაკენ გაქანდა.

ნიკნიკას კიდევ დიდხანს ეძინა. ეთერი და ნათია ოთახში ფეხისწვერებზე დადიოდნენ, რომ

არ გაელვიძებიანთ და ნამდაუნუმ გადახედავდ-
ნენ-ხოლმე წინილას, ხომ არ გაელვიძაო. დაღამ-
და, ეთერმა და ნათიამ ნიკნიკას საწოლი ფრთხი-
ლად თავიანთ საწოლებთან ახლოს მიიტანეს და
თვითონაც დაეძინათ. სამი დღე და სამი ღამე ევ-
ლებოდნენ ასე თავს, ნიკნიკას კი სულ ეძინა და
თითქოს აღარც აპირებდა გამოძღვიძებას. ეთერ-
მა და ნათიამ იმედიც დაკარგეს, ნიკნიკას ველარ
გადავარჩინთ, დაგველუპაო, და ქვითინი მორთეს.
რამდენიმე კურცხალი წინილასაც დაეცა. ცრემ-
ლებმა, თითქოს უკვდავების წყლის წვეთებიო,
მოულოდნელად გამოაღვიძეს ნიკნიკა და იმანაც
მისუსტებული ხმით წამოინივნივა:

ნიავ, ნიავ, რამდენი მძინებია. ალბათ ძალიან
ცუდად ვიყავი, თქვენ მომიარეთ და მომარჩინეთ.
გმადლობთ, ჩემო კეთილო მეგობრებო.

მერე ნიკნიკას თვალწინ წარმოუდგა თავისი
მშობლიური კუთხე, დედა, და-ძმები და მწარედ
დაიკვნესა:

ნიავ, ნიავ, ახია ჩემზე ყველაფერი, დედას არ
დავუჯერე და ჩემი ცელქობით აი, რა დღეში ჩავ-
ვარდი. ვინ იცის, როგორ ტირის ჩემი საყვარელი
დედიკო.

საიდან ხარ, ვინ არის შენი დედიკო? – ჰკითხა
ეთერმა, – გვითხარი და ჩვენ გაპოვნინებთ.

არ ვიცი, ჩემს სოფელს რა ჰქვია. ის ვიცი მხო-
ლოდ, რომ ძალიან შორიდან ვარ, – უპასუხა ნიკ-
ნიკამ და ისევ ანივნივდა.

ნიავ, ნიავ, ჩემო კეთილო დედიკო, ველარასო-
დეს გიპოვი. უშენოდ კი რა მეშველება.

ნუ გეშინია, ნიკნიკავ, – ანუგემა ეთერმა, – ჩვენ გაგინევთ დედობას, თვალისჩინივით გაგიფრთხილდებით. არა, ნათიავ?

ჰო, ჰო, გა...გავუფრთხილდებით! – დაუდასტურა თოჯინამაც.

ძლივს დაამშვიდეს ნიკნიკა. სიმინდის ფქვილიც აჭამეს, წყალიც დაალევინეს და ისიც შეურიგდა ბედს.

ნიკნიკა ნელ-ნელა აკი მოლონიერდა კიდეც. თავის დროზე ჭამდა, თავის დროზე ისვენებდა. არცა ცელქობდა და ეთერსა და ნათიასაც ყველაფერს უგონებდა. მერე კი თანდათან გათამამდა და ძველი ოინები გაიხსენა. ემალებოდა ხოლმე გამზრდელებს და ანერვიულებდა. ერთი ორჯერ გაიტყიპა კიდეც, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ერთხელ კი ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ლამის დაიღუპა.

ეთერი და ნათია ყველაზე მეტად იმას ეხვენებოდნენ ნიკნიკას, უჩვენოდ არაფერი შეჭამო, შენ ჯერ პატარა ხარ და არ განყინოსო. ნიკნიკამაც პირობა მისცა დაგიჯერებთო, ერთხანს უჯერებდა კიდეც, მაგრამ მერე, ვაი, რომ მიცემული სიტყვა დაავინყდა.

ნიკნიკა ბუნებით ცელქი ვინმე იყო, აქეთ ბეკეკას გაეთამაშებოდა, იქით ქუცუნას გააბრაზებდა ან ფუჩინას გაანერვიულებდა. არავის კი არ ეჯავრებოდა. თავის ცელქობაშიც კი საყვარელი იყო, ყველას უყვარდა და ამიტომ არც არავის სძულდა. ნიკნიკაც გრძნობდა ყოველივე ამას და ამიტომაც არც არავის რიდი ჰქონდა და არც არავისი ეშინო-

და. ერთხელაც ნიკნიკამ ჩვეულებისამებრ დილა-ადრიან ჩამოუარა თავის უფროს მეგობრებს.

ბეკეკო, ბეკეკო, – გასძახა თხას, – ერთი მითხარი, შაქარი ვინ მოიპარა?

მეე, მეე, მე შენ გიჩვენებ, ვინც მოიპარა! – დაუკიკინა თხამ და სარჩოლად გამოექანა.

თხას რომ გაექცა, ეხლა გოჭთან მივიდა.

ქუცუნ, ქუცუნ, როდის უნდა გაღორდე? თუ არა და ღორი არა ხარ, აბა რა ხარ, როგორ ამოგუნგლუხარ ტალახში!

ღრუტ, ღრუტ! – დაუღრუტუნა გოჭმა გაბრაზებით, – მე შენ გიჩვენებ, როგორც უნდა მასხრად აგდება!

შეშინებულმა ნიკნიკამ გაშალა ახლადამოსული ფრთები და ნივილ-კივილით გაიქცა. ცოტა სული რომ მოითქვა, ახლა ძროხას მიადგა.

ფუჩინ, ფუჩინ, ვერ გამიგია, მუს იძახი, თუ ფუს...

მუუდამ ესეთი ცელქი უნდა იყო, – უთხრა წყრომით ფუჩინამ. – როდის მოიშლი მაიმუნობას?

ვცელქობ, დეიდა ფუჩინა, ვცელქობ, თორემ ხომ იცი, არავინ მეჯავრება, შენც მიყვარხარ, ქუცუნაცა და ბეკეკაც.

ჩვენ გვიყვარხართ და იმიტომ გითმენტ, თორემ ნუ გგონია, რომ მართლა გაგვექცეოდი და მუუქარას ვერ შეგისრულებდით.

დეიდა ფუჩინა, დეიდა ფუჩინა, ეს რა არის, ასე გემრიელად რომ ლოკავ?

ქვამარილია!

ცოტა მეც მაჭამე, რა?

შენთვის არ შეიძლება, განყენს!

მანყენს კი არა და, – თქვა ნიკნიკამ და იქვე დაფანტული მარილის რამდენიმე მარცვალი ნამსვე გადაყლაპა.

ეგ რა ქენი, ნიკნიკა, – შებლავლა ძროხამ, – წყალი მაინც არ დალიო, თორემ კუუჭი გაგისკდება და დაილუპები.

დავილუპები არა და, – უპასუხა უდარდელად ნიკნიკამ და რუსკენ გაიქცა.

რალას იზამდა ფუჩინა, დაბმული იყო და ისლა მოახერხა, რომ დაიყვირა:

მოოხედეთ ნიკნიკას, მოოხედეთ! მარილი შეჭამა.

ეთერი და ნათია ძროხის ყვირილზე მაშინვე საშველად გაიქცნენ, მაგრამ ნიკნიკას უკვე მოესწრო იმდენი წყლის დალევა, რომ მუცელი გასკდომას ჰქონდა. გამწარებული მინაზე კოტრიალობდა და კვნესოდა:

ნიავე, ნიავე, მიშველეთ, მიშველეთ... მწყურია, მწყურია!

ეთერმა ნიკნიკას ხელი სტაცა და სახლისკენ გაიქცა. ნათიაც უკან გაჰყვა.

ნათია, წყალი გაათბე, ნიკნიკას ოყნა უნდა გავუკეთოთ.

ვეეხლავე, – უპასუხა ნათიამ.

არ მინდაა, არ მინდაა ოყნაა, – ტირილს უმატა ნიკნიკამ.

მარილის ჭამა ხომ გინდა, – გაუნყრა ეთერი, – უნდა გაგიკეთო ოყნა. შენი საშველი სხვა არ არის რა.

გაუკეთეს ნიკნიკას ოყნა, გამოურეცხეს კუჭი და წინილამაც მოისვენა.

ამის შემდეგ ნიკნიკას ნაბიჯიც აღარ გადაუდგამს ეთერისა და ნათიას უნებართვოდ და საფრთხესაც აღარ გადაჰყრია.

მელა და მამალი

მელა საქათმეში შეიპარა. ქათმებს ეძინათ. მარტო ერთი უზარმაზარი ლურჯი დეზებიანი მამალი ფხიზლობდა. იმისთანა დიდი და წვეტიანი ნისკარტი ჰქონდა, იმის დანახვაზე მელას შიშისაგან გააჟრჟოლა. მამალი წინ გადაეღობა ქათმიპარას და შეუტია:

შენ ეი, მელაკუდავ, საიდანაც მოთრეულხარ, ისევ იქ წაეთრიე. კრუხ-წინილა, ვარიკები და ყვინჩილები არ გამიღვიძო. დაღლილები არიან ჭამისაგან, თორემ ისეთ დღეს დაგაყრი, კუდით ქვა გასროლინო.

მელამ თავისებურად თავი მოიკატუნა და უპასუხა:

ვხედავ, ტყეში ტყუილად დაუყრიათ ხმა შენს სტუმართმოყვარეობაზე. რა იყო, შე კაი კაცო, ჯერ ხომ არაფერი დამიშავებია. მომისმინე, სამტროდ არა ვარ მოსული, მინდა მოგელაპარაკო.

მელას სიტყვებზე მამალს გაეცინა და უთხრა:

მელაკუდავ, ან შენ ხარ სულელი ან მე გგონივარ ჭკუაგამოლუელი. ეგ ფანდები ჩემთან არ გა-

გივა. ვიცი, რომ ეშმაკი ხარ, მაგრამ არც მე ვარ შენზე ნაკლები. რა საერთო გვაქვს ჩვენ, ქათმებს, შენნაირ ქურდბაცაცასთან, რაზე უნდა მომელაპარაკო, გასწი აქედან.

ჩემს კუდს გეფიცები, არა ვტყუი. ერთი კარგი აზრი მომივიდა და დედლებსა და წინილებს გაფიცებ, მომისმინე. იქნებ შენც მოგეწონოს.

მამალს მთელ ქათმებში სახელი ჰქონდა გავარდნილი ჭკუა-გონებით. მელა იმას აბა როგორ მოატყუებდა, მაგრამ ძალიან უყვარდა თავისი დედლები და წინილები და, რადგან მელამ ისინი დააფიცა, გადანყვიტა, მოდი, მოვუსმენ, ამით რა დამავდებაო და უთხრა:

ჰო, თქვი, მელაკუდავ, რის თქმას აპირებ. ოღონდ ტყუილი არაფერი წამოგცდეს, თორემ...

მარტოხელა ვარ. ცოლ-შვილი ჭირმა ამომიწყვიტა, – თქვა მელამ. ცხვირსახოცი ამოიღო და ვითომ ცრემლები მოიწმინდა, – მთელი დღე დაღონებული დავხეტილობ. წამოდით ტყეში, ერთად ვიცხოვროთ. და, კუდს გეფიცები, თქვენს პატრონზე უკეთ მოგივლით.

მერე და ვითომ არც შესაჭმელად გაგვიმეტებ? – ჰკითხა დაცინვით მამალმა.

მელას უნდოდა ეთქვა, რას ბრძანებ, ცივ ნიავსაც არ მოგაკარებთო. მაგრამ გაახსენდა, მამალი რომ დაემუქრა, ტყუილი არ წამოგცდესო და უპასუხა:

თუ მომშივა და სხვა ვერაფერს ვიშოვი საჭმელს, მხოლოდ მაშინ ჩაგახრამუნებთ. მაგრამ ნუ შეგეშინდებათ. ტყეში საჭმელიც ბევრია და მა-

დაც დაკარგული მაქვს, – თქვა და ნერწყვები კი გადაყლაპა, – ესეც არ იყოს, ადამიანსაც ხომ პირის ჩასატკბარუნებლად უნდინხარ. თანაც ის ბუმბულებს გაგლიჯავთ და მდულარე წყალში გხარშავთ, მე კი გაუპუტავსა და უმს შეგჭამთ.

ადამიანზე ჩვენი ხორცი ალალია, – უპასუხა მამალმა, – გვაჭმევს, გვივლის, თანაც შენისთანა წუნკებისაგან გვიცავს. ის რომ არ იყოს, გამოჩეკისთანავე დავიღუპებოდით და მთელი საქათმეთი გადაშენდებოდა.

მეც გაჭმევთ, მოგივლით, მტრებისაგანაც დავიცავთ, – არ ცხრებოდა მელა.

შენ რისი მომვლელი ხარ, – უთხრა დაცინვით მამალმა, – შენი თავისთვის ვერ გიშოვნია საჭმელი. ეზო-ეზო დაძრნინხარ და ქათმებს იპარავ. მერე რომელი მტრისაგან უნდა დაგვიცვა, როცა შენზე დიდი მტერი არავინა გყავს.

თქვენთვის ვიშოვნი საჭმელს!

იშოვი, თორემ შენი შრომით მოიყვან. თუ მოიპარავ, თორემ სხვა რა შეგიძლია? მოპარული ლუკმა კი ჩვენ არ გვინდა, შენთვის დაგვითმია შექურდბაცაცავ, შენა, – შეუტია მამალმა.

ტყეში არ გირჩევნია თავისუფლად ცხოვრება?

ტყეში რომ კარგი ყოფილიყო, ჩვენი წინაპრები ადამიანს არ გაუშინაურდებოდნენ. ეგ საკენკი შენს მშიერ ლეკვებს დაუყარე. ტყუილად რომ ამონყვიტე. ახლა გასწი აქედან, შე ქათმიპარია, შენა. თორემ ეს ნისკარტი თუ ჩაგცხე მაგ კინკრიხოში, სულს გაგაფრთხოებინებ. – თვალეები გაუბრიალა მამალმა, დეზებიანი ფეხები დაუბაკუნა,

აიბურძგნა, კისერი ნაიგრძელა და საომრად მოემზადა,

შეშინდა მელა, მიხვდა, რომ მამალს ის ვერ მოატყულებდა, ჩემზე ეშმაკი ყოფილა ეს პატრონმკვდარი ესაო, გაიფიქრა. კუდამოძუებულმა მოუსვა იქიდან და... სხვა საქათმისაკენ გასწია.

წიგნიჭამია ბაჭია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბაჭია, ძალიან ბეჯითი, უყვარდა წიგნების კთხვა, მაგრამ ერთი ცუდი ზნე სჭირდა – ნაიკითხავდა თუ არა წიგნს, გულს აიცრუებდა, ან შიგ რალაცას ჩახატავდა, ან მელნით დათხუპნიდა, ან სულაც დახევდა.

იქამდე გათამამდა, რომ სკოლაში ამხანაგების წიგნების გაფუჭებასაც მიჰყო ხელი. თანაკლასელები შესვენებაზე კლასიდან რომ გავიდოდნენ, ის კარადის უკან დაიმალებოდა, მერე რომელიმე ჩანთას გახსნიდა, ამოიღებდა წიგნს, ამოხევდა ფურცლებს და... გადასანსლავდა. ბევრი ეძებეს დამნაშავე, მაგრამ ვერ იპოვეს. ბოლოს კრება მოინვიეს. მასწავლებელმა დათვმა სათვალის ქვეშიდან გადახედა კლასს და თქვა, დამნაშავეს უჯობს, თვითონვე გამოტყდესო.

ვინ არის ნეტავი ის მაიმუნი! – აღშფოთებით წამოიძახა მელიის ლეკვმა.

მიაუ, მიაუ, როგორ არა სცხვენიაუუ! – აკნავლდა კატა.

მე ერთ ვინმეზე მაქვს ეჭვი, – ხმა ამოიღო ზღარბმა და კლასს მიმართა:

აბა, მითხარით, რომელი ფურცლებია თქვენი წიგნებიდან ამოხეული?

სტაფილო და კომბოსტო რომ ეხატა! – თქვა დათვის ბელმა.

ჩემი წიგნიდანაც! ჩემი წიგნიდანაც! – გაისმა აქეთ-იქიდან.

მიაუ! უყურე, კომბოსტო ჰყვარებიაუ! – გაიცინა კატამ.

ყველამ ბაჭიას გადახედა:

მე რას მიყურებთ, – ჩემგან რა გინდათ? – ატირდა ცანცარა.

კომბოსტო და სტაფილო შენ გიყვარს, – მიახალა ზღარბმა, – და იმდენად წუნკი ხარ, ნახატს რომ დაინახავ, მაშინაც ნერწყვი მოგდის. ესეც არ იყოს, ყველამ ვიცით, რომ წიგნების გაფრთხილება არ გიყვარს, სულ თხვრი და თხუპნი. უსათუოდ შენი დახეული იქნება ჩვენი წიგნებიც!

ვირი დახევდა. ეგ ხომ ნამდვილი ვირია, სწავლა მაგას არ უყვარს და წიგნი, – ახლა ასე სცადა თავის მართლება ბაჭიამ.

მე შენ გიჩვენებ, რას ნიშნავს ვირი! ნახე თუ წიხლებით კბილები არ ჩაგიმტვრიო. – ჩაიყროყინა ჩოჩორმა.

რაკი ბაჭია არ გამოტყდა და დანამდვილებით ვერაფერი დაადგინეს, დაიშალნენ, მაგრამ გადანყვიტეს, ბაჭიასთვის თვალყური ედევნებინათ. ერთხელ იმის ჩუმად შეიკრიბნენ და გადანყვიტეს, ისეთი წიგნი ვიყიდოთ, სადაც კურდღლე-

ბის საყვარელი ბოსტნეული იქნება დახატული, ნახატებზე წინაკა წავუსვათ და ვნახოთ, რა მოხდებაო.

ასეც მოიქცნენ. მერე ბაჭიას აჩვენეს ეს წიგნი – კლასისათვის ვიყიდეთო, და კარადაში შეინახეს.

ბაჭია ერთხანს ფრთხილობდა, მაგრამ ბოლოს სულმა წასძლია – შესვენებაზე, როცა თანაკლასელები გარეთ გაიგულა, კარადასთან მიიპარა, გამოიღო, სტაცა ხელი წიგნს, ამოხია ერთი ფურცელი, იკრა პირში და... აღრიალდა!

ვაიმე, დედა! ვაიმე, დედა!

შემოცვივდნენ თანაკლასელები და მასწავლებელი.

აი, შე ნუნკო, შენა, – ყური აუწია დათვმა, – ღირსი არა ხარ, წიგნიჭამია შეგარქვათ?

მაპატიეთ, ნუ შემარქმევთ წიგნიჭამიას და გეფიცებით გამოვსწორდები!

აპატიეს. ბაჭიაც გამოსწორდა და მას შემდეგ წიგნებს თვალისჩინივით უფრთხილდება.

ეს ზღაპარი კი სხვა წიგნიჭამიების გასაფრთხილებლად დაინერა.

საბჭოური და
პოსტსაბჭოური
ზღაპრები და
ნოველები

ყველაფერი ბატონ კირილეს შესახებ

მაღარიჩი კრიტიკისათვის

ბატონი კირილე თანამშრომელთა შორის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. მასზე ამბობენ, სამართლიანობის განსახიერებააო. თუ ვინმეს შეაქებს, ყველას სჯერა, რომ იგი ნამდვილად ქების ღირსია; ხოლო თუ გაკიცხავს, ისეთი ტაქტით და ისეთი ხელოვნებით, რომ აღტაცებაში მოგიყვანთ. ცალკეულ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, გაკრიტიკებულები მადლობასაც კი ეუბნებიან. ხშირად გაიგონებთ, ბატონმა კირილემ სარკეში ჩამახედა და ისეთი ნაკლი დამანახა, სირცხვილით დავინვიო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნაკლი მქონდა და მეორეც იმიტომ, რომ აქამდე ვერ ვამჩნევდიო. მისი კრიტიკა ადამიანს სრულყოფაში ეხმარებაო. ამიტომაცაა, რომ თანამშრომლები ეხვეწებიან ხოლმე ბატონ კირილეს, ხშირ-ხშირად გაგვაკრიტიკეთო. ერთმა პროტექტორიც კი მიუგზავნა ბატონ კირილეს, ოღონდ გამაკრიტიკოს და კაი მაღარიჩს ვიკისრებო, მაგრამ ბატონი კირილე ამაზე, აბა, როგორ დათანხმდებოდა, გაკრიტიკების მსურველებს იგი უანგაროდ აკრიტიკებდა.

პირადი მატალიტი

ბატონ კირილეს დაწესებულებაში ორასამდე სხვადასხვა სქესის, ასაკის, განათლებისა და თანამდებობის თანამშრომელი მუშაობს, მაგრამ იგი არავის ანსხვავებს, ყველას ერთნაირად სცემს პატივს, ყველას თქვენობით, ბატონობითა და ქალბატონობით მიმართავს, თავის მდივან გოგონასაც კი „უქალბატონოდ“ ხმას არა სცემს. იგი მუდამ მხარში უდგას მათ – ჭირშიც და ლხინშიც. ერთი ხანობა თანამშრომლებმა სამსახურში დაგვიანებას მოუხშირეს. ბატონმა კირილემ მიზეზი რომ იკითხა, უპასუხეს, ტრანსპორტი ძალზე გადატვირთულიაო. „თუ გაჭირვებაა, მე როგორც ხელმძღვანელმა, პირველმა უნდა ვუჩვენო, როგორ უნდა გადატანაო“, იფიქრა ბატონმა კირილემ და იმ დღიდან სახლიდან სამსახურში და სამსახურიდან სახლში საზოგადოებრივი ტრანსპორტით დაიწყო მგზავრობა. მალე კიდევაც დაუმტკიცა თანამშრომლებს, რომ პერსონალური მანქანის გარეშეც შესაძლებელი ყოფილა სამსახურში დაუგვიანებლივ გამოცხადება.

რა მოხდა, თუ შევაბინა?

ბატონი კირილე მლიქვნელებს ვერ იტანს. ერთხელ ერთ-ერთი თანამშრომელი რალაცისთვის გააკიცხა. იმანაც, კაბინეტიდან რომ გავიდა, შეაგინა. მეორე თანამშრომელმა გაიგონა და მაშინვე ბატონ კირილეს ენა მიუტანა. თანაც დასძინა, მაგ

უსინდისომ ეგ როგორ იკადრაო. უსინდისო ეგ კი არ არის, თქვენა ბრძანდებითო, მიუგო მან, კაცი გავკიცხე, მერე მიხვდება, რომ სწორად მოვიქეცი, ახლა კი რა მოხდა, თუ ცხელ გულზე შემაგინაო. თქვენ კი როგორ არ გრცხვენიათ, ენა რომ მოგაქვთო.

დაუმსახურებელი ძება

ბატონი კირილე ერთ-ერთმა თანამშრომელმა კრებაზე ცამდე აიყვანა. ისე აქო, რომ ბატონი კირილე სირცხვილისაგან ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა. იმ დღეს არაფერი უთქვამს. მაგრამ ღამე არ სძინებია, რატომ კრებაზევე არ გავეცი ამ თავხედს საკადრისი პასუხიო. მეორე დილას სამსახურში მივიდა თუ არა, გუშინდელი მაქებარი გამოიძახა, უნდოდა მაგრამ ეცემა, მაგრამ თავი შეიკავა და ცივად უთხრა:

კრებაზე უსირცხვილოდ მაქეთ, მაშინ როდესაც იმ საკითხში მკაცრად ვიყავი გასაკრიტიკებელი. დიდი სურვილი მაქვს სამსახურიდან მოგხსნათ, მაგრამ, სამწუხაროდ, შრომის კანონმდებლობა ამის უფლებას არ მაძლევს. დღეის იქით კი იცოდეთ, რომ ჩემზე დიდი მტერი თქვენ არავინ გეყოლებათ. მე შემოიძლია კაცს ყველაფერი ვაპატიო, მაგრამ დაუმსახურებელ ქებას არასოდეს ვაპატიებ. ამიტომ გირჩევნიათ განცხადება დანეროთ და თქვენივე სურვილით მიბრძანდეთ ჩვენი დანესებულებიდან.

შარი დანინაურებაჲე მოადგილის სასარგებლოდ

ბატონ კირილეს დანინაურება მოუნდომეს. ისეთი ადგილი შესთავაზეს, ენით სანატრელი იყო. თვითონაც გულით ენადა. იმიტომ კი არა, რომ უფრო მაღალ სკამზე დამჯდარიყო, მეტი ხელფასი და ასპარეზი ჰქონოდა, არამედ იმიტომ, რომ უფრო საინტერესო და საპასუხისმგებლო სამუშაო ელოდა. ცოდვა გამჟღავნებული ჯობს, პირველად დათანხმდა ახალ თანამდებობაზე გადასვლას, მაგრამ მერე იფიქრა:

არა, ჩემი მოადგილე ჩემზე უფრო ახალგაზრდაა, ძალზე ნიჭიერია, პერსპექტიულია, ყოველი ღირსებით შემკული. ამ ბოლო დროს იგი ძალზე გაიზარდა, როგორც მუშაკი. მე რომ სინდისი მქონოდა, აქამდეც უნდა დამეთმო მისთვის ჩემი ადგილი და მე მისი თანამდებობა დამეკავებინა.

ბატონმა კირილემ ყველაფერი ილონა, თავისი თავი ჭიანჭველად გამოიყვანა, მოადგილე ბუმბერაზად, თავისი თავი მიწასთან გაასწორა, მოადგილე ცამდე აიყვანა და სანადელს მაინც მიაღწია. შეთავაზებულ სკამზე თავისი მოადგილე დასვა.

სამოთახიანიდან ერთოთახიანში

ბატონ კირილეს როცა დრო აქვს, ძალიან უყვარს რიგით მუშაკებთან მუსაიფი. ეუბნია, მასებს არ მოვწყდეო. ამიტომაცაა, რომ ხშირად განმარ-

ტოვდება ხოლმე დამლაგებლებთან, მძლოლებთან, კურიერებთან და ესაუბრება ცხოვრებისეულ წვრილმანებზე, ბოლოს კი სთხოვს:

შეიძლება ვინმეს უჭირდეს, მე დახმარება შემეძლოს, იმას კი მოერიდოს და არაფერი მითხრას. თუ ასეთ ვინმეს იცნობთ, მითხარით, ნუ დამიმალავთო.

ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს ბატონ კირილეს მოახსენეს, ერთი თანამშრომელი ძალიან ვინროდ ცხოვრობს, უნდა დახმარებისათვის მოგმართოთ, მაგრამ ვერ გაუბედავსო. ბატონმა კირილემ იგი სასწრაფოდ თავისთან გამოიძახა, ჯერ დატუქსა, როგორ არ გრცხვენიათ, დახმარებას საჭიროებთ და თხოვნა ვერ გაგიბედავთო. ან იქნებ საფუძველი მოგეცით, გეფიქრათ, რომ მე რითიმე თქვენ ან ვინმეს სხვას თავს ვამეტებდე. მე არავისზე არაფრით უკეთესი არა ვარო, მერე კი მშვიდად უთხრა:

რა ვქნა, თქვენც კარგად იცით, რომ ამჟამად ჩვენს დაწესებულებას არც ერთი თავისუფალი ბინა არა აქვს, მაგრამ ცოტას თუ მოიცდით, ვგონებ, რალაცას მოგიხერხებთ. ერთ თვეში ჩემი ვაჟი თავის ოჯახით კოოპერატიულ ბინაში გადავა. ძველი სამოთახიანი ბინა მე და ჩემს მეუღლეს დაგვრჩება. ორ სულს კი ამხელა ფართობი რა ოხრად გვინდა. ჰოდა, თქვენ თქვენი ოჯახით ჩვენთან გადმოსახლდით, ჩვენ კი თქვენს ერთოთახიან ბინაში გადმოვალთ.

თანამშრომელმა ამაზე სასტიკი უარი განაცხადა, მაგრამ ბატონი კირილე იმდენს ეხვეწა, თუ ჩემი ხათრი გაქვთ, უარს ნუ იტყვითო, რომ ბოლოს მაინც დაითანხმა.

ბინების გაცვლის ბიუროში კარგა მაგრად ანვალეს ბატონი კირილე, მაგრამ მან მაინც უკან არ დაიხია. მალარიჩიც იკისრა და ჩანაფიქრი განახორციელა.

სასჯელი მოადგილის გულისათვის

ბატონი კირილე მთელ კოლექტივს მამასავით უყვარდა. თანამშრომლები სულ იმის მზეს ფიცულობდნენ. კაცი რომ ძნელად სარწმუნო რამეს იტყოდა, თუ არ დაუჯერებდნენ, ბატონ კირილეს დააფიცებდნენ და მერე ნათქვამის სიმართლეში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. უსინდისოზე უსინდისო უნდა ყოფილიყო ადამიანი, ნამუსგარეცხილი, ბატონი კირილე რომ ტყუილად დაეფიცა. ასეთი რამ ამ კოლექტივში წარმოუდგენელი იყო. ჰოდა, ხომ ყველას უყვარდა ბატონი კირილე, მაგრამ სხვებზე მეტად მაინც მოადგილეები ეთაყვანებოდნენ. ბატონ კირილეს მტრებს, სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, ყველაზე მეტად მისი მოადგილეების ერთგულება შურდათ, ხოლო ამ ხელმძღვანელების მოადგილეებს მისი მოადგილეებისათვის ასეთი უფროსი არ ემეტებოდათ.

მაინც რა გამორჩეული ღირსებები ჰქონდა ბატონ კირილეს მოადგილეების თვალში?

პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებზე გასაგზავნ პასუხს ბატონი კირილე ყოველთვის თვითონ აწერდა ხელს. ამ საჩოთირო საქმეს იგი მოადგილეებს არასოდეს მიახლოებდა.

ზემდგომ ორგანოებში დანესებულებიდან ვინმეს თუ დასატუქსად იბარებდნენ, ბატონი კირილე მოადგილეს კი არ გააგზავნიდა, თვითონ წავიდოდა, და პირიქით, თუ საქებრად მიიწვევდნენ, მოადგილეებს, თვითონ კი თავის ტკივილს, გულის ფრიალს ან ათას სხვა დარდუბალას მოიმიზეზებდა და კომპლიმენტების მოსმენას თავს აარიდებდა.

თავის დანაშაულს იგი არასოდეს გადააბრალებდა მოადგილეებს. პირიქით, ხშირად მომხდარა ისე, რომ მოადგილეთა შეცდომებს თავად იბრალებდა.

ერთხელ ერთ-ერთ მოადგილეს მეტად გაბედული და საინტერესო იდეა დაებადა. მრჩეველი სჭირდებოდა და აბა, ბატონ კირილესთანა გამოცდილ, უანგარო და გულისხმიერ მრჩეველს ვის იშოვიდა? მე შენ გეტყვი და შეშურდებოდა, რატომ მოადგილეს მოუვიდა ასეთი ჭკვიანური აზრი და არა მეო. ან შეეშინდებოდა, არავინ იფიქროს მოადგილე ჩემზე გონიერიო. ბატონ კირილეს ჩანაფიქრი ძალიან მოეწონა, შეაქო კიდეც მისი ავტორი, მაგრამ უთხრა:

თქვენი პროექტის განხორციელებას დრო სჭირდება. ამ საქმეში აჩქარება არ ივარგებს. მარცხების ნაცვლად შეიძლება სამარცხვინო მარცხი ვინწინოთ, თუ ექსპერიმენტისათვის ექვსიოდე თვე არ ვემზადეთო. ახალგაზრდა კაცი ბრძანებით და ვიცი, მოთმინება არ გყოფნით. მაგრამ ჩემს ჭაღარას უნდა დაუჯეროთო.

მოადგილე შეეკამათა, ბატონმა კირილემ არწმუნა, არწმუნა და რომ ვერ დაარწმუნა, ბოლოს უთხრა:

კატეგორიულად გიკრძალავთ ექსპერიმენტის ჩატარებას მანამ, სანამ მე არ გეტყვითო.

ამით დამთავრდა მათი საუბარი. მალე ამის შემდეგ ბატონი კირილე ერთთვის მივლინებაში გააგზავნეს. მოადგილემაც ისარგებლა ამით და ჩანაფიქრის ხორცშესხმას შეუდგა. როგორც ბატონმა კირილემ იწინასწარმეტყველა, შედეგი მართლაც სავალალო აღმოჩნდა. მოადგილე თავს იკლავდა, ეს რა მომივიდა, ბატონ კირილეს რატომ არ დაუფუერეო. ყველაფერზე თანახმა იყო, ოღონდ მისი მარცხის შესახებ უფროსს არ გაეგო. მაგრამ ბატონ კირილეს გაუგებარი აბა, რა დარჩებოდა? მივლინებაშიც კი უგრძნო გულმა, რომ მის ორგანიზაციაში რალაც ცუდი ხდებოდა და ვადაზე ადრე დაბრუნდა სამსახურში.

თვალეებს ვერავინ უსწორებდა. ყველას ეშინოდა, არ მკითხოს რა მოხდაო, მაგრამ დამნაშავემ ბატონ კირილეს თვითონ მოახსენა თავისი დანაშაულის შესახებ, თანაც დასძინა:

დღესვე დავწერ განცხადებას ჩემი გათავისუფლების შესახებ. ზოგ-ზოგები თქვენ გაბრალებენ ჩემს დანაშაულს, მაგრამ მე თავს მოვიკლავ და დავამტკიცებ, რომ თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ.

თანაც აქვითინდა ისეთი ცხარე ცრემლებით, იმისი ცოდვით დედამინა დაინვებოდა.

ბატონმა კირილემ გულში ჩაიკრა ცოდვილი მოადგილე და დინჯად უთხრა:

თქვენს გათავისუფლებაზე ფიქრი სისულელეა და ეს აზრი თავიდან უნდა ამოიგდოთ. სამინისტროში მე მოვავგარებ საქმეს, რომ თქვენ არ

დაგსაჯონ. ასეა საჭირო, დამიჯერეთ, მხოლოდ ნურასოდეს შეეცდებით გაიგოთ, როგორ და რანაირად მივალწევ ამას. ახლა კი გთხოვთ, არც არაფერი მითხრათ, არც არაფერი მკითხოთ და ისე ნაბრძანდით სახლში, ხვალ დილისთვის კი გაემზადეთ, ექვსთვიან მივლინებაში გაემგზავრებით.

მოადგილე უჩუმრად წავიდა. ბატონი კირილე კი მაშინვე სამინისტროში გავარდა. გზაში ფიქრობდა:

ჩემი მოადგილე უაღრესად ნიჭიერი ყმანვილია. დიდი მომავალი აქვს. ვინ იცის, როგორ შეაფასებენ სამინისტროში მის შეცდომას, ვინ იცის, როგორი კაცის ხელში ჩავარდება მისი საქმე. ვაითუ ვილაც ღრძო ადამიანს გადავეყაროთ, მოადგილე დამიღუპონ და მომავლის გზა ჩაუხშონო. მე კი ჩემი ცხოვრება უკვე გამივლია. მეტს ველარაფერს მივალწევ. კიდევ რომ მომხსნან, ჯანდაბას ჩემი თავი, ოღონდ იმას ნუ დამიჩაგრავენო.

ძნელი და მძიმე გამოდგა ამ ჩანაფიქრის განხორციელება. თავის სიცოცხლეში რომ არ უთქვამს, ერთბაშად იმდენი ტყუილის თქმა დასჭირდა, თავის სიცოცხლეში რომ არ მოუსმენია, იმდენი საყვედურის მოსმენა მოუხდა სამინისტროში ბატონ კირილეს, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო მოადგილის გადარჩენა. თვითონ მას კი სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. უდრტვინველად გადაიტანა სასჯელი. გადაიტანა კი არა, მალარიჩიც გადაიხადა ამ ამბის აღსანიშნავად.

ვილაც მოშურნემ ბატონ კირილეს ყურში ჩაანვეთა, მოადგილეებისათვის რომ გადამკვდარი ხართ, ისინი დაუნახავები არიან, ყველა მათგანს

თქვენს ადგილზე უჭირავს თვალიო. ამაზე ბატონმა კირილემ უპასუხა:

ცუდია ის ჯარისკაცი, რომელიც გენერლობაზე არ ოცნებობს, ცუდია ის მოადგილე, რომელიც თავისი უფროსის თანამდებობაზე არ ფიქრობს. ასეთ მოადგილეს მე ერთი ნუთითაც არ გავაჩერებდი სამსახურშიო.

დალიოს მძლოლა, მირი რა მოხდა?

მძლოლი იგივე ოჯახის წევრიაო, ხშირად გაეგონა ბატონ კირილეს, მაგრამ ვერ კი გაეგო ამ სიტყვების აზრი და მნიშვნელობა. როცა აუხსნეს, რომ პერსონალური მანქანის მძლოლი მარტო „ხაზეინს“ კი არ ემსახურება, არამედ „ხაზეინის“ ცოლსაც და მათ შვილებსაც, რძლებს, სძიეებს, ნათესავეებსა და მეგობრებსაც. მისი მოვალეობა მარტო მანქანის ტარებით კი არ შემოიფარგლება, არამედ მასვე ეკისრება პროდუქტების საყიდლად მაღაზიებში და ბაზარში სიარულიო, ამის დაჯერებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

მისი მძლოლი ნუთი ნუთის სიზუსტით იწყებდა მუშაობას და ასევე ამთავრებდა. ხოლო თუ გადაუდებელი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ბატონი კირილე სახლში გასტუმრებას დაუგვიანებდა, ამ საკითხს აუცილებლად წინასწარ პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს შეუთანხმებდა, სათანადო ბრძანებას გამოსცემდა და ანაზღაურებასაც კანონის შესაბამისად გამოუწერდა.

მისი მძლოლი გონებაგახსნილი და ერუდირებული კაცი იყო, მაგრამ სრულ უფიცობას იჩინდა ზოგიერთი უცხო სიტყვის მნიშვნელობის გაგებასა და დამახსოვრებაში. კოლეგებმა, მაგალითად, რამდენჯერ აუხსნეს რა იყო „ხალტურა“, „ლევი“, მაგრამ ვერაფრით დაიმახსოვრა.

ასე გასინჯეთ, სიყვარულით მძლოლს უფროსი ისე უყვარდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. საკუთარი მანქანის ქარსაცავ მინაზე იმისი სურათი ჰქონდა გაკრული.

ეყვარებოდა, აბა რა იქნებოდა. ბანკეტზე რომ ერთად მოხვდებოდნენ, ბატონი კირილე თავის მძლოლს სხვებივით მოშორებით, ცალკე მაგიდასთან კი არ დასვამდა, თავის გვერდზე გამოჭიმავდა. თან ღვინოს სთავაზობდა, დალიე, შეგერგებაო. თუ ვინმე ამ დროს მათ საუბარს მოჰკრავდა ყურს და შეეკითხებოდა, ბატონო კირილე, მერე ნასვამ მძლოლს საჭესთან როგორ დასვამთო, იგი უპასუხებდა:

მშვიდად ბრძანდებოდეთ, ჩემი მანქანის მძლოლი აბსოლუტურად ფხიზელი იქნებაო.

და საჭეს თვითონ მიუჯდებოდა. თუ ვინმე გაიკვირებდა, მძლოლს რატომ ათამამებთო, მოუჭრიდა:

მე მძლოლი არასოდეს გამითამამდება, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. რაც შეეხება სმას, რა მოხდა მერე, დალიოს, ამით რა დაშავდება, მანამ ახალგაზრდაა და სისხლი უდუღს, მაგას ყველაფერი ეხალისება, მე კი მისი ხნისა რომ ვიყავი, მაშინ რაც მინახავს, ისიც მეყოფაო.

ღმერთო, კიდეც როდის აშოშივა წვერი?

ჩვევად ჰქონდა, უცხო ქალაქში პირველად რომ ჩავიდოდა, უმაღლეს იმას იკითხავდა, რა არის აქ ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა, რომლის ნახვითაც შეიძლება თქვენზე ზოგადი, მაგრამ სწორი წარმოდგენა შემექმნასო. ახლაც ასე მოიქცა.

სტადიონიაო, – უპასუხა ერთმა, – ფეხბურთის მატჩების დროს იქ ისეთი სინყნარეა, ბუზის გაფრენას გაიგებო. მაყურებელთა სუნთქვაც კი არ ისმის, რადგან არც არავინ სუნთქავს – ყველა სულგანაბული ადევნებს თვალს თამაშსო. ცოლი რომ ნერვებს მომიშლის და ექიმი სინყნარეში ყოფნას მირჩევს, სწორედ სტადიონზე მივდივარო.

ბაზარიო, – თქვა მეორემ, – გამოუსწორებელ სპეკულანტებს იქ ვაგზავნით, ისეთი მორალური ატმოსფეროა, რომ ქორვაჭრები გლეხებისაგან საქონელს ძვირად ყიდულობენ და იაფად ყიდიანო.

ვინ რა თქვა აქ და ვინ რა. ბოლოს ერთმა უთხრა: სხვისი არ ვიცი, ჩემო ძმაო, და მე ყველაფერს ჩვენი საპარაკმახეროები მირჩევენიაო.

საპარაკმახეროებიო? – სიცილად არ ეყო სტუმარს. უმაღლეს მოაგონდა თავისი ქალაქის გაუთლელი, ხეპრე პარაკმახერები, რომლებსაც კლიენტე-

ბის გაფცქვნის გარდა სხვა არაფერი აგონდებოდათ.

მაინც, რა არის ღირსშესანიშნავი მაგ თქვენს საპარიკმახეროებშიო? – აგდებით იკითხა.

ეგ შენი თვალით უნდა ნახო და მერე გაიგებო! – უპასუხეს.

სტადიონზე იმ დღეებში თამაში არ იყო და-ნიშნული. ბაზარში საყიდელიც არაფერი ჰქონდა. წვერგასაპარსი და თმაგასაკრეჭი კი იყო და გულ-მა საპარიკმახეროსაკენ გაუნია.

უახლოეს საპარიკმახეროში შევიდა. რალაც კაპიკები გადაიხადა და ჩეკი და ნომერი აიღო. მოლარემ უთხრა:

ჭაბუკო, გვაპატიეთ, მაგრამ მოცდა დაგჭირდებათ, ნუ შეშინდებით კი, მიბრძანდით მოსაცდელში და დრო ზამთრის ზღაპარივით გაილევავო.

არც კი შეუხედავს მოლარისათვის, მოსაცდელისაკენ გაემართა.

მოსაცდელი ფარდებს იქით იყო. შედგა თუ არა შიგ ფეხი, გაოგნებული ადგილზე გაქვავდა. ეს იყო დიდი, სადად, მაგრამ არაჩვეულებრივი გემოვნებით გაფორმებული დარბაზი. ოციოდე მამაკაცი ელოდებოდა თავის რიგს, მაგრამ მოწყენილობა არავის ემჩნეოდა. აგერ ერთი ჯგუფი ტელევიზორს უყურებდა. მეორე ჭადრაკს თამაშობდა, მესამენი ჟურნალ-გაზეთებს ათვალეირებდნენ.

ბოდიში, შემეშალა, მე საპარიკმახერო მეგონაო, – ჩაილაპარაკა თავისთვის.

ერთ-ერთმა მამაკაცმა გაიგონა მისი სიტყვები და ღიმილით უთხრა:

სწორედ რომ საპარიკმახეროა. დაბრძანდით და რიგს დაელოდეთო.

დარბაზის თვალიერებას შეუდგა. ერთ კუთხეში ულამაზესი ქალიშვილების სურათები ეკიდა, . უთუოდ კინოვარსკვლავები იქნებიანო, გაიფიქრა, მაგრამ წარწერას მოჰკრა თვალი: „ჩვენი მოწინავე პარიკმახერები“. მეორე კუთხეში პლაკატი იყო გამოკრული, ზედ პარიკმახერი ეხატა, რომელსაც კლიენტი ჯიბეში ფულს უდებდა. კლიენტისაკენ მიმართული უზარმაზარი ისრის გასწვრივ კი ეწერა: „ამას გვაკადრებს მხოლოდ ნაძირალა!“ ამაზე კი გაელიმა და გულში გაიფიქრა: „მინახავს მე ბევრი თქვენისთანა, ვნახავთ, რა შვილებიც ბრძანდებითო“. ბოლოს მისი ყურადღება ლამაზ ჩარჩოში ჩასმულმა ვალდებულებებმა მიიპყრეს. ერთი პირობა დაეხარა ნაკითხვა, ვალდებულება ვალდებულებაა, რაც სხვაგანაა, აქაც ის იქნებაო, მაგრამ გულმა რაღაც რეჩხი უყო და წაიკითხა:

„ვიბრძვით რა საუკეთესო საპარიკმახეროს წოდებისათვის, ვალდებულებას ვკისრულობთ:

– არც ერთი კლიენტი არ დავტოვოთ ისე, რომ ჩვენთან გაკრეჭისა და გაპარსვისას თავი ზღაპარში არ ეგონოს.

არც ერთი კლიენტი არ დავტოვოთ ისე, რომ გული არ ვატკინოთ „ეს რა მალე დამთავრდა ზღაპარიო“.

არც ერთი კლიენტი არ დავტოვოთ ისე, რომ გულისფანცქალით არ ელოდებოდეს ჩვენთან ისევ და ისევ მოსვლას.

რაც არ უნდა შეუხედავი მამაკაცი შემოვიდეს ჩვენთან, ისე გავკრეჭო, ისე გავპარსავთ და ისე გავალამაზებთ, რომ ვერც ერთმა ქალმა ვერ დაინუნოს“...

ვნახოთ, ვნახოთ! – ამბობდა თავისთვის და ეღიმებოდა.

რადიოთი გამოიძახეს, თან აუხსნეს, ამა და ამ ოთახში შემობრძანდითო. ოთახი პატარა იყო, მაგრამ ძალიან ლამაზად მორთული. სასიამოვნოდ გრილოდა, იფრქვეოდა ვარდის სურნელება. ოთახის შუაგულში კი თეთრი აბრეშუმის ხალათში გამონყობილი ფერია იდგა და იღიმებოდა. ფერია მიეგება, მკლავი მკლავში გაუყარა და სავარძელში ჩასვა.

ჰიპნოზირებულებით იყო. ხმას ველარ იღებდა, ველარც ვერაფერს ხედავდა ფერიის გარდა, რომელმაც მაგნიტოფონი ჩართო და წყნარი, მომაჯადოვებელი ჰანგების ფონზე ზღაპრული სირინოზის ხმით წამოიწყო:

ჭაბუკო, ახლა მე თქვენ მოგიყვებით ზღაპარს იმის შესახებ, თუ ერთი შეხედვით როგორ შეუყვარდათ მზეთუნახავსა და მზეჭაბუკს ერთმანეთი.

ახლა კი გონს მოდით, ჭაბუკო, – უთხრა ბოლოს ნაზი ხმით ფერიამ, – თავისუფალი ბრძანდებით, ნახვამდის, მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ გვინახულებთ.

როგორც იქნა გამოერკვა, ჩვეულებისამებრ ჯიბეს ხელი გაიკრა და...

ფერიას თვალებზე ცრემლი მოადგა და წყენითა და საყვედურით სავსე კილოთი უთხრა:

მაგ შეურაცხყოფას ჩვეული არა ვარ, ჭაბუ-
კო!

თავზარდაცემული გავიდა ოთახიდან. ეს რა ჩავიდინეო. იქ უკვე ელოდებოდა ერთი საშინელი შესახედაობის დედაბერი, რომლის დანახვაზე გა-
იფიქრა: ყველაფერი ის, რაც აქ ვნახე, თუ ნამდვი-
ლად ზღაპარია, ეს უთუოდ ჯოჯოხეთის მაშხალა
იქნებო, დედაბერმა ხელკავი გაუკეთა და უკმა-
ყოფილო ხმით უთხრა:

რამდენიმე წელიწადია მეძინა და შენს გამო
გამაღვიძეს. საქმე არ მქონდა და შენ გამიჩინე: მე
შენ გიჩვენებ სეირს, მიბრძანდი ერთი იმ ოთახში.

დედაბერმა სავარძელში ჩასვა, თვითონ კი
ტრიბუნაზე ავიდა და დაიწყო:

ამ საპარიკმახეროს ლექტორი ვარ. ლექციებს
ვკითხულობ მორალის თემაზე იმათთვის, ვინც
შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს პარიკმახერებს.

ამაზე დიდი ტანჯვა და სასჯელი სიცოცხლე-
ში არც განეცადა და არც ენახა. თავის ქალაქში
ლექციების მომსმენი ყოველგვარ საშინელებას
წარმოიდგენდა, მაგრამ ამისთანას კი ვერა. რამ-
დენი ეხვენა დედაბერს, ოღონდ ლექციის კითხვა
შენწყვიტეთ და თუ გნებავთ ასი მანეთით დამაჯა-
რიმეთ, ან თუნდაც დამაპატიმრეთო, მაგრამ ლექ-
ტორი შეუბრალებელი გამოდგა.

იყო ერთი გაუთავებელი მორალის კითხვა.
იცი თუ არა შენ, რომ ჩვენი პარიკმახერი გოგო-
ნები კომკავშირული საგზურებით არიან საშუ-
ალო სკოლის მერხიდან პირდაპირ ჩვენთან მო-
სულნიო და შენ კი რა ჰკადრეო. იცი თუ არა შენ,

რომ ათასჯერ უფრო საზიზღარია ის, ვინც ზედმეტ ფულს აძლევს მომსახურებისათვის, ვიდრე ის, ვინც ფეხის ქირის აღებას არის დაჩვეულიო. ვიკისრეთ რა ვალდებულება, რომ ძირშივე ამოგვეკვეთა ეს სისაძაგლე, ბრძოლის მთელი სიმწვავე ჩვენ უპირველეს ყოვლისა მივმართეთ ზედმეტი ფულის მიმცემი ლანირაკების წინააღმდეგ და სხვა და სხვა...

სირცხვილით იწვოდა, ისე დასცხა, ეგონა აი, ეხლა კი ნამდვილად დავიფერფლებიო, რომ ლექციაც დამთავრდა.

შემდეგ მეზობელ ოთახში შეიყვანეს. იქ სამი ფერია დახვდა. აღელვებულს ორიოდე სიტყვა უთხრეს და დაამშვიდეს. მერე აუხსნეს, ჩვენ ტექნიკური კონტროლის განყოფილება ვართ, შეგამონმეთ, როგორა ხართ გაკრეჭილი და გაპარსული. თქვენს პარიკმახერს „ფრიადს“ ვუნერთ და ახლა კი თავისუფალი ბრძანდებითო.

საპარიკმახეროდან გასულმა გულში საზეიმო პირობა დადო, არც აქ და არც არსად სხვაგან ზედმეტ ფულს აღარასდროს აღარავის შევადლევ – შეურაცხყოფას აღარ მივაყენებო. ერთხელ კიდევ გაიხსენა ფერია პარიკმახერი და მისი ზღაპარი. ინატრა, ნეტავ ისეთი წვერი და თმები მქონდეს დილიდან საღამომდე მპარსონ და მკრიჭონო. მერე ერთი მაგრად ამოიოხრა და გულის სიღრმიდან აღმოხდა:

ღმერთო, კიდევ როდის ამომივა წვერი!

ბაჭირვეზის ტალ-კვესი

მისაღები გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში 10 საათზე იყო დანიშნული. შარშან ყველა საგანში ხუთიანი მიიღო, მაგრამ სწორედ ამ საგანში უმტყუნა ბედმა, ჩაიჭრა და ერთი წლით გამოეთხოვა ინსტიტუტში ჩარიცხვის ოცნებას. ახლა თავს მომზადებულად თვლიდა. გულში ტრახახობდა, ისე უნდა ჩავაბარო გამოცდა, გამომცდელები ჭკუიდან შევშალოო.

იმ დილას ადრინადად ადგა, – ერთხელ კიდევ გავიმეორებ საპროგრამო მასალას და მერე ნავალ ინსტიტუტშიო. კიდევ დიდი დრო მაქვსო, – ფიქრობდა და არ ჩქარობდა. როცა რადიომ ზუსტი დრო გამოაცხადა, კინალამ თვითონ შეიშალა ჭკუიდან. საათს უმტყუნია. გამოცდის დაწყებამდე ნახევარი საათი დარჩენოდა.

სასონარკვეთილმა აღარ იცოდა რა ექნა, რომ რადიომ განცხადებების გადაცემა დაიწყო. რადიომსმენელებს კეთილმომსახურების ბიურო მიმართავდა, თუ ჩვენი სამსახური დაგჭირდეთ, ამა და ამ მისამართით მოგვმართეთ ან ამა და ამ ტელეფონით დაგვირეკეთ და დაგეხმარებითო.

ეგ არის და ჩემი საქმეო, – იფიქრა და ტელეფონს ეცა. ნომერი მაშინვე აიკრიფა, აღელვებულმა ჩასძახა ყურმილში, თქვენი ჭირიმე, სასწრაფოდ ტაქსი მჭირდებაო.

ქალიშვილმა უპასუხა ისეთი ტკბილი, ისეთი თავაზიანი ხმით, სირინოზი გეგონებოდათ. სიამოვნებისაგან კინალამ დადნა.

ოც წუთში მანქანა მოგაკითხავთ, უფრო ადრე, სამწუხაროდ, არ შეგვიძლია.

ხუთ წუთში, თორემ დავიღუპები! – შეევედრა.

ძალიან გაჭირვებული ბრძანდებით, გეტყობათ, – უპასუხა ქალიშვილმა, – რადგან ასეა, თავს მოვიკლავ და რამეს მოგიხერხებთ.

მანქანა სამ წუთში მოგვრიალდა.

ჩქარა, შენი ჭირიმე, – შეევედრა მძღოლს და მისამართი დაუსახელა. ათ წუთში ისინი ინსტიტუტთან იყვნენ. ჯიბეზე გაიკრა ხელი, მაგრამ მძღოლმა იუკადრისა:

რას ბრძანებთ, ეს მანქანა ტაქსი კი არ არის, ჩემი საკუთარია, როცა თქვენსავით გაჭირვებაში ჩავვარდნილვარ, იმ ქალიშვილს ჩემთვის არაერთხელ გაუწევია დახმარება. ნამდვილი გაჭირვების ტალ-კვესია. ახლახან შევიძინე მანქანა, ვავაგებინე, მომილოცა. დღეს კი დამირეკა სახლში და მითხრა: აქამდე მე გეხმარებოდით, ახლა კი თქვენ უნდა დამეხმაროთ და თქვენი გასაჭირი შემატყობინა. იმ ქალიშვილის თხოვნით მოვედი თქვენთან და იმის პროტეჟესგან ფულის შემოთავაზებაც კი შეურაცხყოფაა ჩემთვის, – თქვა მძღოლმა და მოლანდებასავით გაუჩინარდა.

გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა. ლექტორები მართლაც კინალამ ჭკუიდან შეშალა. ათიანი რომ იწერებოდა. ათიანს დაგინერდითო, უთხრეს. გაიქცა იმ ქალიშვილთან და თავისი სიხარული პირ-

ველად იმას გაუზიარა, მერე საჩივრის წიგნაკი სთხოვა, მადლობა მინდა ჩაგიწეროთო.

ბოდში, მაგრამ მადლობის ჩასაწერად საჩივრის წიგნს ვერ მოგცემთ, – უპასუხა ქალიშვილმა, – საჩივრის წიგნს იმიტომ ჰქვია საჩივრისა, რომ საჩივრის ჩასაწერადაა დაწესებული და არა მადლობისა.

გაკვირვებულ ვაჟს ქალიშვილმა აუხსნა:

საქმე ისაა, ჩემო ძმაო, რომ ხშირი მადლობები ადუნებს ადამიანის ენერჯიას და საქმის გაკეთების სტიმულს უკარგავს, საჩივრები კი პირიქით, გვაიძულებს სულ უკეთ და უკეთ ვიმუშაოთო.

ყველაზე კარგი მადლობა

სახლამდე ოცი კილომეტრი იქნებოდა დარჩენილი, მანქანა რომ გაუფუჭდა. რას არ ეცადა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ვერ აამუშავა. შუალამეს გადაცილებული იყო. არ უყვარდა ღამით მგზავრობა. მაგრამ საქმე ჰქონდა და შეაგვიანდა. ბავშვები აბლავლდნენ. ცოლი ჭირვეულობდა, თუ მანქანის იმედი არ გქონდა, რაღას მოდიოდით, ღამე იქ დავრჩენილიყავითო. გზად მაინც ჩამოევლო ვინმეს, ცოლ-შვილს გააყოლებდა, თვითონ კი დილამდე დარჩებოდა აქ და დილით რაღაცას მოახერხებდა. საბედნიეროდ, დიდხანს არ უნერვიულიათ. ავტონისპექტორი მოტოციკლეტით

დაბარებულივით მოგრიალდა. არც კი უკითხავს მძღლოსათვის, რა გაგჭირვებიაო, ნუ გეშინიათ, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებო და რაციით მორიგე გამოიძახა. სთხოვა მსუბუქი მანქანა გამოეგზავნათ ქალისა და ბავშვების სახლში მისაყვანად. მერე კი ავტოპროფილაქტორიუმში მორიგეს დაკავშირებოდნენ და გაჭირვებაში ჩავარდნილი მძღლოსთვის სასწრაფო დახმარება აღმოეჩინათ. თადარიგს რომ მორჩა, ბავშვებთან მივიდა, კამფეტები დაურიგა და თამაში დაუნყო. ბავშვებს ძალიან მოეწონათ კეთილი ძია. აჰყვნენ მას და მალე გულიანი სიცილ-კისკისი ატყდა.

ამასობაში მსუბუქი მანქანაც გამოჩნდა. მძღლოს გაუკვირდა, ასე მალე როგორ მოვიდნენ, ჯადოქრები ხომ არ არიანო. ის იყო ქალი და ბავშვები მანქანაში ჩასხეს, რომ ავტოპროფილაქტორიუმის მორიგე მანქანაც მოვიდა. ავტონსპექტორი გვერდიდან არ მოშორებია, სანამ მანქანა არ აამუშავეს. აბა, ახლა კი მოუსვი, ნადი და ოჯახი დაამშვიდეო, უთხრა მძღლოს და თავის გზას დაადგა. მძღოლი გაოგნებული იდგა. თავი სიზმარში ეგონა, ხელოსანმა გამოაფხიზლა, ქვითარი გაუნოდა, ორი მანეთი და ორმოცდაცხრა კაპიკი გვერგებაო, რატომ ოცი მანეთიც არ გერგება, ისეთი სიკეთე მიქენიო, თქვა მძღოლმა და ორი ათმანეთიანი ჯიბეში ჩაუდო. ხელოსანმა იწყინა, ხურდა დაუბრუნა და უთხრა:

იცო რა, ჩემო ძმაო, ჩემთვის ყველაზე კარგი მადლობა ის იქნება, სადმე რომ შემხვდე, გულიანად გამიღიმოთ.

ესა თქვა და თვალის დახამხამებაში ისე გაუჩინარდა, რომ მძლოლი ვერც კი გარკვეულიყო, ეს ყველაფერი სიზმარში მოხდა თუ ცხადში.

ქირა ბინის დამქირავეებს

ამ კურორტზე ბევრი რამ კარგი გაეგონა. ზღაპრული ადგილია, კეთილმონყობილია, ხალხიც ძალიან გულისხმიერიო. შევბულება რომ აიღო, აიკრა ცოლ-შვილით გუდა-ნაბადი და აქეთ-კენ გამოსწია. გააფრთხილეს, კურორტი ძალზე გადატვირთულია და სასტუმროში ადგილები კი არა, იქნებ ბინაც ვერ იშოვოთო. მარტო რომ მიდიოდე, კიდევ რა გიშავს, ცოლ-შვილი მიგყავს და ქუჩაში რომ დარჩე, რას აპირებო. არავის დაუჯერა, მაინც გულმა აქეთ გამოუნია.

რკინიგზის სადგურზე რომ ჩამოვიდა, თვალსაჩინო ადგილას განცხადება დაინახა: „ჩვენი კურორტის პატივცემულო სტუმრებო, ძალიან დიდ ბოდიშს ვივხდით, მაგრამ დღეს სასტუმროში, სამნუხაროდ, არც ერთი თავისუფალი ადგილი არა გვაქვს“. მივალ მაინც, იქნება რამე მირჩიონო, იფიქრა კაცმა. სასტუმროს დირექტორი ძალზე შენუხდა, შვილები დამეხოცოს თუ საშუალება მქონდეს და არ დაგეხმაროთო. სამნუხაროდ, არც იმისი იმედია, რომ უახლოეს დღეებში რომელიმე ოთახი გათავისუფლდებაო. გამოთხოვებისას კიდევ ერთხელ მოუხადა ბოდიში და დასძინა, მერ-

მისს თუ მობრძანდებით, მშენებლები ორ მრავალსართულიან სასტუმროს დაგახვედრებენ, მართალია, ჯერ არც ერთის მშენებლობა არ დაუწყიათ, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ იმათ სიტყვა გაეტეხათ და ახლა რაღა ღმერთი გაუწყრებათო. მერე ურჩია ბინების გაქირავების ბიუროსათვის მიემართათ. ბიუროშიც ძალზე შეწუხდნენ, მთელ ქალაქში ერთი სანოლი რაა, ისიც კი არ არის თავისუფალიო.

დაღონდა კაცი. ძალიან უნდოდა ამ კურორტზე დასვენება, მაგრამ რას იზამდა, უნდა ისევ აეკრა გუდა-ნაბადი და სადმე სხვაგან წასულიყო. უცბად ბიუროში აქოშინებული კაცი შემოვარდა. ეს-ესაა ოთახი გამითავისუფლდა, ჩემი დამსვენებლები მოულოდნელად თბილისში გამოიძახეს და მე და ჩემს მეუღლეს რა გვეშველება, ამაღამ მარტონი რომ დავრჩეთო. მერე სტუმარი შენიშნა და შეეხვეწა, ოღონდ ჩემთან წამობრძანდით, ბატონო, ჩირის რძეს არ მოგაკლებთო. მანქანაც მაქვს და როცა დაგჭირდებათ თქვენს განკარგულებაში იქნებაო.

სახლის პატრონს სტუმრებისთვის მთელი თვის განმავლობაში მართლაც ჩიტის რძე არ მოუკლია, ასვა, აჭამა და ფულიც არ გამოართვა. გამოთხოვებისას ფული რომ შეაძლიეს, ასე უთხრა:

რას ბრძანებთ, მე და ჩემი მეუღლე ისე შეგეჩვიეთ შენ და შენს ცოლ-შვილს, რომ აღარ ვიცით, როგორ უნდა გავძლოთ უთქვენოდ, მერმისს ოღონდ ისევ ჩვენთან მობრძანდით და თუ დაგჭირდებათ, აქეთ მოგცემთ ფულს.

სადღებრძელო

უკანასკნელ დამატებით კითხვაზე უკანასკნელი პასუხი გასცა. ძალზე უკმაყოფილო იყო თავისი თავისა. ახია, ყველაფერი ჩემზეო, გულში ფიქრობდა, უქმად ხეტიალში რომ დროს ვკარგავდი, ის დრო სწავლისათვის დამეთმო და ახლა სადარდებელი აღარაფერი მექნებოდაო.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, აქამდე რომ რალაც ქალაღდებს ჩაჰკირკიტებდა, ბოლოს და ბოლოს ინება თავი მალლა აენია და მისთვის შეეხედა. ჯერ უყურა, უყურა, მერე კი გაუღიმა და უთხრა:

გილოცავთ ინსტიტუტის დამთავრებას.

აღელვებული ფეხზე წამოიჭრა. კომისიის თავმჯდომარეს ხელით ანიშნა „შეჩერდითო“ და შეეკითხა:

რა დამინერეთ?

სამიანი და ჯანმრთელობაო, ხომ გაგიგონიათ.

მან კი მკვახედ მიახალა:

შეფასება არაობიექტურია. მე ამას ასე არ დავტოვებ!..

ჭარხალივით განითლებული აუდიტორიიდან თოფივით გავარდა. „ჰა, შემიცოდეს არა, სამიანის მათხოვარი გამხადეს, არა, მე მათ ვუჩვენებ სერის“. ფიქრები უნესრიგოდ უტრიალებდა თავში, საშინელ შეურაცხყოფას გრძნობდა. პირველად სიცოცხლეში შეიცოდეს და ეს აზრი ვერ აეტანა.

რალად უნდოდა სიცოცხლე, თუ შეურაცხმყოფელებს სამაგიეროს არ გადაუხდიდა.

მთელი დღე ქალაქში იხეტიალა. სულ იმის ფიქრში იყო, შური როგორ ეძია. საღამოსათვის ცოტა დაწყნარდა და სახლისაკენ გაეშურა. დედამ ფანჯრიდანვე შენიშნა იგი და სადარბაზო შესასვლელშივე მიეგება. მოეხვია, აკოცა, მიულოცა ინსტიტუტის დამთავრება.

რა იცი, რომ ჩავაბარე, იქნებ ჩავიჭერი? – ჰკითხა დაეჭვებულმა შვილმა.

შენი გულისათვის მთელი ქალაქი ავანრიალეთ, მამაშენმა ვილას აღარ დაურეკა. მაგრამ იქნებ... – შეკრთა უცბად დედა.

ნუ გეშინიათ, მივიღე სანატრელი სამიანი, – ზიზლით უპასუხა შვილმა.

სხვა დროს იგი ალბათ დაიღრიალებდა, მილენ-მოლენავდა ირგვლივ ყველაფერს, ქალაქის სამასხარაო რატომ გამხადეთ, ვინ გთხოვათ პროტექცია გამიწიეთო, მაგრამ ახლა მთელი დღის ნერვიულობით ისე იყო დაქანცული, დავიდარაბის თავი აღარ ჰქონდა.

ღამე საშინელ სიზმრებში გაატარა. სულ დამადლებული, პროტექციით მიღებული სამიანი ელანდებოდა. ვილაც ბოროტი სული კი გამუდმებით ჩასძახოდა ყურში:

„უტვინო! უტვინო! სამიანის მათხოვარო!

მერე დაესიზმრა, ვითომ ქეიფობდა და საქართველოს სადღეგრძელოს სვამდა. დიდებულად ილაპარაკა მშობელი მხარის სიყვარულზე. ორივე ხელით ასწია ვეებერთელა ყანნი და ის იყო ტუ-

ჩებთან უნდა მიეტანა, რომ იგივე ბოროტმა სულ-
მა ნაუსისინა:

შეჩერდი, თავს ნუ იკატუნებ საქართველო
მიყვარსო!

როგორ თუ თავს ვიკატუნებ?

ისე უბრალოდ, როგორც ყველა შენი თანამე-
სუფრე!

ესენი ყველანი პატიოსანი ხალხია.

მამა უცხონდათ!

აი, ამ კაცს, მაგალითად, მარჯვნივ რომ მიზის,
ბევრჯერ შეაძლიეს ქრთამი, მაგრამ არ აუღია...

მაგრამ მაგან შარშან თავისი უტვინო შვილი
ასპირანტურაში მიაღებინა. მერე იცი ვის მაგივ-
რად? ქერათმიანი მეგობარი რომ გყავს...

უნიჭიერესი ყმანვილია!

ჰოდა, იმის მაგივრად! შენ აი ის კაციც პატიო-
სანი გგონია, შენს პირდაპირ რომ ზის და სახეზე
ანგელოზის ღიმილი დასთამაშებს.

ესეც არის, ეგ უპატიოსნესი კაცია!

მამა უცხონდა! მაგის იმედით არ არის, რომ
მისმა უნამუსო ძმამ ქვეყანა აიკლო. განა პატიო-
სანი ეთქმის იმ კაცს, რომელიც, მართალია თვი-
თონ არ იპარავს, მაგრამ ხედავს მის თვალწინ რომ
ძარცვავ ქვეყანას და ის კი თვალხუჭობანას თა-
მაშობს. რამდენი ძმაკაცი ჰყავს მაგას მექრთამე,
ქურდი და აფერისტი, ის კი სულაც არ თაკილობს
მათთან ურთიერთობას, პირიქით, ეამაყება. შენ
ეგეც პატიოსანი გგონია, მარცხნივ რომ გიზის და
დარბაისლობით თავი მოაქვს.

დიახ ესეა!

მამა უცხონდა. ეგ კაცი ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექტორია. სადღეგრძელოებით კი ადიდება საქართველოს, მაგრამ მაგაზე მეტად ჩვენს ქვეყანას, მგონი, არავინა ჭრის თავს. გიყიდა მაგის ფაბრიკაში შეკერილი ფეხსაცმელი? არა, ხომ? უცხო ვინმე თუ იყიდის, თორემ შინაური ფეხშიშველი სიარულს ამჯობინებს. ჰოდა, ის უცხოც თუ იყიდის, ორი კვირის შემდეგ თავბედს დაინყევლის და შენს საყვარელ საქართველოზეც, ადვილი წარმოსადგენია, რა აზრი შეექმნება. შენ აი ის კაციც პატიოსანი გგონია, სევდით რომ ავსებია თვალები...

მაგაზე მაინც ვერაფერს იტყვი. ეგ პატიოსანიც არის და ძალზე ნიჭიერიც.

მამა უცხონდა! მაგის უფროსი შტერია და გაუნათლებელი, ხელმძღვანელობას კი ჭკვიანიც ჰგონია და განათლებულიც. ერთი სიტყვით პარაზიტია, მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევს შენი თანამესუფრის წყალობით. ეგ მუშაობს თავისი უფროსის მაგივრად. ბოლმით კი სკდება, მაგრამ არავის უმხელს. პარაზიტის შემნახველი კაცი კი, იქნებ პარაზიტზე უარესიც არის.

ჯანდაბას მაგათი თავი. სწორიც რომ იყოს, რასაც ამბობ, მე რაღას მერჩი?

არც შენა ხარ მამა აბრამის ბატკანი.

ვითომ რატომაო?

სამიანი არ გეკუთვნოდა. მაგრამ დაგინერეს. ცოტა გაიპრანჭე კი, მაგრამ მერე რა? ინჟინერი ხომ მაინც გახდი. არა ხარ ღირსი, მაგრამ თანამდებობას მაინც დაიკავე. ამგვარად შენს საქართვე-

ლოს, რომლის სადღეგრძელოსაც ასე დიდებულად წარმოთქვი, შენი სახით კიდეც ერთი პარაზიტი შეემატა დღეს. თქვენ ყველანი პარაზიტები ხართ ერის სხეულზე ან პარატიზების ხელშემწყობნი და ასე ლამაზ-ლამაზად კი ლაპარაკობთ ქვეყნის სიყვარულზე. ვინ დაგიჯერებთ, საცოდავებო?..

თქვა უკანასკნელად ბოროტმა სულმა, ჩაიხითხითა და გაუჩინარდა.

შეშინებულს გამოელვია – ლოგინიდან წამოხტა. ტანთ ჩაიცვა. ოთახში გაიარა-გამოიარა. დიდხანს იარა ასე გაოგნებულმა. მერე კი საწერ მაგიდას მიუჯდა და სახელდახელოდ ორი განცხადება გამოაცხო. ერთი ინსტიტუტის რექტორის სახელზე – კომისიის თავმჯდომარე ლიბერალია, ქვეყანას ღუპავს, ორიანი მეკუთვნოდა, სამიანი დამინერაო – მეორე კი ზემდგომ ორგანოებში გააგზავნა – მამაჩემი თანამდებობას ბოროტად იყენებს, პროტექცია გამიწია და სანამ დროა, მიხედეთო!

შემთხვევა ავტოპროფილაქტორიუმში

სამსახურის დაწყებამდე კიდეც დიდი დრო ჰქონდა დარჩენილი და ნელა მილილინებდა. მანქანის ძრავაც თითქოს მძლოლს აძლევდა ბანს, ისეთი ხმა ჰქონდა, გეგონებოდათ, დუდუკს ამღერებენო.

კარგი მანქანა გამომადგა, კარგი, – გაიფიქრა მძღოლმა, – ხუთი წელია დამაქროლებს და თითის ფრჩხილიც არ წამოსტკენია.

მუხთალიაო წუთისოფელი, უთქვამთ. არ ვიცი წუთისოფლის სიმუხთლის ბრალი იყო თუ იმისა, რომ მძღოლს დაავინყდა ეთქვა: „ფუი, ფუი, ეშ-მაკსო“, მანქანამ უცბად გაიღრჭიალა და ჯორივით შედგა.

უკირკიტა, უკირკიტა, მაგრამ ვერაფერი გაუგო. დაღონდა. დაღონდებოდა, აბა რა იქნებოდა. ვინ იცის, ჯერ როგორი ხარჯი მოელოდა, ხელოსნების ხელში თუ ჩავარდებო, გაეგონა, გაუტყავებელს არ გაგიშვებენო, ფულიც ჯანდაბას, ვინ იცის რა ნაწილის შეცვლა დასჭირდებოდა მანქანას და იშოვნოდა თუ არა იმ ნაწილს.

ამ ფიქრებში იყო, რომ ვიღაცა მიუახლოვდა.

გამარჯობა, ძმობილო, – უთხრა, – ვხედავ მანქანა გაგფუჭებია, დაღონებულხართ და მოვედდი, რომ გაგამხიარულოთო. დაღონებულს ვერც კი შეგიძინებია, რომ ქუჩის მეორე მხარეს ავტოპროფილაქტორიუმია, მე იმისი გამგე ვარ და მიმსახურე, შენი ხმალი და ჩემი კისერიო.

თან სამსახურში მაგვიანდებო, – დაიჩივლა მძღოლმა.

ნურც მაგისი დარდი გექნება, ძმობილო, – დაამშვიდა პროფილაქტორიუმის გამგემ, – შენისთანა გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხისათვის საგანგებოდ გვაქვს მანქანა გამოყოფილი. ჩაგსვამთ და მიგაბრძანებთ სამსახურში.

მანქანა რომ გამირემონტოთ, წასაყვანად მაინც ვერ მოვალ. თქვენც ექვსზე ამთავრებთ მუშაობას და მეც. ისეთი მკაცრი უფროსი მყავს, ერთი წუთით არ გამათავისუფლებს სამსახურიდანო, – კვლავ დაიჩივლა მძღოლმა.

ნურც ეგ გექნებათ სადარდებლადო, – უპასუხა გამგემ, – გავითვალისწინეთ ჩვენი კლიენტების მაგნაირი გასაჭირიც და მომსახურების ახალი ფორმა დავენერგეთ. ჩვენივე მძღოლი მოგიყვანთ მანქანას სამსახურშიო.

მერე იქნებ ის ნაწილი არა გქონდეთ, რაც მანქანას გაუფუჭდაო, – არ იშლიდა უიმედობას მძღოლი.

ჩვენთვის სათადარიგო ნაწილების პრობლემა არ არსებობსო, – უთხრა გამგემ, – გულდასმით გავაანალიზეთ ჩვენი პროფილაქტორიუმის მუშაობა მრავალი წლის განმავლობაში და შევისწავლეთ, რა ნაწილზე როგორი მოთხოვნილებაა. ჰოდა, ახლა დროულად ვიჭერთ თადარიგს და სათადარიგო ნაწილებიც ყოველთვის გვაქვსო.

ეეეხო! – ამოიოხრა მაინც მძღოლმა, – ყველაზე დიდი უბედურება მაინც ის არის, რომ ფულიც არა მაქვს და აქ კი ნამდვილად ვერაფრით დამეხმარებითო.

რატომაც არ დაგეხმარებითო, – მიუგო გამგემ, – კლიენტებს ჩვენ ნისიადაც ვემსახურებით, ხელფასს როცა აიღებთ, შეგიძლიათ მაშინ შემოიაროთ და შემოიტანოთ ფული.

ყველაფერი ეს მძღოლს მაინც ზღაპარი ეგონა და მანამ არ ირწმუნა ავტოპროფილაქტორიუმის

გამგის სიტყვები, სანამ მართლაც არ მიუყვანეს სამსახურში გარემონტებული მანქანა.

ვა, ეს რა დიდებული ხალხი ყოფილაო, – შეს-
დახა აღტაცებულმა მძღოლმა და... გამოელვინა.

დისციპლინის ღმერთი

იგი, დისციპლინის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ის გახლდათ. ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად დისციპლინას აფასებს. ყოველგვარი სიკეთის სათავე დისციპლინააო. ხშირად ამბობს ხოლმე, ხოლო ყოველგვარი ბოროტების თავი და თავი – უდისციპლინობაო. ამიტომაც, რომ თანამშრომლებმა მას მეტსახელად „დისციპლინის ღმერთი“ შეარქვეს. მაგრამ ნათქვამია: „ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო“. მოხდა სასწაული და შრომითი დისციპლინა ერთხელ იმანაც დაარღვია – სამსახურში ხუთი წუთი დააგვიანდა.

შედგა თუ არა დაწესებულებაში ფეხი, მაშინვე გეზი უფროსის კაბინეტისაკენ აიღო. ისე რცხვენოდა, მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ერჩინა. არასოდეს რომ არ უნერვიულია, ახლა ხელ-ფეხი უცახცახებდა. სახეზეც მკვდრის ფერი ედო. რა უნდა ეთქვა უფროსისათვის, რითი ემართლებინა თავი – გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო, სტუმრები მენვივნენ, გვიან აიშალნენ, გვიან დავენეჯი დასაძინებლად და ადრე ვერ ავდექიო? ეს რა გასამართლებელი საბუთია! გამოდის, რომ

ძილს ვერ ვუღალატე. თაანამშრომლებიც დაცინვას დამიწყებენ, დისციპლინის ღმერთო, დაარღვიე თუ არა დისციპლინაო, ვაი, სირცხვილო, ვაი, სირცხვილო!

უფროსის კაბინეტს რომ მიადგა, კინალამ გული წაუვიდა, ხელები აღარ ემორჩილებოდა. ბოლოს მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, ერთი მაგრად ამოიოხრა, კარის სახელურს მოსწია და კაბინეტში ლანდევით შევიდა.

უფროსს მამასავით უყვარდა, პატივს სცემდა, ახლაც, დაინახა თუ არა, ღიმილით შეეგება და სკამი შესთავაზა. დაჯდა, თუმცა დაჯდომას კი არა, ეს უფრო სკამზე დავარდნას ჰგავდა.

ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვათ? ადამიანის ფერი არ გადევთ, – ჰკითხა შემფოთებულმა უფროსმა.

ამაზე ცუდი რა უნდა შემემთხვეს, – ამოილულულა მან, – სამსახურში ხუთი წუთით დამაგვიანდა.

უფროსს ჯერ შეეშინდა, ხომ არ გადაირია „დისციპლინის ღმერთი“, მაგრამ როცა ამ უკანასკნელმა გაიმეორა, დიახ, ხუთი წუთით დავაგვიანე სამსახურში და მზად ვარ დავისაჯო შრომის კანონმდებლობის მთელი სიმკაცრითო, სიცილი წასკდა.

„დისციპლინის ღმერთი“ შეკრთა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. გაოგნებულს ვერ გადაეწყვიტა, რა პასუხი გაეცა უფროსისათვის, ის კი, სიცილს რომ მორჩა, წამოდგა, მიუახლოვდა, ალერსით მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

ორმოცი წელია მუშაობთ ჩვენს დანესებულებაში, როგორც გამიგია, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაგირღვევიათ შრომის დისციპლინა. პირველი მობრძანდებით სამსახურში და უკანასკნელი მიბრძანდებით სახლში. დამშვიდდით, თქვენი დასჯა ფიქრადაც არ მომსვლია.

თქვენ ვერ გამიგეთ, მე დასჯისა სულაც არ მესინია. პირიქით, თქვენ მე უსათუოდ უნდა დამსაჯოთ და, რაც შეიძლება, მკაცრად...

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ტელეფონი ანკრიალდა და უფროსმა ყურმილი აიღო.

სასწრაფოდ მინისტრთან! – გაისმა ყურმილში.

ბატონი ბრძანდებითო, – თქვა უფროსმა, – ფეხზე წამოხტა და კაბინეტიდან შურდულივით გაავარდა.

კიდევ რამდენჯერმე დააპირა უფროსთან თავისი დაგვიანებისა და დასჯის შესახებ ლაპარაკის ჩამოგდება, მაგრამ ეს უკანასკნელი სიტყვას ან ბანზე უგდებდა ან მოულოდნელად კაბინეტში ვინმე უცხო შევიდოდა და საუბარი იფუშებოდა.

გამნარებულმა ბოლოს საერთო კრებაზე ამხილა უფროსი. ბრალად დასდო, რომ იგი მფარველობდა და არ სჯიდა დისციპლინის დამრღვევებს. გამოსვლა კი მუქარით დაასრულა:

მე ამ საკითხს ასე არ დავტოვებ, არავის მივცემ უფლებას, რომ სიბერეში უდისციპლინობას შემაჩვიოსო.

იმ ღამეს უფროსმა ბევრი იფიქრა, თუ რა მოემოქმედა. დიდი დრო იყო გასული დაგვიანების დღიდან და შრომის კანონმდებლობა სასჯელის დადების უფლებას აღარ იძლეოდა. ბოლოს გადწყვიტა, შუაკაცები მიეგზავნა მასთან და პატიება ეთხოვა. იმანაც ვეღარ გაუძლო ხვეწნა-მუდარას, ხელი ჩაიქნია და თქვა:

კარგი, ეს ერთი მიპატიებია, მაგრამ მეორედ ნუ გაიმეორებს!

ნახეთ, მაინც ბავაჯინე!

დილიდანვე აღრენილი იყო. ნუხელ მთელი ღამე კოშმარულ სიზმრებს ხედავდა. ცოლმა რაღაცაზე შარი მოუდო, ატყდა და აღარ გაჩერდა. მერე როგორი ჩხუბი იცოდა იმ ღვთისაგან შეჩვენებულმა. იმის რისხვას ის ერჩივნა თავზე ატომური ბომბი დასცემოდა. ეჰ, სიზმარი სიზმრად დარჩებოდა და ბევრს არ ინაღვლებდა, რომ ასეთი სიზმრები ცუდად არ ჰქონოდა დაცდილი. ჩვეულებრივ, ძილში ჩხუბს ცხადში ჩხუბი მოჰყვებოდა ხოლმე და მერე ისეთი, რომ სიზმარში ნახული სანატრელი უხდებოდა. ამიტომაც იყო, ცოლმა რომ უთხრა, მაღაზიაში უნდა ნახვიდეო, უსიტყვოდ დაემორჩილა.

მაღაზიას რომ მიუახლოვდა, შორიდანვე თვალში არ მოუვიდა. რატომ არის ასეთი პატარა, რატომ უფრო დიდი არ არისო. რეკლამები

რატომ არის ასეთი დიდი, რატომ უფრო პატარა არ არისო და მოჰყვა თავისთვის ბუზლუნს. გამყიდველები ადრე რომ ჩიტებს ჰგავდნენ, ახლა ჯოჯოხეთის მაშხალეზად ეჩვენებოდა. ცოლის შემხედვარეს ახლა მთელი საქალეთი სძულდა. მხოლოდ გასიებულ, ბანჯგვლიან ხელებიან ყასაბს უბოძა ნაძალადევი ღიმილი, სხვებს კი ისე უბლვერდა, გეგონებოდათ შეჭმას უპირებსო. ო, როგორ უნდოდა ჩხუბი, მაგრამ საბაბი არავინ მისცა. როგორც უხმოდ უწვდიდა ჩეკს, ისე უხმოდ უწონიდნენ ნავაჭრს. მხოლოდ ერთმა ქალიშვილმა ჰკითხა:

რა გნებავთ?

ამას ჩეკის მიხედვით უნდა ხვდებოდეთ, ქალიშვილო, – დაულრინა მან, – დროა მუშაობა ისწავლო. კარაქი მნებავს.

ქალიშვილი სახტად დარჩა. არ მოელოდა ასეთ უხეშობას მამის ტოლი კაცისაგან. გული ეტკინა, მაგრამ თავი შეიკავა, კარაქი მიანოდა, გაიღიმა და თავაზიანად მიუგო:

ხომ არავინ განწყენინათ ასეთ სიმპათიურ კაცს?

კაცს გაეცინა, იფიქრა, ცოლმა გამაჯავრა, ეს რა შუაშიაო, გამყიდველს ბოდში მოუხადა და წავიდა. უგუნებობაც გაუქრა. გაიფიქრა: წესიერი ქალიშვილია. რა კარგია, რომ ჩვენს მალაზიაში ყველა ასე თავაზიანია.

ქალიშვილმა კი გადახედა თავის მეგობრებს და სიამაყით თქვა:

ნახეთ, მაინც გავაცინე!

ფენის ძირა

მეგობრებს დიდი ხანია ერთმანეთი არ ენახათ. მოულოდნელი შეხვედრით გახარებულებმა რესტორანში გადანყვიტეს წასვლა.

რესტორანში დიდძალი ხალხი იყო. მადისაღმძვრელი, სასიამოვნო სუნი იდგა. უკრავდა მუსიკა.

მეგობრებმა კუთხეში ერთადერთი თავისუფალი მაგიდა შენიშნეს და იქით გაემართნენ. ეჩქარებოდათ, მაგრამ იმედი ჰქონდათ. იფიქრეს, აქ მალე ემსახურებიან და არ დაგვაგვიანებენო. სწორედ ამ დროს ოფიციანტმა ჩაუარა გვერდზე.

უკაცრავად, – მიმართეს ყმანვილებმა.

მოთმინება იქონიეთ, ახალგაზრდებო, – ხმას აუწია ოფიციანტმა.

მეგობრებს გუწება ნაუხდათ. ნამოდგნენ და გასასვლელისაკენ გაემართნენ. ოფიციანტმა ეს შენიშნა, შერცხვა, რატომ ვანყენინე ახალგაზრდებს, ან როგორ მომივიდა, რომ თავდაჭერა დაგვკარგეო, უკან გამოუდგა მეგობრებს და კარებში ჩაუდგა:

მაპატიეთ, ყმანვილებო, ასე როგორ გაგიშვებთ. ჩემს ჭალარას ეცით პატივი და მაპატიეთ. ახლავე მოგემსახურებით.

მეგობრებს გული მოუღბო ოფიციანტის გულწრფელმა მობოდიშებამ და უკანვე დაბრუნდნენ. სადილობას რომ მორჩნენ, იფიქრეს, უკეთეს ადგილს შესახვედრად ვერსად ვნახავდითო. ძალზე წასიამოვნები იყვნენ. ოფიციანტმა ანგარიში წარუდგინა – შვიდი მანეთი და ოცდათერთმეტი

კაპიკი. ეცოტავათ. ათი მანეთი გაუნოდეს. ოფიციალტმა ზუსტად დაუბრუნა ხურდა. ყმანვილებმა მიუგეს, ხურდა დაიტოვეთო, ოფიციალტს ღიმილი შეაშრა სახეზე და უპასუხა:

ყმანვილებო, დროული კაცი ვარ, ოცდაათი წელი ვმუშაობ რესტორანში და ზედმეტი კაპიკი არავისთვის გამომირთმევია, ახლა როგორ წავინყმედავ სულს.

თქვა და რესტორანში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულ დიდი ასოებით დაწერილ განცხადებაზე მიუთითა:

ფეხისქირა შეურაცხყოფს ოფიციალტს!

თუ კაცის ნდობა არ გვექნება

ვაჟს პაემანზე აგვიანდებოდა. საათმა მოატყუა. ეგონა, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდა და არ ჩქარობდა. როცა რადიომ ზუსტი დრო გამოაცხადა, ელდა ეცა. სულ რაღაც თხუთმეტი წუთი დარჩენოდა ქალიშვილთან შეხვედრამდე. მერე რა უხასიათო გოგონა იყო, ერთი წუთიც რომ დაეგვიანა, არ დაუცდიდა, წავიდოდა სახლში და მთელი კვირა ტუჩაბზუებული იყო. ვაჟს ძალიან უყვარდა და სულ იმაზე ფიქრობდა, რითი ესიამოვნებინა. ახლა კი რა მოუვიდა. ფუ, რა დროს უმტყუნა საათმა.

ელვის სისწრაფით გადაიცვა პიჯაკი და ქუჩაში შურდულივით გავარდა. იქვე ტაქსი დაბარებულივით ელოდებოდა.

ჩქარა, შენი ჭირიმე, – შეეხვეწა მძლოლს და მისამართი დაუსახელა.

კი გენაცვალე, – მიუგო მძლოლმა და მანქანა დაძრა.

ათ წუთში ისინი უკვე ადგილზე იყვნენ, ვაჟმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, მერე მეორეში, მესამეში და... ფერი ეცვალა. ამ სიჩქარეში ფული სახლში დარჩენოდა. გულდანყვეტილი ისევ უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ სახლიდან ფული გამოეტანა და მძლოლს გასწორებოდა. დააპირა კიდეც ამის თქმა, მაგრამ მძლოლმა არ აცალა.

ფული დაგავინყდათ, არა? ხდება ხოლმე. სხვა დროსაც შეეხვდებით, მერე გადაიხადე, – უთხრა მძლოლმა.

მერე მენდობით? – ჰკითხა მგზავრმა, – აი, ჩემი პასპორტი.

მძლოლმა პასპორტს არც კი დახედა.

ყველაფერი ჭირსაც წაუღია, თუ კაცის ნდობა არ გვექნება. აბა, კარგად იყავი, ძმობილო! – ესა თქვა მძლოლმა და კარი მიიხურა. დაბნეული ვაჟი კი ისე მიატოვა, რომ ამ უკანასკნელმა მადლობის თქმაც კი ვეღარ მოასწრო.

საახალწლო სარუხარი

გაცხარებულ მუშაობაში იყო, როცა ტელეფონი ანკრიალდა.

ალოო!..

პასუხი არავინ გასცა. ყურმილი დაჰკიდა. ტელეფონი ისევ ანკრიალდა.

ალოო!..

პასუხი კვლავ არავინ გასცა. ყურმილი ისევ უჩუმრად დაჰკიდა. ტელეფონი ისევ ანკრიალდა.

ალოო!..

ისევ და ისევ პასუხი არავინ გასცა. ისევ და ისევ ყურმილი უჩუმრად დაჰკიდა, მაგრამ ამჯერად იგრძნო, რომ ნერვები დაეჭიმა. ტელეფონი კი ისევ და ისევ ულმოვლად ანკრიალდა.

ალოო!..

პასუხი კვლავ სამარისებული სიჩუმე გახლდათ. მოთმინება გამოეღია. ტელეფონი კინალამ დაამტვრია, მაგრამ თავი შეიკავა და ყურმილი საგანგებო სიფრთხილით დადო. ტელეფონი კი შეუბრალებელი იყო. ისევ დარეკეს. კაცი ლამის გაგიჟდა. ყურმილი აიღო, უნდოდა ეყვირა, მაგრამ მიხვდა, ყვირილით ვერაფერს გახდებოდა და სასონარკვეთილმა ამოიკვნესა:

ოლონდ ხმა მოიღე და კაი მაღარიჩს ვიკისრებ!

ისევ დუმილი.

ერთ ხბოს, ერთ ჭედილას, სამ გოჭს, თორმეტ ქათამს გიყიდი და თორმეტკაციან პურმარილს გაგინყობ!

ისევ დუმილი.

რესტორნის დირექტორად დაგნიშნავ!

ისევ დუმილი.

შვილს სამედიცინო ინსტიტუტში მოგინყობ!

ისევ და ისევ დუმილი.

რა არ შესთავაზა, რა არ შეჰპირდა, მაგრამ პასუხს მაინც ვერ ეღირსა. სხვა რა გზა ჰქონდა, რა ეღონა, ერთი მაგრად ამოიოხრა და ამოილულლულა:

ვიცი, ვიცი, რაც გინდა. მეძნელება, მაგრამ ჯანდაბას შენი თავი, შეგისრულებ. მიიღებ, მიიღებ, შე დანყევლილო, ჩემგან საახალწლო საჩუქარს. ჩემზე იყოს თბილისური.... ფეხსაცმელი.

თქვა და მხოლოდ მაშინღა ეღირსა პასუხს:
შენ გენაცვალე, შენა!

კაცური კაცი?!

აკვნის მეგობრებიო, რომ იტყვიან, აი სწორედ ისინი ვიყავით მე და ჭიჭიკო. ერთ სახლში ვცხოვრობდით, ერთ სადარბაზოში, ერთ სართულზე. ძმებივით გვიყვარდა ერთმანეთი. დილიდან საღამომდე ერთად ვატარებდით დროს. ერთადვე ვჭამდით, ვსვამდით. თუ რამეს დავაშავებდით, ერთადვე ვიბრალებდით და ვიტყვიპებოდით.

სკოლაშიც ერთ კლასში მოვხვდით. ორივენი ფრიადოსნები ვიყავით, . ვეჩიშებოდით ერთმანეთს და ეს ქიშპობა ორივეს გვინყობდა სწავლაში ხელს. ნამეტნავად ის იყო ჯიბრიანი, მოკვდებოდა და თავისზე წინ არავის გაუშვებდა.

ნიჭიერი ბავშვი გახლდათ, მაგრამ ეს იყო, კარგსაც მალე ითვისებდა და ცუდსაც. რაკი კარგად სწავლობდა, ოჯახი ანებივრებდა. რამდენ ხუთი-

ანსაც მიიღებდა, იმდენ ხუთმანეთიანს ჩუქნიდნენ. მაშინ ამ ფულით კინოში თუ წახვიდოდით, ან კამფეტებს თუ იყიდდით, მაგრამ სხვა ბავშვებისათვის ესეც სანატრელი იყო და ჭიჭიკოს ყველა შურის თვალთ უყურებდა. იმას კი ეს არამცთუ არ სწყინდა, უხაროდა კიდეც. ძალიან პატივმოყვარე იყო და სიამოვნებდა, რომ სხვებისაგან გამოირჩეოდა.

უფროს კლასებში რომ გადავედით, ჭიჭიკოს „საპრემიო“ თანხამაც იმატა. ამ ფულით ის პაპიროსს ყიდულობდა და სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში ტაქსით დაიარებოდა.

უმაღლესშიც ერთ ფაკულტეტზე ჩავირიცხეთ. არც აქ გამოუცვლია ზნე და ხასიათი, ადრინდელივით ძალიან კეთილი იყო. პერანგს გაიხდიდა და სხვას ჩააცმევდა, მაგრამ სახლში კი კვლავინდებურად დესპოტი გახლდათ. მშობლები ფულს თუ არ მისცემდნენ, ერთ ამბავს დაანევდა. ისინიც ხედავდნენ, როგორ უყვარდა ფული ჭიჭიკოს, არ მოსწონდათ მისი საქციელი, მაგრამ ეშინოდათ, არ გაგვიჯიბგირდესო, თვითონ გაიჭირვებდნენ და ერთადერთ შვილს კი მაინც არაფერს დააკლებდნენ.

მერე მოხდა უბედურება და მშობლები ერთიმეორის მიყოლებით დაეხოცა. ხელგაშლილ ცხოვრებას მიჩვეულს გაუჭირდა. მეშინოდა კიდეც, წრეს იქით არ გადავარდნილიყო, მაგრამ საოცარი ამტანობა გამოიჩინა. ერთი ხანობა ამაყობდა კიდეც თავისი გაჭირვებით, რაშიც თავისებურ რომანტიკასაც კი ხედავდა. სწავლაც უკეთ დაიწყო.

უმაღლესი რომ დავამთავრეთ, ერთსა და იმავე რაიონში გაგვანანილეს. მეზობელ სოფლებში

დავინყეთ მუშაობა. კარგი სპეციალისტი იყო და მალე დანინაურდა. იქვე დაცოლშვილდა კიდეც. ბოლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედაც აირჩიეს. თითქმის იმავე დროს მეც ასევე დამაფასეს ჩემმა თანასოფლელებმა.

პირველ ხანებში სანიმუშო ხელმძღვანელი იყო, გამრჯე, პატიოსანი, ყველაფერში კარგი მაგალითის მიმცემი, მაგრამ მალე გაყოყოჩდა, ყვირილს დაეჩვია და თვითნებობასაც მიჰყო ხელი. ეხლა იჩინა სრული ძალით ჯერ კიდეც ბავშვობაში შეძენილმა პატივმოყვარეობამ, რომელიც ძალაუფლების ავადმყოფურ სიყვარულში გადაეზარდა. მოსწონდა, რომ ყველა მოწინებით ექცეოდა, იმისი სიტყვა კანონი რომ იყო ყველასათვის, რაც მერე მოთხოვნილებადაც გადაექცა. ბავშვივით უხაროდა, როცა აქებდნენ. მცირეოდენ შენიშვნაზე კი ჭკუას კარგავდა. მალე ხმებიც გავრცელდა, გადაჭამა სოფელიო. აიშენა ორსართულიანი სახლი, იყიდა მანქანა, მოუხშირა რესტორნებში სიარულს. ერთხელ მეც ვუთხარი:

ჩემო ჭიჭიკო, ხომ იცი, რომ ძმასავით მიყვარხარ და ამიტომ მინდა გაგაფრთხილო, შენზე ცუდი ხმები დადის და თავი არ წააგო-მეთქი.

მაშ, ვისაც მანქანა და ორსართულიანი სახლი აქვს, ყველა ქურდიაო? – კითხვით მიპასუხა, – ნურავის უგდებ ყურს, ბოროტ ხალხს რა გამოლევსო.

მეც ვიცოდი გამოცდილებით, რომ ბოროტ კაცს მართლაც ვერავინ ააფარებდა პირზე ხელს და ამის შემდეგ ჭიჭიკოსთან ამ თემაზე აღარ მილაპარაკია.

უჩივლეს. ერთი ხანობა კომისიას კომისიაზე უგზავნიდნენ, მაგრამ ხელშესახები ვერაფერი უშოვნეს. ესეც კია, რომ კარგი მეურნე იყო და რაიონის ხელმძღვანელობაც სხვა ყველაფერზე თვალებს ხუჭავდა.

მერე ის იყო კოლმეურნეობების გამსხვილება დაიწყო და ჩვენი ორი სოფლის გაერთიანებაც დააპირეს: თავმჯდომარედ, გასაგებია, ორივეს ვერ აგვირჩევდნენ, არც მე ვიყავი რაიონში ცუდ სათვალავში და, როგორც ვატყობდი, სასწორი უფრო ჩემსკენ იხრებოდა. მწყინდა, რასაკვირველია, რომ ჭიჭიკოს უნდა დავპირისპირებოდი. მითუმეტეს, რომ კარგად ვიცოდი იმის ხასიათი, ჭკუიდან შეიშლებოდა. ვინმე მასზე წინ რომ დაეყენებინათ, თუნდაც ეს მე ვყოფილიყავი, ან რომ ის სოფელში ყველაზე უფროსი არ ყოფილიყო. დავაპირე კიდევ, ვთხოვ რაიონის ხელმძღვანელობას სადმე სხვაგან გადამიყვანოს სამუშაოდ-მეთქი, მაგრამ იმ ხანებში ერთხელ ღამით მეზობელი სოფლიდან ფეხით მომავალს გზაზე ვილაც მთვრალი კაცი ამიხირდა, რალაცაზე შარი მომლო და მიძიმედ დამჭრა. საავადმყოფოში რამდენიმე თვე დავყავი, არავის ეგონა რომ გადავრჩებოდი. ამასობაში ჩვენი ორი კოლმეურნეობაც გააერთიანეს და რაკი მე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი, თავმჯდომარედ ჭიჭიკო დანიშნეს. მე კი გამოჯანმრთელების შემდეგ სხვაგან გადამიყვანეს.

მაღე ამის შემდეგ ჭიჭიკომ სახლ-კარი გაყიდა და სადღაც სხვა რაიონში გადაბარგდა, მას აქეთ რამდენიმე წელიწადი გავიდა და ჩემს მეგობარზე

აღარაფერი მსმენოდა. იმისი აღარც ასავალი ვიცოდი და აღარც დასავალი.

და აი ერთხელ მეგობართან ვიყავი წვეულებაზე. სტუმართა ჯგუფი, რომელთა შორის მეც გახლდით, სუფრის განწყობის მოლოდინში სასტუმრო ოთახის ერთ კუთხეში შევგროვდით და საუბარი გავაბით. ვინ რა თქვა, ვინ რა და ბოლოს სიტყვა კაიკაცობაზე ჩამოვარდა. ჭიჭიკო ახსენეს, რომელსაც იქ მყოფთაგან თითქმის ყველა იცნობდა.

კაი კაციო, თუ ვიტყვით, იმაზე უნდა ვთქვათ. რა უნდა გეთხოვათ, რომ ხელი არ გაემართა. იმისი პურ-მარილის მადლი კი ვის არ შეუტყვია. გამოსადეგი კაცი იყო. სანყენია, რომ ჩვენი რაიონიდან წავიდა, – თქვა ერთმა.

იმაზე კეთილი კაცის მნახველი არა ვარო, – დაურთო მეორემ, – გაჭირვებული რომ შეხვედროდა ვინმე, წაიყვანდა მაღაზიაში და თავადიშვილივით შემოსავდა.

თუ საჭირო იყო, კარგი საქმისათვის თავსაც გასწირავდა, – დაუმატა მესამემ, – მე რომ ჩემი საკუთარი თვალთ ვნახე, როგორ შევარდა ცეცხლმოკიდებულ სახლში და ტანსაცმელზე აღმოდებულმა როგორ გამოიყვანა სამშვიდობოს ორი ბავშვი, ვერავინ დამაჯერებს, რომ ის კაცური კაცი არ იყო.

ჰო, – დაუდასტურა მეოთხემ, – ბავშვებზე ჭკუას კარგავდა. ერთხელ სტუმრად ვენვიე. სახლი კინოთეატრის გვერდით ედგა. იმ დღეს რაღაც სათავგადასავლო ფილმს უჩვენებდნენ. გოგონებისა და ბიჭების ჟრიამულისგან ყურთასმენა

აღარ იყო. აივანზე ვისხედით და ვუყურებდით. ჭიჭიკომ ჯერ დაცაცხანება დაუპირა, რა ამბავში ხართო, მაგრამ მერე გადაიფიქრა. კიბეებზე სწრაფად დაეშვა და ბავშვებში გაერია. ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაბრუნდა, ვკითხე, სად იყავიმეთქი. თურმე მთელი სეანსის ფული გადაუხდია და ბავშვები კინოში უბილეთოდ შეუშვებინებია.

ამ ლაპარაკში მარტო ერთი კაცი არ ერეოდა. არავინ ვიცნობდით. მასპინძლის ნათესავი იყო, საიდანღაც ჩამოსული. დრო და დრო რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თავს იკავებდა. ბოლოს ველარ მოითმინა, ჭიჭიკოს გვარი დაგვისახელა და გვკითხა, იმაზე ხომ არ საუბრობთო. როცა დაუდასტურეს, სახეზე ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა და თქვა:

მეც ვიცნობ იმ კაცს, ჩვენს რაიონში ცხოვრობდა. ამ ცოტა ხნის წინ დააპატიმრეს.

როგორ, რატომ, რისთვის? – დააყარეს აქეთ-იქიდან კითხვები.

მკვლელობისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის.

მენყინა, რასაკვირველია, მაგრამ ჭიჭიკოს რომ ვიცნობდი, არც გამკვირვებია. უცნობმა სტუმარმა კი განაგრძო:

ჩვენი რაიონის პროკურორი ჩემი მეგობარია. იმან მიაბო ეს ამბავი.

ჭიჭიკო ამ ხუთიოდე წლი წინ ჩამოვიდა ჩვენს რაიონში და ღვინის ქარხნის დირექტორად დაინიშნა მუშაობა. ნაცნობ-მეგობრები მალე შეიძინა და მალევე დაიმსახურა კაი კაცის სახელი და რა-

და გავაგრძელო, რაც თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, ჩვენთანაც ზუსტად იმას გეტყოდნენ.

რაიონში ღვინის ქარხნების გაერთიანება გადანიშნავს. ჭიჭიკო, თუმცა ცუდ ხელმძღვანელებად არ ითვლებოდა, მაგრამ გენერალურ დირექტორად მაინც სხვას უპირებდნენ დანიშვნას.

გამაჟრჟოლა. ნუთუ? ამეშალა ეჭვები და ფერნასულმა მოუთმენლად ვკითხე:

მერე?

ჭიჭიკომ კაცი მოისყიდა და მეტოქის მოკვლა შეუკვთა, მაგრამ სანამ დავალებას შეასრულებდა, ქილერი რაღაც სხვა საქმეზე დაიჭირეს. იმას ჭიჭიკოს იმედი ჰქონდა, დამიხსნისო, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს. მაშინ გაბოროტებულმა განზრახულ დანაშაულზე უამბო გამომძიებელს და კიდევ ერთი, სხვა ძველი ამბავიც გაიხსენა. ჭიჭიკოს დავალებით იმის სიყრმის მეგობარი, რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარე უნდა მომეკლათ, მოკვლით ვერ მოვკალი, მაგრამ მძიმედ კი დავჭერიო.

თითქოს თავში რაღაც ჩამცხესო. დავრეტიანიდი. კინალამ მუხლებში ჩავიკეცე, მაგრამ, როგორც იქნა, შევიკავე თავი და არაფერი შევიმჩნიე. გულში ვფიქრობდი მხოლოდ მწარედ, აი, თურმე ვინ გამიმეტა-მეთქი. იმ წუთში საერთოდ ვკარგავდი მეგობრობის რწმენას, რწმენის დაკარგვა კი, ღმერთო, იხსენი ყველა ჩემი მტერი ამისაგან, მეტისმეტად მძიმე ყოფილა.

ყველა მე მიყურებდა შეცბუნებული. იცოდნენ ჩემი დაჭრის ამბავი და ახლა გაიგეს, ვისი მოწყო-

ბილიც ყოფილა ეს დანაშაული. უცნობი სტუმარი
კი განაგრძობდა:

ამის შემდეგ ჭიჭიკოს სხვა დანაშაულიც გა-
უხსნეს – სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით
დიდი ოდენობით დატაცება. მალე ალბათ თქვენს
რაიონსაც ეწვევა გამომძიებელი...

ფუ იმის კაცობას! – გაისმა აქეთ-იქიდან, –
უკანასკნელი სალახანა ყოფილა.

არ მინდა თავი მოგანონოთ რალაც გულთმის-
ნობით, მაგრამ პირადად მე თავიდანვე ათვალწუ-
ნებით ვუყურებდი ჭიჭიკოს. ის არც აკადემიკოსი
ყოფილა და არც დიდი მწერალი. მაშ საიდან ჰქონ-
და ამდენი ფული? ჰმ, გასაგებია საიდანაც. ასეთი
კაცისა კი, სწორი მოგახსენოთ, არც პატიოსნება
მწამს, არც გულკეთილობა და არც კეთილშობი-
ლება. სხვებს კი არა, ისინი თავიანთ თავსაც კი
ატყუებენ, რომ კაცური კაცები არიან, თორემ აბა
ერთი ვინმე გადაეღობოს ფულის შოვნის გზაზე,
ან საფრთხე შეექმნას იმათ პრივილეგიებს, უმაღ-
მხეცებად იქცევიან, საკუთარ ოჯახს, ცოლს,
შვილს არ დაინდობენ და, რა გასაკვირველია, რომ
აკვნიდან თანშეზრდილი მეგობარი გაიმეტონ სა-
სიკვდილოდ.

ჭიჭიკო ბუნებით მაინც უალრესად კეთილი
იყო, – თქვა ვილაცამ.

შეიძლება, მაგრამ ფულისა და ძალაუფლების
სიყვარული ისეთი რამ არის, თუ დაემორჩილე,
ადამიანის სახეს დაგაკარგვინებს. მაპატიეთ კად-
ნიერებისათვის, მაგრამ სხვაც მინდა გითხრათ.
მაინც რატომ ვთვლიდით ჭიჭიკოს „კაი კაცად“,

უფრო იმიტომ ხომ არა, რომ გამოსადეგი იყო, ფული დაგჭირდებოდათ, გასესხებდათ, სხვა რამ დაგჭირდებოდათ და ხელს გაგიმართავდათ. ფულიან კაცს ხომ ბევრი მეგობარი ჰყავს და ბევრიც შეუძლია, ამის გამო ხომ არ ხდება, თუმცა ვიცით რომ კაცი ხელმრუდეა, მექრთამეა, მაგრამ სანამ არ დაიჭერენ, ჩვენ იმასთან არამც თუ არ ვთაკილობთ მეგობრობას, თავს ვიტყუებთ და „კაცურ კაცადაც“ ვთვლით.

ნურც ასე გაგვანადგურებთ, – თქვა ერთმა. კიდევ სხვაც აპირებდა შეკამათებას, მაგრამ ამ დროს დიასახლისი მოგვიახლოვდა და სუფრასთან მიგვიპატიჟა.

უმრავლესობა

წლის უკანასკნელი კვირა დღე იყო, ახალი წელი მობრძანდებოდა, ველარ გავუძელი ცოლის ბუზლუნს, ყველაფერი ჩემი საზრუნავია, შენ მარტო „მომიტანე-მომართვი“ იციო, და დილიდანვე მალაზიების შემოვლას შევუდექი. სალამოხანს, როგორც იქნა, ოჯახობის მიერ შედგენილი გრძელი სიის ბოლოში ჩავალწიე და შვებით ამოვისუნთქე.

საკუთარი ავტომანქანით სახლისაკენ გავწიე. ახლა ვიგრძენი, როგორ დავღლილიყავი, როგორ მომშიებოდა და როგორ მომწყურებოდა. არაფერია, გავიფიქრე, ცოლი დაზურგულს რომ დამინა-

ხავს, ზღაპრულ სუფრას გამიშლის-მეთქი. თვალ-
წინ მედგა ჩემი აგრაფინა, გახარებული და სახე-
გაბრწყინებული, წარმოდგენილი მქონდა, როგორ
ვაიძულებდი ახლა მაინც ეთქვა, აი, ყოჩაღ, კარგი
ბიჭი ხარო. მივდიოდი ქალაქის ქუჩებში და ვლი-
ლინებდი. ისეთ კარგ გუნებაზე ვიყავი, რომ ვერც
ვიფიქრებდი, თუ რამეს შეეძლო ჩემთვის ხასია-
თის გაფუჭება, მაგრამ, ეჰ!..

ქუჩაში კვერცხის რიგი შევნიშნე. ახლალა გა-
მახსენდა, ცოლმა კვერცხიც რომ დამაბარა. მარ-
თალია, აგრაფინასაც დაავიწყდა სიაში შეეტანა,
მაგრამ კიბეებზე ჩამომავალს ბარე ხუთჯერ მო-
მაძახა, კვერცხი არ დაგავიწყდეს, უკვერცხოდ
სახლში მოსული არ დაგინახოო. დავამუხრუჭე
მანქანა და გადმოვედი. ოციოდე კაცი იქნებოდა
რიგში. სიკვდილი იყო დაღლილ-დაქანცულისათ-
ვის აქ დგომა, მაგრამ ცოლის ბუზღუნის, ღმერთმა
დამიფაროს, სიკვდილზე უარესი გახლდათ. მეტი
რა ჩარა იყო, ჩავდექი რიგში. ყველა გაჩუმებული-
ყო, თითქოს დუმილის ანგელოზს ჩამოევლო. სულ
კაცები იყვნენ. ქალი მხოლოდ ორი იდგა რიგში.
ერთი ახალგაზრდა, ერთიც შუახნისა. მარტო მე
არ ვყოფილვარ ამ დღეში. აი, როგორ ჩამოსტი-
რით ამ კაცებსაც დაღლილობისაგან ცხვირ-პირი,
ამათაც ჩემსავით ღვთისაგან შეჩვენებული ცო-
ლები ეყოლებათ, ვინუგეშე თავი, ქალებიდან კი
ერთი უთუოდ ჯერ გაუთხოვარი იქნება, მეორე კი
ქვრივი ან ქმარგაცილებული-მეთქი.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, რომ ჩემი რი-
გიც მოახლოვდა. უცებ ერთმა კაცმა ჩაიბუზღუნა.

არა, არა, ვაჭრობის მუშაკებს ვერაფერი გამო-
ასწორებს, როგორი ცვლილებებიც არ უნდა მოხ-
დეს რესპუბლიკაში.

ყურები ვცქვიტე. თურმე გამყიდველს გამო-
ეცხადებინა, ხურდა არა მაქვს, ყველამ სამ-სამმა-
ნეთიანები მოამზადეთო. ამ ფულით მყიდველებს
აძლევდნენ ოცდაათ ცალ ცხრა კაპიკად ღირე-
ბულ კვერცხს. ამდენად გამყიდველი თვითეულ
ჩვენგანს ოცდაათ-ოცდაათ კაპიკს აფცქვნიდა.
ჩემი რიგი რომ მოვიდა და მეც ისე მომექცნენ,
როგორც სხვებს, გამყიდველს ვკითხე:

მმართველს რამე თქვენი, ბიძია?

არა!

აბა, რად მიკავენ ოცდაათ კაპიკს. მოგვატყუე
მანც, გვითხარი, ახალი კანონი გამოვიდა, ცხრა
კაპიკი რომ ღირდა, ის კვერცხი ახლა ათი კაპიკი
გახდა-თქო, თორემ ასე როგორ გვძარცვავ, თით-
ქოს შენი მოხარკეები ვიყოს და გვეუბნებოდე: აი,
ასე გექცევით, კაი ბიჭები ხართ და ნებას ნუ დამ-
ყვებითო. განა რამეა ეგ ოცდაათი კაპიკი, ბიძია,
ავიღებ და გადავყრი... მაგრამ რად მჩაგრავ, მასხ-
რად რად მიგდებ?

ვერ ვუღალატე ჩვენებურ კუდაბზიკობას, ათი
მანეთიც რომ დაეკლო გამყიდველს ჩემთვის, მაში-
ნაც ალბათ ასე ვეტყოდი, განა რამეა ეგ ათი მანე-
თი, ავიღებ და გადავაგდებ-მეთქი. ბაზარი გამახ-
სენდა, ქალები კაპიკებზე რომ ევაჭრებიან გლე-
ხებს და როგორი გახარებული არიან, მიზანს რომ
მიაღწევენ. მაგრამ, დასწყევლოს ღმერთმა, თვალ-
სა და ხელშეა რომ გვძარცვავენ და ქურდბაცაცას

კი არა რცხვენია ჩვენი, ჩვენა გვრცხვენია იმისა, არ იფიქროს მენწვრილმანია და კაპიკების შემეყურეო.

ერთი სიტყვით, მოვიხმარე მთელი ჩემი ორატორული ნიჭი და გამყიდველს „დამუშავება“ დავუნყე, ვამტკიცებდი, რომ კაპიკების ნართმევატკი დიდი ბოროტებაა, რადგან ამით ინყება ადამიანის სულიერი გახრწნა, რომ გამყიდველის საქციელი ყველა ჩვენგანის აბუჩად აგდება და თავმოყვარეობის შელახვა იყო, რასაც ვერავინ უნდა გვიბედავდეს-მეთქი.

გამყიდველი ჯერ ყურსაც არ იბერტყავდა, მერე კი, ეტყობა, მობეზრდა ჩემი ლაპარაკის მოსმენა, ერთი მაგრად ამოიოხრა, ეჰ, რა დრო გვიდგებაო, აილო სამი ცალი კვერცხი და ხელში მომაჩეჩა, თან ისეთი ზიზლით შემომხედა, თითქოს ვილაც მათხოვარი ვმდგარიყავი მის წინ. ცეცხლი მომეკიდა. ხალხს შევხედე, ეგებ ვინმე წამომეშველოს-მეთქი. მხოლოდ ერთმა ამოილო ხმა და ისიც ჩემს გასაკილავად.

თუ ძმა ხარ, ხომ დაგიმატა სამი კვერცხი და მეტი რა გინდა, წადი რა, სახლში, საქმე არა გაქვს?

ხალხო, თქვენ რაღას გაჩუმებულხართ! – ავყვირდი.

ყურადღება რომ არავინ მომაქცია, გამყიდველისათვის უნდა შეგეხედათ, რა გახარებული იყო:

ვენაცვალე ჩვენს ხალხს, ასეთი კარგი რომ არ იყოს, რაღა მეშველებოდა, – თქვა მან.

ასეთი მადლობა სხვა დროსაც მსმენია ყველა ჯურის უწმინდურისაგან, მაგრამ ვაი, რომ ყოველთვის და ახლაც მწარეზე უმწარესი იყო ამ

სიტყვების გაგონება. რა უნდა ყოფილიყო ამგვარ ქებაზე შეურაცხმყოფელი ჩემი ხალხისათვის, როგორი ლანძღვა უნდა მწყენოდა ჩემი ერისა ისე, როგორც ეს ქათინაური მენწყინა. ჩემს უკან რიგს გადავხედე, არც არავის მიუქცევია ყურადღება გამყიდველის „აღერსისათვის“. ყველამ ნვრილმანად ჩათვალა რაღაც კაპიკებისათვის გამყიდველთან გამოდავება. ჰმ, ვითომ მხოლოდ კაპიკებში იყო საქმე.

გინდათ გამამტყუნეთ და გინდათ არა, ზიზლი ვიგრძენი ამ ხალხისადმი და ესლა ვუთხარი:

ახია თქვენზე, მეტის ღირსი ხართ!

ჩავიქნიე ხელი და კუდამოძუებულმა გავწიე სახლისაკენ. ველარც ცოლის ქებამ და მოფერებამ დამანწყინარა და ველარც ბავშვების აღერსმა. მთელი ღამე თეთრად გავათენე, ვფიქრობდი:

უმრავლესობა რიგში ხომ პატიოსანი იყო, ხომ მე მიჭერდა მხარს, კანონიც ხომ ჩვენსკენაა, მაშ რამ დაადუმათ, რატომ არიან ასე უმოქმედონი?

ღმერთო, ნუ გახდი ჩემს ხალხს უნმინდურთა ქების ღირსს, ღმერთო, აამეტყველე ეს დადუმებული უმრავლესობა!

შნო

ჩემი უნივერსიტეტელი მეგობარი გურამი დიდი ხანია არ მენახა, სტუდენტობისას ყველაზე დაახლოებული იმასთან ვიყავი და ახლა, როცა იმ

ქალაქში მოხვდით, სადაც ის ცხოვრობდა, შემთხვევას როგორ გავუშვებდი ხელიდან, რომ არ შეეხვედროდი.

სამსახურში ვენვიე. ძალიან გაეხარდა. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და რაკი მუშაობაც მთავრდებოდა, რესტორანში დამპატიჟა, თან ბო-ლიში მომიხადა:

ვიცი ქართველ კაცს მეგობართან საუბარი ოჯახში ურჩევნია, მაგრამ ამჯერად სახლში ვერ წაგიყვან. დედაჩემი შეუძლოდაა და დაოჯახება კი ჯერ ვერ მოვასწარი.

რესტორანში თითო ბოთლი ღვინო მოვატანი-ნეთ ოფიციანტს და საუბარი გავაბით. მართალია, დარბაზში ცოტა ყაყანი იყო, მაგრამ ყველა თავი-სი ამბით იყო გართული და არც არავის ჩვენ ვუშ-ლიდით ხელს და ვერც ვერავინ ჩვენ გვამჩნევდა. სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ვინ იცის, რამდენჯერ გაიღო რესტორნის კარი, რამდენი გასულა და რამდენი შემოსულა, მაგრამ ამისათვის ყურადღე-ბა თითო-ოროლა დაინტერესებული კაცის გარდა არავის მიუქცევია. მხოლოდ ერთხელ, როცა ვი-ლაც დარდიმანდი ყმანვილი გამოჩნდა მეგობრის თანხლებით, თითქმის მთელი დარბაზი ფეხზე წა-მოუდგა.

კოტეს ვენაცვალე, – გაისმა აქეთ-იქიდან, – აქეთ მობრძანდი, თუ გვიკადრებ!..

სხვადასხვა მაგიდეებიდან ერთმანეთს ეჯიბრე-ბოდნენ კოტეს მიპატიჟებაში. თან სახეზე ისეთი ღიმილი ესახებოდათ, რომ ამ ღიმილისაგან ნახევ-რად ჩაბნელებული დარბაზი თითქოს განათდაო.

ნეტავ ვისთან მივა? – ჩემთვის ჩავილაპარაკე.
არავისთან! – მიპასუხა გურამმა, – რესტორ-
ნის დირექტორი ახლავე აქ გაჩნდება და იმან იცის
თავისი საქმე...

სათქმელიც ვერ დაამთავრა, რომ მართლაც
გამოჩნდა ვილაც კაცი, შუაში ჩაუდგა კოტესა
და იმის მეგობარს, მკლავი მკლავში გაუყარა და
სადღაც გაუძღვა.

აი, ხომ გითხარი, პატარა შეცდომა დავუშვი
მხოლოდ. დირექტორი ალბათ ადგილზე არ ბრძან-
დება და იმის მაგივრად ადმინისტრატორი ეახლა.
კოტესთვის ყოველთვის მოიძებნება თავისუფალი
ცალკე ოთახი.

ვინ არის მაგისთანა ეგ თქვენი კოტე?

ვინ არის?.. – ჩაიციინა გურამმა, – ეგ არის,
ვინც არის!

მე კი, მგონია, წმინდა წყლის კაცი არ უნდა
იყოს!

არც შემცდარხარ და თუ კოტეს მტრობაში არ
ჩამომართმევ, რალაცას გიამბობ.

ჩემო გურამ, რამდენჯერ გითქვამს ჩვენი
სტუდენტობისას „უკანასკნელი სალახანა ვიყო,
ადამიანზე ცუდი ვთქვა მხოლოდ იმის გამო, რომ
ის პირადად ჩემთვის იყოს ცუდიო“. ეს სიტყვები
არ დამვიწყებია...

ისე ჩათვალე, ვითომ ეხლაც გამემეორებინოს,
– თქვა გურამმა, ჩაახველა და დაიწყო:

მე და გურანდა ბავშვობიდან ერთად ვიზრ-
დებოდით. ცელქი იყო, მშობლების ნებიერა და
სათამაშოდ გული უფრო ბიჭებისკენ მიუწევდა,

ვიდრე გოგონებისკენ. ნამეტნავად ჩემთან იყო შეჩვეული. თანატოლები გვაჯავრებდნენ კიდეც, „დანიშნულებს“ გვეძახდნენ. მერე, როცა წამოვიზარდეთ და ძარღვებში სისხლმა ჩქეფა დაგვიწყო, ნამდვილი სიყვარულიც გაჩნდა. ეხლა რომ მაგონდება ის დრო, თითქოს თავი მეცოდებაო. რა ასაკი იყო. კაცს რომ სისხლი გიდულს მაჭარივით, ყველაფერი რომ გიხარია, ყველაფერი რომ გულთან მიგაქვს ახლოს, ამაზე დიდი ბედნიერება რა შეიძლება იყოს! ეხ, წავიდა უკვე ის დრო და აღარ დაბრუნდება...

შეგვიყვარდა მე და გურანდას ერთმანეთი, მაგრამ ქორწინებაზე ფიქრი ნაადრევი იყო. ჯერ სკოლა უნდა დაგვემთავრებინა, მერე უმაღლესი. ის თბილისში მოეწყო, მე მოსკოვში და დავემორდით ერთმანეთს მთელი ხუთი წლით. არდადეგებზე კი ჩამოვდიოდი, მაგრამ ის იმ დროს აგარაკზე ნებივრობდა მშობლებთან ერთად და ველარ ვხვდებოდით. ეგ იყო მხოლოდ, რომ წერილებს ვწერდით და სურათებს ვუგზავნიდით ერთმანეთს. მაგრამ ხომ გაგიგონია, თვალიდან შორს, გულიდანაც შორსო. ჩვენი გრძნობები ამდენი ხნის უნახაობით ერთგვარად მინელდა.

მერე დავამთავრეთ უმაღლესი და ორივენი ოჯახებს დავუბრუნდით. აქვე დავიწყეთ მუშაობა. ხუთი წლის განშორების შემდეგ, როცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს, კვლავ იფეთქა ძველებურად სისხლმა. ისე მიყვარდა გურანდა, ერთი დღე რომ არ მენახა, მეგონა, გავგიჟდებოდი. რა ვიცი, თითქოს ქალსაც ვუყვარდი, მაგრამ ქორწინებისაგან

თავს ვიკავებდით. გურანდა შეძლებულ ოჯახში იყო გაზრდილი და მეც მინდოდა ჩემი სახლ-კარი ისე მომეწყო, რომ ცოტათი მაინც ყოფილიყო იმისი შესაფერისი. მერე კი, როცა ვიფიქრე, ახლა კი შემოძლია ოჯახს მოვეკიდო-მეთქი, გურანდას მშობლებს ვეახლე. ცივი უარი მტკიცეს. შენ შენი თავი ძლივს შეგინახავს და ოჯახს როგორ შეინახავო, მითუმეტეს იცი, გურანდა ხელგაშლილობას არის მიჩვეულიო. მაშინ თვითონ ქალი დავიმარტოხელე და დავთქვით, რომ ერთი თვის შემდეგ ჩუმად მოვანერდით ხელს. მანამდე კი, მშობლებს რომ ეჭვი არაფერზე აელოთ, გადავწყვიტეთ ერთმანეთს აღარ შევხვედროდით.

სიტყვა შევასრულეთ. რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში, რა ელაპარაკეს, რა შთააგონეს მას, არ ვიცი, მაგრამ ის კი იყო, რომ დათქმული ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გურანდასა და იმის დას შორის ჩემთვის საბედსინერო თუ საბედნიერო საუბრის უნებლიე მომსწრე გავხდი.

შეყვარებული კაცის ამბავი ხომ იცი, ყოველი სახლის აივანზე, ყოველ ქუჩაზე, ყოველ კუთხეში, ყოველ კუნძულში თავისი გულის სწორი ელანდება. მეც ეგრე ვიყავი. მინდოდა თუ არა, თვალები მუდამ გურანდას ძებნაში იყო გართული. იმ დღესაც ესე მოხდა. სამსახურიდან გვიან გამოვედი, გულმა სახლისკენ არ გამიწია და პარკში შევიარე. შორიდან შევნიშნე გურანდა და იმისი და. მივეპარე. რომ მივუახლოვდი, ჩემი სახელი გავიგონე. სხვისი საუბრის მოსმენა რა საკადრისია, მაგრამ,

ცოდვა გამჟღავნებული სჯობს, სულმა წამძლია და მოვეუსმინე.

უნდა გაჰყვე კოტეს, გურანდა, – ეუბნებოდა და, – გურამი შენ ქმრად არ გამოგადგება.

გურანდას დის აზრი ჩემს შესახებ აქამდეც ვიცოდი. ამიტომ არც გამკვირვებია იმის სიტყვები. მე უფრო ის მაინტერესებდა, რას უპასუხებდა გურანდა, მაგრამ იმას ხმა არ ამოუღია. დამ კი განაგრძო:

გურამს თუ გაჰყევი, გურანდა, შენც ჩემს დღეში ჩავარდები. მე ეხლა აღარ მკვდრებში ჩავითვლები და აღარც ცოცხლებში. ვარ ჩაფლული ოჯახში, შვილებში, ხედავ, რას დავემსგავსე. იცი, რომ მეც სიყვარულით გავყევი თენგიზს. მე, სულელს, მეგონა, რომ თუ კაცი გიყვარდა, იმასთან ერთად ცარიელ წყალსა და პურზე გადავიდოდით და მაინც ბედნიერი ვიქნებოდით. დავლუპე ჩემი თავი.

რა, ცუდი ბიჭია თენგიზი?

კიდეც იმიტომ, რომ ცუდი არ არის. ესლა მამლებინებს, თორემ აქამდე თავსაც მოვიკლავდი. შენ ჩემსავით ფუფუნებაში ხარ გაზრდილი, მიჩვეული არა ხარ გაჭირვებას, ოჯახურ საქმეებს, სამზარეულოში ტრიალს, რეცხვას. ეხლა კი ვწყევლი დედაჩემსაც და მამაჩემსაც ჩემი ესეთნაირი გაზრდისათვის, მაგრამ უკვე გვიანაა, დაჩვეულს ვეღარ გადააჩვევო, ნათქვამია. მე და შენისთანებს მხოლოდ კოტესნაირი კაცი გვჭირდება. ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს შენი გურამი. პატიოსანი კაცია და სხვა რა, პატიოსანი

ვირიც არის. შნო იმას არა აქვს ცხოვრებისა და მარიფათი.

ვუსმენდი მათ საუბარს, თითოეული გაგონილი სიტყვა ჩაქუჩივით მხვდებოდა თავში, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ვგრძნობდი, რომ მწარე სიმართლეს ეუბნებოდა გურანდას თავისი და. არ მინდოდა მხოლოდ გამოვტდომოდი ამაში თავს. ჩუმად გავეცალე იქაურობას.

ო, რა ტანჯვაში გავატარე რამდენიმე დღე. სურვილი მკლავდა, რომ გურანდას შევხვედროდი, მაგრამ თავს ვიკავებდი. მინდოდა თვითონ, თავისით, ჩემს დაუხმარებლად გადაეწყვიტა ჩვენი ბედი.

ქორწინებისათვის დათქმული ვადა გავიდა. შეთანხმებისამებრ გურანდას უნდა დაერეკა ჩემთვის, მაგრამ არ დაურეკავს. ველარ მოვითმინე და სამსახურიდან მომავალს გზაში დავუხვდი. ნაძალადევი ღიმილით შემხვდა. თვითონვე შემთავაზა პარკში გავიაროთო. მყუდრო ადგილას დავსხედით. შევატყვე, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უჭირდა. შევეშველე.

გურანდა, რამდენიმე დღის წინათ ამ პარკში უნებლიედ შევესწარი შენი და შენი დის საუბარს.

რომელ საუბარს, – შეკრთა გურანდა, მაგრამ ისიც შევატყვე, როგორ მოეშვა გულზე, რომ ეს საუბარი მე წამოვინყე.

მოდის, ვიყოთ გულწრფელნი. გურანდა. პირდაპირ მითხარი, რა გადაწყვიტე, გაჰყვები კოტეს თუ არა?

თავი ჩალუნა ქალმა. პირი გვერდზე იბრუნა, თითქოს სხვას ელაპარაკებო და თქვა:

მე შენ ვერ გამოგყვები ცოლად, გურამ, ჩემი დის გაჭირვებას რომ ვხედავ, შიშის ზარი მიპყრობს. მეც იგივე მომელის შენს ხელში. უნდა გავყვე კოტეს. როცა გავთხოვდები და შვილები მეყოლება, აღარ ვიფიქრებ შენზე. ცოტაც რომ მოვითმინო, ვგრძნობ ძალა აღარ მეყოფა და კისერზე ჩამოგეკიდები, დაგლუპავ შენც და დავლუპავ ჩემს თავსაც.

მძიმე იყო ამ სიტყვების მოსმენა, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, რომ გურანდა მართალი იყო.

ჰო, კოტეს ბევრი ფული აქვს, – ვთქვი მე, – როგორც ყველა სხვა ნაძირალას.

რატომ ნაძირალას, – მომიგო გურანდამ მშვიდად, – კოტე არ არის ცუდი ბიჭი. უბრალოდ იმას შნო აქვს ცხოვრებისა და ცხოვრობს კიდევ. ნუ მინყენ და სიმართლეს გეტყვი. რითი გჯობია შენ პეტრიაშვილი, შეხედულებით, ქკუით თუ განათლებით. იმასაც შენნაირი თანამდებობა უჭირავს, მაგრამ ნახე, როგორ ცხოვრობს, შენ კი თვიდან თვემდე ჯამაგირს შეჰყურებ მხოლოდ.

მაშ, ვინც ხელფასზე ცხოვრობს, ყველა დალუპულია?

სხვისი არ ვიცი და ისეთი კაცი, რომელსაც ჩემნაირი აზიზ-მაზიზი ცოლი ჰყავს, ნამდვილად დალუპულია.

მაოცებდა გურანდას მშვიდი ტონი. ის აქაც გულწრფელი იყო, ნამდვილად სჯეროდა, სწამდა, რასაც ამბობდა: ჩემს წინ თითქოს სულ სხვა ქალი იჯდა, ჩემთვის უცხო, რომელსაც ჩემს გულთან საერთო აღარაფერი ჰქონდა. და მეც მშვიდად განვაგრძე საუბარი.

იცი, რას მიმტკიცებ, გურანდა?

იმას, რომ ვისაც შნო აქვს, უნდა იცხოვროს კიდევ. ასეთია ცხოვრების კანონი და სამართლიანი კანონიცაა.

ვისთვის არის სამართლიანი?

ყველასთვის!

ნურას უკაცრავად. ეგ შნო, რომელზეც შენ ლაპარაკობ, ათასში ერთ კაცს აქვს მხოლოდ. მაშასადამე ეგ ცხოვრებისეული კანონიც ხელსაყრელი ყოფილა მხოლოდ ერთი კაცისთვის, ათასიდან ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტისათვის კი არა.

იმ ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ კაცსაც არავინ უშლის ცხოვრების შნო ჰქონდეს.

თუ მე ეს არ მინდა?

რატომ არ უნდა გინდოდეს, ალბათ გეშინია, რომ შეიძლება ჩავარდე.

იმიტომ არ მინდა, რომ შნო სხვა არაფერია თუ არა ნამუსზე ხელის ალების უნარი, მე კი არ მსურს მქონდეს ეს უნარი. რადგან ჩემი სინდისია ჩემი ერთადერთი სიმდიდრე, სიმდიდრე, რომელიც მთელი დედამიწის ოქრო-ვერცხლს მირჩევნია.

მარტო შენ ფიქრობ ესე, მთელი ქვეყანა კი სხვანაირად მსჯელობს!

ჰო, ის „ქვეყანა“, სადაც შენ გიხდება ტრიალი, მართლა მსჯელობს ეგრე, მაგრამ არსებობს სხვა ქვეყანაც, ჩემი და ჩემნაირების ქვეყანა.

მომავალი ჩემი „ქვეყნისაა“, ადამიანის ბუნებას ის უფრო შეეფერება.

მე კი შემირცხვენია მთელი შენი ქვეყანა, სადაც ადამიანში ყველაზე მეტად ნამუსზე ხელის

აღების უნარს აფასებენ. ეჰ, თუმცა რა აზრი აქვს ჩვენს ლაპარაკს. კარგად ბრძანდებოდე, მეც გირჩევ, გაჰყვე კოტეს. იმის ხელში შენ ნამდვილად ბედნიერი იქნები.

ვთქვი უკანასკნელად, ნამოვდექი, და სახლისაკენ გავეშურე. არ მეგონა თუ ასე ადვილად გადავიტანდი გურანდას ლალატს, მაგრამ რწმენა დიდი რამ ყოფილა. რწმენა რომ არა, შურის თვალით დავუნყებდი კოტეს ცქერას და ჩემი თავი შემეცოდებოდა. ახლა კი მძულს მე ის და კიდევაც მეცოდება. ამას წინათ მაღაზიაში შემთხვევით შევეფეთე გურანდას. ბრილიანტებით მოჭედული ბეჭდებითა და სამაჯურებით მორთულიყო, ძვირფას ქურქში გამონყობილიყო. შემეცოდა, რომ შევხედე და გამიკვირდა კიდევ, რომ ეს ქალი ოდესლაც მიყვარდა.

ამით დაამთავრა გურამმა თხრობა და მორიგი სადღეგრძელო შემომთავაზა.

კულტურული კაცი!..

მოულოდნელად მოგვადგა კარს ზამთარი. აცივდა. აქამდე რომ თბილოდა, გვეგონა სულ ასე იქნებოდა. დროზე ვერ დავიჭირეთ თადარიგი და ჩემი საყვარელი შვილიშვილი ნანიკო უჩექმოდ დამირჩა. სკოლიდან რომ დაბრუნდა აკანკალებული, კინალამ ჭკუიდან შევიშალე. ვიყვირე, ვიჩხუბე, ავანიოკე ცოლ-შვილი, როგორ არ გრცხვენიათ, ბავშვი რომ ამ დღეში ჩააგდეთ-მეთქი.

რა ვქნათ, მამა, – თავი იმართლა რძალმა, – დავიარეთ მთელი თბილისი და ვერაფერი ვიშოვნეთ.

იმპორტულს ვინ ჩივის, თბილისურიც სანატრელი გაგვიხდა, – კვერი დაუკრა ქმარმა, – მერე ხომ იცი, ეგ მაიმუნი ერთი ბენო ბავშვია და რამხელა ფეხები აქვს. ქუსლებიან ჩექმებს ხომ ვერ ჩავაცმევთ.

მოგიკვდეს პაპა-მეთქი, გავიფიქრე და გულში დავიფიცე, – ხვალ დილიდანვე სამსახურიდან დავეთხოვები, დავივლი მთელი ქალაქის მაღაზიებს და სახლში უჩექმოდ კი არ დავბრუნდები-მეთქი.

მთელი ქალაქი არა, მაგრამ ნახევარი მაინც მოვიარე და ვერც მე ვიშოვნე რამე ნანიკოს შესაფერისი. დავლონდი, მაგრამ რაღას ვიზამდი. ხელი ჩავიქნიე და გადავწყვიტე თავი დამენებებინა უაზრო ხეტიალისთვის. ბედად ერთი მეგობარი შემხვდა, დალონებული რომ დამინახა, მიზეზი მკითხა, რომ ავუსხენი, ერთი მაგრად გადაიხარხარა და მითხრა:

შე კაცო, ციდან ხომ არა ხარ ჩამოფრენილი, არ იცი, რომ მაღაზიაში მაგას ვერ იშოვნი, თუ გინდა მიგასწავლი ერთი სპეკულიანტის ბინას, მიდი იმასთან, აუცილებლად ექნება.

სპეკულიანტის ხსენება, მართალია, დიდად არ მეპიტნავა, მაგრამ მაინც ვუთხარი, შენ აგაშენა ღმერთმა-მეთქი, და მისამართი გამოვართვი.

მივადექი სპეკულიანტის ბინას. დავრეკე ზარი, კარი ერთმა გაფუნთუშებულმა ქალმა გამიღო. ამხედ-დამხედა, რომ ვერ მიცნო, მკითხა:

რა გნებავთ, ბატონო?

თქვენთან, უკაცრავად არ ვიცი და, ერთი პატარა საქმე მაქვს ქალბატონო!

ქალმა ერთხელ კიდევ ამათვალისწინა-ჩამათვალისწინა. მერე გამიღიმა და შინ შემიპატიჟა.

შევედი ბინაში და რა ვნახე. რა ავეჯიო, რა როიალიო, რა რემონტიო, რა ფარდებიო, თვალები გამიშტერდა და ალბათ კიდევ დიდხანს ვიქნებოდი ასე მონუსხულივით, რომ ქალის ხმას არ გამოვყვანე ამ მდგომარეობიდან.

გისმენ, ჩემო ბატონოვო, – მითხრა.

არ ვიცოდი, რითი დამეწყო.

მენდობა ეხლა ეს ოხერი-მეთქი, გულს მიღრღნიდა ეჭვის ჭია. ესლა ამოვიღულულულე უაზროდ.

მე, ქალბატონო!... მე, ქალბატონო!.. მე, ქალბატონო!..

ქალმა კიდევ ერთხელ გამიღიმა და მომიგო:

თქვენ ალბათ რამე გნებავთ შეიძინოთ!

შვებით ამოვისუნთქე და მივუგე:

დიახ, ქალბატონო, ბავშვის ჩექმა მინდა ოცდათვრამეტი ნომერი...

ეხლავეო! – მიპასუხა, – დაბრძანდით და შეგარჩევინებთ, – და მეორე ოთახში გაფარფაშდა.

რამდენიმე წუთში ისევ დაბრუნდა, ხუთი წყვილი ჩექმა მოიტანა, დამიწყო მაგიდაზე და მითხრა: ნაიღეთ, რომელიც გაგეხარდებათ!

ერთმანეთზე უკეთესები იყო. თვალთ ვაცემევი ჩემს ნანიკოს რიგრიგობით და მომეჩვენა, რომ წითლები ყველაზე ძალიან მოუხდებოდა. ორმაგი დამიფასა იმ შეჩვენებულმა. რა უსირცხ-

ვილო ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ შევაჭრებისა შემრცხვა და გადავუთვალე ფული. ჩექმები რომ შემიხვია და „მშვიდობაში მოგახმაროთ“, მითხრა, გავუბედე და ვკითხე:

როგორ მენდეთ, ქალბატონო, ხომ შეიძლება დამელუპეთ!

ქალმა ისევ დაკრიჭა კბილები.

კულტურული კაცი ჩანხართ და ამას როგორ იკადრებდით. კოჭებში ეტყობა ყველას, ვინ რას წარმოადგენსო. – მიპასუხა.

გულში კი გავიფიქრე: აი, სწორედ ჩემისთანა „კულტურული კაცების“ წყალობით დაბოგინობთ ამ ქვეყანაზე-მეთქი, მაგრამ მაინც მადლობა გადავუხადე და გამოვემშვიდობე.

სიგარეტი მინდოდა მომენია, გამთავებოდა. იქვე მალაზიაში შევედი და გამყიდველს ვკითხე, „კოსმოსი“ ხომ არ გაქვთ-მეთქი?

კულტურული კაცი ჩანხართ, და გამოგიჩენთო, – მიპასუხა და ერთი კოლოფი გამომიწოდა.

თვალში მეცა იმის ბრილიანტით მოჭედილი ბეჭდებიანი ფაფუკი თითები, ბოლმა კი მომანვა ყელში.

ჩემს პელაგიას ძლივს ვუყიდე ერთი უბრალო ბეჭედი და ეს კი როგორ არის თოჯინასავით მოპრანჭული. მერე ჯოჯოხეთის მაშხალას მაინც არ ჰგავდეს. ვითომ მაბამს, „კულტურული კაცი“ ჩანხართო. ჩააფარე ეხლა ამას თავში ხელი და გააფრთხობინე სული-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაინც გადავუთვალე მანეთის ხურდა 60 კაპიკის ნაცვლად.

კოსტუმი მქონდა ატელიედან დასახსნელი. იქნებ იქაც მივასწრო შესვლა-მეთქი, ვიფიქრე და ტაქსი გავაჩერე. მძლოლმა გზაში კიდევ რამდენიმე კაცი ჩამისვა მანქანაში. იმათთან ერთად მახეტიალა და ბოლოს როგორც იქნა, მეც მიმიყვანა ადგილზე. მრიცხველი მანეთსა და 80 კაპიკს უჩვენებდა. სამმანეთიანი არ მქონდა და ხუთმანეთიანი გავუნოდე.

მძლოლმა მადლობა გადამიხადა და ის იყო მანქანის დაძვრას აპირებდა, რომ გაუბედავად ვკადრე:

ხურდას არ მომცემთ, ჩემო ბატონო?

კულტურული კაცი ჩანხართ და ამას როგორ კადრულობთო, – მიპასუხა.

შემრცხვა, სიტყვა ველარ შევუბრუნე და დავეხსენი.

შევედი ატელიეში მოშხამული.

კულტურული კაცი, კულტურული კაცი, – გავიძახოდი გულში გაბრაზებული, – ღმერთმა თქვენც შეგარცხვინათ და ყველა კულტურული კაციც, ვინც თქვენისთანა წურბელებს არჩენს.

იმ წუთში ყველა კულტურული კაცი მძულდა. მძულდა ჩემი თავიც, რომ ამ ეპითეტიტ მამკობდა ათასი ჯურის მამაძალლი. დავიფიცე, ამას იქით თუ ვინმემ კიდევ მიწოდა ეს სახელი, არ ვიცი, რა დღეს დავაყრი-მეთქი.

თქვენი კოსტუმი მზად არის, – მითხრეს, – გადაიხადეთ დარჩენილი თანხა და ხელოსანს გამოგიძახებთო, – გადავიხადე და კაპიკი ფული აღარ დამრჩა ჯიბეში. სახლამდე ხუთი კილომეტრი მა-

ინც იყო ატელიედან და ეს მანძილი ფეხით უნდა გამევილო. მერე როგორი დაღლილ-დაქანცული ვიყავი და თანაც ნერვებდანყვეტილი.

გამოვიდა ხელოსანი. გამოიტანა კოსტუმი. გამასინჯა.

მშვიდობაშიო, – მითხრა, ძველი ტანსაცმელი ქალაქში გამიხვია და დაუმატა:

მალარიჩი ალბათ არ დაგავინყდებათ, ბატონო ჩემო!

მე ფული აღარ მაქვს! – ვუპასუხე გაბრაზებულმა.

ხელოსანიც გაგულისდა:

კულტურული კაცი ჩანხართ და...

ამ სიტყვების გაგონებაზე კინალამ ჭკუიდან შევიშალე. სიტყვის დამთავრება აღარ ვაცალე და მთელი ხმით ვიღრიალე:

არა ვარ კულტურული კაცი! არა ვარ კულტურული კაცი! გაიგეთ ერთხელ და სამუდამოდ. ველური ვარ. ტყის კაცი, ხიხო, ტეტია, ცანცარა, გაუგებარი, შეუგნებელი, ვირი, მუტრუკი! – და რა ვიცი რაღა სახელით აღარ შევიმკე თავი...

სახლში „სასწრაფო დახმარების“ მანქანით მიმიყვანეს, ოღონდ... საგიჟეთის გავლით.

ნამუსის ქული

ეჰ, დაილოცა ის დრო, როცა სიკეთესა და პატიოსნებას დაფასება ჰქონდა. ჩემს სიცოცხლეში ჭიანჭველა რომაა, ჭიანჭველა, ისიც არ გამისრი-

სავს, ბუზი რომააა, ბუზი, ისიც არ მომიკლავს. ძე-
ხორციელისთვის არ მიწყენინებია იოტისოდენა
რამე და ასეთ კაცს მეკუთვნის განა, ისე გამლან-
ძღონ, როგორც ჩემმა ბიძაშვილმა პოლიკარპემ
გამლანძღა?

ერთხელ სამსახურიდან ავტობუსით ვბრუნ-
დებოდი სახლში. იმ დღეს ხელფასი ავიღე, შვე-
ბულების ფულიც, გვარიანი პრემიაც, სულ ასე
ოთხას მანეთამდე და ჩინებულ ხასიათზე გახლ-
დით. ნავიყვან ცოლ-შვილს აგარაკზე, ჩვენც ცო-
ტას დავისვენებთ, გავიხარებთ, მოვლონიერდე-
ბით-მეთქი, ვფიქრობდი ჩემს ჭკუაში და ოცნებამ
ისე გამიტაცა, ველარც ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ
ვინმეს. ჩავიყავი ჯიბეში ხელი, მიხდოდა მოვფე-
რებოდი „ხელის ჭუჭყს“, ამდენ ნეტარებას რომ
მიქადდა, მაგრამ სადაა ფული. გვერდზე ერთი
ამღვრეულთვალეზიანი ახალგაზრდა მედგა, მივ-
ხვდი იმის ოინები იყო ეს. ვეცემი-მეთქი, დავაპი-
რე და ან მოვკლავ ან ნავართმევ ჩემს მოპარულ
ოცნებებს-მეთქი. მაგრამ ამ დროს... გაჩერდა ავ-
ტობუსი, გაიღო კარი და... მილიციელი ამოვიდა.
ცოდოა ეს ახალგაზრდა, მე რომ დებოში ავტეხო,
ციხეში ჩასვამენ და ცოლ-შვილი დაეჩაგრება-
მეთქი, გავიფიქრე. ის ზაფხული, მართალია, ჩემს
ოჯახს პაპანაქება სიცხეში გავატარებინე, აგარა-
კი ველარ ვალირსე, ქურდმა კი შეიძლება კარგი
დრო ატარებინა თავისიანებს, მაგრამ... სანაცვ-
ლოდ ნამუსის ქუდი მაინც შევინარჩუნე, კაცი არ
დავაჭერიხე, სიკეთე დავთესე, ბოროტება არ ჩა-
მიდენია.

ერთხელაც ჩემმა უფროსმა გამომიძახა. ვეახ-
ლე კაბინეტში. ხალხი კი ჰყავდა, მაგრამ ყველა გა-
რეთ გარეკა ჩემი გულისათვის. მარტო რომ დავრ-
ჩით, „პახმელიასაგან“ გასიებული თვალებით ისე
ამათვალაიერ-ჩამათვალაიერა, თითქოს პირველად
მხედავსო და ჩახლეჩილი ხმით დამიღრიალა:

რად იგვიანებ სამსახურში?

დიახ, გუშინ ხუთი წუთით შემაგვიანდა, – შევ-
წუხდი მე, – წინა ღამეს სტუმრები მყავდა. დილის
ხუთ საათამდე ვერაფრით მოვიშორე ის ობრები...

ხუთი წუთით დაგაგვიანდა თუ ხუთი საათით,
დაგვიანება დაგვიანებაა. ნემსის ქურდი და აქლე-
მის ქურდი ორივე ქურდებიაო. ჰოდა, ასე, – მო-
მიჭრა მკვახედ, – ან ორას მანეთს მომიტან ხვალ,
ან სამსახურს გამოეთხოვები. ეხლა კი მოუსვი
აქედან და ჭკუით იყავი!

დამცირებული და დარეტიანებული გამოვ-
ძუნძულდი კაბინეტიდან.

ჰმ, უსინდისო და გათახსირებული, – ვფიქ-
რობდი გაცეცხლებული, – თვითონ მთელი დღე
ლოტობს და ქალებში დაეთრევა, მე კი ოცდაათი
წლის განმავლობაში ერთხელ დამაგვიანდა სამ-
სახურში, ისიც ხუთი წუთით და ხედავ, რა დღე
მაყარა. ფუ, ეგ არაკაცი, ქრთამიც კი მთხოვა. და-
ვუნომრავ ეხლა მე მაგას ფულს და ამოვაყოფი-
ნებ თავს, სადაც ჯერ არს, – გავიფიქრე და იმა-
ვე წამს ტანში გამაჟრჟოლა, ესეთი აზრი თავში
როგორ მომივიდა, ამ სიბერეში მაბეზღარობას
მივყო ხელი და კაცი დავლუპო, რას იტყვის მე-
რე ხალხი ჩემზე-მეთქი. რაღას ვიზამდი, ვისესხე

ფული და მივართვი მეორე დღეს უფროსს. ჰოდა, ამგვარად, გავიჭირვე, ვალებში ჩავვარდი, მაგრამ მაგიერად ნამუსის ქუდი მაინც შევინარჩუნე, კაცი არ დავაჭერინე, სიკეთე დავთესე, ბოროტება არ ჩამიდენია.

სიკეთის გულისათვის შვილიც კი გავწირე, შვილიც. ჩემს მეზობელ კოლიას, ლუდით რომ ვაჭრობს, მაგრამ მილიონებს ეთამაშება, დღისით სამსახურში ყველის ვაჭარივით რომ იკრიჭება, საღამოთი ქუჩაში კი კვახივით იბერება და ველარავის ცნობს, ერთი შვილი ჰყავს. ბაყაყს მეტი ჭკუა ექნება, ვიდრე იმას, მაგრამ მაინც მოეწყო უმაღლესში მამის წყალობით. ჩემი ბიჭი კი გარეთ დარჩა, ქულა, მარტო ერთი ქულა არ ეყო, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა, ამას ვინ ჩივის. კოლიას შნო აქვს და ცხოვრობს, მე რას მიშავებს? რაცა აქვს, ღმერთმა შეარგოს, შურიანი კი არა ვარ, შემშურდეს იმისი ქონება, მაგრამ დამცინის ის ოხერი, მასხრად მიგდებს ჭკვიან ვირს მეძახის, თავსა მჭრის მეზობლებში და ეგაა სანყენი. ერთხელ საჯაროდ გამათახსირა კიდევ. მერე სულ ტყუილუბრალოდ. შენც მათხოვარი ხარ და შვილიც მათხოვარი გეზრდებაო.

კოლიას ბიჭის უმაღლესში მოწყობის „საიდუმლოება“ ხუთი თითივით ვიცოდი. თვითონ და იმის ენაჭარტალა ცოლს ჰქონდა ათასჯერ მოყოლილი ჩემთანაც და სხვასთანაც. ახი არ არის, ეხლა ვუჩივლო, თვითონაც დავაჭერინო, იმისი შვილიც გამოვავადებინო ინსტიტუტიდან და მთელი ოჯახი გავუუბედურო-მეთქი. გავიფიქრე ცხელ გულზე, მაგრამ მე ამას როგორ ვიზამდი? ვჭამე სირცხ-

ვილი, ჩავყლაპე ნყენა და შეურაცხყოფა, მაგრამ სამაგიეროდ ნამუსის ქუდი მაინც შევინარჩუნე, კაცი არ დავაჭერინე, სიკეთე დავთესე, ბოროტება არ ჩამიდენია.

პარკში ვისვენებდი. ვიჯექი ჩემთვის ერთ კუთხეში სკამზე, ხარბად ვისუნთქავდი სუფთა ჰაერს და ვტკბებოდი ყვავილების მშვენიერებითა და სურნელებით. ისეთ ხასიათზე ვიყავი, მთელი ქვეყანა მიყვარდა. აი, ის გულგაღელილი ყმანვილიც კი, იქვე ახლოს უაზროდ რომ დაყიალობდა და ნაბახუსევი უნმანურ შაირებს მღეროდა.

რა მოხდა მერე, ატაროს დრო, სანამ ახალგაზრდაა, დარბაისლობა სიბერეშიც ეყოფა-მეთქი, – გავიფიქრე და გავუღიმე.

რა კრეტინივით იღრიჭები, – შემომიბღვირა და მომიახლოვდა. მერე კი მკითხა:

რა გქვია შენ?

პეტრე, – ვუპასუხე და ხელი გავუწოდე, – კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა, ჩემო ძმობილო!

რატომ პავლე არა გქვია. შენი დედაო, -შემიკურთხა ერთი მაგრად და ისეთი ლანანი გამადინა სახეში, რომ სკამიდან ჩამოვვარდი და დავეცი. შემდგა ზედ წიხლებით და ისე მყეუჟა, რომ ლამის ტვინის შერყევა დამემართა. კიდევ კარგი რომ ხალხი მომეშველა, გააშვებინეს ჩემი თავი, თორემ ეგებ მოვეკალი კიდევ. მაინც არ ვუჩივლე. იმ გატყეპის შემდეგ ეხლაც არ ვვარგივარ, მაგრამ მაგიერად მაბეზლარა არ გავხდი, ნამუსის ქუდი შევინარჩუნე, კაცი არ დავაჭერინე, სიკეთე დავთესე, ბოროტება არ ჩამიდენია.

აი, ასეთი კაცი ვარ მე და კიდევ გეკითხებით, ღირსი ვარ განა ისე გამლანძლოს ადამიანმა, როგორც ჩემმა ბიძაშვილმა პოლიკარპემ? იცით რა მითხრა მერე იმ არაკაცმა? შენ სიკეთეს კი არა, ბოროტებას თესავ და სატანას შენზე უკეთესი ძმაკაცი არა ჰყავსო!

აი იმას კი ნამდვილად ვუჩივლებ. პასუხს ვაგებინებ ცილისნამებისათვის. ვასწავლი პატიოსანი კაცის დაფასებას. არ შევარჩენ ჩემს გამასხარავენას და ღირსიც იქნება, ღირსიც!

პაი უფროსობისაგან

ძნელი ყოფილა, ძმაო, უფროსობა, ძნელი. მე რომ დომენტის საცოდაობას ვუყურებ, მტერს არ ვუსურვებ დიდკაცობას.

ჭკუამ დალუბა სანყალი, ჭკუამ.

ერთ დღეს, დაინვას იმ დღის სახსენებელი და მახსენებელი, დაუბარებია დომენტი უფროსს და უთქვამს:

ხვალ კრება უნდა გავმართოთ. იმ კრებას ზემოდან ერთი დიდი კაცი დაესწრება. სიტყვით უნდა გამოვიდე და აბა, შენ იცი, როგორ დამინერო.

თან დაუყოლებია კიდევ:

ხომ იცი, ეხლა სხვა დროა და სიტყვაც დღევანდელი დღის შესაფერისი უნდა დაინეროსო.

დომენტის ის ლამე თეთრად გაუთენებია, მოუკრებია მთელი თავისი ცოდნა, სწავლა, განათლება,

გაუხსენებია საკუთარი და სხვისი გულისტკივილი, შეუკაზმავს ყველაფერი ეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, წლების განმავლობაში ნატანჯ-ნაჯახირევი აზრებით და გამოუცხვია სიტყვა, მაგრამ რა სიტყვა.

უფროსი რომ ტრიბუნაზე ასულა და პირი დაუღია, მთელი დარბაზი თურმე ეგრე სახადაფრენილი დარჩენილა ბოლომდე.

მორჩენილა კრება, შენ ხარ ჩემი ბატონი, და იმ ზემოდან მოსულ დიდკაცს უთქვამს თურმე ვილაცისთვის:

ეგ სიტყვა ნამდვილად მაგის დანერვილი არ იქნება და სასწრაფოდ გამიგე, ვინ დაუნერაო.

ჰოდა, გაუგიათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და პირდაპირ იმ შეჩვენებულ დიდკაცთან მიუყვანიათ ჩვენი დომენტი.

ის სიტყვა შენი დანერვილიაო? – უკითხავს დომენტისთვის.

ჩემი დანერვილია, ბატონო, და თუ რამე არ მოგეწონათ, ნუ დამღუპავთ, ცოლ-შვილის პატრონი ვარო.

დაღუპვა კი არა აშენება გვინდა თქვენო, – უთქვამს დიდკაცს.

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გააუფროსეს დომენტი, მაგრამ ისე აშენდეს იმ დიდკაცის ოჯახი, როგორც დომენტი ააშენეს გაუფროსებით.

უფროსმა, ვის ადგილასაც დანიშნეს დომენტი, ინტრიგანი, კარიერისტი და გველი უნოდა მას.

ა, მის დღეში დომენტიზე ცუდი რომ არავის უთქვამს, ახლა უცებ გახადეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ინტრიგანიც, კარიერისტიც და გველიც.

სხვა ბევრი „საპატიო“ წოდებაც უბოძეს მალე. ორი დღის დანიშნული არ იყო ახალ თანამდებობაზე დომენტი, რომ იმის ნათესაობასა და ნაცნობ-მეგობრობაში მეხვივით გავარდა ხმა:

ჩვენი დომენტი გაუდიდკაცებიათ, მთელი ქვეყნის ბედი იმისთვის ჩაუბარებიათო.

დედა, მერე რამდენი ახლობელი და მეგობარი გამოუჩნდა, შაჰ-აბასს არ ეყოლებოდა იმდენი ჯარი. თუ ვინმეს როდისმე ლიმონათი მაინც დაუღევია მასთან, თავს დომენტის ძმაკაცად და სახლიკაცად ასაღებდა. დაიძრა ეს ლაშქარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და დაუდგა სანყალს მისაღებში ვაი-უშველებელი რიგი.

შვილი უმაღლესი უნდა მომიწყოო, – ეხვეწებოდა ერთი.

პატარა თანამდებობა მეც მომეცი. დიპლომი, მართალია, არა მაქვს, მაგრამ, ნახავ, ეს დასაქცივი ქვეყანა თუ არ ავაშენოო, – არწმუნებდა მეორე.

ჩვენი სოფლის კოლექტივი ჩავარდა და გამიშვით თავმჯდომარედ, მე ამოვაგდეო, – ვითომ ხუმრობდა მესამე.

და ასე გაუთავებლად. მარტო ის არავის უთქვამს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქურდი ვარ, მილიცია და პროკურატურა არ მიჭერს და დამიჭირე. შენი ჭირიმე, უვიცი, თავხედი ვარ, ყოყინას ჩემზე მეტი ჭკუა, განათლება და ზრდილობა აქვს, ჩემთვის ორი ბატის ნდობა არ შეიძლება და ამდენ ხალხს როგორ მანდობო, პანღური ამომკარით, გამაგდეთ და მაღარიჩს ვიკისრებო, ცუდი კაცი ვარ, საქვეყნოდ გამლანძღე და ეგებ გამოვსწორდე, თუ

ჩემი ძმა ხარო, თორემ უთხოვნელი სხვა არაფერი დარჩენიათ. მერე ყველა უკანონობას მოითხოვდა კანონის ძალით, უსამართლო საქმის ჩადენას – სამართლიანობის დასამყარებლად, უღმერთობას – ღვთის გულისთვის. ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ყველაფერ ამ სისაძაგლეს როგორ ჩაიდენდა დომენტი. ამ უწინდელ „კაცურ კაცს“ ტყლაპივით მიეკრა შუბლზე „რესპუბლიკის დამსახურებული უვარგისის“ სახელი.

ახლა იმას აღარ იტყვით, როგორ გადაიკიდა ცოლ-შვილი? სხვებმა ოჯახები აავსეს, დიდკაცები რომ გახდნენ, და შენ დაგვიცარიელო, შენ ხარ ჩემი ბატონი. მარტო ცუდი ხალხი ხომ არ აწუხებდა, მთხოვნელებში ბევრი გაჭირვებულიც ერია. კანონი ცოლ-შვილს ერჩივნა და როგორ დაარღვევდა. ჰოდა, როცა უამისოდ განკითხვა ვერ ხერხდებოდა, თავისი ჯიბიდან უწევდა დახმარებას. სტუმარი რომ ეწვეოდა სამსახურში, შენ ხარ ჩემი ბატონი, სხვებივით სხვას კი არ აკისრებინებდა პურ-მარილს, სახლში მიიპატიჟებდა. როდემდის გაუძლებდა ოჯახი ამდენს და დაენგრა სანყალს ყველაფერი თავზე. გაეყარა ცოლ-შვილი.

მერე მადლობელი მაინც დარჩენოდა ვინმე. კაცი უკანასკნელ დანაზოგს ხარჯავდა, ფულს სესხულობდა მეზობლებში და ისე აწყობდა სუფრას, მაგრამ სტუმარს ხომ არ ეტყოდა, ასე და ასეაო საქმე. ჰოდა, ისინიც დაბოლმილნი ეთხოვებოდნენ იმის ოჯახს, საიდან აქვს ამდენი შეძლება, თუ მექრთამე არ არისო, და უწყალობეს სანყალ დომენტის „სახალხო მექრთამის“ სახელიც.

იმაზე მეტი საშინელება რალა იქნება, გალიმე-
ბისა ეშინოდეს კაცს, შენ ხარ ჩემი ბატონი. საკმა-
რისი იყო კბილები დაეკრიჭა ვინმესთვის და ჩე-
მი ძმა-კაციად დომენტი, დაყრიდა ის კაცი ხმას,
უთხოვნელს სთხოვდა და თუ ვერ შეუსრულებდა,
მთელ ქვეყანაზე მოჭრიდა თავს. ჰოდა, ასე შე-
იცვალა და დაავადმყოფდა ადამიანი. იყო ლალი,
გულღია, ღიმილიანი, საქმიანი, ჯანმრთელი, შენ
ხარ ჩემი ბატონი, და გახდა დარდიანი, გულდახუ-
რული, პირქუში, უსალმო და ჯანგატეხილი.

ჰოდა, აღარ შეუძლია კაცს – დადის და შეაქვს
განცხადებები ხან სად და ხან სად. ეხვეწება ყველას,
ხალხი არა ხართ, გამათავისუფლეთ თანამდებობი-
დანო, მაგრამ არავინ შედის იმის მდგომარეობაში.
ის კი არა და დაწინაურებას უპირებენ თურმე, და
თუ მართლა მოხდა ესე, მაშინ ნახეთ იმის საცოდაო-
ბა, თორემ ეს კიდევ რაა ჯერ, შენ ხარ ჩემი ბატონი.

ცოდოა დომენტი, ცოდო, შენ ხარ ჩემი ბატო-
ნი, შეიცოდეთ, შეიბრალეთ, მოხსენით თანამდე-
ბობიდან და, თუ გნებავთ, მე დამნიშნეთ იმის ად-
გილას, მე დამაწინაურეთ იმის მაგივრად, შენ ხარ
ჩემი ბატონი.

არ გეგონოთ ინტრიგანი

ერთი ჭიქა დაგვილიე, ოფიციანტი!

გმადლობთ, აღარ შემიძლია...

ნუ ინაზებთ, სადაც ამდენი გიყლაპავს, ერთიც
დაუმატე, მოზვერივით ბიჭი ხარ, არ წაგაქცევს.

მაშინ ერთ სადღეგრძელოს ვიტყვი, თუ არ შემრისხავთ...

აბა, ჰე!

ცხონებული მამაჩემი დიდ სიბრძნეს მასწავლიდა, ნურავისი ნურაფერი შეგშურდება და ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში შენიც არავის არაფერი შეშურდებაო. შენც უნდა იცხოვრო და სხვაც აცხოვროო. ვენაცვალე ჩემს ხალხსო. მე ერთი უბრალო კაცი ვარ, უნიგნური და უსწავლელი, მაგრამ აბა მიიხედ-მოიხედე, ჩვენს მეზობლობაში ვინა ცხოვრობს ჩემზე უკეთესადაო. მთელი ჩემი ცხოვრება მამაძალლობაში გამიტარებია, ჰო, ესე ამბობდა ცხონებული, მამაძალლობაში გამიტარებიაო... მაგრამ აბა, თუ ვინმეს უთქვამს, მე რატომ არა მაქვს და იმას რატომა აქვსო. ვინმეს რომ დავებეზღებინე, ციმბირს აქეთ დამატოვებინებდნენ. შვილო, მაგრამ ესეთი რამე-რუმეები ჩვენს ხალხს არ უყვარს და ვენაცვალე იმასაო...

შენა, შენც ბევრს მამაძალობ თუ ცოტას?

რა ვიცი, ვცდილობ, მამაჩემს არ ჩამოვრჩე... აბა რა ვქნა, ჯერ მარტო ჩემი ბეყერი ბიჭის უმაღლესში მონყობა რა დამიჯდა, იცით? მერე მე ამდენი ფული საიდან მექნებოდა, თქვენ რომ არ მყავდეთ ესეთი კარგები? ძალლი არ უნდა ვიყო, ქოფაკი ძალლი, გულით არ დავლიო თქვენი სადღეგრძელო, ჩემი ხალხის სადღეგრძელო?!

მახსოვს გამყიდველად რომ ვმუშაობდი, იმპორტულ ფეხსაცმელებსა ვყიდდი. ცოტა მეტს ვართმევდი მყიდველებს, აბა რა მექნა, ჯერ მარტო ჩემს გოგოს მზითევში რამდენი გავატანე

იცით? აქეთ ავეჯიო, იქით მანქანაო და ათასი სხვა რამ და მერე ყველაფერ ამას ფული არ უნდოდა, ჩემი ხელფასი ეყოფოდა? ჰოდა, იმას ვამბობდი, ცოტა მეტს ვართმევდი მყიდველებს, მაგრამ კაციშვილი ხმას არ იღებდა. მარტო ერთმა მათხოვარმა ამიტება ჩხუბი, ეს ფეხსაცმელი ორმოცი მანეთი ღირს და სამოცს რად გვართმევო. შიშით გული გადამიბრუნდა, მაგრამ, ვენაცვალე ჩემს ხალხს, ესეთი კარგი რომ არა მყავდეს, რა მეშველებოდა. მხარი არავინ დაუჭირა. პირიქით, ხელიდან გამოგლიჯეს ფეხსაცმელი, შენ თუ არ გინდა, ჩვენ გვინდაო. ხახამშრალიც დატოვეს და გამოლანძღეს კიდევც.

როგორღაც რესტორანში სამი კარგი ბიჭი შემოვიდა. კარგად მოვემსახურე და ოცი მანეთიც ზედმეტი ავნაპნე, აბა რა მექნა, გარაჟი მქონდა ასაშენებელი და მუქთად ვინ ამიშენებდა? ჰოდა ის იყო ფული ჩავიჯიბე, რომ ვიღაც ინტრიგანი გამოჩნდა, აბა, ერთი ხელახლა უანგარიშეო, მითხრა. ოფლში გავინურე, რალა მექნა, არ ვიცოდი, მაგრამ ისევ ბიჭებს შევეცოდე. დანყნარდი, ძმობილო, დაგავინყდა, ძმაკაცთან ხილი და შამპანური რომ მივატანინეთო, ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ ვითომც კიდევაც ნაკლები მიანგარიშებია. მაშ არ უნდა ვენაცვალო ჩემს ხალხს, ესეთი კარგი რომ არა მყავდეს, რა მეშველებოდა?

ერთხელაც ერთ კარგ კამპანიას მოვემსახურე. ანგარიშის გასწორების დრო რომ მოვიდა, ოცდაათი მანეთით მეტი მოვთხოვე, მაშ, რა მექნა, მანქანა მყავდა გასარემონტებელი, ფული მჭირ-

დებოდა. დააძრო ერთ-ერთმა კლიენტმა წითელი წიგნაკი და მიყვირა, იცი, ვის ატყუებ, მე ესა და ესა ვარო. ის იყო მუხლებზე უნდა დამეჩოქა და შევხვეწოდი, ნუ დაღუპავ ჩემს ცოლ-შვილს-მეთქი, მაგრამ უცებ დაცხრა, მხარზე ხელი მომითათუნა და მითხრა: ჰო, კარგი, კარგი, ათ მანეთს კიდევ დაგიმატებ, ოღონდ ინტრიგანი არ გეგონო.

მაშ არ უნდა ვენაცვალო ჩემს ხალხს, ესეთი კარგი რომ არ მყავდეს, რა მეშველებოდა? გაგიმარჯოთ, ბიჭებო, მიცოცხლოს და მიდღეგრძელოს თქვენი თავი, ინტრიგანები არ გამხდარიყავით!..

ვაიმე, ვისი საქებარი გახდა ჩემი ხალხი!..

პანლური ამოჰკარით, ვინა ვგონივართ ჩვენ მაგას!

კარგი, ბიჭო, გაჩუმდი, ინტრიგანი არავის ვეგონოთ, სირცხვილია!..

შესვი, გაამოს!..

ჰოდა, მეც გახვეწებთ ყველას, ინტრიგანი არავის გეგონოთ ამ ნოველის დაწერისათვის.

მონანიება

ოჯახი აგარაკზე გავისტუმრე. სახლში მიმავალი გზად მეგობრებს შევხვდი. დაცარიელებული ბინისაკენ მარტოს გული არ მიმინევდა და თან გავიყოლე. კარგი შინაური ღვინო მაქვს-მეთქი, ვუთხარი და ბევრი პატიჟი არ დასჭირვებიათ.

ის იყო სუფრა გავშალეთ და მაგიდას შემო-
ვუსხედით, რომ ზარი დაირეკა. კარი გავაღე. ვი-
ლაც უცნობმა კაცმა მორცხვად გამიღიმა, ხელი
გამომიწოდა და მითხრა:

თქვენი მეზობელი გახლავართ, რომან მიშვე-
ლაძე.

არც სახელი მეცნობა ამ კაცისა, არც გვარი,
მაგრამ რა მოხდა მერე, ჩამოვართვი გამოწვდილი
ხელი და შემოვიპატიჟე, შემომყვა. რევაზსაც და
ვანოსაც გაეცნო და მაგიდას შემოუჯდა.

მოვეყვით სადღეგრძელოებს. რამდენიმე ჭი-
ქა ისე დალია, ეგრე იყოსო, იმის მეტი არაფერი
უთქვამს. მერე კი, როცა სტუმრის სადღეგრძელო
შევსვით და რომანსაც სამადლობელო უნდა ეთქ-
ვა, აიღო ჭიქა, ერთი ამოიოხრა და თქვა:

ექვსი წელი გავატარე საპატიმროში. ამ დილას
დავბრუნდი.

სიგარეტი ამოიღო. შემოგვთავაზა. უარი
ვუთხარით, არ ვენეოდით, ნებართვა ითხოვა, თუ
შეიძლება მოვნიოო და დასტური რომ მიიღო, გაა-
ბოლა. მერე განაგრძო.

ფანჯრიდან შეგნიშნეთ. ცოლს ვკითხე, ვინ
არიან-მეთქი. იმ ორს არ ვიცნობო, მითხრა, ეს
კიო, გურამზე მიმითითა, ჩვენი მეზობელია, ახა-
ლი გადმოსულია, ჩვენს ზევით ცხოვრობსო.
გულმა თქვენსკენ გამომიწია. სუფრაზე მალე გა-
იცნობა კაცი. ზოგი თვალთმაქცობს, მაგრამ გა-
მოცდილ თვალს ეს არ გამოეპარება. მე კი, თუ
დამიჯერებთ, ბევრი რამ მინახავს ცხოვრებაში
კარგიც და ავიც. ათასი ჯურის კაცჩს შევხვედრი-

ვარ. შეგატყუეთ პატიოსანი ხალხი ბრძანდებით და თუ თავს არ შეგანყენო, პატარა აღსარება მინდა ჩაგაბაროთ.

ბრძანეთ! – ვუპასუხეთ და იმანაც დაიწყო.

უმაღლესი რომ დავამთავრე, ნათესავები დამეხმარნენ და კარგი სამსახური გამომიძებნეს. ხელფასიც ცუდი არა მქონდა, თანამდებობაც, მაგრამ, ეს იყო, ატმოსფერო გახლდათ საზიზღარი. ჩარჩულ სულს იქ ისე მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული, რომ ბევრს „გამარჯობაზე“ პასუხის გაცემაც კი ეზარებოდა, ფულს თუ არ დაანახვებდი.

ბიჭი ხარ და შეინარჩუნე ასეთ წრეში პატიოსნება. ცდუნებასაც რომ არ აჰყვე, აბა გაუძელი, როცა ყველა ამკარად დაგცინის და ისე გიყურებს, როგორც გლახას. ბევრჯელ დავაპირე გავცლოდი იქაურობას, მაგრამ ხალხის გაკილვისა მეშინოდა. იმას კი არ იფიქრებდნენ, პატიოსანი კაცია და ჯიბეებში გამოექცაო. უვარგისიაო, უვიციო, იტყოდნენ, ალბათ რაღაც დააშავა, პანლური ამოჰკრეს და გამოაგდესო, თორემ ესეთ კარგ სამსახურს ნებით ვინ დატოვებდაო.

სამი წელი გავატარე ამ ყოფაში.

ერთხელ, დაიქცეს ის დღე, სამსახურიდან სახლში ფეხით მივდიოდი. ტანსაცმლის მაღაზია გზად იყო და რომ მივუახლოვდი, შევნიშნე, ბავშვის იმპორტული პალტოები გამოჰქონდათ. ძალიან მომეწონა. ვუყიდი ჩემს ხათუნასაც-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ გამახსენდა, რომ ჯიბეში მარტო ხურდა ფული მეყარა. იმ დროს ოჯახში დიდი

ხარჯები მქონდა. ტელევიზორი ვიყიდე, მაცივარი შევიძინე, კიდეც რალაც-რალაცეები და ვალებში ვიყავი ჩავარდნილი.

ეჰ, არა უშავს რა, – ვინუგეშე თავი, – წელს როგორმე გავალ იოლად, მერმისს კი უკეთესს ვუყიდი.

ის იყო გზა უნდა გამეგრძელებინა, რომ ბავშვის კისკისი შემომესმა. მივიხედე, ჩემი ხათუნას ტოლი გოგონასთვის ეყიდათ ის პალტო, ჩაცვით და უხაროდა. ძალიან უხდებოდა. ხათუნას უფრო დახატავს-მეთქი, გავიფიქრე ამაყად. ნეტარების ღიმილმა გადამიარა სახეზე, როცა წარმოვიდგინე, პალტო რომ მიმეტანა, როგორ გადაირეოდა სიხარულით, როგორ ჩამომეკიდეოდა კისერზე, მაკოცებდა და მაკოცნიებდა.

ეჰ, მართლა საცოდაობაა ჩემს სამსახურში ჩემნაირი კაცი მუშაობდეს, – გავიფიქრე, – მართო მოვინდომო და ერთს კი არა, ათ პალტოს გამატანენ, აქეთ მადლობელიც დამრჩებიან, მე, რომან მიშველაძე, ასე მცირედს თუ დავთანხმდები.

გამახსენდა ჩემი თანამშრომლები. იმათი გაბლენძილი ცოლები, გამოპრანჭული შვილები, დროსტარება. შევადარე მერე ამას ჩემი ოჯახის მდგომარეობაც: მეუღლის ყოველდღიური ჩივილი ეს არა გვაქვს, ის არა გვაქვსო, ხათუნა, სამი წლისამ რომ უკვე იცოდა, იმის „მიყიდეზე“ მამა თუ ეტყოდა, ფული არა მაქვსო, რას ნიშნავდა ეს. და თავი შემეცოდა. შემშურდა იმათი, ვინც არ თაკილობდა მოეპარა და ქრთამი აელო. მყისვე უკუვაგდე ეს ფიქრები. თავი ვინუგეშე იმით, რომ მე შიშის

გამო კი არ ვამბობ უარს ქრთამზე, არამედ ჩემი პატიოსნებისა გამო. მაგრამ ეშმაკი თუ ერთხელ შეგიჯდა თავში, ეგრე ადვილად აღარ მოგეშვება და ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

მიდი, შე უშნო, ერთი პალტო გამოართვი, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა ამით?

მერე მაგათი ტოლი გავხდე? საკბენად გამოქცეულ აყეფებულ ძაღლს რომ პურის ნატეხს გადაუგდებენ და გააჩუმებენ, ისე მე უნდა დამადუმოს მაგათმა მოგდებულმა ლუკმამ?

ვის გასჩხერია ეგ ლუკმა ყელში, რომ შენ გაგეჩხიროს, ქვეყანას გამოასწორობ ვითომ შენი პატიოსნებით?

ქვეყანა იქნებ ვერ გამოვასწორო, მაგრამ იმის დაქცევს კი ნამდვილად არ მინდა შევეუნყო ხელი.

ჰო, კარგი, ნუ დააქცევ ქვეყანას, მაგრამ შედი მაღაზიაში და სთხოვე, იმდენი პატივი გცენ, რომ ნისიად მოგცენ ერთი პალტო.

შევეყოყმანდი ერთხანს. მერე კი დავეთანხმე.

ჰო, მართლაც, რა დიდი ცოდვა იქნება. ვეტყვი, ფული სახლში დამრჩა, მერე მოგიტანთ-მეთქი.

ვნახე დირექტორი, უარს როგორ გამიბედავდა. თქვენისთან კაცურმა კაცმა სული რომ მთხოვოს, იმასაც არ დავუჭერო. მოატანინა პალტო, გაახვევინა და მომცა. მერე მანქანაში ჩამსვა და სახლამდე მიმაცილა. დამიცადა, ფულს ახლავე ჩამოვიტან-მეთქი, როგორ ჩამოვუტანდი, სესხებაც რომ მომეხერხებინა, ესე უცბად სად ვისესხებდი. ყასიდად ვუთხარი. ვიცოდი, რომ არ დამიცდიდა. ასეც მოხდა. გადმოვედი თუ არა მან-

ქანიდან, მაშინვე მოწყდა ადგილიდან. თითქოს ეშინოდა, მართლა არ ჩამომეტანა მისთვის ფული.

პალტოზე ბავშვის კარგი მოქსოვილი შარვალი, კაბა, ქუდი და კაშნე დაემატებინათ. მესიამოვნა. ჩემი ხათუნას სიხარულსაც ვერ აგინერთ. დანოლისას ყველაფერი ეს გულში ჩაიხუტა და ისე ჩაეძინა.

მეუღლეს ფული ვასესხებინე და მეორე დღეს მაღაზიაში მივიტანე, მაგრამ ვინ გამომართმევდა. თავი მოიკლა დირექტორმა, როგორ გეკადრებათო. ეს ჩვენი პატარა საჩუქარი იყო თქვენი გოგონასათვისო. კარგი, კარგი, ჩემზე იყოს-მეთქი, ვუთხარი და ვიგრძენი, როგორ მომედო სირცხვილისაგან სახეზე აღმური. სწრაფად გავეცალე იქაურობას. არავინ არაფერი შემატყოს-მეთქი.

გამოვედი მაღაზიიდან და ისევ შემიჯდა თავში ნაცნობი ეშმაკი.

ჰო, ეგრე, შე გლახა, რა მოხდა მერე?!

ჰო, მართლაც რა მოხდა ისეთი. დღეს იმანა მცა პატივი, ხვალ მე ვუყიდი იმის ბავშვს რამეს. მეც კაცი ვარ. ვალში არ დავრჩები, გადავუხდი.

ვალი, რასაკვირველია, არ გადამიხდია. ეს კია. თანდათან შევეჩვიე იმ აზრს, რომ პატარა საჩუქრები ანგარიშში არ იყო ჩასათვლელი და სხვა დროსაც არ მითქვამს უარი ასეთ „წვრილმანებზე“. ცოლი მიწყობოდა, არავინ აალაპარაკო, სიტყვით თორემ, ხომ ვგრძნობდი, გულში არ სწყინდა ჩემი საქციელი.

ესეთი ყოფილა კაცის ბუნება მოწყობილი. ეშმაკს თუ ერთ ბენვს დაუთმობ, მთელ შენს სხე-

ულს დაეპატრონება. მეც ასე დამემართა. თავს ვაჯერებდი, რომ კვლავინდებურად პატიოსანი კაცი ვიყავი, მაგრამ გულში სულ უფრო და უფრო ხშირად მიჩნდებოდა ქრთამის აღების სურვილი. პირველად ასეთ ფიქრს უმაღლესი თავიდან ვიშორებდი, როგორც უნმინდურს რასმეს. მერე უნმინდურობის ცნებამაც იწყო გაქრობა. უკვე უბრალოდ ჩავარდნის შიშილა მაკავებდა. თანდათან ეს შიშიც დავძლიე. ჩემს სამსახურში რამდენია მექრთამე, ვინ დაუჭერიათ, მოდი, მეც ერთხელ, მარტო ერთხელ ავიღებ ქრთამს, ცოტა წელში გავიმართებ და მეტს აღარ ვიზამ-მეთქი. პატარა ბიძგილა მჭირდებოდა და იმანაც არ დააყოვნა.

რვა მარტის წინაღლეები იყო. მე და ჩემი მეუღლე სამსახურში მივდიოდით. ქუჩაში ერთ ჩემს თანამშრომელსა და იმის ოჯახობას შევხვდით. ქალები ერთმანეთს იცნობდნენ და საუბარი გააბეს, ბოლოს ამხანაგის ცოლმა ჰკითხა ჩემს მეუღლეს:

რის ყიდვას გიპირებს ქმარი სადღესასწაულოდ?

ყვავილებს მიყიდის, სხვა რა უნდა მიყიდოს?

ყვავილებსო, – გადაიხარხარა თანამშრომლის ცოლმა, მე კი ორიათასიანი ქურქი მომიტანაო.

ო, როგორი დამცირება ვიგრძენი. შევხედე იმ ქალს, მაიმუნს ჰგავდა და თავს კი როგორ გვამეტებდა. მიწა რომ გამსკდომოდა ის მერჩივნა, ოღონდ იმისი დასაცინი არ გავმხდარიყავი.

იმ დღეს ერთი კაცი ჩამივარდა ხელში. მეხვეწა, ოღონდ ნუ დამღუპავ და რაც გინდა, მთხო-

ვეო. თავი შორს დავიჭირე. საღამოს იმის ცოლი მესტუმრა. ქვითინებდა, მუხლებზე მეხვეოდა, ნუ გაგვწირავთ, ჩვენი ბავშვები მაინც შეიცოდეთო. ველარ გაფუძელი ქალის ცრემლებს და შემწეობა აღვუთქვი. მეორე დღეს კაცმა ხუთი ათასი მანეთი მომიტანა. სანერი მაგიდის უჯრაში ჩამიდო. თავი მოვიკატუნე, ვითომც ვერ შევნიშნე. წავიდა, მაგრამ ლამის გამათავა შიშმა, მთელი ღამეც თეთრად გავათენე.

შემრჩა, მაგრამ ეს ამოდენა ფული, მილიონი რომ მეგონა პირველად, და მთელი სიცოცხლე მეყოფა-მეთქი, ვფიქრობდი, ისე გაქრა, ვერაფერი გავიგე.

ჯანდაბას, ერთხელაც წავინყმედავ სულს, – გავიფიქრე, – და მეტს ნამდვილად აღარ ვიკისრებ.

შემთხვევა ისევ მალე მომეცა. შემრჩა ამჯერადაც.

რაც მეტი აქვს კაცს, მეტი უნდა თურმე. ეხლადა დავინყეთ იმის შემჩნევა, რომ სახლს რემონტი სჭირდებოდა. რომ ხეირიანი ტანსაცმელი არ გვეცვა, რომ ყველას მანქანა ჰქონდა და მარტო ჩვენ ვიყავით დარჩენილი ისე... ერთი სიტყვით, გაგვეხსნა ცხოვრების მადა. ცოლი ეხლა მახალისებდა კიდევ. მიდი, შე უბედურო, რისი გეშინიაო. მეც თანდათან შევეჩვიე ქრთამის აღებას ისე, რომ ჩვეულებრივ საქმედ მექცა. გამიქრა შიში და სირცხვილი და ისე გავკადნიერდი, რომ, თუ ადრე რასაც მაძლევდნენ, ყაბულს ვიყავი, ეხლა უკვე თვითონ ვეუბნებოდი „გამოჭერილებს“, ცოტაა, ამა

და ამდენი უნდა დაამატოთ-მეთქი. პატიოსნების ჟამს თუ თაღლითებს მგლებსა და ძაღლებს ვე-
ძახდი, ეხლა უკვე მთელი ფილოსოფია შევიმუშა-
ვე სინდისის დასამშვიდებლად, ვითომც და ქურ-
დის ქურდი ცხონებულია-მეთქი.

ყველაზე საკვირველი ის იყო, თუ როგორ შე-
მეცვალა ინტერესები. მიყვარდა პოეზია, გამიქრა
ლექსის მშვენიერების გრძნობა. თეატრში პრემი-
ერას როგორ გამოვაკლდებოდი, ეხლა ქუდიც რო
შეგეგდო, შიგ არ შევიდოდი, ათასჯერ მერჩინა
ტახტზე წამოწოლილს ტელევიზორისათვის მე-
ყურებინა. ჭირივით მძულდა ფუფუნების საგნე-
ბი. ბროლის ჭალები, ოქროს სამაჯურები, ბრი-
ლიანტები, ახლა კი გავავსე ძვირფასეულობებით
ოჯახი. ჩემს თვალში ყოველივე კეთილმა დაკარ-
გა ფასი. ამის ნაცვლად ჩემს სულში დაისადგურა
პატივმოყვარეობამ, გულქვაობამ, ღვარძლმა და
უკიდურესმა ცინიზმმა. თუმცა ეს უკანასკნელი
უკვე სტუდენტობის დროიდან მქონდა შემოჩვე-
ული.

ბოლოს ჩავვარდი მაინც. ჩემი ბრალიც იყო.
ნამეტანი ღორობა გამოვიჩინე. მაძლია კაცმა,
რაც ჰქონდა. მეტი ვერ იშოვა, ჯიბრში ჩავუდექი,
რა ჩემი საქმეა-მეთქი. იმანაც დამაბეზლა სასო-
წარკვეთილმა.

ფული ბევრი მქონდა დატოვილი. ჩავარდნას
არ მოველოდი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში სი-
მამრის სახელზე მქონდა სალაროში შეტანილი.
ბევრს ეცადნენ ჩემს დახსნას, მაგრამ ძალიან გახ-
მაურდა ჩემი საქმე და ვერ მიშველეს.

პატიმრობა, ციხე ვისთვის რა სანატრელია, მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც გასამართლების შემდეგ ხათუნასთან შეხვედრა იყო. შვიდი წლის ბავშვს ვინ მისცა იმდენი ჭკუა, ცრემლად იღვრებოდა. გამოთხოვების დროს კი გაიხადა ძვირფასი ქურქი, სულ ბოლოს რომ ვუყიდე და მითხრა:

ეზოში ბავშვებმა მითხრეს, შენი მამიკო იმიტომ დაიჭირეს, რომ ფული მოიპარა და ეს ქურქი გიყიდაო. აჰა, არ მინდა, უკან მიეცი ძია მილიციელს და სახლში გამოგიშვას.

ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს მამა, – ვუთხარი და ცრემლები წამსკდა. ისე ავქვითინდი, ველარ მოვიბრუნე გული და ცოლს დავუყვირე, ნადით ჩქარა, გამეცალეთ-მეთქი.

პატიმრობაში, როგორც მფარველი ანგელოზი, ისე მდევდა თან ჩემი გოგონას წმინდა ცრემლების მოგონება. ამ ცრემლებმა დამანახა ჩემი არარაობა. აქედან თუ ცოცხალი გამოვედი, ჩემს ხათუნას უმამოდ აღარასოდეს დავტოვებ-მეთქი. ბევრჯერ მიმიცია ჩემი თავისთვის პირობა. იმას ვშიშობდი მხოლოდ, ხომ არ დავლუპე ჩემი გოგონა, ხომ არ დავუმახინჯე გამოუსწორებლად სული-მეთქი. იმასაც და იმის დედასაც იმდენი ფული დავუტოვე, რომ იმათ უჩემოდაც შეეძლოთ უზრუნველად ეცხოვრათ. უზრუნველ ცხოვრებას კი ვინ გაუყვითილშობილებია, ჩემი ხათუნა გაეკეთილშობინებინა. დღეს რომ ვნახე ჩემი ქალიშვილი, ეს შიში უფრო გამიძლიერდა.

ხათუნა, ხათუნა!.. – კი არ თქვა, ამოიკვნესა რომანმა და ქვითინი აუტყდა. ღვინო უკვე მორე-

ოდა და თავის შეკავება უჭირდა. შეეხედე. ეხლალა შევატყვე, როგორ მოტეხილიყო, ორმოცი წლისაც არ იყო და ორმოცდაათისას მაინც ჰგავდა.

რომანმა ბოლოს ცრემლები მოიწმინდა და განაგრძო:

პატიმრობაში, როცა ჩემი ცხოვრებისათვის გონების თვალი გადამივლია, ხშირად ჩავფიქრებულვარ, თუ როდის დაიწყო ჩემი დაცემა. მე მგონი, მაშინ, როცა ჩემს სულში ცინიზმმა დაიწყო ფეხის მოკიდება ჩემი სტუდენტობა ისეთ პერიოდს დაემთხვა, როცა ეს კაცის რწმენის ძირისგამომთხრელი სენი მოდაში შემოდიოდა. მეც ვერ გავექეცი ამ ტალღას. ცინიზმი ყველაფერს აუფასურებდა, მათ შორის ისეთ მაღალ იდეალებსაც, როგორაც ნორმალურ კაცს ქვეყნის, ერის ინტერესები, სიკეთე, კეთილშობილება, პატიოსნება მიაჩნია. მეც ეგრე მომივიდა. თვითონაც მიკვირდა, როგორ დამეწყო პატიოსნებისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარულის აუცილებლობის რწმენის რღვევა. ოღონდ ეს რწმენა ერთბაშად კი არა, თანდათან, შეუმჩნეველად მიქრებოდა, საბოლოოდ მაშინ მომესპო, როცა მექრთამეობას შევეჩვიე და ვალიარე, რომ ქურდის ქურდი ცხონებულია-მეთქი. ეხლა კი ვიცი, რომ ცინიზმი არ არის პატიოსანი კაცის პოზიცია. ცინიზმი პოტენციური სალახანობაა, ნაძირალობაა და თუ გნებავთ პოტენციური მკვლელობაცაა, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი. ეს იყო იმის მიზეზი სწორედ, რომ წინააღმდეგობა არ გამინევია ამ სენისათვის. ჩემში რომ ცინიზმს არ გაეუფასურებინა ადამიანისათვის პატიოსნების სასიცოცხლო

აუცილებლობის რწმენა, როგორ წრეშიც არ უნდა მეტრიალა, სულს ვერაფერი წამინწყმედდა, მაგრამ ვაი, რომ ეს ვერ შევძელი. ეხლა კი შევძლებ, დავიბრუნო რწმენა? არ ვიცი, სურვილი დიდი მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ ძალზე ძნელი იქნება. უნდა შევძლო, ჩემი ხათუნას გულისთვის მაინც უნდა შევძლო.

რომანმა სათითაოდ შემოგვხედა ყველას, თითქოს აინტერესებდა, გვჯეროდა თუ არა მისი, ფეხზე წამოდგა და თქვა:

გმადლობთ დღეგრძელობისათვის. იმდენად გამიმარჯოს, რამდენადაც შევძლებ, რომ თქვენი კეთილი სიტყვების ღირსი გავხდე. თქვენც ყველას გაგიმარჯოთ და მაპატიეთ, უნდა მიგატოვოთ. ძალზე დავიღალე და ძილს ველარ ვერევი.

სასმისი დაცალა, მერე პირქვე დაამხო მაგიდაზე, ასე მტერი დაგეცალოთო, მადლობა გადაგვიხადა, გამოგვემშვიდობა და წავიდა.

ვითომც ახალი ცხოვრების დამწყებია ეგ? – იკითხა რევაზმა.

გამორიცხული არ არის, – შეეპასუხა ვანო.

ტყუილია, კაცი თუ ერთხელ ჭამას მიეჩვია, მერე ველარ გადააჩვევ. კარგი ცხოვრების სიყვარული მაგას ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, ასჯერ რომ დაიჭირონ, გამოვა და ასჯერვე ისეთსავე ცხოვრებას დაიწყებს. კუზიანს სამარის მეტი ვერაფერი გაასწორებს.

მე კი მგონია, რომ იმის მთელი აღსარებაცა და მონანიებაც გულწრფელ იყო.

ამას არც მე უარვყოფ. რომანს თვითონაც სჯეროდა, რასაც ამბობდა. ის მართლაც შეეც-

დება განიბანოს ცოდვებისაგან, მაგრამ ვერ შეძლებს. პირველ ხანებში შიშის გამო შეეცდება, რომ კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩაიდინოს, მაგრამ ეს ვერ უშველის. შიში ადრე თუ გვიან მაინც გაუვლის და ის ისევ ძველ გზას დაადგება. მითუმეტეს, რომ იმის სულის წამწყმედ ეშმაკს ეხლა ორი ძლიერი თანაშემწეცა ჰყავს – რომანის ცოლი და შვილი.

რომანმა სწორად შეაფასა თავისი ცხოვრება. ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

მაგრამ ის მაინც ვერ შეძლებს დაკარგული რწმენის დაბრუნებას. ეს შეუძლებელია.

მე კი ვფიქრობ, რომ შესაძლებელია. შენ რაღას იტყვი, გურამ? – მომიბრუნდა ვანო.

თავისებურად ერთიც მართალი მეჩვენებოდა და მეორეც. მიჭირდა გადაწყვეტით რაიმეს თქმა და ამიტომაც პირდაპირ პასუხს თავი ავარიდე. ვნახოთ, ვნახოთ-მეთქი, ისლა ვუთხარი.

ღმერთო, გვასწავლე სიკულპილი!

ჩემი მეგობარი ლევანი, რომ ასპირანტურაში ჩაირიცხებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. ძლიერი სტუდენტი იყო და ფაკულტეტზე ბადალი არ ჰყავდა. მთელს ინსტიტუტში ბევრი არ მოიძებნებოდა იმისთანა. თუმცა კათედრის გამგე არ სწყალობდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ცოდნითა და ნიჭით ლევანი და მისი კონკურენტი ისე

განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა. თუმცა ვინა თქვა სასწაული არა ხდებო...

გამოცდაზე შესულს ინსტიტუტის ეზოში ველოდებოდი, თვალები კი სულ შენობის კარებისაკენ მეჭირა. ვფიქრობდი, ან ეხლა გამოჩნდება სახეგაბრწყინებული ლევანი ან ეხლა-მეთქი. დიდხანს მალოდინა. როდის, როდის და, როგორც იქნა, გამოჩნდა.

ჰა, რა მიიღე? – შორიდანვე ვკითხე.

ხმა არ გამცა. მომიახლოვდა, ხელკავი გამიყარა, ნაღვლიანად გამიღიმა და მითხრა:

ეჰ, ნავიდეთ!

რა მიიღე, არ მეტყვი?

ჩამჭრეს!

დაჯერება არ მინდოდა. ხუმრობს-მეთქი, გავიფიქრე. შევხედე, მკვდრის ფერი ედო.

როგორ, რანაირად? – ვკითხე გაოცებულმა.

ისეთი რამ მკითხეს, რაც პროგრამაშიც არ იყო შეტანილი!

იმან რა მიიღო? – კონკურენტზე ვკითხე.

ფრიადი, – მიპასუხა ლევანმა, მერე ხელი ჩაიქნია და მითხრა:

რაც იყო, იყო, ნავიდეთ!

მე კი საუბრის დამთავრება არ მინდოდა და ისევ ვკითხე:

როგორ მიიღო იმ უტვინომ ფრიადი?

ბილეთი ჰქონდა დანიშნული, თანაც ისეთი საკითხები იყო იქ შეტანილი, მთლად გამოშტერებული უნდა ყოფილიყავი, რომ არ ეპასუხა.

კომისიის წევრები ხომ გიცნობენ ორივეს. იმათ რალა თქვეს? – არ ვცხრებოდი მე.

ისინი მაშინ მოვიდნენ, როცა გამოცდა თითქმის დამთავრებული იყო. ეგრე დაუბარებიათ.

გულში თითქოს რალაც ჩამწყდა. კათედრის გამგის მექრთამეობაზე ბევრი რამ მქონდა გაგებული, მაგრამ ამდენად თუ იყო ნამუსგარეცხილი, არ მეგონა. ძალიან ნამიხდა გუნება. ხმის ამოლება აღარ მინდოდა. ერთხანს დუმილით ვიარეთ, მერე კი ვკითხე ლევანს:

არ უჩივლებ?

არა, ვერ გავიმეტებ.

„ვერ გავიმეტებო“. ამ სიტყვებმა ისე გამამწარა, ლამის ლოყაში ლანანი გავადინე მეგობარს. ჰო, ასეთი იყო. მეტისმეტად გულჩვილი და ყველას შემცოდებელი. რამდენჯერ არ გამილანძღავს, ხასიათი შეიცვალე-მეთქი, ამაო იყო შეგონებანი.

ერთხელ თანაკურსელმა რალაცაზე შარი მოუდო და გვარტყა. მეტისმეტად საზიზღარი ვინმე იყო ის სტუდენტი, ყველას სძულდა. გიყვარდეს, ბევრის მაგივრად იყრიდა იმის ჯავრს ლევანი, მაგრად რომ მიეთეთქვა. ერთი პირობა კი გული მოუვიდა. ორივე ხელით ჰაერში აიტაცა, რომ მინაზე დაენარცხებინა, მაგრამ მალევე გაუარა ბრახმა. ფრთხილად ჩამოსვა ისევე ძირს და თავისთვისლა ჩაილაპარაკა:

რა ვქნა, მეცოდება და ვერა ვცემ.

თვითონაც პატიოსანი იყო და ეთაყვანებოდა ყველას, ვინც ასეთად მიაჩნდა. მთლად უცხოც რომ ყოფილიყო კაცი, გადამთიელი, ლევანმა თუ

იცოდა, რომ ის წესიერი ადამიანი იყო, მტლად დაედებოდა, თავს გასწირავდა, ოღონდ კი მცირედნი სამსახური გაენია მისთვის.

ღრმად ჩამიჯდა გულში ლევანის სიტყვები:

სიკეთე და პატიოსნება ადამიანისათვის ისეთივე ბუნებრივი და მტანჯველი მოთხოვნილება უნდა იყოს, როგორც შიმშილისა და წყურვილის მოკვლის სურვილი.

სიძულვილი? სიძულვილიც იცოდა ლევანმა, მაგრამ რალაც აბსტრაქტული უცნაური და გაუგებარი. ბოროტება იმისნაირად თითქოს არავის სძულდა, მაგრამ ბოროტი კაცი დასასჯელად არ ემეტებოდა.

მაშ, გეცოდება არა კათედრის გამგე. ლევან? – ისევ წამოვიწყე მივიწყებული საუბარი.

მეცოდება და რა ვქნა?

შენ ის ხალხი კი არ გეცოდება, რომლებსაც თავისნაირ პარაზიტებს უჩეკავს? ჰო, გავუფრთხილდეთ. გავუფრთხილდეთ მაგნაირ უსინდისოებს. ცივ ნიავს ნუ მივაკარებთ, ნურც მექრთამეს, ნურც თალლითს და აუშენდება ჩვენს ქვეყანას ოჯახი.

ხმას არ იღებდა. დამნაშავესავით თავი ჩაელუნა და მისმენდა. მე კი განვაგრძობდი.

ბოროტსა და ავსულს თუ შეინდობ, ამით თვითონ ჩაიდენ უარეს ბოროტებას. უნამუსო კაცს თუ ერთხელ დაუსჯელს დატოვებ, მეორედ, მესამედ, მეათედ უარესს იზამს. ბოლოს მთელს ქვეყანასაც წაეპოტინება წასაბილწად.

შევხედე, იქნებ ხმა ამოიღოს-მეთქი. ის კი ისევ დუმდა.

ერთ ჭკვიან კაცს უთქვამს, ვისაც არავინ სძულს, იმას არც არავინ უყვარსო, რამეთუ შეუძლებელია სიკეთის სიყვარული ბოროტისათვის შეურაცხყოფის მიუყენებლადო. ეს შენზეა ნათქვამი, ლევან. მაპატიე, მაგრამ მწარე სიმართლეს გეტყვი. ბოროტების მიტევება ლაჩრობამ იცის, ნერვების აშლის შიშმა. შენ უსიამოვნებას ერიდები და, მაშასადამე, ლაჩარი ხარ.

ამ უკანასკნელ სიტყვებზე კი აენტო, აკანკალდა ლევანი, თითქოს სურდა გაერტყა კიდეც ჩემთვის, მაგრამ მაინც შეძლო თავის შეკავება. შევეცოდე. ბოლოს ესლა მითხრა:

განა არ ვიცი, სწორი ხარ, ზურაბ. მე მარტო თავს ვიტყუებ, პატიოსანი ვარ-მეთქი. პატიოსანი ის კი არ არის, ვინც უსინდისობას არ ჩადის, არამედ ის, ვინც უსინდისობებს მკლავმოუღლეულად ებრძვის. ბედნიერება ბრძოლააო, უთქვამთ და მართალიცაა. მე კი ვის ვებრძვი? არავის, არაფერს. მაშასადამე, ჩემი ცხოვრებაც ერთი გაბმული უაზრობაა და სხვა არაფერი. ვერ წარმოიდგენ როგორ ვიტანჯები და რა უბედური ვარ ამის გამო...

თითქოს ახლა გავიცანი ლევანი. გულჩათხრობილი კაცი იყო, და არ კი მესმოდა ამის მიზეზი. ვიგრძენი, რომ მართლა უბედური იყო. შემეცოდა და გავიფიქრე:

ღმერთო, ასწავლე ლევანს სიძულვილი, სიძულვილი ბოროტებისა, სიყვარულისა და სიკეთის გულისათვის და გააბედნიერე ამით იგი! ღმერთო, ასწავლე ჩემს ხალხს სიძულვილი, სიძულვილი მძაფრი და დაუნდობელი და მაშინ ყველანი ვიქნე-

ბით ბედნიერნი, მაშინ და მხოლოდ მაშინ ალიგვებთან პირისაგან ჩვენი წმინდა მიწისა ბოროტებიც, უსინდისოებიც და ყველა სხვა ჯურის უწმინდურები.

სასამართლო მიღის განაჩენის გამოსატანად

ბონდოს დაჭერა სენსაციას ჰგავდა. საქმე ძალიან გაუხმაურდა. სასამართლომ მთელ ქალაქში დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ მარტო ეს არ ყოფილა იმის მიზეზი, რომ გასამართლებას თითქმის მთელი მისი მეზობლობა დასწრებოდა.

კარგი მეზობლის სახელი ჰქონდა. სული რომ ეთხოვათ, ლამის იმასაც არ დაუჭერდა. შეძლებაც ჰქონდა, ჭირი იყო თუ ლხინი, პირველი ის ამოუდგებოდა ყველას მხარში. სამზადისშიც იცოდა დახმარება და ფულსაც – სესხება იყო, ხელს გაუმართავდა, შესანიშნავი იყო – სამმაგად და ოთხმაგად შეანევდა. კარგი მსმელი და ჩინებული მოლაპარაკე იყო და თამაძობაშიც ვერავინ ჯობდა. მომლხენებს უკეთ მოალხენინებდა. ჭირისუფლებს სიტყვას ეტყოდა, გულს მოულობდა, ნუხილს შეუმსუბუქებდა, დარდს გაუქარწყლებდა. შეხვედრისას სალამი, მოკითხვა არავისთან ავიწყდებოდა. დიდთან დიდი იყო და პატარასთან – პატარა. სხვა რაღა უნდა კარგ მეზობლობას.

უმეტესობას უყვარდა და ეცოდებოდა. ზოგ-საც სძულდა (მხოლოდ ფარულად) და მაინც ეცოდებოდა. თვითონ თავს იკატუნებდა, მაგრამ ცინიზმი მაინც აშკარად ჩანდა იმის სიტყვა-პასუხში. განაჩენი თითქმის სიმბოლური იყო. სამი წელი ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, რა თქმა უნდა, ყველას ძალზე მცირე სასჯელად მოეჩვენა.

პროცესი დამთავრდა. ხალხი დაიშალა. ყველა თავ-თავის საქმეზე წავიდ-წამოვიდა. მხოლოდ მე, კოტემ, ლეომ და გურამმა, ბონდოსთან ბავშვობიდან თანაშემზრდილებმა და მისმა თანაკურსელებმა სასამართლოს შენობიდან გამოსვლისას პატარა წრე შევკარით და კამათი დავინწყეთ.

ბონდოს ვენაცვალე, – თქვა ლეომ, – მაგისტანა კაცს არ უნდა იჭერდნენ.

რა უნდა მაგას ციხეში? – დაეთანხმა გურამი.

არაფერია, მალე გამოვა, – ვითომ დაამშვიდა კოტემ, მაგრამ ფარული ირონია მაინც შენიშნეს იმის სიტყვებში.

მე კი მთელი პროცესის დროს და ახლაც მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, დამსწრე საზოგადოებაც ისეთივე ლმობიერი იყო, როგორც სასამართლო. მაშინ დამეზადა აზრი, მოგვეწყობონდოს ხელახალი გასამართლება. მე განზრახული მქონდა, რომ გაგვესამართლებინა იგი არა როგორც კერძო პირი, არამედ როგორც მოვლენა, როგორც სოციალური ტიპი, ამით მინდოდა გამერკვია ბონდოსებრთა პოზიციები საზოგადოებაში, ჩანვდომოდი მათი ასეთი სიცოცხლის უნარიანობისა და ძლიერების მიზეზებს.

მეგობრებს ჩემი განზრახვა გავანდე. მოინონეს. შინ არავინ მეგულებოდა. მეუღლე სამსახურში გახლდათ, ბავშვები სკოლაში. ხელს ვერავინ შეგვიშლიდა და „სასამართლოს მთელი შემადგენლობა“ ჩემთან მოვიპატიჟე.

ბონდოს როლი გურამს მივანდეთ, დამცველისა – ლეოს, ბრალმდებლისა კოტეს, მე კი – მოსამართლეობა დამეკისრა.

მეგობრებს ვთხოვე, დაგვევინყებინა, ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, პირნათლად შეგვესრულებინა დაკისრებული როლი და ვყოფილიყავით ობიექტურნი. მერე გავხსენი სასამართლო და პირველი სიტყვა ბრალდებულს მივეცი.

ბონდომ ჭერს მიაშტერა თვალები. ერთხანს ასე იყო გაშტერებული და მერე დაიწყო: ჩემს მშობლებს ექვსი შვილი ჰყავდათ, გვიჭირდა. მამაჩემს კარგი სამსახური ჰქონდა. ქრთამის აღება, თაღლითობა და სხვა ბევრი მსგავსი რამ შეეძლო, მაგრამ თავის სიცოცხლეში არასოდეს ასეთი არაფერი უკადრებია. ჩემი და-ძმებიც მამაჩემს ჰგვანან, მე კი სულ სხვა ვარ. თუმცა საწყალი მამაჩემი ისე მოკვდა, რომ მეც თავისნაირი ვეგონე. რომ გაეგო, სინამდვილეში რაც ვიყავი, ალბათ თავსაც მოიკლავდა. მაინც ვიტყვი: რა მოიგეს თავიანთი პატიოსნებით ან ჩემმა მშობლებმა, ან ჩემმა დედამამიშვილებმა. რა უნახავთ ცხოვრებაში? არაფერი. მე კი ახლავე რომ მოკვდე, სანანებელი არაფერი დამრჩება, იმდენი სიამოვნება მინახავს, რამდენიმე კაცისთვისაც საკმარისია, ჩემს და-ძმებს ვენაცვალე, თავ-თავის გზაზე ღმერთმა ხე-

ლი მოუმართოს, მაგრამ მე ჩემი გზა მაქვს და ცინიდან რომ გამოვალ, მაინც იმ გზით ვივლი. ერთი წელი მირჩევნია კაცურად ვიცხოვრო, ვიდრე ათი წელი თვიდან თვემდე ხელფასს ველოდო გაჭირვებისათვის ჩემი შერჩევა ვაი, რომ უკვე გვიანია.

თუ გინანია როდისმე რამე, ან სირცხვილი თუ გიგრძენია? – ვკითხე მე.

პირველად კი. მერე ყველაფერს შევეჩვიე. რისი ან ვისი უნდა მრცხვენოდეს? სანამ დამიჭერდნენ, თუმცა კი იცოდნენ, ვინ ვიყავი და რისი გამკეთებელი, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ხედავდა ჩემში სასირცხვილოს. ყოველ შემთხვევაში, მე არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, ვისაც აქამდე ეთქვა, ეგრძნობებინა მაინც, რომ სამარცხვინო საქმიანობას ვწეოდი. ბევრი ისეთი კაციც მინახავს, ვინც თავსა სდებს პატიოსნებაზე და ვიცი, რომ თქვენი გაგებით, მართლაც არიან პატიოსნები, მაგრამ არც იმათ შევურცხვენივარ როდისმე. პირიქით, ისინი ჩემი კარგი მეგობრებიც კი იყვნენ. ცუდი მეზობელიც არ ვყოფილვარ. ვცდილობდი, რითაც შემეძლო, ყველას დავხმარებოდი, მაგრამ არავის უთაკილებია ჩემი მხარში ამოდგომა. მგონი, მეზობლებსაც და მეგობრებსაც სხვებზე უფრო მე ვუყვარდი კიდეც, ფულის ნყალობით, რასაკვირველია, არა, მე იმას კი არ ვამბობ, რომ ყველა სიმდიდრის გამო მცემდა პატივს, უბრალოდ, ფული მაძლევდა საშუალებას, რომ მეგობრებსაც და მეზობლებსაც სხვებზე მეტად და უფრო ხშირად დავხმარებოდი, ჩემი დაჭერის შემდეგ რაღა მოხდა ისეთი, რომ რაც ადრე სასირცხვილო

არ იყო არავის თვალში, ახლა გამხდარიყო სათაკილო?

დაასრულა ბონდომ თავისი პასუხი და ყველას სათითაოდ შემოგვხედა. სკამიდან წამოდგა, ნელში გაიმართა და ოთახშიც გაიარ-გამოიარა. გამარჯვებული ეგონა თავი და უხაროდა. მერე კოტეს წინ შეჩერდა და თვალებში ჩააშტერდა, ვითომ ჰყრი ფარ-ხმას თუ არაო.

ბრალმდებელი ჩაფიქრებული იყო. გუნება-წამხდარი ჩანდა. ბრალდებულის სიტყვები ცხოვრებისეულ ლოგიკას არ იყო მოკლებული და როგორც ეტყობოდა, ამან გაუფუჭა ხასიათი. ნეტავ რას უპასუხებს-მეთქი, – ვფიქრობდი. კოტე კი დუმდა. მერე ისიც წამოდგა. გაიარ-გამოიარა. სიგარეტი ამოიღო. მოუკიდა. გააბოლა და ბოლოს ბონდოს წყნარად უთხრა:

მინდა შენი პოზიცია დავაზუსტო და ამიტომ რამდენიმე კითხვას დაგისვამ...

ბრძანეთ, ბრძანეთ! – ცინიკური ღიმილით უპასუხა ბრალდებულმა.

რატომ გგონია, უშლი თუ არა ვინმეს ხელს ცხოვრებაში, ეღობები თუ არა ვინმეს გზაზე?

არავის. მე სახელმწიფოს ვპარავ და არა ცალკეულ ადამიანებს. მავანსა და მავანს არამც თუ არ გავქურდავ, პირიქით, თუ გაუჭირდა, დავეხმარები კიდეც.

ვითომ? – ახლა ბრალმდებელმა ჩაიციინა ირონიულად.

სწორედაც! – გადანყვევით უპასუხა ბონდომ, – ყოველ შემთხვევაში აქამდე ამ პრინციპით

მიცხოვრია. ხელი არავისთვის შემიშლია ცხოვრებაში, კაცი არ მომიკლავს.

მაგაზე არც მე გედავები. მაგრამ ეგ ცოდვა აქამდე მხოლოდამხოლოდ იმიტომ არ ჩაგიდენია, რომ შემთხვევა არ მოგცემია შეცოდებისათვის. ბევრს დახმარებიხარ, ვიცი, კიდევ ბევრს დაეხმარები, ესეც ვიცი. მაგრამ საკითხავი ის არის, თუ რატომ ხარ ასეთი კეთილი? მანეთს მოიპარავ, სამადლოდ კაპიკს გაიმეტებ. წაგებაში არ დარჩები. თანც რალა გინდა, კაცური კაცის სახელს იძენს. ის სახელი მერე ქურდობაშიც ხომ გეხმარება, ვინ გასწირავს შენისთანა გაჭირვების ტალკვესს? ვინ მოერევა შენისთანა მეგობრების პატრონს?

ამასწინათ, – ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა ბრალმდებელი, ციხიდან ახალი გამოსული ყოფილი საქმოსანი შემხვდა. იგონებდა საპატიმროში გატარებულ დღეებს. ჩემს სანახავად სამმართველოდანაც კი მოდიოდნენ და პირზე კოცნით ამბავს მეკითხებოდნენო. ვენაცვალე პურ-მარილსო, ამბობდა, იმის მადლი სამარემდე თან გამყვებაო. ესეა ხომ შენი ამბავიც, ბონდო? კიდევ რომ ჩავარდე, იმედი გაქვს ძმაკაცები, მეგობრები ზურგს არ შეგაქცევენ. შენი ნათესი სიკეთე არ დაგეკარგება. ნაარგარიშევია თითოეული შენი ნაბიჯი, ბონდო, თითოეული ღიმილი, ჟესტიც კი. შენ ახერხებ კეთილ კაცად, კაცურ კაცად მოაჩვენო ყველას თავი, თორემ აბა დაფიქრდი და სწორი მითხარი...

კი ბატონო, – შეაგება სიტყვა ბონდომ, რომლის ხმაშიც უკვე აღარ იგრძნობოდა უწინდელი თავდაჯერებულობა.

ჰო, – განაგრძო ბრალმდებულმა, – აბა წარმოდგინე, რომ შენ, რომელსაც ამდენი გზა, საშუალება და სახსარი გაქვს ცხოვრებისა, გამოგიჩნდა შემოსავლის კიდევ ერთი ახალი წყარო...

კი ბატონო, წარმოვიდგინე! მერე?

ახლა ისიც წარმოიდგინე, რო ვინმე გადაგელობა წინ. რას უზამდი? ბოლოს მოულებდი თუ არა, თუ სხვანაირად ვერ დაჯაბნიდი?

ახლა ბონდო ჩაფიქრდა. იმანაც ამოიღო სიგარეტი და გააბოლა. დიდხანს იფიქრა რა ეპასუხა. საგონელებში იყო ჩავარდნილი. სწორედ დროზე წამოეშველა დამცველი:

მე პროტესტს ვაცხადებ, – თქვა მან, – ვის გაუგია, კაცს ჯერ დანაშაული არ ჩაედინოს და ისე ასამართლებდნენ.

დამცველმა მე შემომხედა და მეც მივუგე:

ჩვენ ბონდო პეტრიაშვილს კი არა, მოვლენას, სოციალურ ტიპს ვასამართლებთ. მარტო წარსულითა და აწმყოთი კი ამას ვერ შევძლებთ. აუცილებელია პერსპექტივის გათვალისწინებაც.

ბონდო კეთილია, ის მკვლევლობას არ ჩაიდენს, – გადაჭრით თქვა მაშინ დამცველმა.

არა, ჩაიდენდა, – დაბეჯითებით მიუგო ბრალმდებელმა, – და თუ დასჭირდებოდა, ცოლსა და შვილსაც არ დაინდობდა. ბონდო მართლა კეთილი კაცი ჩანს და მერე როგორი! ესაა სწორედ მიზეზი, რომ ცდებიან იმის შეფასებაში. ჩვენ მარ-

თლაც გვეყვავს მისი მსგავსი მეგობრები, ბონდოს არ შესწევს ჭეშმარიტი სიკეთის უნარი. იგი მხოლოდ წვრილმანებში შეიძლება იყოს კეთილი, პრინციპში კი ეს შეუძლებელია. ბონდო კი არა, ანგელოზი რომ იყოს იმის ადგილზე, ფულის სიყვარული, მომხვეჭელობის ჟინი თუ შეუჯდა, სატანად აქცევს და ვერავინ ამ რწმენას ვერ შემიცვლის!

რას ჩაიდენდა ადამიანი ან მოვლენა როგორ განვითარდებოდა, ძნელი სათქმელია, – არ ნებდებოდა დამცველი, – მთავარი, რომ ხალხს არ სძულს ბონდო.

ვინ ხალხს?

მეზობლებს, მაგალითად, იმათ, ვინც ყველაზე უკეთ იცნობს მას!

სამწუხაროდ ეგ მწარე სიმართლეა, – დაეთანხმა ბრალმდებელი, – მიზეზიც ვიცი, მაგრამ მე არ მსურს ამაზე ლაპარაკი.

თუ მართლა იცი, უნდა თქვა, – ჩააცივდა დამცველი.

რაც სათქმელია, ყველაფერი უნდა ითქვას, – დავურთე მეც, – ბოროტება ხშირად იმიტომ რჩება დაუმარცხებელი, რომ მწარე სიმართლის აღიარებას გავურბივართ, გვეშინია, ვილაცას არ ეწყინოს, ან გული არ ეტკინოს.

რა გაეწყობა, – მოგვიგო ბრალმდებელმა, – მოგახსენებთ. ბონდომ თქვა: „მე სახელმწიფოს ვპარავ და არა ცალკეულ ადამიანებსო“. ვერ ვიტყვოდი, რომ ეს სიტყვები ჩემი ხალხის თვალში ლოგიკასა და ყოველგვარ გამართლებას იყოს

მოკლებული. ვაი, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ცნობს ამ მორალის სამართლიანობასა და ადამიანურობას, რაც, რასაკვრველია, აძლიერებს ბოროტების პოზიციას, მაგრამ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მოსახლეობა შეგნებულად დადგა მის მხარეზე. არა, პირიქით, ჩემს ხალხს ახლა უფრო სძულს ბოროტება, ვიდრე უწინ, მაგრამ თვითონ ბოროტებამაც სამოსი შეიცვალა, შეეცადა უწყინარი სახე მიეღო და არც თუ უშედეგოდ. იმის გარდა, რომ ჭირს მისი შეცნობა და, მაშასადამე, ბრძოლაც მის წინააღმდეგ, „სახელმწიფოს ვპარავ და არა ცალკეულ ადამიანებსო“, ეს ხომ იმის იმედით არის ნათქვამი, რომ ყველა ვერ წვდება ამ უაზრობას, სახელმწიფო ადამიანებისაგან შედგება, აბა სხვა ვისგან? სახელმწიფოსათვის მოპარვა ეს ხომ იგივე ცალკეული ადამიანების გაქურდვაა, მხოლოდ არა პირდაპირი, არამედ შემოვლითი გზით, რასაც მიძინებული შეგნება, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ამჩნევს. სწორედ ეს მიძინებული შეგნებაა იმის მიზეზიც, რომ ბევრი ძალიან ბევრი ვერ ხვდება, თუ რა საშიშია ბონდო ჩვენი ხალხის ანმყოსა და მომავლისათვის, მისი ზნეობის, სახელის, ღირსების სინმინდისათვის, ბოლოს და ბოლოს მისი ყოველდღიური, ყველაზე მინიერი ინტერესების თვალსაზრისითაც. ბონდო თვით თავისი არსებობის ფაქტით ფასს უკარგავს პატიოსნებას, ხოლო სადაც პატიოსნება, სინდისს-ნამუსი უფასურდება, იქ ყველაფერი ადამიანური კარგავს მიმზიდველობას და ბოროტებაც მყარად იკიდებს ფეხს.

მიპასუხე, ბონდო, – მიუბრუნდა მოულოდნელად იგი ბრალდებულს, – რატომ ხდება რომ ქურდობის მსურველი მეტია, ვიდრე ქურდი?

ყველას არა აქვს საამისო შნო!

ვიცოდი, რომ ასეც მიპასუხებდი, მაგრამ შენ ხომ გაქვს შნო?

მაქვს და ვამაყობ კიდეც ამით. ვისაც შნო აქვს – იცხოვროს, ვისაც არა აქვს...

ვისაც არა აქვს, რა?

ვისაც არა აქვს, იმან დაე, შურის თვალით გვიცქიროს. შენ შნო არ გქონდეს, რა ჩემი ბრალია?

ვისაც არა სურს, რომ ეს „შნო“ ჰქონდეს?

ის მონაა თავისი სულით და დაე, იცხოვროს, როგორც მონას შეეფერება.

აი, ხედავთ, – მოგვიბრუნდა ბრალმდებელი, – „ვისაც შნო აქვს, იცხოვროსო“. ესეც კიდეც ერთი ცდაა, ბოროტება უწყინარი სახით წარმოგვიდგინოს და ვერ ვიტყვოდი, რომ წარუმატებელი იყოს. ეს ფილოსოფიაც, სამწუხაროდ, სხვასაც ბევრსა სწამს, თუმცა ეგ შნო, რომელზეც შენ ლაპარაკობ, ბონდო, სხვა არაფერია, თუ არა ნამუსზე ხელის აღების უნარი. შენც და შენნაირებიც ხომ ამ უნარით ამაყობთ და დასცინით ყველას, ვისაც ეს „ნიჭი“ არა აქვს მომადლებული.

დამცველი წამოხტა და ხელები გაასავსავა.

ჩვენ დავთქვით, რომ ობიექტურები ვყოფილიყავით, შენ კი, – მიუბრუნდა იგი ბრალმდებელს, – საკუთარ აზრებს, ცნებების სუბიექტურ გაგებას გვთავაზობ. ეს შეთანხმების დარღვევაა!

მერე წიგნების კარადასთან მივიდა. გადმოილო „ქართული ენის განმარტოებითი ლექსიკონის“ მეშვიდე ტომი, გადაშალა, გადაფურცლა და როცა იპოვა, რაც უნდოდა, განაგრძო:

აი, როგორ არის აქ განმარტებული „შნო“...

„შნო“. 1. მოხდენილობა, სილამაზე, ლაზათი. 2. ხელგამომავლობა, გარჯის, ღონე, უნარი, მოხერხება“. მე მგონია, არც ერთი ამ დასახელებული თვისებათაგან საძრახისად არ უნდა ჩაეთვალოს კაცს, მაგრამ გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ განმარტებებს: „გარჯის ღონე“, „გარჯის უნარი“, რას ხედავთ ამაში სამარცხვინოს?

მე „შნოს“ ბონდოსეულ გაგებას ვგულისხმობდი!

ეგ ბონდოსეული კი არა, შენებური გაგებაა, – არ ცხარობდა დამცველი.

დიდხანს იკამათეს, მხარეთა პოზიციები ჩემთვის უკვე სავსებით ნათელი იყო და ვთხოვე, შეწყვიტათ ამ საკითხზე საუბარი.

იმისათვის რომ ბონდოს მორალური სახე მეტი სისრულით წარმოადგინოთ, – განაგრძო შემდეგ ბრალმდებელმა, – მე კიდევ ერთ საკითხს მინდა შევეხო. გიყვარს ბონდო საქართველო?

მაგას რა კითხვა უნდა? – გულწრფელად გაიკვირვა ბრალმდებელმა.

როგორი საქართველო გიყვარს?

ბონდომ თითები დასათვლელად მოიმზადა და ჩამოთვლა დაიწყო:

საქართველო, სადაც შნოიან კაცს გასავალი აქვს, საქართველო, სადაც იციან ძმაკაცობა,

მეგობრობა, საქართველო, რომელსაც უყვარს დროსტარება და მხიარულება, საქართველო, რომელსაც სძულს ღალატი და ორპირობა, დაბეზლება და გაუტანლობა, საქართველო, ვაჟკაცური, სიკეთისა და კაცური კაცობის დამფასებელი.

მოკლედ რომ ვთქვათ, – ჩამოართვა სიტყვა ბრალმდებელმა, – შენ გიყვარს ისეთი საქართველო, სადაც შენისთანები თავს ღალად გრძნობენ?

ბუნებრივია!

არც მე მითქვამს, რომ ბუნებრივი არ არის-მეთქი, და მანდა ვარ სწორედ. შენ გიყვარს შენი იდეალების შესაბამისი საქართველო და ენერგიულადაც ცდილობ, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად გახდეს შენი გუნებისა. ამიტომაც არის, რომ შენ ასე დაუღალავად იღწვი ჩვენი ხალხის მორალური გახრწნისათვის. ესეც ბუნებრივია. უამისოდ არც შეგიძლია არსებობა. მაგრამ აბა ერთი მიპასუხე, გეყვარებოდა საქართველო, შენისთანებს რომ იქ აღარ ედგომებოდეს?

ბონდო ჩაფიქრდა, ბრალმდებელმა ისარგებლა ამით და თვითონვე დაასწრო:

გეყვარებოდა კი არა, ამობუგავდი, უყოყმანოდ მოსპობდი კიდეც.

ბონდომ ირონიული ღიმილით ქვევიდან ახედა ბრალმდებელს და კითხვა მიაგება:

შენ როგორიღა საქართველო გიყვარს?

საქართველო, რომელიც სირცხვილით ინვის, როცა შენისთანები სიყვარულს უხსნიან. შენ გძულვარ მე, გძულს ჩემნაირების საქართველო...

ჰო, მე მძულს შენისთანების საქართველო, –

შეანყვეტინა ბონდომ, – და, როგორც შენ თქვი, უყოყმანოდ მოვსპობდი კიდეც, თუ იქ ჩემისთანებს აღარ დაედგომებოდათ. წყალსაც წაუღია მთელი ქვეყანა, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა იქ, თუ მე არ ვიქნები. მე მხოლოდ ისეთი სამშობლო მინდა, სადაც ბედნიერი ვიქნები და საქართველოც იმიტომ მიყვარს, რომ აქ ბედს არ ვუჩივი. შენ, შენ კი რაღას უზამდი საქართველოს, შენისთანებს რომ იქ ფეხი მოეკვეთოთ?

დამშვიდდი, ჩემს მაგივრად ნუ წუხარ. ეს არ მოხდება, თუნდაც იმიტომ, რომ შენისთანები ამას არ მოინდომებენ. ჩვენ შეგვიძლია უთქვენოდ გაძლება, თქვენ კი ვერ იარსებებთ უჩვენოდ. თქვენ ხომ იმის წყალობით ბოგინობთ, რომ ჩემისთანებს ძარცვავთ. გასაქურდი თუ არავინ გეყოლებათ, ვისლა მოპარავთ?

ვთქვათ, მოხდა მაინც სასწაული და საქართველო ჩემისთანებისა გახდა, – არ ცხრებოდა ბონდო, – რას იზამდი მაშინ?

უწინამც მე მოვკვდე, ვიდრე მაგას მოვესწრებოდე, მე დამიბნელდეს დღე, მანამდე, სანამ სიტყვა „ქართველი“ ბილნი კაცის აღმნიშვნელი გახდება.

კამათი ძალზე გაგვიგრძელდა და მხარეებმა მთხოვეს, რომ მე, როგორც მოსამართლეს, საბოლოო სიტყვა მეთქვა. შთაბეჭდილებები და აზრები იმდენი მქონდა და ისე უნესრიგოდ მერეოდა თავში, რომ ასე უცბად აბა რას ვიტყოდი და ისლა მოვახერხე მეთქვა:

სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!

ბუხრიდან კვამლი ამოვიდა (ფსიქოლოგიური ნოველა)

გვიან ჩაძინებულ ცოლ-ქმარს მამლის პირველ ყივილზე მაინც გამოეღვიძა...

ჯერ კიდევ ბნელოდა.

იანვრის სუსხიანი ქარი ფანჯრებს აზარზარებდა და ბუხარში ქვითინებდა.

ოთახში ყინავდა. შეციებული ცოლ-ქმარი საბანში გახვეულიყო.

განანამები ჩანდნენ. სამი დღე იყო, თვალი არ მოუხუჭავთ. ან რა დააძინებდათ. პირველი ღამე იყო, რაც ჩასძინებოდათ...

ორმოცდაათიოდე წლის იქნებოდა კაცი, ქალიც – ამდენივესი, მაგრამ მოტეხილები იყვნენ, საშინლად მოტეხილები და მობერებულები.

დროგამოშვებით ქალის ჩუმი ქვითინი ისმოდა. კაცი ხმას არ იღებდა. უსაზღვრო წუხილი სუფევდა ოთახში.

...როცა ვაჟკაცმა უკანასკნელად ამოისუნთქა, მამამ ერთი კი დაიგმინა „ვაიმე, შვილოო!“ და მერე ხმა აღარ ამოუღია. დედა ძლივს ააგლიჯეს მკვდარს. „გამიშვით, თქვე უღმერთოებო, მაგასთან ერთად უნდა მოვკვდეო“ – კიოდა საბრალო. მისი ტირილი ქვის გულს ააქვითინებდა. მაშინ შემოესმა კაცს ქალების ნალაპარაკევი.

სანყალი, – თქვა ერთმა, – რა ახალგაზრდა იყო.

ბრალი მშობლებისა, – დაუმატა მეორემ, – რა-
ღად უნდათ სიცოცხლე ბედუკეთურებს, თორემ
შვილი მოკვდა და მოისვენაო!

„მოისვენაო?!“ – ეგრე მოისვენოს მტერმა,
როგორც იმან მოისვენა, მაგრამ ის კი მართალი
თქვეს: ბრალი ჩვენა, ცოცხლებს, თავი რომ ვერ
მოგვიკლავს და ასე ძალღუმადურად უნდა ვატა-
როთ წუთისოფელი. ვაი ჩვენ, ცოცხლად დამარ-
ხულებს!“

დაასაფლავეს ვაჟი. გააპატიოსნეს. ვაი, რა
მძიმე იყო, კუბო რომ სამარეში თოკებით ჩაუშვეს
და ქვა-ლორღი დააყარეს. მუჭით მიწას აყრიდნენ
და იძახდნენ: „მინა იყავ და მინადვე იქეც!“ გული
ეფლითებოდათ შვილის დამკარგავთ, თითქოს
მათ მარხავდნენ ცოცხლად! დედას გული წაუვი-
და, მამას მუხლები ჩაეკეცა...

ამის შემდეგ ნაღველიც თითქოს ოდნავ მინელ-
და. ახლა ჩასძინებიათ კიდეც. ჰმ, რა აძინებდათ?!

მამალმა მეორედ იყივლა.

გათენება ახლოვდებოდა.

სიცივე თანდათან უმატებდა.

„მამის ბრალია, მამისა! მე არ ვუშვებდი ბიჭს
იმ დასაწვავში, გული თითქოს ცუდს მიქადდა. მა-
მამ გაუშვა, სირცხვილია ამხელა ვაჟკაცის მხრებ-
ზე ჩამოკიდებო“...

„დედის ბრალია, დედისა! გული თუ ცუდს
ეუბნებოდა, უნდა დაჟინებოდა. ბიჭი ხათრს არ
გაუტეხავდა, აღარ წავიდოდა“...

ერთმანეთს აბრალებდა ცოლ-ქმარი შვილის
დაღუპვას, ერთმანეთს უთვლიდა ცოდვად „იმ და-

სანვავეში“ ბიჭის გაგზავნას, მაგრამ ასე ერთგულ-
ნი ერთმანეთისა მაინც არასოდეს ყოფილან. სხვა
ვილა დარჩენოდათ ერთმანეთის მეტი...

მამალმა მესამედ იყვილა.

თენდებოდა.

ადე, დედაკაცო, ცეცხლი დაანთე! – ჩაიბუტ-
ბუტა კაცმა და გვერდზე გადაბრუნდა.

ქალი არც განძრეულა. ეტყობოდა ვერ გაიგო-
ნა ქმრის ნათქვამი.

ადე-მეთქი, დედაკაცო, ცეცხლი დაანთე! – გა-
უმეორა კაცმა.

ახლა კი ნელა, ზღაზვნით წამოდგა ქალი. ღა-
მის პერანგისამარა გახანხალდა შუშაბანდში.

შეშა შემოიტანა. ნავთიც მოიტანა. ღუმელი
ნაცრით გავსებულყო. გამოასუფთავა. შეშა შეუ-
კეთა, ნავთი დაასხა, ასანთს გაჰკრა, ცეცხლი მო-
უკიდა...

აგუზგუზდა ღუმელი...

ოთახში დათბა...

ბუხრიდან კვამლი ამოვიდა.

პატარა ლოთი (ნამდვილი აგზავნი)

იმ დილას თემურს ცუდ გუნებაზე გაელვიდა.
ინრიალა, ინრიალა ლოგინში და ბოლოს, როგორც
იქნა, წამოდგა. ტანთ უხალისოდ ჩაიცვა, გაიზმო-
რა, ონკანთან ზღაზვნით მივიდა და პირი დაიბანა.

ამის შემდეგ აღარ იცოდა, რა ექნა. ერთხანს იდგა გაშტერებული. მერე გარეთ გავიდა და პაპა დაინახა. მიუახლოვდა და ჰკითხა:

ღვინო არა გაქვს, პაპი?

პაპამ გაკვირვებულმა შეხედა: უნდოდა ეთქვა, რა დროს შენი ღვინოა, შე მაიმუნოო, მაგრამ თემური ისეთი დაღონებული თვალებით შესცქეროდა, რომ გაიფიქრა, იქნებ რა გუნება სთხოვსო და უთხრა:

ხვალამდე როგორმე მოითმინე, შვილო, ქვევრს თავს მოვხდი და რამდენსაც გინდა, იმდენს დაგაღვინებ!

ბავშვმა აღარაფერი თქვა. უჩუმრად წავიდა. პაპასაც ვაზი ჰქონდა გასასხლავი და ვენახისკენ გასწია.

თემურმა ერთხანს იწრიალა, ხან აქეთ წავიდა, ხან იქით და ბოლოს ოთახში დაბრუნდა, ჭურჭლის კარადა გამოაღო. იქიდან ბოთლი გადმოიღო, სახურავი მოხსნა და არყის სუნი რომ ეცა, ჭიქაც გადმოიღო. ჩაასხა სასმელი და...

მალე მეზობლებთან გასული დედაც დაბრუნდა სახლში. თემური მინაზე გაშხლართული დაინახა და კივილით მეზობლებს საშველად უხმო. იმათაც მაგიდაზე თავმოხდილი ბოთლი რომ დაინახეს, გაიფიქრეს, რა ვქნათ, არაყი ხომ არ დაუღლევიანო. ერთი ქალი ბავშვისკენ დაიხარა და შეანძრია. თემური არც განძრეულა. აიყვანეს და ლოგინზე დაანვინეს. მერე კაციც გაგზავნეს ექიმთან.

ამასობაში პაპაც დაბრუნდა ვენახიდან და რომ დაინახა ლოგინზე გადაწვენილი თემური და მის გვერდით მჯდომი ატირებული დედა, მუხლე-ბაკანკალებულმა გაიკითხა:

რა მოხდა, რა დაემართა ბავშვს?

არაფერიაო, – ანუგეშეს, – არაყი დაუღევია და დამთვრალა. პირველად მკვდარი გვეგონა, მაგრამ მერე არყის სუნი გვეცა. მაგიდაზე თავ-მოხდელი ბოთლი დავინახეთ და ყველაფერს მივ-ხვდით.

ექიმიც მოვიდა. ბავშვი გასინჯა და დაადას-ტურა:

საშიში არაფერიაო!

ბავშვს ნემსი გაუკეთა, მაგრამ ის არც ეხ-ლა გაინძრა. მეორე ნემსზე კი გაახილა თემურმა თვალები და იქ მყოფნი აათვალეირ-ჩაათვალეი-რა.

დედა გახარებული ეცა შვილს და კოცნა და-უნყო.

თემურა, თემურა, – ეუბნებოდა, – ხომ არაფე-რი გინდა, შვილო?

წნილი მინდაო, – მოითხოვა ბავშვმა.

ზღაპრები
დიდებისათვის

ყველაფრის მცოდნე ბატის ჭუჭული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი ბატი. ყველაფრით ბედნიერი იყვნენ მეუღლენი, ერთნაირი ჭკუა ჰქონდათ, ერთნაირი ხასიათი, ერთმანეთიც გაგიჟებით უყვარდათ. ეგ იყო მხოლოდ, რომ შვილი არ ჰყავდათ. ქმარი ყოველდღე ეხვეწებოდა ცოლს, ერთი ჭუჭული მაინც გამომიჩეკე, თორემ იცოდე, კვერცხებზე მე დავჯდები და საქვეყნოდ თავს მოგჭრიო. ამაზე დედალი ბატი ერთს გადაიკისკისებდა და ეტყოდა მამალ ბატს:

შვილი თორემ ჩვენც გენიოსი არ გვეყოლოს, ისიც ჩვენსავით ბატისტვინა გამოვაო. ბატების ჯილაგი განყდეს, ისინი რა გასაჩენი იყვნენ ამ ქვეყანაზე. ეგეც არ იყოს, თუ მთელი ჩემი სიცოცხლე კვერცხებზე ჯდომას და შვილების გაზრდას მოვანდომე, მე როდისლა და როგორ გავიხაროო.

სადაც სხვები, ჩვენც იქა, – არ იშლიდა თავისას ქმარი, – შენ ოღონდ გამოჩეკე და გაზრდა ჩემზე იყოს.

ჰო, ვიცი, რა ჯიშისაც ხართ მამაკაცები, – ნისკარტს აიბზუებდა დედალი ბატი, – სანამ მე კვერცხზე ვიჯდები, შენ აქეთ იქით იხეტიალე და სხვა ბატებს დაუნყებ კურკურს.

ნუ გემინია, შენ ოღონდ გაბედე კვერცხებზე დაჯდომა, მე შენს გვერდით ვიქნები და უნებარ-

თვოდ წუთითაც არ მოგშორდებიო, – ანუგემებდა ქმარი.

იმდენს ეხვენა ცოლს მამალი ბატი, იმდენს ეხვენა, რომ ბოლოს და ბოლოს ისიც გატყდა და დათანხმდა:

ჰო, კარგი, ჯანდაბას, მხოლოდ იცოდე, ერთ ჭუჭულზე მეტს არ გამოვჩეკავ.

არ გადათქვას დედაკაცმა სიტყვაო, – იფიქრა გახარებულმა ქმარმა, გაიქცა, ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი კვერცხი მოარბენინა, მერე ხელში აიყვანა ცოლი, გულში ჩაიხუტა და ფრთხილად დასვა ზედ.

დადგა გამოჩეკის დროც. დედალი ბატი გადმოვიდა კვერცხიდან და ცოლ-ქმარმა გულის ფანცქალით დაიწყო ლოდინი, თუ როდის ინებებდა მათი სანატრელი შვილი ნაჭუჭისთვის სარქველის ახდას და მზის სინათლის ხილვას. მაგრამ საქმეში ხარ, არა და არ ჩქარობდა ჭუჭული მშობლების გახარებას. ის იყო იმედიც დაკარგეს, ნამდვილად გაგვილაცდა კვერცხი და რალა გვეშველებაო, რომ მოულოდნელად...

კაკ, კუკ, კაკ, კუკ! – მოისმა კვერცხის სიღრმიდან.

ცოლ-ქმარი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვია.

კაკ, კუკ, კაკ, კუკ! – ისევ გაისმა კაკუნი და ნაჭუჭზე პირველი ბზარი გაჩნდა. მერე კვერცხზე ლამაზი წრე მოიხაზა, წრის ზევით სარქველი აიხადა და იქიდან ჭუჭულმა ამოჰყო თავი.

კამპანიას გაუმარჯოს! – შესძახა გახარებულ მშობლებს და კვერცხიდან ამობობლდა.

კოჭებში ეტყობა, ნამდვილი ვაჟკაცი გამოვა, – შეჰყვირა გახარებულმა მამამ, ჩაბლუჯა შვილი და მაგრად აკოცა.

უი, შენ კი გენაცვალე, სად იყავი აქამდე შვილო? – თვლებში ცრემლი მოერიო დედას, გულში ჩაიკრა ჭუჭული და ჩაკოცნა.

ფიქ-რობ-დი!

ცოლ-ქმარმა ჯერ ერთმანეთს გადახედა გაკვირვებით, მერე შვილს და გაოცებულებმა ერთხმად შესძახეს ჭუჭულს:

ფიქრობდი? რაზე ფიქრობდი?

რა უნ-და გა-მო-ვი-დე!

მერე რა მოიფიქრე?

ჯერ-ჯერ-ობით ვე-რა-ფე-რი!

რადგან ღმერთს ნაჭუჭიდანვე ასეთი ჭკუა მოუცია შენთვის, შვილო, – შესციცინა მამამ, – მე ვიცი და ჩემმა ვაჟკაცობამ, გველის ტყავში გავძვრები და შენ უსწავლელს არ დაგტოვებ.

გენიოსი უნდა გამოხვიდე, გენიოსი, ყველაფრის მცოდნე, – დაუმატა დედამაც.

პირველმა სიხარულმა რომ გაიარა, მშობლები დაფიქრდნენ: მაინც რა უნდა ვასწავლოთო. პანიას როგორ დატოვებდნენ მარტოს და გადანყვიტეს, რიგრიგობით გავიდეთ სახლიდან, მივიარ-მოვიაროთ ქვეყნიერება და იქნებ რამე მოვიფიქროთო. პირველი მამალი ბატი წავიდა ბედის საცდელად. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა ბალი გადაიარა, მაგრამ ვერაფერი ნახა საინტერესო და სანუგე-

შო. ბოლოს დაიღალა. მდინარის პირას ჩამოვდა. თვალები წყალს მიაშტერა და ჩაფიქრდა. დაინახა, ერთი დიდი თევზი, სწრაფად და მოხდენილად რომ დაცურავდა. შეშურდა მისი და... უცბად გონება გაუნათდა.

ჩემმა შვილმა უეჭველად ცურვა უნდა ისწავლოსო, – მტკიცედ გადანწყვიტა და სახლისაკენ გასწავა. მოდიოდა გახარებული და ამაყად თავანუელი. მინაზე აღარც კი იხედებოდა, სულ ცაში იცქირებოდა. ჰოდა, იქ შევარდენი შენიშნა, ლამაზად რომ ჰკრავდა კამარას და ელვის სისწრაფით დაფრინავდა. კვლავ გაუნათა ბედნიერმა აზრმა თავი.

ჩემმა ჭუჭულმა ფრენაც უნდა იცოდესო.

ორი აზრი ბატის ტვინისათვის უკვე მეტისმეტი იყო. თავი დაუმიძიმდა და თუმცა ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა კიდევ უფრო მალლა აენიანისკარტი, მაგრამ ველარ შეძლო და ცოდვილ დედამინასლა მიაპყრო მზერა. მაშინ შენიშნა დედალს გამოკიდებული მამალი. მოეწონა მამლის სიმარჯვე და სიყოჩაღე და მტკიცედ თქვა გულში: ჩემს შვილს, ნამდვილი ვაჟკაცი რომ გამოვიდეს, ერთი რამელა სჭირდება – სირბილი. იმასაც ვასწავლი და დედამინაზე ფრინველი ველარ ემჯობინებაო.

ამ სამი აზრით დამძიმებულმა ძლივსლა მიაღწია სახლამდე და ცოლს თავისი განხრახვა გაუზიარა. დედალ ბატს მოეწონა მეუღლის გადანყვეტილება, მაგრამ ეწყინა, რომ ყველაფერი მართო ქმარს მოეფიქრებინა და იმას კი არაფერი. მეც

უსათუოდ რალაც უნდა მოვიფიქროო. გავლო გულში და ახლა ის გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დედალმა ბატ-მაც ცხრა ბალი გადაიარა და ბოლოს ქალას მიადგა. დაიღალა. ჩამოჯდა ერთი დიდი ხის ძირას და ფიქრს მიეცა. უცებ ბულბულის გალობა შემოესმა და სიხარულისაგან თვალეზი გაუბრწყინდა. მუსიკა, გალობა! აი, კიდევ რისი ცოდნა სჭირდება ჩვენს შვილსაო, – შესძახა გახარებულმა და სახლისაკენ ნაფარფატდა.

ჰოდა, ამის შემდეგ რალა დარჩენოდათ, სანყალ ჭუჭულს ბუმბულით წესიერად შემოსვაც არ აცალეს და მიაბარეს ცურვაზეც, ფრენაზეც, სირბილზეც და მუსიკაზეც. განამდნენ მშობლები აქეთ-იქით სირბილით და გატანჯეს ბავშვიც. გაიზარდა ჭუჭულიც და მაინც... ბატი გამოვიდა. სირბილის ნაცვლად ბაჯბაჯი ისწავლა, ცურვის ნაცვლად წყალში ყურყუმელაობა, გალობის ნაცვლად ყიყინი, ფრენის ნაცვლად ცარიელი ფრთების გაშლა.

მაშინ ამოიოხრეს დაღონებულმა მშობლებმა და თქვეს:

ეჰ, ტყუილად დავტანჯეთ ჩვენი თავიცა და ჩვენი სანყალი ბავშვიც. არ გვერჩივნა გვესწავლებინა ჭუჭულისათვის ან მარტო ფრენა, ან სირბილი, ან ცურვა, ან გალობა. თორემ რა გამოვიდა, ყველაფერი იცის ცოტ-ცოტა, მაგრამ არაფერი ხეირიანად.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატოც აქა, ფქვილიც აქა.

ჰროყინების ისტორია

ერთ დროს თურმე ყველაზე განათლებული ცხოველები ვირები ყოფილან. მთელ ტყეში განთქმული იყო მათი ჭკუა და გონება. „ნამდვილი ვირი ხარო“, რომ ეტყობდნენ ვინმეს, კი არ სწყინდათ, ეამაყებოდანთ კიდევ. გაჩნდებოდა თუ არა ჩოჩორი, მშობლები მაშინვე სასკოლოდ დაუნყებდნენ მზადებას. უყიდიდნენ წიგნებს, სახატავ რვეულებს და ვირუკელებიც თავისით და ხალისით სწავლობდნენ წერა-კითხვასა და ხატვას. ისეთი ნიჭიერები იყვნენ, რომ არავისი დახმარება არა სჭირდებოდათ. მართალია, პირველ ხანებში უჭირდათ, წვალობდნენ კიდევ, დედებს და მამებს ეხვეწებოდნენ, დაგვეხმარეთო, მაგრამ მშობლები ყურს არ იბერტყავდნენ, გაზარმაცდებიანო, ეშინოდათ, ჩოჩრებს ერთხელ რომ მივეშველოთ, მერე კიდევ მოინდომებენ, იმათი გონება სიზანტეს მიეჩვევა და დაგველუპებიანო. ჰოდა, იჭყლეტდნენ ჩოჩრები ტვინს, სამაგიეროდ სასკოლო ასაკს რომ მიაღწევდნენ, ჭკუა კარგად ჰქონდათ გავარჯიშებული და სწავლაც ეადვილებოდათ. მასწავლებლებიც ხომ სულ იმათ ქებაში იყვნენ.

შურდათ სხვა ცხოველებს ჩოჩრებისა. სცემდნენ თავიანთ შვილებს, თქვე უვარგისებო, ვირუკელებმა როგორ უნდა გაჯობონო, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ცემით რომ საქმეს ვერ შველიდნენ, ვერა და ვერ აჯობეს იმათმა ბავშვებმა

ვირების შვილებს, ადგენენ და თავიანთ ნაშვილებს რეპეტიტორები დაუქირავეს.

ნამოენივინენ ჩამორჩენილი ცხოველები მონინავეებს, კურდღელი რომ კურდღელი იყო და დათვი რომ დათვი იყო, იმათაც კი „ოთხიანებისა“ და „ხუთიანების“ მიღება დაინყეს. მასწავლებლებმა იფიქრეს, აბა, ეს რას ჰგავს, თუ ყველამ „კარგებზე“ და „ფრიადებზე“ ისწავლაო და პროგრამა გაართულეს.

გაუჭირდათ პატარებს. ასე გასაწვეთ ჩოჩრებსაც კი. ადრე თუ გაკვეთილების მომზადებასაც ასწრებდნენ და ტოლ-ამხანაგებში თამაშსაც, ახლა სადღა ეცალათ საამისოდ. წავიდოდნენ დილით სკოლაში, დაბრუნდებოდნენ სახლში, ეცემოდნენ მაშინვე წიგნებს და გვიან ღამემდე ჩაჰკირკიტებდნენ. სხვა ცხოველების საქმე ხომ მთლად წახდა და წახდა. ჩოჩრებმაც „ოთხიანების“ მიღება დაინყეს და ასე გასინჯეთ, „სამიანებიც“ კი გამოერიათ.

კინალამ ჭკუიდან შეიშალნენ ვირები. არიქა, შვილები არ დაგველუპონო. დედალმა ყროყინებმა სამუშაოს მიანებეს თავი და პატარებს დაუნყეს სწავლაში დახმარება. მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ შვილების მაგივრად ისინი იყვანდნენ ამოცანებს მათემატიკაში, თემებსაც ისინი წერდნენ ვირულ ლიტერატურაში და დავალებებსაც ისინი ასრულებდნენ ვირული ენის გრამატიკაში. შრომას მიჩვეული ვირუკელები პირველად პროტესტს აცხადებდნენ, ჩვენ თვითონ, ჩვენ თვითონ ვისწავლით ყველაფერსო, მაგრამ სადღა ჰქონდათ ვირებს იმის თავი და დრო, რომ პედაგოგებივით პრინციპებს გამოჰკიდებოდნენ. ჰოდა, გაუტკბათ ბოლოს და ბოლოს ჩოჩ-

რებს მშობლების დახმარება. ნიგნებს მიუსხდებოდნენ თუ არა, ჯერ გადაშლილიც არა ჰქონდათ, რომ აყროყინდებოდნენ, დამეხმარეთ, დამეხმარეთო. მიეჩვივნენ სიზარმაცეს, გაეყინათ ტვინი და ისე გამოჩურჩუტდნენ, რომ თუ ჰკითხავდით, ორჯერ ორი რამდენიაო, პასუხად შვიდჯერ დაიყროყინებდნენ.

კინალამ ჭკუიდან შეიშალნენ ვირები, ჩვენ, განათლებულ ცხოველებს ესეთი უნიჭო შვილები რატომ უნდა გვყავდესო და გაბრაზებულები ხოცავდნენ ჩოჩრებს ცემითა და ტყეპით. ცემა ვის სიამოვნებს, რომ ვირუკელებს გახარებოდათ და ისწავლეს იმათაც ტყუილები. სკოლიდან რომ ბრუნდებოდნენ, სახლში მოსულებიც არ იყვნენ, რომ შორიდანვე ხუთჯერ დაიყროყინებდნენ, აქაოდა „ხუთიანი“ მივიღეთო.

სჯეროდათ ვირებსაც და ირწმუნეს, ჩვენი შვილები გამოსწორდნენ, მათრახი კარგი რამ ყოფილაო და ურტყამდნენ და ურტყამდნენ წამალივით ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, მეცადინეობის წინ და მეცადინეობის შემდეგ.

რალა უნდა ექნათ ჩოჩრებს, ორჯერ დაიყროყინებდნენ თუ ხუთჯერ, მშობლები მაინც სცემდნენ, ჰოდა, ჭირივით შეიძულეს სკოლაც და მასწავლებლებიც. დაიწყეს გაკვეთილების გაცდენა და მალე სულაც მიანებეს სწავლას თავი.

მასწავლებლებმა ვირები სკოლაში დაიბარეს და გაჯორეს, გამწარებულმა მშობლებმა შვილების ცემას მოუმატეს, მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ჩოჩრები მათრახს მიეჩვივნენ და თანაც ისე, რომ უიმისოდ ველარც კი ძლებდნენ.

დაბერდნენ მშობლები და დაიხოცნენ. დაიზარდნენ ჩორჩები და ვირებად იქცნენ, მაგრამ ჭკუა არ მომატებიათ. მას აქეთ ყროყინები ყველაზე უსწავლელი ცხოველები არიან. სხვა აღარაფერი იციან ყროყინის გარდა, თანაც ისეთი ზარმაცები არიან, რომ ზოგჯერ, თუ არ სცემე, ყროყინიც კი ეზარებათ.

რახან ვიძვი, ვიძვი!

მამაჩემიც, პაპაჩემიც, პაპისპაპებიც და უხსოვარი დროიდან ყველა სხვა ჩვენს გვარში ადამიანში ყველაფერზე მეტად პრინციპულობას აფასებდა. მართალია, ზოგი ამას ყროყინას სიჯიუტეს ეძახდა და არა ვაჟკაცობას, მაგრამ მტერს და მოშურნეს რა გამოუღლევს კაცს.

მახსოვს, ბავშვობაში მამაჩემი თურმე ყანიდან სახლში ბრუნდებოდა. ბევრი უშრომია საწყალს და ისე შიებია, რომ იმის კუჭი ხან ლომივით ღრიალებდა, ხან კი ვულკანივით გუგუნებდა და ბუყბუყებდა. ებოს კარები რომ შემოულია, შორიდანვე უყვირია:

საჭმელი გამიცხელე, დედაკაცო, შიმშილით მოგკვდი კაცი, აღარა ვარო.

დედაჩემი შინ არ დახვედრია. გამგელებული მამაჩემი აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ საჭმლისთვის ვერ მიუგნია. ბოლოს უპოვნია ნაქცეული ქვაბი და იატაკზე დაღვრილი საჭმელი. ცელქი ვყოფილვარ, საუბედუროდ, მამაჩემს ჩემი ოინი ჰგონებია და მჯილი დაუკრავს გულზე:

ვაჰმე, თუ მაგრად არა ვცემო, კაცი არ ვიყო.
ამასობაში დედაჩემიც მოსულა და უთქვამს
მამაჩემისთვის:

ბავშვი სკოლაში რომ წავიდა, ქვაბი სავსე და-
ტოვე. ნამდვილად ის არგასახარებელი, ადრე და
მალე დასამინებელი კატა იქნებოდაო.

დაუჯერებია მამაჩემს, მაგრამ სკოლიდან რომ
დავბრუნდი, მაინც დამიჭირა და მცემა:

რახან ვთქვი, ვთქვიო!

ვიცოდი მამაჩემის ხასიათი და ღმერთს მად-
ლობას ვწირავდი, კიდევ კარგი მოკვლით არ და-
მემუქრა, თორემ ცოცხალს არ გამიშვებდა-მეთქი.

მამაჩემს ეხლა ხელის გული კი არ ექავებოდა,
ან ბოროტი კაცი კი არ იყო. ცემის შემდეგ ბოდი-
შიც მომიხადა და ბევრიც მეფერა. მერეც არაერ-
თხელ ვუცემივარ ესე ტყუილუბრალოდ, მაგრამ...
ერთი სიტყვით არც ცემას მაკლებდა და არც ბო-
დიშებს ერიდებოდა, ბავშვი დედალი არ გამომი-
ვიდესო და სიტყვის პატრონობას მასწავლიდა.

ჰოდა, ვისწავლე მეც სიტყვის პატრონობა.

ერთხელ სკოლაში რალაც დაბნეული წავედი.
დილიდანვე ცუდ ხასიათზე ვიყავი და თავს ვარ-
წმუნებდი, მარცხენა ფეხზე ავდექი და იმიტომა
ვარ ესე-მეთქი. ჩემს ბედზე მასწავლებელიც რა-
ლაც აღრენილი იყო. შემოვიდა კლასში თუ არა,
სიაც არ ამოუკითხავს, პირდაპირ მე შემომხედა,
მომამტერდა, დამიბღვირა, ადექი, გაკვეთილი
მომიყევით. ისე შემეშინდა, ხმა ველარ ამოვიღე.

რა გვაქვს გაკვეთილადო? – მკითხა.

გორგასალი-მეთქი.

სახელიც მითხარო.

გურამი-მეთქი.

შენი კი არა, გორგასალისაო.

დავითი-მეთქი.

აბა მაშინ აღმაშენებელს რაღა ერქვაო?

ვახტანგი-მეთქი.

კლასში ხარხარი ატყდა. მერე გამაგებინეს ჩემი შეცდომა, მაგრამ მას აქეთ მაინც გორგასალს დავითს ვეძახი და აღმაშენებელს – ვახტანგს. მაშინ ისე არეულ გუნებაზე ვიყავი, რომ კიდევ კარგი, ერთს ჰანსი არ დავარქვი და მეორეს ლუი, თორემ რა მოხდა მერე, ორივეს ისევ ქართული სახელები ვუბოძე. კაცი სიტყვას არ უნდა გადავიდეს.

რახან ვთქვი, ვთქვი!..

ეხლა ცოლი როგორღა შევირთე?

როგორღაც ამხანაგებში დავიტრაბახე, ლამაზ ქალს სუნთქვით ვცნობ-მეთქი. მაშ კარგიო, მითხრეს, ათ გოგოს ჩამოგიმწკრივებთ, თვალებს აგიხვევთ და თუ მიხვდები, რომელი იქნება იმათში ყველაზე კოხტაო.

ეგრე იყოს-მეთქი.

დამიყენეს მართლა ათი გოგო რიგში, ამიხვიეს თვალები და ასე ჩამომატარეს იმათ წინ.

ეს არის ამათში ულამაზესი-მეთქი. – ვატაკე თითი ერთს.

ძალიან ლამაზიაო? – მკითხეს.

ისეთია, რომ ცოლად რომ გამომყვეს, შევირთავ-მეთქი.

ესა ვთქვი და ჩამომეკიდა ის ქალი კისერზე ჰალსტუკივით. ამიხილეს თვალები და ჯოჯოხეთის მაშხალა კი შემრჩა ხელში, მაგრამ წამოვიყ-

ვანე და დავისვი სახლში. კიდევ კარგი, ქალის მაგვირად ძალი არ შემომაპარეს, თორემ რა მოხდა-მერე, კაცი სიტყვის პატრონი უნდა იყო!...

რახან ვთქვი, ვთქვი!

მადლობა ღმერთს, ხასიათით მაინც აღმოჩნდა ჩემი ქალი ანგელოზი და მალე დამავიწყდა იმისი სიმახინჯე. ფეხმძიმედ რომ შეიქმნა, მითხრა:

გული მეუბნება ტყუბი გამიჩნდება და რას დარქმევო?

ვიცი, პირველი ბიჭი მოვევლინება ამ ქვეყანას და ბიჭიკოს დავარქმევ, მეორე კი გოგო გაჩნდება და იმის სახელიც გოგონი იყოს-მეთქი.

გაჩნდა ქალ-ვაჟი, მაგრამ მოხდა პირიქით. ჯერ გოგომ დაიჩხავლა და მერე ბიჭმა, მაგრამ სიტყვას არ გადავედი და ქალიშვილს ბიჭიკო დავარქვი და ვაჟიშვილს – გოგონი. შენ ისა თქვი, ორივე გოგო რომ გაჩენილიყო, რა მეშველებოდა, თორემ რა მოხდა მერე. კაცის სიტყვა ბეჭედი უნდა იყოს.

რახან ვთქვი, ვთქვი!

ეს ამბავიც რომ აღვწერე, მეგობრებს ნავუკითხე და ვუთხარი:

გამოსაქვეყნებლად ვაგზავნი და რას მეტყვით-მეთქი.

დამცინეს და მითხრეს, მასხრად აგიგდებენ, ყროყინა-ვირს დაგარქმევენ ზედმეტ სახელად, არ გაბედო, არსად გაავზავნოო. რა ვიცი, იქნებ მართალნიც იყვნენ, მაგრამ მე მაინც გამოქვეყნება ვამჯობინე. თუ დამცინებენ, დამცინონ. რა მოხდა მერე, ადამიანს ყველაზე მეტად სიტყვის პატრონობა ამშვენებს.

რახან ვთქვი, ვთქვი!

დათუნია ბრუციანის ოთხი მცნება

შვილო ჩემო, დათუნია დრუნჩავ, მთხოვ, გაგიზიარო გამოცდილება, თუ როგორ გადავურჩი ამდენ ქარტახილს, უფროსთა ცვლას, სხვადასხვა ჟამთა ვითარებას, როგორ მოვახერხე, რომ მე – „საცობმა, რომელიც ყველა ბოთლს მოერგება, უვიცმა, რომელსაც წიგნი არ ნაუკითხავს ბოლომდე, ბოროტმა, რომელსაც ერთი კეთილი საქმე არ ჩაუდენია, ტურტლიანმა, ორპირმა, გაიძვერამ, უცხვირპირომ“, როგორც შენ იწერები, აქამდე შევინარჩუნე თანამდებობა, მაშინ, როცა სხვა ბევრი ჩემისთანა მოხსნეს ან დააქვეითეს.

ეჰ, შვილო ჩემო, დათუნია დრუნჩავ, პატარაობიდანვე უზრდელი იყავი, მარტო ამაში დაგყვა მამაშენის ხასიათი. მაგრამ მე მხოლოდ უმცროსებთან ვიყავი ასეთი, შენ კი ყველასთან განურჩევლად. სად არ მოგანყე, მაგრამ ვერსად მოიკიდე ფეხი. ახლა მაინც იყავი ჭკუით, რომ ეგ თანამდებობაც არ დაკარგო. მაშ, მომისმინე და კარგად დაიმახსოვრე ჩემი ოთხი მცნება.

მცნება პირველი

სანამ საქმეს შეუდგებოდე, ჯერ კარგად უნდა მოიფიქრო, მარცხის შემთხვევაში ვის რა დააბრალო

ბრძენს უთქვამს, არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებსო. სრული ჭეშმარიტებაა. შეცდომისათ-

ვის კი ხომ იცი სჯიან. ამიტომ უნდა ეცადო, არაფერი აკეთო, რომ არ შეცდე და არ დაისაჯო, ან ძალიან ცოტა უნდა აკეთო, რომ ცოტას შეცდე და ცოტათივე დაისაჯო. ისე კი, თუ გინდა სიმართლე იცოდე, ვაჟკაცობა ის არის, რომ ამ პატარა სასჯელსაც გადაურჩე. ეს რომ მოახერხო, უნდა გახსოვდეს ჩემი პირველი და ყველაზე მთავარი მცნება; „სანამ საქმეს შეუდგებოდე, ჯერ კარგად უნდა მოიფიქრო, მარცხის შემთხვევაში ვის რა დააბრალო“. უნდა ეცადო, რომ ყოველი შენი მოქმედება კოლექტიური ნებისყოფის გამოხატულებას ჰგავდეს. რაც შეიძლება ხშირად ეთათბირე მოადგილეებს და რამდენიმე სხვა რჩეულს. აზრი, როგორიც სურთ, ისეთი გამოთქვან, გადანწყვილებაც, როგორიც გაეხარდებათ, ისეთი მიიღონ, ეს ნუ გადარდებს, შენ შეგიძლია მოიქცე ისე, როგორც მოგეპრიანება, მთავარია მხეცებში შექმნა შთაბეჭდილება, რომ გიყვარს სხვათა შეხედულებების მოსმენა, რომ ყველაფერს კოლეგიალურად ნყვეტ. მაშინ შეძლებ, რომ თუ რამე ნახდა, პასუხისმგებლობა შენ აიცდინო და სხვებს დააკისრო.

მცნება მეორე

*მოადგილე უფროსს განტევების ვაცად
უნდა ჰყავდეს*

ამბობენ მოადგილე უფროსის მარჯვენა ხელიაო. აპაპაპა, არ დაიჯერო არავითარ შემთხვევაში. თუ ის მართლა მარჯვენა ხელია, ის ხელია,

რომელიც შენი თავის მოსაჭრელად არის აღმართული. აბა მითხარი, უფროსი რომ მოკვდეს ან მოხსნან, იმის ადგილას ვის დანიშნავენ? – სწორი ხარ, მოადგილეს! ჰოდა, იმანაც ხომ კარგად იცის ეს ჭეშმარიტება! იცის და ამიტომაცაა, რომ დღეცა და ღამეც უფროსის დალუპვაზე ოცნებობს. რით უნდა დავიზღვიოთ თავი საფრთხისაგან?

მე ჩემი მოადგილე განტევების ვაცად მყავს. როცა ცოტად თუ ბევრად სერიოზული რამ მაქვს გასაკეთებელი, იმ დროს დავკრავ ფეხს და მოვლინებაში მივდივარ, იმას კი სიტყვიერ მითითებას ვუტოვებ, რომ ყველაფერი ჩემს დაბრუნებამდე მოათავოს. ნახდება ამით რამე, აგერაა მოადგილე, ვერ გაართვა თავი საქმეს, ჩემს უნებურად ჩაიდინა-მეთქი, ვიტყვი. თუ სანაქებო რამ გამოვიდა იმის ხელიდან, მე მივითვლი ანგარიშში, უკიდურეს შემთხვევაში დამსახურებად ჩაეთვლება მთელს კოლექტივს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ზემდგომ ორგანოებში დასატუქსად თუ დაგიბარებენ, თავი მოიავადმყოფე და შენს მაგივრად მოადგილე გააგზავნე, ხოლო თუ საქებრად გამოგიძახებენ, რომ კვდებოდე კიდევ, ლოგინიდან წამოხტი და გაიქეცი.

თუ პრესაში გაგაკრიტიკეს, გასაგზავნ პასუხზე შენს მოადგილეს მოაწერიხე ხელი. თანაც ისე დაიჭირე თავი რომ ვითომ არც კი იცი, რა დაწერა ან ვის მისწერა.

მოადგილე უნდა გადაჰკიდო კოლექტივს. თუ ის ვინმეს დატუქსავს, შენ შეაქე. თუ საქმეს და-

უნუნებს, შენ მოუნონე, თუ მოუნონებს, შენ დაუნუნე. მოკლედ, ყველაფერი უნდა იღონო, რომ შენს მოადგილეს ავტორიტეტი არა ჰქონდეს თანამშრომლებში. მაშინ ის უღონო იქნება და შენც შეგეძლება ხშირად დაიჩივლო სადაც ჯერს არს: რა ვქნა, მოადგილე არ მივარგა, ან კიდევ: რა ვქნა, ბედი არა მაქვს მოადგილეებში-თქო.

მცნება მისამი

შეპირდი, რა გენაღვლება!

თუ ვინმემ რამე გთხოვოს, უარს ნუ ეტყვი. შეპირდი, რა გენაღვლება, მაგრამ ნურავის ნურაფერს შეუსრულებ. მთხოვნელს ბოდიში მოუხადე, ახლა დრო არა მაქვს, ხვალ მობრძანდით, ყველაფერს მე თვითონ შევისწავლი დეტალურად და უთუოდ დაგეხმარებით-თქო. მდივანს კი ჩუმად უთხარი, ეს მხეცი კიდევ თუ მოვიდეს, არავითარ შემთხვევაში ჩემთან არ შემოუშვა-თქო. მდივანი ხომ ვერ ეტყვის მეორე დღეს მოსულ მთხოვნელს, თქვენ კი გითხრათ უფროსმა, მნახეთო, მაგრამ მე მიბრძანა, თვალით არ დამანახოთო. ისიც ნავა და მთელ ტყეს გააგებინებს შენს გულისხმიერებასა და ზრდილობიანობას, თანაც მაგრად მიგილანძღავს აპარატს. უფროსი ანგელოზი ჰყავთ, მაგრამ გარშემო ქაჯები ახვევიან და რა ქნასო. ამით შენ ორ კურდღელს დაიჭერ. საკუთარი კანმხეცობის ამბავს გაავრცელებ და შენს აპარატსაც დაამცირებ სხვების თვალში. გახსოვდეს, თუ

შენს თანამშრომელთაგანს ვინმეს თავის გამოჩენის საშუალება მიეცი, ის შეიძლება დაანინაურონ და პერსპექტივაში შენ შეგიქმნას საფრთხე. ამიტომაც მათი დამცირება შენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. რაც შეიძლება, ხშირად დაიჩივლე, რომ აპარატი არ გივარგა. ნურასოდეს ნურავის შეაქებ, ლანძღვით კი მაღიმალ ლანძღე ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, ისე რომ გაულანძღავი არავინ დაგრჩეს. თუ ვინმე გიჩივლებს, იტყვი, რომ ეს მხეცი გალანძღული მყავს და იმიტომ მიჩივის, განანყენებულს რა დაეჯერება-თქო. ყოვლივე ამით შექმნი შთაბეჭდილებას, რომ მთელი კოლექტივი შენით სულდგმულობს, რომ შენ თუ არ იქნები, ყველა და ყველაფერი დაილუპება.

მცნება მოთხე

თუ გინდა იცოდე, ვის როგორ მოექცე, უნინ ის უნდა გაიგო, ვინ გიჩივლებს და ვინ არა

ნუ გეშინია სპილოებისა – პატიოსანი მხეცეები არიან. რაც არ უნდა გთხოვონ და არ შეუსრულო, ისინი ათას გამართლებას მოგიძებნიან. ბევრნი ანუხებენ და ჩვენთვის ველარ მოიცალაო, ჩვენზე გაჭირვებული სხვები არიანო და მოჰყვებიან ამისთანებს. კიდევ რომ შეგიცნონ, ჰა, შეგიძულევენ და მეტს რას გიზამენ, არც გაგიყადრებენ თავს, რომ გიჩივლონ.

გეშინოდეს მელიებისა, ისინი გაიძვერები არიან. თუ არ ველოლიავეთ, რაცა ვართ, ვართ და იმა-

ზე უარესს გაგვხვდებიან, ყველგან თავს მოგვეჭრიან და შეიძლება გადაგვიყოლონ კიდეც. მოკლედ, თუ გინდა იცოდე, ვის როგორ მოექცე, უნინ ის უნდა გაიგო, ვინ გიჩივლებს და ვინ არა.

* * *

შვილო ჩემო, დათუნია დრუნჩავ, ამით ვამთავრებ ჩემს წერილს. ნაიკითხე, დაიზეპირე და დანვი. არავის ჩაუვარდეს ხელთ, თორემ თუ ჩვენი ბუნება შეიცნეს, ცუდად წაგვივა საქმე.

მხეცურიდან თარგმნა გივი კაპანაძემ

* * *

მთარგმნელისაგან: წერილი მელამ მოიპარა და მე მომიტანა. ეს სწორედ ის მელია იყო, რომელსაც დათუნია ბრუციანი ამდენს ელოლიავებოდა და მაინც ვერ მოიგო იმისი გული. მელას ალლო ჰქონია კარგი, დრო იცვლებო, იფიქრა, ახლა კი ნამდვილად გამოაშკარავენ და მოხსნიან დათუნისასო და ნიადაგი შეიმზადა, რომ პატიოსან მხეცად მოეჩვენებინა თავი. მე კი ეს დარიგება იმიტომ ვთარგმნე, რომ ზოგი რამ შენიშნა. ეს ოთხი მცნება ადამიანებისგანაც გამიგონია. მართლაც და განა ჩვენშიც არ არიან შემორჩენილნი დათუნია ბრუციანის მსგავსნი, რომლებიც მარტო იმაზე ფიქრობენ, თავიანთი შეცდომა თუ დანაშაული ვის გადააბრალონ, ათას სისაძაგლეს კადრულობენ იმისათვის, რომ თანამდებობა შეინარჩუნონ. ისინი ოსტატურად ეფარებიან ჭკვიანი და გულის-

ხმიერი ადამიანების ნილაბს და ეს აძნელებს მათს საშუაროზე გამოყვანას. იქნებ ჩემი ნათარგმნე-ბი ცოტათი მაინც დაგვეხმაროს ამ საქმეში ჩვენ, ადამიანებს, თორემ მხეცებისა რა დარდი მაქვს.

ვაჰმე, სად არის სამართალი ანუ როგორ უყიდა სიძეე სიღედრ-სიმაგრს ავტომანქანა „ვოლგა“

კოტე ბატონო, ამდენ ფულს რომ ხარჯავ ტაქ-სით სეირნობაში, იყიდე მანქანა! – ეტყოდნენ-ხოლმე ცხონებულ მამაჩემს.

აგერ დავაქორწინებ ბიჭს და სიმამრი უყიდის „ვოლგას“! – უპასუხებდა ისიც რიხით.

მამა ისე გარდამეცვალა, ვერ მოესწრო ჩემს და-ოჯახებას. ანდერძად კი დამიტოვა, ისეთ ქალს ნუ შეირთავ, რომ „ვოლგა“ არ მოყვეს მზითევეშიო. დე-დაჩემიც ამ აზრისა იყო და სახელის გაგონებაც არ უნდოდა სარძლოსი, თუ ავტომანქანას არ შეაგუ-ლებდა. ბებიაჩემიც, მზითევეში „ვოლგის“ ნაცვლად რომ მოჰყვა დედაჩემს, წარამარა მეუბნებოდა:

გაიხედ-გამოიხედე, შვილო, მარტო ჩვენა ვართ დარჩენილი უმანქანოდ. სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, თავად ქარაფშუტა მამაშენმა არ გაღირსა და, აბა შენ იცი, ეგებ მანქანიანი ქალი შეირთო.

შენ რატომ არ უყიდე მამაჩემს „ვოლგა“? – ვე-კითხებოდი-ხოლმე.

მამაშენისთვის, შვილო, დედაშენიც მეტი იყო, რომ მივათხოვე. შენისთანა სიძეს კი სად იშოვნის კაცი, შენ გენაცვალე, შენა! – მიპასუხებდა ბებია.

დიდ განამანიაში იყვნენ დედაჩემი და ბები-აჩემი, მაგრამ ვერა და ვერ მიშოვეს „ვოლგიანი“ საცოლე. ამასობაში მე თმებში ჭალარა მეპარე-ბოდა და იმათ კი შიში გულში, უცოლშვილოდ არ გადაგვეგოს ბავშვი, არ გადაგვიშენდეს ოჯახიო. მოტყდნენ ბოლოს და დამთანხმდნენ, შენ ოღონდ ცოლი შეირთე და ჯანდაბას იყოს უმანქანოო.

ჩემს სასიამამროს პერსონალურად ემსახურე-ბოდა „ვოლგა“ და დედაჩემს და ბებიაჩემს ესლა ანუგეშებდათ. იმედოვნებდნენ, ამ მანქანას ისე გამოვიყენებთ, როგორც საკუთარსო. ტრაბახობ-დნენ კიდევ:

საკუთარი მანქანა რა ოხრად გვინდოდა. იმას ბენზინი დასჭირდებოდა, რემონტი და ათასი სხვა რამ ჯანდაბა, სახელმწიფო „ვოლგაზე“ კი კაპიკი არ დაგვეხარჯებო.

ნურას უკაცრავად, მაგრამ სიამამრის „ვოლ-გას“ ვინ გაგვაკარა. თვითონაც ფოსტის ცხენივით დააჭენებდა დილიდან საღამომდე მანქანას, ერთი ნუთიც უჭირდა უიმისოდ გაძლება და ვის ათხო-ვებდა. ეგ იყო მხოლოდ, რომ ცოლისა ეშინოდა და იმას კი უარს ვერ უბედავდა, თორემ სიძე და სხვა ვილაც-ვილაცეები რაში ეპიტნავებოდა.

რომ ვერა და ვერ დაგვინახეს მეზობლებმა სი-ამამრის „ვოლგაში“ გამოჭიმულები, ქირქილი და-ინყეს. კინალამ ჭკუიდან შევიშალეთ. რა გველონა, არ ვიცოდით. ვითათბირეთ, ვითათბირეთ და გა-

დავწყვიტეთ, ჩუმად შეგვეგროვებინა ფული, გვეყიდა მანქანა და ხმა კი დაგვეყარა, რომ ვითომც სიდედრმა და სიმამრმა მაჩუქეს.

ვინ იცის, როგორ შევაგროვებდით ფულს, რამდენი წელიწადი მოგვიხდებოდა კიდევ მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების, ნათესავეებისა და ახლობლების დაცინვის ატანა, რომ მამაზეციერს წყალობის თვალთ არ გადმოეხედა ჩვენთვის. სამპროცენტოანი ობლიგაციით ათიათასი მანეთი მოვიგეთ, ეს მოგება იმის უფლებასაც გვაძლევდა, რომ „ვოლგა“ ურიგოდ შეგვეძინა. ჰოდა, მოგებულ თანხას დანაზოგიც დავუმატეთ და მოვაგრიალეთ „გაზ-24“. დედაჩემმა და ბებიაჩემმა კი ქვეყანა შეძრეს:

სიმამრმა უყიდა ჩვენს ბიჭს „ვოლგა“. აბა, რა გეგონათ, ჩვენ ამდენ ფულს ვინ მოგვატიალებდა!

მეტი სიფრთხილისთვის, რომ ვერავის გაეგო ჩვენი საიდუმლო, მოგებაცა და მანქანაც მართლაც სიმამრის სახელზე გავაფორმეთ.

სიხარული დიდი იყო ჩვენს ოჯახში, მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს ბედნიერება. ერთხელ სიმამრმა სიდედრს მანქანა აღარ გაუგზავნა, მჭირდება და სიძის „ვოლგით“ ისეირნეო. ქმარი ცოლს როგორ მოერეოდა, მაგრამ თვითონ ქალმა დათმო პოზიციები. უნდოდა, ჩემი მანქანაც გაესინჯა, როგორი იყო. სიდედრს, აბა, უარს როგორ ვეტყოდი (სხვა რომ არაფერი, ცოლის საყვედურებს რას გავუძლებდი), დავეთხოვე სამსახურიდან და ავუსრულე ვითომც მოკრძალებული თხოვნა, ნავიყვანე საპარიკმახეროში.

სიდედრს ჩემი მანქანა მოეწონა.

ესა სჯობია ჩემი ქმრის მანქანას. ახალია და ღმერთმა ტკბილად მოგვახმაროსო! – მომილოცა და მონყალებდ გამიღიმა.

„მოგვახმაროსო“? ამ სიტყვის გაგონებაზე ჟრუანტელმა დამიარა, ვიცოდი, როგორ შეკლული ჰყავდა ქმარიცა და იმისი მძლოლიც და შემეშინდა, მეც არ შემომიჩნდეს-მეთქი, მაგრამ თავი ვინუგე-შე, იცის, რომ ვმუშაობ და მეტს აღარ შემანუხებს-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. რაში აინტერესებდა ჩემს სიდედრს ჩემი სამსახური. ნელ-ნელა შეგვეჩვიო მეცა და ჩემს მანქანასაც. ქმრის „ვოლგის“ ხსენებაც აღარ უნდოდა, დარახრახებოსო.

ასე და ამგვარად გამხადა ჩემმა სიდედრმა თავისი პერსონალური მძლოლი. ერთი-ორჯერ კი ვცადე უარისთქმა, მაგრამ ისეთი დღე დამაყარეს ცოლმა და დედამისმა, რომ ლამის კუდით ქვა მასროლინეს. მალე სიმამრიც დამიქვეითეს თანამდებობიდან და მანქანა ჩამოართვეს. აბა, მის უგაბლენძილესობას როგორ ეკადრებოდა ფეხით სიარული და იმის ტარებაც მე დამეკისრა.

ამითვალისწინეს სამსახურში. აბა, რა იქნებოდა. ქვეყნის საქმე მქონდა და ველარაფერს ვაკეთებდი. სამსახურიდან ვიპარებოდი და ქურჩა-ქურჩა დავნანწალეზდი. ადრე ხუთი კაცის ტვირთი მეკიდა და ახლა ხუთი კაცი ეწეოდა ჩემს ჭაპანს. კრება როგორ ჩატარდებოდა ჩვენთან, რომ არ ეთქვათ ჩემზე, ამ ბოლო ხანებში მთლად გაფუჭდა, ნახდა და გაპარა-ზიტდა, რა კარგი მუშაკი იყო და რა მოუვიდაო.

სირცხვილით როგორ გავამხელდი, რა ამბავიც იყო ჩემს თავს. ვყლაპავდი და ვყლაპავდი

კრიტიკას, წყენასა და ბოლმას. ერთხელ გავცივდი და ავად გავხდი. სიცხე მომცა ორმოცი გრადუსი, მაგრამ ვინ დამიჯერა. მანქანა რომ დასჭირდათ და ავად ვარ-მეთქი, ვუთხარი, ეზარება და აფერისტობსო, შეიცხადეს ჩემმა სიდედრმა და სიმამრმა და დამემუქრნენ, ჭკვიანად იყავი, თორემ სულაც წაგართმევთ მაგ „ვოლგას“, ჩვენია, ჩვენზეა გაფორმებულიო. რაღას ვიზამდი, წამოვდექი ლოგინიდან და მოვემსახურე. დავდნი კაცი დარდითა და ბოლმით. ლოქოს ვგავდი და ქაშაყს დავემსგავსე. რაღა მელონა, არ ვიცოდი, ისევ ბებიამ მიხსნა ამ გასაჭირიდან. ერთხელ დადარდიანებული რომ დამინახა, ცალკე გამიხმო და დიდი საიდუმლოების ვითარებაში მითხრა:

სხვა გზა არა გვაქვს, შვილო, უნდა მანქანა ვუყიდოთ შენი ცოლის არგასახარებელ მშობლებს!

ბარემ კარგი იქნება, მაგრამ სადა გვაქვს სამაგისო ფული – ამოვიოხრე მე.

ცოტა მე მაქვს შავი დღისთვის შემონახული. გული მიგრძნობს, მალე მოვკვდები და ცოტაც ჩემი სიკვდილის შემდეგ შემოგივა. დაგიგროვდება რაღაც, ნუ გეშინია, შვილო!

გავიდა ამის შემდეგ ორიოდე თვე და ბებიარემი მართლაც გარდაიცვალა. სიკვდილის წინ დამლოცა, სხვების ჩუმად ჩამჩურჩულა, ისე მოიქეცი, როგორც დაგარიგეო და სულიც განუტევა.

დავასაფლავეთ ბებო. გადავუხადეთ ქელეხი და ფული მართლაც შემიგროვდა იმდენი, რომ ერთ „ჟიგულს“ ეყოფოდა. შემეშინდა, არაფერში შემომეხარჯოსო და დაკრძალვის მეორე დღესვე

სიდერ-სიმამრს ვეახლე. ამოვილულლულე, ჩემზე დიდი ამაგი გაქვთ განეული, მინდა როგორმე ცოტათი მაინც გადაგიხადოთ და, თუ გიყვარდეთ, უარს ნუ მეტყვიით, „ჟიგული“ მინდა გიყიდოთ-მეთქი.

მეგონა, ცას ენეოდნენ სიხარულითა და სიამაყით. სასიხარულო და საამაყო არ იყო განა? ისინი ხომ პირველი სიდერდ-სიმამრი უნდა გამხარიყვნენ კაცობრიობის ისტორიაში, სიძე რომ უპირებდა მანქანის ყიდვას. მაგრამ, ეჰ, სად იყო სამართალი?

„ჟიგული“?! – აიბზუეს ტუჩები, ვითომ ჩვენ რითი ვგავართ „საჟიგულე“ ხალხსო. შემეშინდა, ჩანაფიქრი არ ჩამეშალოს-მეთქი და შევეხვეწე:

ოლონდ უარს ნუ მეტყვიით და ჩემს „ვოლგას“ მოგცემთ!

არც ეს ეპიტნავათ. შენს „ვოლგას“ მალე რემონტი დასჭირდება და სადა გვაქვს იმის თავიო. ამის გაგონებაზე, კინალამ ბოლმამ დამახრჩო. ერთი კი გავიფიქრე, მოდი ვწვდები ორივეს ყელში და წავახრჩობ-მეთქი, მაგრამ მოვითმინე და ამოვილულლულე:

ახალთახალ პრიალა „ვოლგას“ გიყიდით-მეთქი!

დიდი ხვენწა-მუდარის შემდეგ როგორც იქნა დამთანხმდნენ. ოლონდ პირობა ჩამომართვეს, რომ ავტომანქანას თვითონ შეარჩევდნენ, სიმამრის სასწავლებლად მძღოლთა კურსებზე საბუთებსაც მე შევაგროვებდი, ფულსაც მე გადავუხდიდი და გამოცდების დროს საქმესაც მე ჩა-

ვუწყობდი, რომ არ ჩაეჭრათ. ოღონდ მშველოდა რამე და ყველაფერზე ყაბულს ვიყავი.

„ვოლგის“ ფული სად მქონდა, გავისესხ-გამოვისესხე. კისრამდე ვალებში ჩავვარდი და მაინც ვუყიდე. დანარჩენი პირობაც შევუსრულე და შვებით ამოვისუნთქე. მთელი დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ მეგულებოდა, მაგრამ აქაც მალე მიმტყუნა ბედმა. ერთი თვე კი ატარა ჩემმა სიმამრმა მანქანა, მერე კი დაამტვრია, რემონტის ფული სად მაქვსო, დაიჩივლა. ვისესხე და მე გავურემონტე სასწრაფოდ. ერთი თვე კიდევ გავიხარე, მაგრამ ერთი თვის შემდეგ სადღაც გამოთვრა და ორი წლით ჩამოართვეს მძღოლის მონმობა.

დაიწყო ისევ ძველი ისტორია. დამყავს ჩემი სიდედრი და სიმამრი ხან აქეთ და ხან იქით და ვგიჟდები კაცი. გიჟდებიან სიძეებიც. შეიტყვეს ჩემი ამბავი და წყევლა-კრულვასა და მუქარას მითვლიან, სულ ერთია ანდერძს აგიგებთ, არ შეგარჩენთ, სიდედრები და სიმამრები რომ გადაგვირიეო. ჰოდა, ვარ ახლა ასე, დავდივარ დაბოლმილი და ნალველაგასიებული. არ ვიცი, სად და ვინ მომიღებს ბოლოს.

ნუგეშად ისლა დამრჩენია, რომ სამი ქალიშვილის მამა ვარ, ეგებ მეც მიყიდონ სიძეებმა მანქანა და მეც ასევე მომემსახურონ. ეჰ, თუმცა მე ვინ მომცა ბედი. სამივე მე მომთხოვს მზითვად „ვოლგას“ და ის მირჩენია ახლავე დავიწყო ფულის შეგროვება.

ვაჰმე, სად არის სამართალი!

ლირიკა

ლეგენდა საქართველოზე

როცა ღმერთმა, სულმა წმინდამ
ხალხებისთვის მიწის ბედად
გამოყოფა გადანყვიტა,
დედამიწას გადმოხედა.

ერთ კუნჭულში მან სრულქმნილი
როცა შენიშნა გარემო,
უნებლიედ შეძახილი
მას აღმოხდა: თავო ჩემო,

რალას ვნახავ, სადღა ვნახავ
მხარეს ლამაზს, წარმტაცს უფრო,
ამას ჩემთვის შევინახავ
საკუთრებად, ჩემს საუფლოდ.

ადამის ძეთ ბლომად, უხვად
დაურიგა სხვა ხმელეთი,
სანაცვლოდ კი ყველგან ქუხდა
ლოცვა და დიდება ღმერთის.

ამის შემდეგ მოინდომა
ადგილზევე დაედგინა,
ენახა სხვადასხვა ტომმა,
თუ როგორ მოიწყობინა.

და იხილა, რომ ყოფილა
ყველა ბედნიერი ნირით

და თვითონაც კმაყოფილმა
უკანვე იბრუნა პირი.

ამ დროს შემოესმა ტყეში
უცხო ჰანგი ნეტარება,
ისე ტკბილად თავის დღეში
სხვა ვერავინ იმღერებდა.

და უფალმა რა ისმინა,
ქეიფობდნენ ქართველები
მიუჯდა და მოილხინა
მათთან ერთად მთელი გზნებით.

მერმე ჰკითხა: აღარ მახსოვს,
რომელ მხარეს დაგასახლეთ,
აღბათ სადღაც ჩემთან ახლოს,
თუმც საერთოდ თუ მეახლეთ?

მოახსენეს: გყავდა ბევრი
მოაჯე, შემნუხებელი.
მოგვერიდა, ვერ მოველით,
გადმოგვეცა სათხოვნელი.

ღმერთმა ბრძანა: მომწონს თქვენი
ზრდილობა და საქციელი,
ერთგულუბაც ჩემი გშვენით,
მაგრამ ახლა რას გიშველით?

რა ვიღონო, აღარ ვიცი,
ციცქნა მინა შევინახე,

დავიტოვე ჩემთვის ისიც
აგარაკად, სავენახედ.

ბოლოს მოჭრა მან გადაჭრით,
თუმცა სინანულით ხმაში:
ჩემს მიწაზე ნადით, დარჩით,
მე კი დავმკვიდრდები ცაში.

ესა თქვა და იქ ყოფილნი
დალოცა და გაქრა მყისვე,
ქართველები დაჩოქილნი
აღავლენდნენ ლოცვას ცისკენ.

ეს ამბავი საკვირველი
ლაღადებს, რომ იბერია
არამარტო ღვთისმშობელის
თვითონ ღმერთის წილხვედრია.

საოცრება გმონია...

თავნება, ტუტუცი და ქარაფშუტა გოგონა,
ყველა რომ დასცინის და სულ კისკისებს
თვითონაც,
დრო დგება, უფლის ნება როცა ხორციელდება,
სწორს ნახავს, გათხოვდება, მერე კი დედა
ხდება,
ჰოი, საკვირველება, ჰოი, ფერისცვალება,
ის ტუტუცი არსება თვითონ ღმერთს
ემსგავსება,

როგორც ნამდვილ ღვთაებას ყველა ეთაყვანება,
შენი მადლით, განგებავ, და სხვიით იმოსება.
უფალო, გთხოვ შენდობას, საოცრება მგონია,
ვიდრე არის დედობა, შენ არ მოციგონია.

მამატიე, დედა!

დაგიბნელდა მზე და
მხოლოდ ახლა ვხედავ,
არ ვყოფილვარ, დედა,
შენი ღირსი მე და

თუმცა მახსოვს კარგად,
ჩემით ამაყობდი,
სიზმარში თუ ცხადად
მაქებდი, მამკობდი.

მაგრამ მახსოვს ისიც,
მახსოვს, დედაჩემო,
ვით გაგემე, რისთვის
წყენის მწარე გემო.

და მე მანევს დარდად,
უნებურად ჩემდა
გული გატკინე და
აგატირე, დედა.

რა ხანია ჰე, გასული
წელი მას აქედან,

დღემდე მტანჯავს სინანული,
გულს მიფლითავს, დედა.

შენი შვილი გევედრება
მუხლმოდრეკით შენდა,
რაც შეგცოდე, შემინდე და
მაპატიე, მაპატიე, მაპატიე დედა!

გმოგება შვილო, სიცოცხლე მოგცა...

ზოგი მშობელი მილიონერია,
ზოგი ოჯახსაც ვაებით არჩენს,
ზოგი მშობლების მადლიერია,
ზოგი კი სწყევლის გამჩენს.

ზოგი ამაყოფს მემკვიდრეობით,
მამის სიმდიდრით, მისი მხნეობით,
კმაყოფილია თავისი სვეთი,
მადლობელია მაღალი ღმერთის.

ზოგის კი მხოლოდ ისმის ჩივილი,
წუნწუნი, ოხვრა, გულისტკივილი:
რა მომცა მამამ, რა მომცა დედამ,
სიპ ქვაზე დამსვეს, ხომ ყველა ხედავს.

ამ საყვედურის მთქმელს ვუსმენთ როცა,
რა ვუნოდოთ მას, თუ არ ჩერჩეტი.
მშობელმა, შვილო, სიცოცხლე მოგცა,
რა უნდა მოგცეს ამაზე მეტი?

გაიხსენე მომაკვდავი გედი!..

როს დადგება დრო და ჟამი
წუთისოფლის ბოლო წამის,
ნუ შედრკები, გაიხსენე
მომაკვდავი გედი,
იმღერე და იმ ქვეყანას
ასე მღერით შედი!

ილია ჭავჭავაძის მიზაქვით

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას
ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი
სიძულვილია!..
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე
სცნობს –
ამ სიძულვილში რაოდენ სიყვარულია.

თუმცა ხშირად გულმოკლული აუგს ვამბობ
ჩემი ხალხის
ვლანძღავ ჩემს თავს, ვკიცხავ ჩემს ხალხს,
ვუფათურებ ხელებს სულში
მაინც ვიტყვი, მომკლან თუნდაც, სიტყვას
ვიტყვი არა კვეხნის,
გამეჯიბროს ვისაც უნდა საქართველოს
სიყვარულში.

რად შეგვქმნა ღმერთმა?

ხე, ფრინველი თუ ძეხორციელი,
ჭინჭველი, თევზი თუ მორიელი,
სიტყვით ყოველი სტუმარი ამ წუთისოფლისა
ეძიებს პასუხს ერთ კითხვაზე
პირველყოვლისა.

რად შეგვქმნა ღმერთმა, რად შთაგვბერა
სული ცხოველი,
რისთვის ვარსებობთ, ანუ ჩვენგან ვინ რას
მოელის?
ჩვენივე თავი გავიმეოროთ, ეს არის ის, რაც
ღმერთს ჰქონდა აზრად, ღმერთს ჰქონდა
ფიქრად.

თუ საქართველოს ეყოლება თავის იმედად...

მავანი ფიქრობს, რომ ქართველი მხოლოდ
ის არის,
ვისაც ქართული სისხლი აქვს და ქართული
გვარი.

მაგრამ, ჰე, ძმებო, მოვიკრიბოთ გონების ძალი
და დავრწმუნდეთ ასე მხოლოდ სჯის უმეცარი.

აბა, რით არის ქართველი ის ქართველი კაცი,
მერწმუნეთ, მზარავს და მაშფოთებს მე ამის
თქმაც კი,

ვისაც არა აქვს ჩვენი სული, ჩვენი გაგება,
და არ ძალუძს ქართულად აზრების დალაგება.

და რით არ არის ქართველი ის „არაქართველი“,
ვინც ჩვენთვის არის უღალატო ფარი
მფარველი,
ვინც ჩვენთან არის ჭირშიც, ლხინშიც,
ქართულად სწირავს
თუ საქართველო მოუწოდებს, შვილსაც
შესწირავს!

არ ვარჩევ, ჩემთვის ქართველია რუსიც და
ოსიც,
აზერიცა და ებრაელიც, შვილიც ჰაოსის,
თუ საქართველო მიაჩნია სამშობლოდ, დედად.
თუ საქართველოს ეყოლება თავის იმედად.

დიახაც, ძმებო, ქართველია ქართული ჯიშის,
ვინც გამგებია ჩვენი ლხენის, ვაის და ვიშის
და თუ ქართული არ აქვს სისხლი და არცა
გვარი,
სანაცვლოდ მას ხომ საქართველო ჰყავს
საფიცარი.

ჩემს შვილიშვილს დაჩის

ჩემო დაჩუნი, დაჩია,
თუმცა ჯერ შენ ხარ პანია,
შენს ერთ წამოტირებაზე
არის განამანია,

ყველას თითის მოძრაობას
თვალს აყოლებ უჭკუოდ,
მაგრამ ცოტა მოთმინება
იქონიე უთუოდ.

დრო მოვა და უეჭველად
შეიცვლება როლები,
პროგრესულ კაცობრიობას
იმედად ეყოლები.

განაცვიფრებ ყველგან ყველას
ცოდნით, ნიჭიერებით,
შენი თითის მოძრაობას
აჰყვებიან ერები.

მაგრამ თუ არ დაგვიფერებ,
არ ისწავლი კარგადა,
გარნმუნებთ, რომ გულს ვიფერებთ
შენი ტყეპით მაგრადა.

ვერ ასცდები პაპა კოტეს
წივილსა და კივილსა,
მუჯღუგუნებსა და ქოთებს
დათოსას და გივისას.

ჰოდა, ჩვენო დაჩუნიავ,
გული უნდა გვიხარო,
გვჯერა, ასეც მოიქცევი
თუ კარგი ბიჭი ხარო.

ღაჩი კარბში

ნეტავ, რა ხდება, ან ამდენ ხალხში
რა ამბავია, რა ჩორჩქოლია?
ღაჩი, ღაჩი ჩამოსულა კარბში,
ვას, ეს რა კობტა ბიჭი გვყოლია.

მერე და იცით, რად დარბის ხალხი,
რატომ გაიძრეს ქალებმა თალხი?
დაჩუნა ბიჭი თვალია კარბის,
დაჩუნა ბიჭით ამაყოფს ხალხი.

ქალო ელენეს ხსოვნას

ქვეყნად ბევრი არის
ქალი კარგი გულის,
მაგრამ შენ სხვა იყავ,
სხვა მზით მონათლული.

გლეხის ქალი აღზრდით,
ზეციერის ნებით
ყველას აოცებდი
მაღალი შეგნებით.

განისვენე მშვიდად
მარადიულ ძილში
შენი ხსოვნა მკვიდრად
ცოცხლობს ჩვენს ღვიძილში.

ბიძინაანთ ქალო,
კაპანაანთ რძალო,
საყვარელო ძალო,
ყველა გენაცვალოს.

ვედრება

ვავედრებ ამას
ზეციერ მამას,
გვეყოლოს კარგად
ჩვენი ქვეყანა.

იყოს აქ მრავლად
მოხუციც, ბალღიც,
მიცოცხლოს მარად
მშობელი ხალხი.

ო, ღვთისმშობელო,
ჩვენო მფარველო,
შენ შეეწიე
ჩვენს საქართველოს,

რომლის ბადალი,
რომლის სადარი
თვითონაც უწყი,
არსად არ არის.

ასმენდე შენს ძეს
ამ ჩვენ ღალადისს,

ყველა ქართველის
ლოცვას მარადისს:

კურთხეულ იყოს
მთლად საქართველო,
მისი ველები,
მთები თუ მდებლო,

ყოველი გოჯი
მისი მიწისა,
ყველა ვარსკვლავი
ფირუზი ცისა.

ყოველი წვეთი
კამკამა წყლისა,
ყოველი სხივი
ცხრათვალა მზისა.

ქართული სული,
ქართული გული,
ქართული სიტყვა
თუ კი რამ ითქვა.

თარგმანები
ფრანგულიდან

ტაძარი

(ედღვნება სესილ და რაღფ კარსონებს)

18... წელს სტუდენტი სენტ-ონორეს ქუჩაზე სურათების მაღაზიის წინ შეჩერდა. ვიტრინაში გამოფენილი იყო მანეს ტილო: შარტრის საკათედრო ტაძარი, მანე მაშინ მხოლოდ რამდენიმე მოყვარულს მოსწონდა, მაგრამ გამვლელს კარგი გემოვნება ჰქონდა: ამ სურათის მშვენიერებამ მოაჯადოვა იგი, რამდენიმე დღე მოდიოდა აქ, რომ მისი ცქერით დამტკბარიყო, ბოლოს გადანყვიტა შესულიყო მაღაზიაში და სურათის ფასი ეკითხა.

– ღმერთო ჩემო, – თქვა გამყიდველმა, – ეს სურათი აქ რამდენი ხანია გამოფენილი. დაგიტომობთ ორი ათას ფრანკად.

სტუდენტს ამდენი ფული არ ჰქონდა, მაგრამ იგი პროვინციული ოჯახიდან იყო, რომელზეც ღარიბი არ ითქმოდა. პარიზში რომ მიემგზავრებოდა, ერთ-ერთმა ბიძამ უთხრა: „ვიცი, რაც არის ახალგაზრდა კაცის ცხოვრება, მომწერე, თუ გაგიჭირდეს“. გამყიდველს სთხოვა ერთ კვირას ტილოს ნუ გაყიდო და ბიძამისს მისწერა.

ამ ახალგაზრდას პარიზში საყვარელი ჰყავდა, რომელიც ასაკით უფროს კაცზე იყო გათხოვილი და მონყენილობას მისცემოდა. იგი ცოტა ვულგარული გახლდათ, მოსულელო და ძალიან ლამაზი. იმ საღამოს, როცა სტუდენტმა ტაძრის ფასი იკითხა, ამ ქალმა უთხრა:

ხვალ ჰანსიონის მეგობარ ქალს ველოდები, რომელიც ჩემს სანახავად ტულონიდან ჩამოდის. ჩემს ქმარს ჩვენს სადევნად არ სცალია, მე თქვენი იმედი მაქვს.

მეგობარი მეორე დღეს ჩამოვიდა და თან კიდევ სხვა ჩამოიყოლა. სტუდენტს ამ სამ ქალთან ერთად რამდენიმე დღე უნდა ესეირნა პარიზში, ჭამა-სმის, მეეტლისა და სანახაობათა ხარჯებიც იმას დააწვავს კისერზე და ფულიც, რაც კი ჰქონდა, მალე გამოეღია. ამხანაგს ესესხა და ის იყო შეფიქრიანდა კიდევ, რომ ბიძამისისგან წერილი მიიღო. შიგ ორი ათასი ფრანკი იდო. შვებით ამოისუნთქა. ვალი გაისტუმრა და საყვარელს საჩუქარი მიართვა. ტაძარი კი კოლექციონერმა იყიდა და დიდი ხნის მერე თავისი სურათები ლუვრს უანდერძა.

ახლა სტუდენტი მოხუცებულია და ცნობილი მწერალია. გული კვლავ ახალგაზრდული შერჩენია. ისევ ჩერდება აღელვებული, როცა ლამაზ პეიზაჟს ან ქალს დაინახავს. ხშირად, შინიდან რომ გამოდის, მოხუცებულ ქალს ხვდება, რომელიც მეზობელ სახლში ცხოვრობს. ეს ქალი მისი ყოფილი საყვარელია. სახე მას სიმსუქნისაგან დაღმეჭია, ერთ დროს მშვენიერი თვალები დანაოჭებია, ტუჩს ზემოთ ღინღლები შევერცხლია. სიარული უჭირს, ჩანს, მუხლები დასუსტებია. მწერალი ესალმება, მაგრამ არ კი ჩერდება, იცის, რომ საძაგელი ქალია და იმის გაფიქრებაც კი არ სიამოვნებს, რომ ერთ დროს უყვარდა.

დროდადრო ლუვრში შედის და იმ დარბაზში ადის, სადაც ტაძარია გამოფენილი. უყურებს, უყურებს და ოხრავს.

0౪౩౧౪0

დირექტორი მისი ნაცნობია

ერთი კაცი პარიზის ობსერვატორიაში იყო მინვეული მზის დაბნელების სანახავად.

დაგაგვიანდათ, – უთხრეს მას.

არაფერია, – უპასუხა, – დირექტორი ჩემი ნაცნობია და ჩემთვის გაიმეორებს.

ფინანსთა მინისტრი ჯიბეს არ ივსებს

კორბიერი, ერთი პატარა პროვინციული ქალაქის ადვოკატი, ლუი XVIII დროს ფინანსთა მინისტრი გახდა. მინისტრთა პირველი შეკრებისას კორბიერმა ჯიბიდან ცხვირსახოცი და თამბაქოს კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დაიწყო.

მეფემ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და უთხრა:

ბატონო მინისტრო, მეფის თვალწინ ჯიბეებს არავინ იცარიელებს.

მაშინ კორბიერმა დინჯად მიუგო:

თქვენო უდიდებულესობავ, ვფიქრობ, მე პირველი მინისტრი ვარ, რომელიც ჯიბეებს კი არ ივსებს, იცარიელებს.

კომბოსტო და ძვავი

იყო ორი მეგობარი. ერთს ბენუა ერქვა, მეორეს – ჟოზეფი. ბენუა დიდი მატყუარა იყო, ჟოზეფმა ეს იცოდა და გადანყვიტა ჭკუა ესწავლებინა მისთვის.

ერთხელ სოფელში სეირნობისას მათ კომბოსტოთი სავსე ბოსტანი დაინახეს.

ო, რა კარგი კომბოსტოებია, – შესძახა ჟოზეფმა.

ეს რა არის, – უპასუხა ბენუამ, – ეს არც ისე დიდი კომბოსტოებია. ერთ-ერთი მოგზაურობისას ერთი უშველებელი კომბოსტო დავინახე, უზარმაზარი, როგორც... აი, შეხედე, როგორც აი, ის ხე.

მე კი, – თქვა ჟოზეფმა უყოყმანოდ, – ისეთი ქვაბი ვიყიდე, როგორც ჩვენი სოფლის ყველაზე დიდი სახლია.

მერე რად გინდა ასეთი ქვაბი? – შეეკითხა ბენუა.

შენი კომბოსტო რომ მოვხარშო, – უპასუხა ჟოზეფმა.

კრივის მსაჯი უნდა გამოვიდეს

ივს სკოლაში წასვლა არ უნდოდა.

მერე ანგარიშს რომ ვერ ისწავლი, – ეუბნება დედა.

ათამდე თვლა ვიცი და მეყოფა. კრივის მსაჯი უნდა გამოვიდე, – უპასუხა ივმა.

გამოსავალი ვალეზიდან

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:
ივ, ვინმეს რომ ოცი ფრანკი ემართოს მეფუნ-
თუშისა, ოცდახუთი – ყასბისა, თვრამეტი – ბაყა-
ლისა, რა უნდა ქნას?
სხვა უბანში გადასახლდეს!

დედაენა თუ მამაენა?

რატომ ამბობენ ყოველთვის „დედაენას“ და
არა „მამაენას“?
იმიტომ რომ სახლში მუდამ დედა ლაპარა-
კობს.

რითი აპრიალეზენ პარკეტს?

ამერიკელმა ტურისტებმა პარიზის ერთი დი-
დი მუზეუმი დაათვალიერეს.
კითხვები ხომ არა გაქვთ? – ჰკითხეს მათ.
დიახ, – უპასუხა ერთმა ქალმა, – მინდა გავი-
გო, რითი აპრიალეზთ პარკეტს, ასე რომ ბრწყინ-
ნავს.

შანტაჟი

ერთმა მსახურმა სამკაულები მოპარა თავის ქალბატონს. ქალბატონი მიხვდა, ვინ იყო ქურდი, მაგრამ შეეცოდა და ამიტომაც შესთავაზა:

ფერდინანდ, ძალიან მინდა დავიჯერო, რომ სულმა წაგძლიათ. მითხარით, სად დამალეთ სამკაულები და აღარ გიჩივლებთ.

მაგრამ, ქალბატონო, – უპასუხა მსახურმა, – ეს ხომ შანტაჟია.

ქულისმჭამელი

ერთი კაცი ქუდების მაღაზიაში შევიდა და გამყიდველს ჰკითხა:

გაქვთ რბილი თექის ქუდი?

რასაკვირველია, ბატონო, აი, ყველაზე ელეგანტური მოდელი.

მე უფრო რბილი მინდოდა! – თქვა კაცმა, როცა ქუდი გასინჯა.

კი, ბატონო, – უპასუხა გამყიდველმა და მამინვე სხვა ქუდი გადმოუღო.

ეს კიდევ არ არის საკმარისად რბილი! – თქვა კაცმა.

ძალიან ვწუხვარ, – უპასუხა გამყიდველმა, – უფრო რბილი ქუდი მე არ გამაჩნია.

მაშინ კლიენტმა უთხრა:

კარგად ეძებეთ, ძალიან გთხოვთ. სანაძლეო წავაგე და ქუდი უნდა შევჭამო.

სამათხოვროდ ფარდულს ბახსნის

მათხოვარი ქუჩაში იდგა და ხელგანვდილი გამვლელ-გამომვლელს მონყალებას სთხოვდა. ერთმა კაცმა გვერდით ჩაუარა და მიაძახა:

მე არასოდეს არაფერს ვაძლევ იმას, ვინც ქუჩაში მათხოვრობს.

კარგი, – მიუგო მათხოვარმა, – როგორც კი შევძლებ, ფარდულს გავხსნი.

წელიწადის დრონი

მასწავლებელი: – პატარავ, რამდენი დროა წელიწადში?

პატრიკი: – ორი, ბატონო მასწავლებელო.

მასწავლებელი: – როგორ ორი?

პატრიკი: – ზღვაზე ბანაობისა და ზამთრის სპორტისა, ბატონო მასწავლებელო.

მაშინ ათი ფრანკი მიეცით!

მომეცით ხუთი ფრანკი, ბატონო, ძალიან გთხოვთ, დილას აქეთ არაფერი მიჭამია.

არც მე მიჭამია.

მაშინ ათი ფრანკი მომეცით და დაგპატიუებთ.

ჩანთა რაღად უნდა დაკარგოს?

მატარებელი ის იყო უნდა დაძრულიყო. კუპები გაჭედული იყო. ერთი მგზავრი ადგილს ეძებდა. ბოლოს მიაგნო.

ბოდიში, ბატონო, – უთხრა ერთმა ლიპიანმა, – ეს ადგილი ჩემმა მეგობარმა დაიკავა, – და მან ტყავის ჩანთაზე მიუთითა, რომელიც მართლაც იდო იმ ადგილას.

დანარჩენი მგზავრები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ლიპიანი ცრუობდა. მატარებელი დაიძრა.

თქვენმა მეგობარმა დაიგვიანა, – თქვა მგზავრმა ლიმილით.

ლიპიანმა შეშფოთებული სახე მიიღო.

ჰო, ჩემს მეგობარს მატარებელმა გაასწრო.

მით უარესი, მაგრამ ჩანთა რაღად უნდა დაიკარგოს. – თქვა მგზავრმა, ჩანთას ხელი სტაცა და ფანჯრიდან გადაუძახა.

ორი კითხვა

მასწავლებელმა უთხრა მოსწავლეებს:

ბავშვებო, მე თქვენ ორ კითხვას დაგისვამთ, ვინც პირველ კითხვაზე მიპასუხებს, იმას შეუძლია მეორეზე აღარ მიპასუხოს.

მოსწავლეები ყურადღებით უსმენდნენ.

აი, პირველი კითხვა: რამდენი ბენჯი აქვს ცხენს? ვის შეუძლია მიპასუხოს ამ კითხვაზე?..

პატარა ჟანმა ხელი ასწია.
მე, მასწავლებლო! – თქვა მან.
კარგი, მიპასუხე!
ჟანის პასუხის მოსასმენად კლასში ყველამ
სუნთქვა შეიკრა, ბოლოს ჟანმა თქვა:
ცხენს მილიონ ორასი ათასი ბენჯი აქვს.
მილიონ ორასი ათასი?
დიახ, ნამდვილად ასეა!
მერე, შენ საიდან იცი, ჟან?
მასწავლებლო, თქვენ უკვე ბრძანეთ, ვინც
პირველ კითხვაზე გიპასუხებდათ, მეორეზე შე-
ეძლო აღარ ეპასუხა, ჰოდა, მეც აღარ გიპასუ-
ხებთ.

კატა მას მეჭირა

შენი ამხანაგი შარლი ცუდი ბიჭია, – უთხ-
რა დედამ შვილს, – კატა მიუბამს კუდიტ ხეზე.
მჯერა, რომ შენ არასოდეს ჩაიდენ მსგავს საქ-
ციელს.

არა, დედა, არასოდეს, – უპასუხა პოლმა.

რატომ არ დაუშალე შარლს ასეთი ცუდი საქ-
ციელის ჩადენა?

არ შემეძლო, დედა, დაკავებული ვიყავი.

რითი?

კატა მე მეჭირა.

დიუმა და ვაჭარი

ერთი ვაჭარი პარიზიდან თავის მშობლიურ ქალაქში ბრუნდებოდა, ვაგონში ერთ დარდიმანდს გაეცნო, რომელიც ჩინებული თანამგზავრი გამოდგა. ლიონში ჩასვლა დააპირა, თანამგზავრის მხიარულობით მოხიბლულმა ვაჭარმა უთხრა:

ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ გაგიცანით, კარგი ყმანვილი ბრძანდებით და ერთი რა მინდა შემოგთავაზოთ, თანახმა ხართ?

ჯერ ბრძანეთ, რა უნდა შემომთავაზოთ.

კარგი, წამობრძანდით ჩემთან სადილად და იქ მოვილაპარაკოთ... მე ერთი კარგი აზრი მომივიდა... ჰა, დამეთანხმებით?

მაგიდას რომ მიუსხდნენ, ვაჭარმა დარდიმანდს თავისი სახლის კომივოიაჟორის ადგილი შესთავაზა. ეს იყო მისი კარგი აზრი.

როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მომენონეთ, თქვენ ცხოვრებაში გზას გაიკაფავთ.

ჩემო ძვირფასო...

კარგი, კარგი! ერთი ეს მითხარით, რითი ცხოვრობთ?

როგორ გითხრათ, რალაც-რალაცეებით...

მერე მაგ რალაც-რალაცეებით რამდენს შოულობთ წელიწადში?

ასე ოცი ათასიდან ოცდაათ ათასამდე ფრანკს. როგორ?

შავი მელნით თეთრ ქალაღზე რალაც-რალაცეებს ვჯღაბნი.

კარგი ხუმარა ყოფილხართ. თქვენი სახელი... ალექსანდრე დიუმა.

ბონ აპეტი!

ფრანგი და ამერიკელი მოგზაური გემის სასადილოში ერთ მაგიდასთან დასხდნენ. ფრანგმა მხოლოდ ფრანგული იცოდა, ამერიკელმა მხოლოდ ინგლისური.

ამერიკელი რომ მივიდა, ფრანგი უკვე იჯდა მაგიდასთან. იგი წამოდგა და თავაზიანად უთხრა:

ბონ აპეტი (ფრანგულად – გაამოთ – გ.კ.).

ამერიკელმა იფიქრა, გაცნობა სურსო, გაუნოდა ხელი და თავისი გვარი და სახელი უთხრა:

ჰოვარდ ბლეკი!

შემდეგ ორივემ უჩუმრად ისაუბმა. სადილზე იგივე განმეორდა. ფრანგმა უთხრა: „ბონ აპეტი“, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ამერიკელმა ისევ უპასუხა: „ჰოვარდ ბლეკი!“

მეორე დღეს საუზმეზე კვლავ იგივე განმეორდა. გაოცებული ამერიკელი კომისართან მივიდა და უთხრა:

წარმოგიდგენიათ, ეს ვილაც ბატონი პონაპეტი სულელია ალბათ, ყოველ ჭამაზე მეცნობა.

კომისარმა აუხსნა მას ამ ფრაზის მნიშვნელობა. ამერიკელი სალამოს თავაზიანად მიესალმა კომპანიონს და ფრანგულად უთხრა:

ბონ აპეტი!

ნასიამოვნებ ფრანგს არ უნდოდა თავაზიანობაში ჩამორჩენოდა ამერიკელს და ვითომ ინგლისურად უპასუხა მას:

ჰოვარდ ბლეკი!

სწრაფი მატარებელი

ქალმა ტელეფონით სადგურის ცნობათა ბიუროში დარეკა და იკითხა:

მაპატიეთ, ბატონო, რამდენი ხანი სჭირდება ექსპრესს, რომ პარიზში ჩავიდეს?

ერთი ნუთი, ქალბატონო.

რა სწრაფი მატარებელი ყოფილა. დიდი მადლობა, ბატონო, – თქვა ქალმა და ტელეფონი გათიშა.

საკმარისად მდიდარი

ახლად გამდიდრებული ქალი და კაცი მატარებლით სამოგზაუროდ წასვლას აპირებდნენ. კაცი მოლარეს შეეკითხა:

რა ღირს ორი ადგილი პირველი კლასის ვაგონში ლაჟვარდოვან ნაპირამდე.

ქალმა ველარ მოითმინა და ქმარს გაჯავრებულმა შეაწყვეტინა.

ალფრედ, ჩვენ საკმარისად მდიდრები ვართ და შეგვიძლია ოქროს ნაპირზე წავიდეთ.

ფეხზე მდგომი მოხუცის დანახვას ვერ იტანს

ხალხით გაჭედვილ მეტროს ვაგონში ერთი ბიჭი ეკითხება გვერდით მჯდომ ამხანაგს:
რატომ იფარებ თვალებზე ხელს?
ვინ ვიტან, როცა მოხუც ქალს ფეხზე მდგომს ვხედავ.

თევზს ჭამს, მაგრამ ცურვა არ იცის

პიერი: – მე ბევრ ბივშტექეს ვჭამ, ამიტომაცა ვარ ხარივით ღონიერი.

ჟანი: – ტყუილია, მე, მაგალითად, თევზის მეტს არაფერსა ვჭამ, მაგრამ ცურვა მაინც არ ვიცი.

ორი ექიმი

ფილტვების ანთება დაგმართვიათ, ამოსაჭრელი გაქვთ თირკმელი, ბრმა ნანლავის ოპერაციაც დაგჭირდებათ.

ოჰ, ექიმო, დამავინყდა მეთქვა, რომ მეც მედიკოსი ვარ და როგორც კოლეგას, გთხოვთ, სიმართლე მითხრათ.

აქამდე გეთქვათ, ოდნავი მუცლის გვრემა გაქვთ. ბიკარბონატი მიიღეთ და ხვალვე მორჩენილი იქნებით.

ვისი მეგობარია?

ერთხელ მარიუსი ქუჩაში ოლივიეს შეხვდა და ჰკითხა:

ოლივიე, შენ კარგი მონადირე ხარ?

დაგენაძლევები რომ მთელ ქვეყანაზე ჩემნაირი ორი მონადირე არ იქნება, – უპასუხა ოლივიემ.

მაშ, კარგი, – თქვა მარიუსმა, – წარმოიდგინე, რომ აფრიკაში ხარ სანადიროდ, რას იზამ, უცებ ლომი რომ გადმოგიხტეს?

ავიღებ თოფს და ვესვრი!

ვთქვათ თოფმა გიმტყუნა!

მაშინ... მაშინ გავიქცევი!

ლომი გამოგეკიდება!

ხეზე ავალ!

ხეზე ასვლა ლომმაც იცის!

ხეს კენწეროში მოვექცევი.

ლომიც ამოვა!

ათრთოლებულმა ოლივიემ შეაწყვეტინა მარიუსს და უთხრა:

კარგი რა, შენ ლომის მეგობარი ხარ თუ ჩემი?!

არ გაუგია, ოთხმოცამ როგორ მიუკაპუნა

ბავშვებო, უფრო ხმამაღლა მელაპარაკეთ... ცუდად მესმის, რაც უნდა იყოს, სამოცდაცხრამეტი წლის ქალს...

თავს იპატარავებ, ბებიკო, შენ ხომ უკვე დიდ-
ხანია ოთხმოცმა მოგიკაკუნა.

აი, ხედავ, შვილო, ისე დამკლებია სმენა, რომ
არც გამიგია ოთხმოცმა როდის მომიკაკუნა.

პრიზი მესხიერებისათვის

მაშ, ორი პრიზი მიიღე?

დიახ, მამიკო!

რა პრიზები?

ერთი საუკეთესო მესხიერებისათვის.

მეორე?

მეორე?.. მეორე დამავინყდა.

ქვები დაუბიათ

ესპანელ მოგზაურს ერთ-ერთ სოფელში ძაღ-
ლები დაედევნენ. იგი დაიხარა, რომ ქვები აეკრი-
ფა, მაგრამ ზამთარი იყო, ძლიერ ყინავდა და ვერც
ერთი ქვა ვერ ამოაძრო.

ჰოი, წყეულო ქვეყანავ! – შესძახა უცხოელმა.
– ქოფაკები აუშვიათ და ქვები დაუბამთ.

ბასნორეზული დავალებები

პედაგოგმა ორი დავალება შეასწორა. ჯერ ჟაკისა, რომელიც მთელ კლასში პირველი მოსწავლე იყო, მერე კი პიერისა, რომელიც მერხზე ჟაკის გვერდით იჯდა.

შენი დავალება ჩინებულია, – თქვა მან, – მაგრამ იგი სიტყვასიტყვით ისეთივეა, როგორც ჟაკისა. იქნებ ამიხსნა, რას ნიშნავს ეს?

პიერი განითლდა და თქვა:

იმას, ბატონო, რომ ჟაკის დავალებაც ჩინებული ყოფილა.

ყველა ხომ კოლუმბი არ იქნება

„ყოჩაღ“, ივ! – ეუბნება დედა, – ნოლიანი მიგიღია გეოგრაფიაში!

იცო, რატომ?! უნდა მეთქვა სადაა ამერიკა, მაგრამ რას იზამ, ყველა ხომ ქრისტეფორე კოლუმბი არ იქნება.

რისი მაქნისია „გაოცნი“?

ერთი პარიზელი ტურინში გაემგზავრა ფერმის გასაყიდად. გაყიდა ფერმა და გადამწყვიტა ცოლისათვის დეპეშა გაეგზავნა. შევიდა ფოსტაში

და დანერა: „ფერმა კარგად გაიყიდა. დავბრუნდები ხვალ, გკოცნი“.

მერე გადაიკითხა დეპეშა და გაიფიქრა:

რად უნდა „კარგად“? გაიყიდა, ესე იგი კარგად გაიყიდა. და სიტყვა „კარგად“ ნაშალა.

კვლავ გადაიკითხა ტექსტი და იფიქრა: რაღა საჭიროა „ფერმა გაიყიდა“. ცოლმა ხომ კარგად იცის, ფერმის გასაყიდად რომ ნამოვედი...

და „ფერმა გაიყიდაც“ ნაშალა.

„დავბრუნდები ხვალ“ რაღა საჭიროა, – დაასკვნა მან. აკი, ვუთხარი ცოლს რომ ორ დღეში დავბრუნდები-მეთქი? და მან „დავბრუნდები ხვალ“ ნაშალა. მერე, დარჩენილ სიტყვას რომ შეავლო თვალი, იფიქრა: – ჩემს ცოლს დაბადების დღე ხომ არა აქვს, რის მაქნისია „გკოცნი“? – და დეპეშა გადაფხრინა.

არ სურს იდიოტი სიძე

ჩემი ქალიშვილი ისევე გეყვარებოდათ, მე რომ მისთვის ერთი სუც არ მიმეცა? – შეეკითხა მილიონერი თავისი ერთადერთი ქალიშვილის დანიშნულს.

რასაკვირველია! – უპასუხა მან.

კარგი, საკმარისია! – თქვა მაშინ მილიონერმა, – მე არ მსურს იდიოტი მყავდეს ოჯახში.

მარიუსის დედა

ოლივიე და მარიუსი სამხედრო სამსახურს გადიოდნენ. ერთხელ ყაზარმაში კაპიტანმა ჩამოიარა ჯარისკაცების შესამოწმებლად. ოლივიე და მარიუსი პირველ რიგში იდგნენ ერთმანეთის გვერდით.

კაპიტანი მიუახლოვდა მარიუსს და ჰკითხა:
ჯარისკაცო მარიუს, მიპასუხეთ, რა არის სამშობლო?

მარიუსი ერთ წუთს დაფიქრდა, მერე კი უპასუხა:

არ ვიცი, ჩემო კაპიტანო!

კარგი! სამშობლო თქვენი დედაა!

შემდეგ კაპიტანი ოლივიეს მიუახლოვდა:

ჯარისკაცო ოლივიე, რა არის სამშობლო?

სამშობლო მარიუსის დედაა, ჩემო კაპიტანო.

ღამ განმარჯვა

მეზობელი ქალი ეკითხება ბიჭუნას:

შენი დაიკო რატომ შენთან ერთად არ თამაშობს?

არ შეუძლია, ნევს. ფეხი აქვს მოტეხილი!

ოი, ოი, ოი, როგორ მოიტეხა?

ისე უბრალოდ, ერთმანეთს დავენადლევეთ, ვინ უფრო მეტად გადაეკიდებოდა ფანჯრიდან და... იმან განმარჯვა!

რძის ფასმა აინია

ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ძიძა დაიქირავა, რომ მათი ახალშობილისათვის ძუძუ ეწოვებინა. ერთხელ ძიძამ ბავშვის მშობლებს უთხრა:

იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით და ხელფასს მომიმატებთ!

შემფოთებულმა ცოლ-ქმარმა ჰკითხა:

რატომ? რისთვის?

ნუთუ ვერ გაიგეთ, რძის ფასმა აინია?!

ცრუმორწმუნე ბოშები

ბოშები საშინელი ცრუმორწმუნეები არიან! – თქვა ერთმა.

როგორ? – დაინტერესდა მეორე.

წარმოგიდგენია, ბავშვი ერთი წლისა რომ გაუხდებათ, ფულსა და ვიოლინოს გაუნოდებენ. სჯერათ, რომ თუ ბავშვმა ვიოლინოს სტაცა ხელი, მუსიკოსი გამოვა. თუ ფული ამჯობინა, ქურდი გახდება, ხოლო თუ ორივეს ჩაებლაუჭა, კომპოზიტორი.

თარგმანები
ინგლისურიდან

მნიშვნელობა არა აქვს

ბესი მხოლოდ ხუთი წლისა იყო. სკოლაში არ დადიოდა და, ცხადია, წერა-კითხვაც არ იცოდა, მისი და მერი კი მოსწავლე გახლდათ. ის ათი წლისა იყო.

ერთხელ მერიმ დაინახა, რომ მისი პატარა და მაგიდასთან იჯდა, ხელში კალამი ეჭირა და წინ დიდი ფურცელი ედო.

რას აკეთებ, ბესი? – ჰკითხა.

ჩემს მეგობარ კიტის წერილს ვწერ, – უთხრა ბესიმ.

მაგრამ როგორ შეძლებ ამას, შენ ხომ წერა არ იცი?

ამას მნიშვნელობა არა აქვს, კიტიმ კითხვა არ იცის.

დახატული სოკო

ერთი ფრანგი შვედეთში მოგზაურობისას რესტორანში მივიდა. შვედური არ იცოდა და რესტორანშიც არავინ ლაპარაკობდა ფრანგულად. საუზმეზე სოკო უნდოდა ეჭამა, დაუძახა ოფიციანტს და შეკვეთა მისცა. მაგრამ ოფიციანტმა ვერ გაიგო, რა სურდა მას.

ფრანგმა ქალაქი და ფანქარი აიღო და სოკო დახატა. ოფიციანტმა დახედა ნახატს და მაშინვე დატოვა დარბაზი. ხუთი წუთის შემდეგ დაბრუნდა და ქოლგა მოიტანა.

საკმარისად ახალი არ არის

ბიჭი საცხოვრებელში მივიდა და ორპენიანი ნამცხვარი მოითხოვა. მცხოვრებელმა დახლზე დაუდო, მაგრამ ბიჭს არ მოეწონა და იკითხა: „ეს ორპენიანი ნამცხვარია“?

რა თქმა უნდა, ის არის, – უპასუხა მცხოვრებელმა.

რალაც არ ჩანს, რომ ძალიან ახალია, – თქვა ბიჭმა.

შენ ნამცხვრისა რა გაგეგება – უპასუხა მცხოვრებელმა. – მე მას მანამდე ვაცხოვდი, სანამ დაიბადებოდი.

ოო, აცხოვდი? – ბიჭმა ნამცხვარი აიღო, დახედა და თქვა:

ეს ალბათ მაშინდელია.

უკეთესი მსაჯული

ორი კაცი წიგნის ღირსებებზე საუბრობდა. ბოლოს ერთმა მათგანმა, რომელიც წიგნის ავტორი გახლდათ, უთხრა მეორეს:

არა, ჯონ, შენ არ შეგიძლია ამის განსჯა, თვითონ არასოდეს დაგიწერია წიგნი.

არა, – უპასუხა ჯონმა, – მე კვერცხი არასოდეს დამიღია, მაგრამ ნებისმიერ ქათამზე უკეთ შემიძლია ერბო-კვერცხზე ვილაპარაკო.

დიდი პოეტი

რედაქტორი: ეს ლექსი შენი დაწერილია?
ახალგაზრდა პოეტი: დიახ, მისი ყოველი
სტრიქონი.

რედაქტორი: მაშინ მოხარული ვარ თქვენთან
შეხვედრისა, მისტერ ბაირონ. მეგონა, რომ დიდი
ხნის წინ გარდაიცვალეთ.

მეფე და მკითხაპი

სისასტიკით ცნობილი მეფე მკითხავთან მივი-
და და ჰკითხა, თუ როდის მოკვდებოდა.

მკითხავმა უპასუხა, რომ ეს სადღესასწაულო
დღეს მოხდებოდა.

რატომ ხარ ამაში ასე დარწმუნებული? –
ჰკითხა მეფემ.

ნებისმიერი დღე, როცა შენ მოკვდები, – უპა-
სუხა მკითხავმა, – დღესასწაული იქნება.

ქალაქელები სოფელში

ორი სოფელში ჩასული ქალაქელი ხეხილის
ბაღში მიდიოდა. დაინახეს, რომ ყველა ხე დახუნ-
ძლული იყო ვაშლით, ერთის გარდა, რომელსაც
ერთი ვაშლიც კი არ ება.

იქვე ახლოს სოფლელი ბიჭი იჯდა.

მოდით აქ, ბიჭო, – დაუძახეს, – აი, შენ ექვსი პენსი. თუ იცი, რატომ არ ასხია ამ ხეს ვაშლი?

რა თქმა უნდა, ვიცი, სერ. ის მუხის ხეა და იმიტომ, – უპასუხა ბიჭმა.

არსებითი შესწორება

მასწავლებელი: – ჯიმი, რატომ არ იბან პირს? მე შემოძლია დავინახო, რა ჭამე საუზმეზე.

პატარა ბიჭი: – რა ვჭამე?

მასწავლებელი: – კვერცხი!

პატარა ბიჭი: – სწორი არ არის, მასწავლებელო, ეგ გუშინ იყო.

კლერკი წვერს იზრდის

სერ, – უთხრა მენეჯერმა კლერკს, – პირი უნდა გაიპარსო.

მაგრამ, სერ, – გააპროტესტა კლერკმა, – მე წვერს ვიზრდი.

სახლში რაც გნებავთ, ის ქენით, – უპასუხა მენეჯერმა, – მაგრამ წვერი სამუშაო საათებში არ უნდა გაიზარდოთ.

მყეფარე ძალლი არ იკბინება

სემ, – უთხრა მამამ მას, – დაიხურე ქუდი, ჩაცივი პალტო და წავედით სასეირნოდ.

სემი ბედნიერი იყო. უყვარდა მამასთან ერთად სახლიდან გასვლა. ქუჩაში რომ გავიდნენ, მოულოდნელად დიდი შავი ძალლი დაინახეს. ძალლმა მათ შეუყეფა. ჯიმს შეეშინდა, გაქცევა უნდოდა, მაგრამ მამამ შეაჩერა და უთხრა:

ნუ გეშინია, სემ. არ გაგიგია ანდაზა: „მყეფარე ძალლი არ იკბინება“.

ჰო, მამა, – თქვა სემმა, – მე გამიგია ეს ანდაზა, შენც გაგიგია, მაგრამ ძალლს გაუგია?!

საქმიანი კაცი

დილით, ქუჩას რომ მიჰყვებოდა, ცნობილი დირიჟორი მიულოდნელად თავის ორკესტრანტს შეხვდა.

რა კარგად გამოწყობილხართ, – შენიშნა დირიჟორმა, – როგორ ახერხებთ ამას?

ო, მე ძალიან საქმიანი კაცი ვარ, – მიუგო მუსიკოსმა, – გარდა იმისა, რომ ორკესტრში ვუკრავ, ვუკრავ კვარტეტშიც, რადიოშიც და გაკვეთილებსაც ვატარებ.

მართლა, – შეეპასუხა დირიჟორი, – როდისღა გძინავთ?

რეპეტიციების დროს. – მშვიდად უპასუხა მუსიკოსმა.

სუთს მივუმატოთ ერთი უღრის შვილს

ინსპექტორი: – ჩემო პატარა მეგობარო, მითხარი რამდენი იქნება სუთს რომ ერთი მივუმატოთ?

ბავშვმა დუმილით უპასუხა.

ინსპექტორი: – წარმოიდგინე რომ სუთი კურდღელი მოგეცი და მერე კიდევ ერთი. რამდენი კურდღელი გეყოლება?

ბავშვი: – შვიდი.

ინსპექტორი: – რატომ, შვიდი?

ბავშვი: – სახლში უკვე მყავს ერთი.

კარბი მებობარი

სამი კაცი სამხრეთ აფრიკაში მოგზაურობდა. ერთი კვირის განმავლობაში მეტწილად მშივრები იყვნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა თქვა, რომ გავიდოდა სახლიდან, სადაც ისინი იყვნენ დაბინავებული და რალაცას მოიტანდა საჭმელად, თუნდაც ეს ლომი ყოფილიყო. შორს არ იყო წასული, რომ ლომს შეეფეთა. ლომი რომ მისკენ გამოქანდა, შემობრუნდა და სახლისკენ გაიქცა. როცა მიიღბინა სახლის კარებთან, რომელიც ღია იყო, წაბორძიკდა და დაეცა და ლომი სახლში შევარდა. უცბად წამოხტა, დახურა კარები და დაუყვირა შიგნით მყოფთ:

ინებეთ, მეგობრებო, ეს ლომი გაატყავეთ, სანამ მეორეს მოვძებნიდე.

მეასე ავადმყოფი

ექიმო, თქვენ ფიქრობთ, რომ გამოვჯანმრთელდები?

მე არაფერს ვფიქრობ, მე ეს ვიცი, – თქვა ექიმმა, ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო და პაციენტს გაუნოდა.

აქ არის ფაქტები და ციფრები თქვენისთანა შემთხვევებზე. ხედავთ, რომ ყოველი ასიდან ერთი განკურნებულია.

მერე? – იკითხა შეშინებულმა ავადმყოფმა.

თქვენ მეასე ხართ, ვისაც მე ვმკურნალობ. სხვა ოთხმოცდაცხრამეტი ავადმყოფი მოკვდა.

უაზრო ჩივილის ნამალი

ნუ წუხარ, – უთხრა მდიდარმა ინვალიდმა თავის სიძეს, რომელიც ყოველ დღე თავს აბეზრებდა მას ცოლის ცუდ საქციელზე ჩივილით, – ნუ წუხარ, რომ იგი ასე ცუდად იქცევა. მე შევცვლი ჩემს ანდერძს და ერთ შილინგსაც არ დაუტოვებ.

მოხუცებულ კაცს ამის მერე აღარ გაუგონია მისი ქალიშვილის ცუდი საქციელის გამო ჩივილი.

ეს ქალიან ადვილი იყო

როცა კონან დოილი ბოსტონში ჩავიდა, იგი ადვილად იცნო მეეტლემ, რომლის ეტილიც მას დაქირავებული ჰქონდა. ქირის გადახდის დრო რომ მოვიდა, მეეტლემ უთხრა:

თუ ინებებთ, სერ, მე თქვენი ლექციის ბილეთს ვამჯობინებდი.

შერლოკ ჰოლმსის სახელგანთქმული ავტორი განცვიფრებული იყო.

გამაგებინეთ, – უთხრა მან მეეტლეს, – როგორ შეიტყვეთ, ვინა ვარ მე და მთელი თქვენი ოჯახისათვის მოგცემთ ბილეთებს.

გმადლობთ, სერ, – უპასუხა მან, – თქვენს სამგზავრო ჩანთაზე წერია თქვენი სახელი – კონან დოილი.

ყველა ასე მოიქცეოდა

ახალგაზრდა კაცს ქალიშვილისათვის ხელის თხოვნა სურდა, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ყოველთვის გამბედაობა ღალატობდა. დიდი ფიქრის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს გადანყვიტა ტელეფონით დალაპარაკებოდა და ეთქვა სათქმელი.

შენა ხარ, მარი? – იკითხა მან, როცა ნაცნობი ხმა მოესმა.

დიახ, მე ვარ! – უპასუხა ქალიშვილმა.

მარი, გამომყვები ცოლად, გამომყვები ახლავე?

ჰო, გამოგყვები, – იყო პასუხი – მაგრამ ვინ ლაპარაკობს?

სტუმართმოყვარეობა

მასპინძელმა ქალმა მოუბოდიშა მოულოდნელ სტუმარს იმის გამო, რომ ვაშლის ნამცხვარი ყველის გარეშე მიაართვა. პატარა ბიჭმა ეს რომ გაიგო, სწრაფად დატოვა ოთახი. ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდა ყველის ნაჭრით და სტუმრის თეფშზე დადო.

შენ დედაშენზე უკეთესი თვალები გქონია, შვილო. სად იპოვე ყველი?

სათაგურში, სერ! – უპასუხა ბიჭმა.

ვისი იყო ეს ძაღლი?

მიემგზავრებოდა რა სოფლის გავლით, მძღოლმა დაინახა, რომ საპირისპირო მხრიდან კაცი მოდიოდა, რომელსაც ძაღლი მოჰყვებოდა. როცა მანქანა მიუახლოვდა მათ, ძაღლმა უცბად გზა გადაჭრა. საცოდავ ცხოველს მანქანა დაეჯახა და გაჭყლიტა.

მძღოლმა მანქანა გააჩერა და კაცთან მივიდა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ეს მოხდა, – უთხრა, – ათი დოლარი საკმარისი იქნება?

კი, – უპასუხა კაცმა, – ათი დოლარი სრულიად საკმარისი იქნება.

კაცმა ფული ჯიბეში ჩაიდო და როცა მანქანა თვალსაწიერიდან გაქრა, მკვდარ ცხოველს დახედა და გაიფიქრა:

ნეტავი ვისი იყო ეს ძაღლი?

მოდის, მსოფლიო გავაოცოთ!

ძალ-ღონით სავსე გიჟი საგიჟეთის ზედა ფანჯრიდან სახურავზე აბობლდა. როცა დარაჯმა ეს შენიშნა, გამოედევნა იმ მიზნით, რომ ისევ უკან ჩამოეყვანა. მაგრამ ავადმყოფი სწვდა მას და შესძახა:

მოდის, ჩავხტეთ ქუჩაში!

დარაჯი კარგა მაგრად შეშინდა, მაგრამ არ დაიბნა და მიუგო:

შეჩერდი, ნუ იზამ ამას. ყველა შეშლილს შეუძლია ძირს ჩახტომა. ძნელი აქ არაფერია. მე შენ ბევრად უკეთეს რამეს გიჩვენებ, ჩემო მეგობარო. მოდი, მსოფლიო გავაოცოთ, ქუჩიდან ამოვხტეთ ზემოთ.

შეთავაზების სიახლით აღტაცებული გიჟი კიბეებზე გაჰყვა დარაჯს. მერე კი იგი უკვე სამშვიდობო ადგილას მოათავსეს.

უკანდახევა

ორი ჯენტლმენი ერთად იდგა, როცა ახალგაზრდა ქალბატონმა ჩაუარა მათ. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

შეხედუე, ეს ყველაზე ლამაზი ქალია, ვინც კი ოდესმე მინახავს.

ქალმა კომპლიმენტი რომ გაიგონა, შემობრუნდა და დაინახა რა, რომ მისი მთქმელი მახინჯი იყო, უპასუხა:

სერ, მინდა საპასუხოდ იგივე ვთქვა თქვენზეც, მაგრამ არ შემიძლია.

შეგიძლიათ, ქალბატონო, – უპასუხა კაცმა, – ტყუილი თქვით ჩემსავით.

ცოცხი და წვერი

გლაზგოში ერთი კაცი საპარიკმახეროში მივიდა წვერის გასაპარსად. იგი მთიელი იყო დასავლეთ შოტლანდიიდან და თავს ცოცხების გაყიდვით ირჩენდა. დალაქმა ერთი ცოცხი აიღო და მერე, როცა პარსვას მორჩა, ფასი იკითხა:

ორი პენი! – უპასუხა მთიელმა.

დალაქმა იფიქრა, რომ ეს ძალიან ბევრი იყო და უთხრა:

აი, შენ ერთი პენი და თუ ეს არ გაკმაყოფილებს, ცოცხი უკანვე შეგიძლია წაიღო.

მთიელმა გამოართვა ცოცხი და იკითხა, თუ რამდენი უნდა გადაეხადა გაპარსვისათვის.

ერთი პენი! – უპასუხა დალაქმა.

მთიელმა ჯიბიდან ნახევარი პენი ამოიღო და უთხრა:

თუ ამით კმაყოფილი არ იქნებით, შეგიძლიათ, ნვერი ისევ დააბრუნოთ ჩემს სახეზე.

ტყვიაგაუმტარი ჟილეტი

ერთი კაცი გენერალს ეწვია და ჟილეტი უჩვენა, რომელიც, მისი თქმით, ჯარისკაცებისთვის იყო განკუთვნილი და ტყვიაგაუმტარი გახლდათ.

ოო, – თქვა გენერალმა, – ეხლავე ჩაიცვით.

შემდეგ ზარი დარეკა და მსახურს უბრძანა:

უთხარით დაცვის კაპიტანს, უბრძანოს თავის ერთ-ერთ კაცს დატენოს იარაღი და აქ მოვიდეს.

ტყვიაგაუმტარი ჟილეტის გამომგონებელი მაშინვე გაუჩინარდა და გენერალი აღარასოდეს შეუნუხებია.

გამოცდილი ფეხით მოსიარულე

ენერგიული ახალგაზრდა ქალი, რომელიც მოტოციკლეტს მართავდა, კაცს დაეჯახა, თუმცა ძალიან არ დაუშავებია. ქალს გაქცევა არ უცდია, მოტოციკლი გააჩერა, ჩამოვიდა და დაშავებულ-თან მივიდა.

ვნუხვარ მომხდარის გამო, – თქვა მან, – მაგრამ დამნაშავე მხოლოდ თქვენა ხართ. უფრო ყურადღებით უნდა იაროთ. მე გამოცდილი მძღოლი ვარ, მოტოციკლს შვიდი წელია ვმართავ.

ჰო, – მიუგო გაბრაზებულმა მსხვერპლმა. – მეც გამოცდილი ფეხით მოსიარულე ვარ. ორმოცდაჩვიდმეტი წელია ფეხით დავდივარ.

მეფე და კრიტიკოსი

ერთ მეფეს ლექსების წერა ჩვევად ჰქონდა და ფიქრობდა, რომ კარგი პოეტი იყო. მას აქეთ, რაც ის მეფე გახდა, ვისთვისაც კი უჩვენებია თავისი ლექსები, არავის უცდია მათი გაკრიტიკება და ცამდე აჰყავდათ მათი ღირსებები. თუმცა, ერთხელ ისინი ერთ ფილოსოფოსს უჩვენა, რომელმაც მათში ბევრი ნაკლი აღმოაჩინა. ამან ისე გააბრაზა მეფე, რომ ფილოსოფოსი ციხეში ჩასვა. რამდენიმე ხნის შემდეგ აპატია და როცა ეს უკანასკნელი გაათავისუფლეს, სადილზე დაპატიჟა. ისევ უჩვენა თავისი ლექსები მას და ისევ ჰკითხა, თუ რას ფიქრობდა მათზე. ფილოსოფოსი იქვე მდგომი დაცვისკენ შემობრუნდა და შესძახა:

ისევ წამიყვანეთ ციხეში!

კარბი ბაკვეთილი

ერთხელ ერთმა მდიდარმა ქალბატონმა ცნობილი მომღერალი სახლში მიიპატიჟა. მომღერლის სახელი იყო კონი, მან სთხოვა მას მისი სტუმრებისათვის ემღერა, მაგრამ სადილად სხვა სტუმრებთან ერთად არ მიიწვია. სადილი მისთვის ქვედა სართულზე მსახურთა კამპანიაში შეუკვეთა.

მომღერალი ნასიამოვნები ჩანდა. კარგად ისაძლია და როცა სადილობას მორჩა, წამოდგა და თანამეინახეებს მიმართა:

ახლა, ჩემო კარგო მეგობრებო, მინდა თქვენთვის ვიმღერო.

მსახურები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ. ოთახში პიანინო არ მდგარა, მაგრამ კონისთვის ამას ხელი არ შეუშლია, იმ საღამოს საკმაოდ ბევრიც ემღერა.

ათ საათზე ქალბატონმა მომღერალს სასტუმრო ოთახში ასვლა სთხოვა. კონიც წავიდა. კონცერტის მოლოდინში ყველა სტუმარი უკვე იქ იმყოფებოდა.

ჩვენ მზად ვართ, მისტერ კონი! – თქვა ქალბატონმა.

რისთვის ხართ მზად? – იკითხა მომღერალმა.

თქვენი სიმღერების მოსასმენად! – უპასუხა ქალბატონმა.

მაგრამ მე უკვე ნამღერი მაქვს, – თქვა კონიმ, – და არ შემიძლია ერთ საღამოს ორჯერ ვიმღერო.

თქვენ უკვე ნამღერი გაქვთ? მაგრამ როდის და სად? – შესძახა ქალბატონმა.

ეს-ესაა ქვედა სართულზე.

შეუძლებელია! – შეჰყვირა აღშფოთებულმა ქალბატონმა.

მეც რაღაც უცნაურად მომეჩვენა, რომ თქვენ იქ არ ბრძანდებოდით, – თქვა კონიმ, – მაგრამ ხომ იცით, მე ყოველთვის იმათთან ვსადილობ, ვისთვისაც ვმღერი.

და ამ სიტყვებით მან სასტუმრო ოთახი დატოვა.

არაფერია მოსალოცი

ერთხელ ერთმა კომოვოიაჟერმა, რომელიც წლების განმავლობაში სარგებლობდა რომელიღაც რკინიგზით, თავისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ მატარებელი სადგურში დროზე შევიდა.

იგი მაშინვე კონდუქტორთან მივიდა და უთხრა:

აი, თქვენ სიგარა. მინდა მოგილოცოთ, თხუთმეტი წელია ამ გზით ვსარგებლობ და დროზე მოსულ მატარებელს პირველად ვხედავ.

შეინახეთ თქვენი სიგარა, – უპასუხა კონდუქტორმა, – ეს გუშინდელი მატარებელია.

ექიმის რჩევა

მოსუცებული კაცი ცნობილ ექიმთან კონსულტაციაზე მივიდა. ექიმმა მოისმინა, თუ რა სიმპტომები ჰქონდა პაციენტს, გასინჯა და უთხრა:

ხორცი არ უნდა ჭამოთ, სიგარის მოწევა უნდა შეწყვიტოთ და არ უნდა დალიოთ ვისკი.

მოხუცმა არაფერი თქვა. შეხედა ექიმს და შემდეგ კარებისკენ გაემართა. ექიმმა შეაჩერა იგი და უთხრა:

ჩემი ჰონორარი გავიწყდებათ.

ჰონორარი?! – გაიკვირვა მოხუცმა, – კი მაგრამ, რატომ უნდა მოგცეთ ჰონორარი, თქვენს რჩევას მე არ ვღებულობ.

შოტლანდიელის გადა

შოტლანდიელმა ტავერნაში ნიძლავი დადო, რომ ერთ ინდაურს და სამ გირვანქა სოსისს შეჭამდა. ინდაური მოხარშეს, მიართვეს და კაცმაც შესანსლა. მერე სოსისიც მოუმზადეს, დაუდეს წინ და ისიც შესანსლა. მიიღო ფული, დალია რამდენიმე კათხა ლუდი და მეგობართან ერთად სახლისკენ გასწია. როცა სახლს მიუახლოვდნენ, მეგობარს უთხრა:

არ ელაპარაკო ჩემს ცოლს ჩემი სანაძღლოს შესახებ და არ უთხრა, რომ ასე ბევრი ვჭამე.

რატომ? – ჰკითხა მეგობარმა.

შეიძლება უვახშმოდ დამტოვოს.

შიგნითა და გარეთა ადგილები

იმ დროს, კარეტები რომ დადიოდნენ, ედინბურგში ცხოვრობდა ერთი ძალიან სქელი კაცი. როცა კარეტით უხდებოდა მგზავრობა, იმ მიზნით, რომ ფართო ადგილი ჰქონოდა, იგი ორ შიგნითა ადგილს ქირაობდა.

ერთხელ გლაზგოში აპირებდა გამგზავრებას და თავისი პატარა ბიჭი გააგზავნა ორი ადგილის დასაქირავებლად. უკან რომ დაბრუნდა, შვილმა მამას უთხრა:

მამიკო, გეთაყვა, ორი შიგნითა ადგილი აღარ იყო და მეც ერთი შიგნითა ავიღე და ერთიც გარეთა.

გულგავინჯი მწერალი

ერთი ცნობილი მწერალი მატარებლით მგზავრობდა, როცა კონტროლიორი ბილეთის გასასინჯად მოვიდა, მწერალმა ბილეთი ვერ იპოვნა. კონტროლიორმა მწერალი იცნო და სთხოვა მას, არ ენერვიულა. უთხრა, რომ შემდეგ სადგურზე ისევ მოვიდოდა, შემდეგ სადგურზეც იგივე განმეორდა. მწერალმა ვერც ამჯერად შეძლო ბილეთის პოვნა.

ნუ ნუხართ, – გაიმეორა კონტროლიორმა, – არა უშავს რა.

მაგრამ მე უნდა ვიპოვო ბილეთი, – თქვა მოხუცმა მწერალმა, – მინდა გავიგო, სად მივდივარ.

სიძნელიდან გამოსავალი

ჩარლზ დიკენსი ყვებოდა ხოლმე ახალგაზრდა ქალბატონის შესახებ ერთ ამერიკულ ისტორიას, რომელიც გემზე მოხდა. ამ ქალს, რო-

მელიც ხუთ ახალგაზრდა კაცს უყვარდა, ურჩი-
ეს, რომ წყალში გადამხტარიყო და ცოლად იმას
გაჰყოლოდა, ვინც უკან გამოედევნებოდა. მეორე
დღეს, როცა ქალი გემბანზე იმყოფებოდა და ხუ-
თი შეყვარებული ერთგული მზერით შესცქერო-
და, ჩაყურყუმელავდა ზღვაში. ხუთიდან ოთხი
შეყვარებული მაშინვე მიჰყვა მას. როცა ქალი და
ოთხი შეყვარებული ნაპირზე დაბრუნდნენ, ქალ-
მა კაპიტანს ჰკითხა:

რა უნდა ვუყო ეხლა მე ამათ, როგორი სველე-
ბი არიან?

შენც ის აირჩიე, ვინც მშრალია, – უთხრა კა-
პიტანმა.

ქალი ასეც მოიქცა და ცოლადაც მას გაჰყვა.

ქალიან ნელი მატარებელი

ერთმა ქალბატონმა მატარებლით მგზავრო-
ბისას კონტროლიორს შვილისათვის ნაყიდი ნახე-
ვარი ბილეთი გაუნოდა. კონტროლიორმა შეხედა
ყმანვილს და თქვა:

საკმაოდ დიდი ბიჭია ნახევარი ბილეთისათ-
ვის.

დიახ, – დაეთანხმა დედა, – ეს ასეა ახლა,
თუმცა როცა ბილეთს ვყიდულობდი, ყველაფე-
რი სხვაგვარად გახლდათ, მას შემდეგ, რაც და-
ვიძარით, თვითონაც ხედავთ, როგორ გაიზარ-
და.

ლობიკა

მამამ ტომს უთხრა, რომ ყოველთვის კარზე უნდა დაეკაკუნებინა და გარეთ დაეცადა, სანამ ნებას დართავდნენ, რომ ოთახში შესულიყო.

იმავე დღეს, ცოტა მოგვიანებით მამა და მისი ერთი მეგობარი კაბინეტში ისხდნენ და საუბრობდნენ. მოულოდნელად კარი გაიღო, ტომმა შემოჰყო თავი და ისევ უკან გაჰყო. მერე კარი მიხურა და დააკაკუნა. გაკვირვებულმა მამამ გასძახა:

შემოდი!

როცა ტომი კაბინეტში შევიდა, მამამ ჰკითხა, თუ რატომ შემოიხედა ოთახში, სანამ კარზე დააკაკუნებდა.

მინდოდა მენახა, შიგნით თუ ვინმე იმყოფებოდა, – უპასუხა ბიჭმა.

ლოზასთვის არ წარუდგენიათ

ტყეში პიკნიკი იყო გამართული და ხალხი ბილიკებს მიუყვებოდა. ახალგაზრდა კაცმა, დაინახა რა, რომ ახალგაზრდა ქალბატონს, რომელიც მის პირდაპირ იმყოფებოდა, დიდი ობობა ეჯდა მხარზე, მიუახლოვდა მას და უთხრა:

მაპატიეთ, ქალბატონო, თქვენ...

მაგრამ ქალმა შეაჩერა.

როგორ ბედავთ ჩემთან დალაპარაკებას, სერ, თქვენ ჩემთვის არავის წარუდგენიხართ! – უთხრა მან და განაგრძო თავისი გზით სიარული.

ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და შეამჩნია რა, რომ მხარზე ობობა ეჯდა, ყვირილი მორთო, ახალგაზრდა კაცს მიუბრუნდა და შესძახა:

მომაშორეთ ობობა, თუ შეიძლება, მომაშორეთ, სერ!

ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო, – მიუგო კაცმა, – მაგრამ ობობასათვის არავის წარვუდგენივარ.

ამ ნიანგები არ არიან

ზღვისპირა ქალაქში, რომელიც მდინარის შესართავთან ახლოს მდებარეობდა, ტურისტმა ზღვაში ბანაობა გადანყვიტა, მაგრამ მანამ წყალში შევიდოდა, გიდს ჰკითხა:

დარწმუნებული ხართ, რომ აქ ნიანგები არ არიან?

არა, – მიუგო გიდმა, – აქ ნიანგები არ არიან.

ტურისტს აღარ ეშინოდა. ჩახტა წყალში და კარგა ხანს იბანავა. როცა ნაპირზე დაბრუნდა, გიდს ისევ ჰკითხა:

რატომ ხართ დარწმუნებული, რომ აქ ნიანგები არ არიან?

ნიანგები ძალიან ჭკვიანები არიან, – უპასუხა გიდმა, – ისინი არასოდეს ჩნდებიან აქ, ზვიგენებისა ეშინიათ.

ჭკვიანი ფერმერი

ფერმერმა ჯონმა მაღაზიაში რალაც-რალაცები შეიძინა. მაღაზიის პატრონს ბევრი ველოსიპედი ჰქონდა და უნდოდა ფერმერისათვის მიეყიდა.

მისმინე, ჯონ, მე კარგი ველოსიპედები მაქვს, – უთხრა, – ძალიან იაფებია. შემიძლია პირველი კლასის ველოსიპედი ოცდათხუთმეტ დოლარად მოგყიდო. შენ ამით შეძლებ შენი ფერმის გარშემო ყოველდღე იმოგზაურო.

არა, – უპასუხა ფერმერმა, – არ მინდა ველოსიპედი. ვფიქრობ, ძროხა უფრო ზის ჩემს გემოვნებაში. ფასიც იგივეა.

მაგრამ დაფიქრდი, – თქვა მაღაზიის პატრონმა, – ქალაქში ძროხით მგზავრობას ვერ შეძლებ. ეს სიგიჟეა.

არ ვიცი, – მიუგო ჯონმა, – რა უფრო მეტი სიგიჟეა, ძროხით მგზავრობა თუ ველოსიპედის წველა.

ცული ბარიბეზა

ერთ კაცს თუთიყუში ჰყავდა, რომელსაც მხოლოდ სამი სიტყვის წარმოთქმა შეეძლო:

ეჭვი არ შეგეპაროთ.

თუთიყუში მთელი დღის განმავლობაში იმეორებდა:

ეჭვი არ შეგეპაროთ, ეჭვი არ შეგეპაროთ.

ერთხელ პატრონმა თუთიყუში ბაზარში გასაყიდად წაიყვანა.

ვინ იყიდის ჩემს თუთიყუშს? – ყვიროდა, – ვინ იყიდის? ოც ფუნტად თუთიყუში.

ერთმა კაცმა გაიგონა ეს, მიტრიალდა თუთიყუშისკენ და ჰკითხა:

პოლ, ღირხარ ოც ფუნტად?

ეჭვი არ შეგეპაროთ! – უპასუხა თუთიყუშმა.

ამან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა კაცზე, რომ იყიდა ფრინველი და ტრიუმფით წაიყვანა სახლში. ხანი გავიდა და ინანა თავისი გარიგების გამო. თუთიყუშის გალიასთან დადგა და თქვა:

რა გიჟი ვიყავი, ამდენი ფული რომ გადავყარე!

ეჭვი არ შეგეპაროთ! – წამოიყვირა თუთიყუშმა და ამჯერად ის მართალი იყო.

მეფე და ასტროლოგი

ეს მრავალი წლის წინ მოხდა, როცა ხალხს სჯეროდა, რომ ვარსკვლავებს ადამიანის ბედის წინასწარმეტყველება შეეძლოთ.

იყო ერთი მეფე, რომელსაც ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ ეს უკანასკნელი ავად გახდა. მეფემ ასტროლოგი დაიბარა და უბრძანა, რომ მისი ქალიშვილის ბედი ეცნობებინა. ასტროლოგმა შეხედა ვარსკვლავებს ტელესკოპით და თქვა:

თქვენო უდიდებულესოზავ! ვარსკვლავები მეუბნებიან, რომ თქვენი ქალიშვილი ისევ კარგად გახდება.

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის ქალიშვილი გარდაიცვალა. მეფე ძალიან განრისხდა და გადანყვიტა დაესაჯა ასტროლოგი. უბრძანა მას სასახლეში მოსულიყო და როცა იგი გამოცხადდა, მეფემ უთხრა:

ახლა გაგვაგებინე, რას გეუბნებიან ვარსკვლავები შენი სიკვდილის შესახებ.

ასტროლოგმა იგრძნო საფრთხე, მაგრამ საკმაოდ ჭკვიანი იყო საამისოდ, რომ ეთქვა.

თქვენო უდიდებულესობავ! ვარსკვლავები ამბობენ, რომ მე თქვენს სიკვდილამდე ორი დღით ადრე მოვკვდები.

პერანგი

ერთი აღმოსავლური ქვეყნის მეფე მდიდარი და ძლევამოსილი იყო, მაგრამ ბედნიერი არ ყოფილა. ერთხელ ის მოხუცებულ ბრძენ კაცთან მივიდა და რჩევა ჰკითხა.

ო, ჩვენს დროში ბედნიერება მსოფლიოში იშვიათი რამაა, მაგრამ ვიცი, როგორ უნდა მოიპოვოთ ის.

როგორ უნდა მოვიპოვო? – ჰკითხა მეფემ.

ო, ეს საკმაოდ ადვილია, – უპასუხა მოხუცმა, – ბედნიერი კაცის პერანგი უნდა ჩაიცვათ.

მეფემ მადლობა გადაუხადა, წავიდა და თილისმის ძებნას შეუდგა. მოიარა მსოფლიოს დედაქალაქების უმეტესობა, შეხვდა მეფეებს, მწერ-

ლებს, ფილოსოფოსებს, მსახიობებს და სხვებს, მაგრამ ბედნიერი ვერავინ ნახა.

ბოლოს დაბრუნდა თავის ქვეყანაში და აი აქ, ერთ დღეს დაინახა ღარიბი გლეხი, რომელიც ბედნიერი სახით მინდორში მუშაობდა და მღეროდა. მეფე მივიდა მასთან და ჰკითხა:

ჩემო კეთილო კაცო, ბედნიერი ხარ?

სავსებით ბედნიერი ვარ! – უპასუხა გლეხმა.

არ ისურვებდი რომ მეფესთან ადგილი შეგეცვალა?

არაფრის გულისათვის!

კარგი, – უთხრა მეფემ, – მაშინ შენი პერანგი მომყიდე.

ჩემი პერანგი? – იკითხა გაკვირვებულმა გლეხმა, – მე არ მაქვს ასეთი რამ!

ბალზაკი კალიგრაფიის ექსპერტი

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ბალზაკი დიდი ნიჭის პატრონი გახლდათ. თუმცა თვითონ იგი კალიგრაფიის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობის უნარით ამაყობდა და ხშირად ეუბნებოდა თავის მეგობრებს, რომ ნებისმიერი ადამიანის ხასიათს კალიგრაფიით ზუსტად გამოიცნობდა.

ერთხელ მეგობარმა ქალმა მას პატარა ბიჭის სავარჯიშო რვეული მიუტანა და უთხრა, რომ სურდა გაეგო, თუ რას ფიქრობდა ბალზაკი ბავშვის ხასიათზე. ამასთან ქალმა ისიც თქვა, რომ ეს

ბავშვი მისი ბიჭი არ იყო და რომ ბალზაკს შეეძლო სიმართლე ეთქვა:

კარგი, გეტყვით სიმართლეს, – უპასუხა ბალზაკმა. ყურადღებით შეისწავლა ნაწერი და მოახსენა ქალს, რომ იგი ყეყეჩ და ზარმაც ბიჭს ეკუთვნოდა.

უცნაურია ფრიად, – თქვა ქალმა ღიმილით, – ეს ფურცელია შენი საკუთარი სავარჯიშო რვეულიდან, რომლითაც პატარაობისას სარგებლობდი.

ადრე ამდგომი

უფავრდებოდა რა თავის ვაჟს იმის გამო, რომ სანოლიდან დილით ადრე ადგომა ეზარებოდა, სტიმულის მისაცემად მამამ უთხრა მას, რომ ერთხელ ერთმა კაცმა ადრინადად მიატოვა ლოგინი და ოქროთი სავსე ქისა იპოვა.

ეს შეიძლება ასეც იყო, – მიუგო შვილმა, – მაგრამ ის, რომელმაც ეს ქისა დაკარგა, ხომ უფრო ადრე იყო ამდგარი.

უფრო მომჭირნა

ორი იაპონელი მეგობარი თავიანთი მარაოების შესახებ საუბრობდა.

ჩემი მარაო, – თქვა ნოგუმ, – ოცი წელია მემსახურება. და აი, როგორ მოვახერხე ეს. მე ის ოთხ

სექციად გავყავი და ყოველ ხუთ წელიწადში ერთ სექციას ვხსნი.

ეგ არაფერია, – მიუგო ამრეზით ტოგომ, – ჩემი მარაო მთელი სიცოცხლე მემსახურება. მე მას მთლიანად ვხსნი, უძრავად ვიჭერ ცხვირის ქვეშ და მერე კი თავს ვარხევ.

ლესინგი მოხუცებულობაში

გერმანელ მწერალს ლესინგს მოხუცებულობაში ყურადღების დეფიციტი დასჩემდა. ერთ საღამოს სახლში დაბრუნების შემდეგ მან კარზე დააკაკუნა. მსახურმა ქალმა ფანჯრიდან გადმოიხედა, რომ დაენახა, ვინ იყო, მაგრამ სიბნელეში თავისი ბატონი ვერ იცნო და გადმოსძახა:

პროფესორი შინ არ არის, ბატონო.

ო, ძალიან კარგი, – უპასუხა ლესინგმა, – სხვა დროს მოვალ.

სარჩევი

ნოველები და ზღაპრები ბავშვებისათვის

საჩივარი ბებოზე	6
ენატიკტიკა ფიქრობს	9
ჯიუტი ბეკეკას ამბავი	13
მგლის ცრემლები	17
კატათაგვობანა	22
ეთერი, ნათია და ნიკნიკა	26
მელა და მამალი	32
ნიგნიჭამია ბაჭია	35

საბჭოური და პოსტსაბჭოური ზღაპრები და ნოველები

ყველაფერი ბატონ კირილეს შესახებ	39
მალარიჩი კრიტიკისათვის	39
პირადი მაგალითი	40
რა მოხდა თუ შემავინა?	40
დაუმსახურებელი ქება	41
უარი დაწინაურებაზე მოადგილის სასარგებლოდ	42
სამოთახიანიდან ერთოთახიანში	42
სასჯელი მოადგილის გულისათვის	44
დალიოს მძღოლმა, მერე რა მოხდა?	48
ღმერთო, კიდევ როდის ამომივა წვერი?	50
გაჭირვების ტალკვესი	56

ყველაზე კარგი მაღლობა	58
ქირა ბინის დამქირავებელს	60
სადღეგრძელო	62
შემთხვევა ავტოპროფილაქტორიუმში	66
დისციპლინის ღმერთი	69
ნახეთ, მაინც გავაცინე!	72
ფეხის ქირა	74
თუ კაცის ნდობა არ გვექნება	75
საახალწლო საჩუქარი	76
კაცური კაცი	78
უმრავლესობა	86
შნო	90
კულტურული კაცი!..	99
ნამუსის ქუდი	104
ვაი უფროსობისაგან	109
არ გეგონოთ ინტრიგანი	113
მონანიება	116
ღმერთო, გვასწავლე სიძულვილი!	128
სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად ...	133
ბუხრიდან კვამლი ამოვიდა	146
პატარა ლოთი	148

ზღაპრები დიდებისათვის

ყველაფრის მცოდნე ბატის ჭუჭული	152
ყროყინების ისტორია	157
რახან ვთქვი, ვთქვი!	160
დათუნია ბრუციანის ოთხი მცნება	164
ვაჰმე, სად არის აქ სამართალი ანუ როგორ უყიდა სიძემ სიდედრ-სიმამრს	
ავტომანქანა „ვოლგა“	170

ლირიკა

ლეგენდა საქართველოზე	178
საოცრება, მგონია... ..	180
მაპატიე, დედა!	181
მშობელმა, შვილო, სიცოცხლე მოგცა... ..	182
გაიხსენე მომაკვლავი გედი!.. ..	183
იღია ჭავჭავაძის მიბაძვით	183
რად შეგვქმნა ღმერთმა?	184
თუ საქართველოს ეყოლება თავის იმედად... ..	184
ჩემს შვილიშვილს დაჩის	185
დაჩი კარბში	187
ძალო ელენეს ხსოვნას	187
ვედრება	188

თარგმანები ფრანგულიდან

ანდრე მორუა „ტაძარი“	191
----------------------------	-----

იუმორი

დირექტორი მისი ნაცნობია	194
ფინანსთა მინისტრი ჯიბეებს არ ივსებს	194
კომბოსტო და ქვაბი	195
კრივის მსაჯი უნდა გამოვიდეს	195
გამოსავალი ვალებიდან	196
დედაენა თუ მამაენა?	196
რითი აპრილებენ პარკეტს?	196
შანტაჟი	197
ქუდისმჭამელი	197

სამათხოვროდ ფარდულს გახსნის	198
წელიწადის დრონი	198
მაშინ ათი ფრანკი მიეცით!	198
ჩანთა რალად უნდა დაკარგოს?	199
ორი კითხვა	199
კატა მას ეჭირა	200
დიუმა და ვაჭარი	201
ბონ აპეტი!	202
სწრაფი მატარებელი	203
საკმარისად მდიდარი	203
ფეხზე მდგომი მოხუცის დანახვას ვერ იტანს ..	204
თევზს ჭამს, მაგრამ ცურვა არ იცის	204
ორი ექიმი	204
ვისი მეგობარია?	205
არ გაუგია ოთხმოცმა როგორ მიუკაკუნა	206
პრიზი მეხსიერებისათვის	206
ქვები დაუბიათ	206
გასწორებული დავალებები	207
ყველა ხომ კოლუმბი არ იქნება	207
რის მაქნისია „გკოცნი“?	207
არ სურს იდიოტი სიძე	208
მარიუსის დედა	209
დამ გაიმარჯვა	209
რძის ფასმა აიწია	210
ცრუმორწმუნე ბოშები	210

თარგმანები ინგლისურიდან

მნიშვნელობა არა აქვს	212
დახატული სოკო	212

საკმარისად ახალი არ არის	213
უკეთესი მსაჯული	213
დიდი პოეტი	214
მეფე და მკითხავი	214
ქალაქელები სოფელში	214
არსებითი შესწორება	215
კლერკს წვერი ეზრდება	215
მყეფარი ძალი არ იკბინება	216
საქმიანი კაცი	216
ხუთს მივუმატოთ ერთი უდრის შვიდს	217
კარგი მეგობარი	217
მეასე ავადმყოფი	218
უაზრო ჩივილის წამალი	218
ეს ძალიან ადვილი იყო	219
ყველა ასე მოიქცეოდა	219
სტუმართმოყვარეობა	220
ვისი იყო ეს ძალი?	220
მოდი, გავაოცოთ მსოფლიო!	221
უკანდახევა	222
ცოცხი და წვერი	222
ტყვიანგაუმტარი ჟილეტი	223
გამოცდილი ფეხით მოსიარულე	223
მეფე და კრიტიკოსი	224
კარგი გაკვეთილი	225
არაფერია მოსალოცი	226
ექიმის რჩევა	226
შოტლანდიელის მადა	227
შიგნითა და გარეთა ადგილები	227
გულმავინყი მწერალი	228

სიძნელიდან გამოსავალი	228
ძალიან ნელი მატარებელი	229
ლოგიკა	230
ობობასათვის არ წარუდგენიათ	230
აქ ნიანგები არ არიან	231
ჭკვიანი ფერმერი	232
ცუდი გარიგება	232
მეფე და ასტროლოგი	233
პერანგი	234
ბალზაკი კალიგრაფიის ექსპერტი	235
ადრე ამდგომი	236
უფრო მომჭირნე	236
ლესინგი მოხუცებულობაში	237

ბივი კაპანაძე

ნოველები
ზღაპრები
ლირიკა
თარგმანები